



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის შრომები

II

გამომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი
2015

შრომებში იბეჭდება სამეცნიერო გამოკვლევები, რომელიც მიძღვნილია ისტორიის, ეთნოლოგიის, ფილოლოგიის, თარგმანმცოდნეობისა და სამართალმცოდნეობის აქტუალური პრობლემებისადმი. განკუთვნილია სპეციალისტებისა და სტუდენტებისათვის.

რედაქტორები: პროფესორი **სერგო ვარდოსანიძე**,
პროფესორი **ვასტანგ გურული**

კრებული გამოსაცემად მოამზადა ისტორიის დოქტორმა **ლევან ჯიქიამ**

St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia

Works of Faculty of Humanities and Law

II

Publishing House „Meridiani“

**Tbilisi
2015**

The Collection contains scientific researches dedicated to the issues of History, Ethnology, Philology, Translation Studies and Jurisprudence.
For specialists and students.

Editors: Prof. **Sergo Vardosanidze**

Prof. **Vakhtang Guruli**

The Collection was prepared for publication by Doctor of History **Levan Jikia**

Грузинский университет имени Андрея Первозванного при Патриархии Грузии

**Труды
Факультета гуманитарных наук и
правоведения**

II

Издательство „Меридиани“
Тбилиси
2015

В сборнике публикуются научные исследования, посвященные актуальным вопросам истории, этнологии, филологии, переводоведения и правоведения.

Предназначается для специалистов, работающих в данных сферах, и студентов.

Редакторы: профессор **Серго Вардосанидзе**,
профессор **Вахтанг Гурули**

К изданию сборник подготовил академический доктор **Леван Джикия**

o s r e o s

სერგო ვარდოსანიძე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ახალი დროის საისტორიო მეცნიერება და გიორგი წერეთლის ისტორიოგრაფიული შეხედულებანი

XIX საუკუნის მეორე ნახევარი ერთ-ერთი ურთულესი ხანა იყო საქართველოს ისტორიაში. ცარიზმმა გაააქტიურა ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრა. მისი ერთგული სატრაპები: დონდუკოვ-კორსაკოვი, იანოვსკი, კატკოვი, ჩუდევცი და სხვები ყოველნაირად ცდილობდნენ ისე წარმოედგინათ კავკასია და კერძოდ საქართველო, რომ თითქოს ქართველებს სეპარატიზმის ტენდენციები ჰქონოდათ და მათი ისტორია, ენა, ლიტერატურა საერთოდ დარბიი ყოფილიყოს. მათი აზრით ასეთ ხალხს რაც მალე დაავიწყდებოდა საკუთარი წარსული და გაითქვიფებოდა რუსებში, მით უფრო უკეთესი იყო.

თვითმპყრობელობის კოლონიური ჩაგვრის გაძლიერებამ კიდევ უფრო შეამჭიდროვა თერგდალეულთა ჯგუფი, ისინი მკაცრი ცენზურის პირობებშიც ახერხებდნენ პრესაში ისეთი წერილების გამოქვეყნებას, რომლებშიც გაბედულად იყო მხილებული ცარიზმის კოლონიური პოლიტიკა. ქართული ეროვნული სხეულიც დაქუცმაცებული იყო. XIX საუკუნის II ნახევრის ცნობილი მოღვაწე ილია ალხაზიშვილი გულისტკივილით აღნიშნავს, როცა მან იმოგზაურა ჯავახეთში, ნახა ერთ სოფელში ერთი ძმა, რაკი მართლმადიდებლური სარწმუნოებისა იყო, გვარად სანდაძე, ქართველობდა, მეორე კი, რაკი მონოფიზიტი – სომხობდა.¹ ასეთივე უნუგეშო მდგომარეობაში იყო საქართველოს გონების საუნჯე, მესხეთიც, ვინმე მესხი (ივანე გვარამაძე) წერდა: „მოვსულვართ უმეცრების შავბნელი წყვილითა, ვართ ერთიან უმოქმედოთ ხელფეხდაბორკილნი, გზაკვალშემლილნი და გამოთაყვანებული“.²

ცარიზმის აგენტებმა სცადეს სამეგრელოს საქართველოდან ჩამოშორება, ამ საქმეში მათ ხელს უმართავდნენ რენეგატი ქართველები: თადა აშორდია, ივანე მუხრან-ბაგრატიონი და სხვები, მართალია, თავიანთი მოღვაწეობით ისინი განსხვავდებოდნენ, მაგრამ მაინც საბოლოოდ ეროვნული ნიჰილიზმით იყვნენ დასნეულებული. ჯერ კიდევ X საუკუნეში გიორგი მერჩულეს მიერ ჩამოყალიბებული ქართველთა ერთიანობის კონცეფცია „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“ XIX საუკუნის საქართველოში ისტორიულ მოგონებად ქცეულიყო. ამიტომ საჭირო იყო მივიწყებული წარსულის გაცოცხლება, აწმყოსა და მომავლის სამსახურში მისი ჩაყენება, რაც თერგდალეულთა უპირველესი საზრუნავი გახდა. ილია ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა წარსულის ცოდნას: „რომელია სიმაგრე ჩვენი ცხოვრებისა და რომელი სიფუყე და სისუსტე, ამას ხსნის და გვითარგმნის ხოლმე ისტორია, და თუ იგი დავივიწყეთ, მაშ დავივიწყნია ჩვენი

¹ ნიკო ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტ. VIII. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1975, გვ. 43.

² ლევან ასათიანი. ლიტერატურული წერილები. ნარკვევები. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1974, გვ. 390.

ცხოვრების სათავეც. ჩვენი ცხოვრების საძირკველი, და თუ ასეა – რაღაზედ უნდა დავამყაროთ ჩვენი აწმყო, ჩვენი მერმისი“.³

წარსულის ისტორიის პირუთენელი კვლევა ისტორიკოსთა საქმე იყო, მაგრამ XIX საუკუნის 60-70-იან წლებში საქართველოში ისინი თითქმის არ იყვნენ, რამაც აიძულა თერგდალეული თვითონ ემუშავათ საქართველოს ისტორიის ცალკეულ პრობლემებზე, რათა საზოგადოებისათვის გასაგებ ენაზე მიეწოდებინათ საინტერესო მასალა. გიორგი წერეთელი, როგორც თერგდალეულთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი ამ მიზნით შეუდგა მრავალსაუკუნოვანი საქართველოს ისტორიის შესწავლას. თავის დროზე ეს სწორად შენიშნა ჟურნალმა „მოამბემ“, როცა, სარედაქციო წერილში მიუთითა: „გ. წერეთელი განსაკუთრებული ინტერესით სწავლობს ჩვენი ქვეყნის ისტორიასა და არქეოლოგიას, რათა ამით კიდევ უფრო ნაყოფიერად ჰქმნას თავისი ბრძოლა ერის თვითცნობიერების გაწვრთნისათვის“.⁴ იაკობ ფანცხავაც იმ აზრისა იყო, რომ გიორგი წერეთელს საქართველოს ისტორიის ცალკეულ საკითხებზე მუშაობა და ისტორიული ცოდნის პოპულარული ენით ხალხისათვის გადაცემა სჭირდებოდა მიძინებული ეროვნული სულის გამოსადვილებლად.⁵

თერგდალეულთა საქართველოს ისტორიით დაინტერესება და ამ სფეროში მოღვაწეობა არ უნდა გავიგოთ, თითქოს XIX საუკუნის საქართველოში სულ არ იყვნენ პროფესიონალი ისტორიკოსები და საერთოდ არ არსებობდა საისტორიო მეცნიერება. XIX საუკუნის პირველი ქართველი ისტორიკოსი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ თხრობის ჩარჩოებს გასცდა და საქართველოს ისტორიული ცხოვრების მთლიანი სურათის აღსადგენად ბერძნულ-რომაულ წყაროებს მიმართა თეიმურაზ ბაგრატიონი იყო.⁶ მისი ღვაწლი იმ მხრივაცაა დასაფასებელი, რომ მან გაუღვივა ინტერესი მარი ბროსეს საქართველოს ისტორიული წარსულისადმი. ამ უკანასკნელის დაუღალავი შრომის წყალობით ევროპამ გაიცნო „ქართლის ცხოვრება“, ორიგინალური ქართული ხუროთმოძღვრება, ქართული ხელნაწერები, ეპიგრაფიკული ძეგლები. მარი ბროსემ დაიწყო საქართველოს ისტორიის მეცნიერული დამუშავება, შეაჯერა მოპოვებული ეპიგრაფიკული და ნუმიზმატიკური მასალები წერილობით წყაროებთან; ამიტომ იყო, რომ მისი მოღვაწეობა თერგდალეულთა ყურადღების ცენტრში მოექცა. მარი ბროსე, თავისი საქმიანობით სამსახურს უწევდა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას საქართველოში.

XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიას დიდი ამაგი დასდო პეტერბურგის ქართველოლოგიურმა სკოლამ, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ დავით ჩუბინაშვილი და ალექსანდრე ცაგარელი. დავით ჩუბინაშვილმა 1854 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სტამბაში დაბეჭდა „ქართლის ცხოვრება“, ნაწილი II, რომელსაც წინასიტყვაობა წაუშმდვარა რუსულ და ფრანგულ ენებზე. ამ ფაქტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა არაქართველი ისტორიკოსების საქართველოს ისტორიული წარსულით დაინტერესების თვალსაზრისით. ალექსანდრე ცაგარელის მიერ გამოცემული ქართული წყაროები იმით არის ღირებული, რომ აქ უკვე იგრძნობა ტექსტისადმი კრიტიკული მიდგომა. ფრიად საინტერესო იყო ალექსანდრე ცაგარელის მოღვაწეობა რუსული ენციკლოპედიებისთვის

³ სიმონ ხუნდაძე. ნარკვევები. გამომცემლობა „ფედერაცია“, თბილისი, 1949, გვ. 202.

⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. I. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1970, გვ. 814.

⁵ ალექსანდრე ჩაგლეიშვილი. ლიტერატურისა და თეორიის საკითხები. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი, 1960, გვ. 130.

⁶ შალვა რადიანი. ლიტერატურული მემკვიდრეობა. თბილისი, 1948, გვ. 46, 52.

საქართველოს ისტორიის მასალების მომზადების საქმეშიც. ალექსანდრე ცაგარელს ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას გიორგი წერეთელმა უწინასწარმეტყველა დიდი მომავალი. 1886 წელს კირილე ლორთქიფანიძისადმი გაგზავნილ წერილში იგი აღნიშნავდა – ალექსანდრე ცაგარელი არის ნიჭიერი და იმედების მომცემი ყმაწვილი. ალექსანდრე ცაგარელი ნაყოფიერად მუშაობდა ქართული ისტორიული საბუთების გამოცემის, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხების გაშუქების დარგში.

XIX საუკუნის 30-70-იანი წლების ქართულ ისტორიოგრაფიას დიდი ამაგი დასდო პლატონ იოსელიანმა. იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ეკლესიამონასტრებში ეცნობოდა ძველ ხელნაწერებს. მისი „დამსახურებაა „ქართლის ცხოვრების“ ძველი სომხური თარგმანის პირველი ხელნაწერების აღმოჩენა, მანვე მიაკვლია ფარსადან გორგიჯანიძის ისტორიას, „ქართლის ცხოვრების“ ე. წ. ჭილაშვილისეულ ხელნაწერსაც“.⁷

ზემოთ ჩამოთვლილი მეცნიერთა დიდი დამსახურება იყო 1881 წელს თბილისში არქეოლოგთა V ყრილობის ჩატარება. ეს იყო იმის აღიარება, რომ საქართველო ერთ-ერთი საინტერესო და უძველესი ისტორიის ქვეყანაა. ქართველი სამოციანელები იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ამ ყრილობას, რომ აკაკი წერეთელს საჭიროდ მიუჩნევია მისასაღმებელი სიტყვით მიემართა ყრილობისადმი. მისაღმებაში იგი კმაყოფილებას გამოთქვამდა ყრილობის საქართველოში მოწვევით, რადგან ყრილობის მონაწილე ცნობილი მეცნიერებები გახდებიან სხვებისათვის მაგალითის მიმცემნი, რათა უფრო ობიექტურად გამოიკვლიონ ჩვენი ქვეყნის წარსული“.⁸

ზემოთ ქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ XIX საუკუნის 30-70-იანი წლების ქართველმა ისტორიკოსებმა, ე. წ. პეტერბურგის ქართველოლოგიური ცენტრის მოღვაწეებმა, დიდი წვლილი შეიტანეს ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებაში, მაგრამ მათი ღვაწლი მაინც უდაბნოსა შინა დაღადებას ჰგავდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ისინი თავიანთ გამოკვლევებს ქართულ ენაზე არ წერდნენ. ამიტომაც იყო, რომ თერგდალეულებმა თვით მოჰკიდეს ხელი საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეს. ისინი „ისტორიული მეცნიერების მომარჯვებით არა მარტო ქართველთა ეროვნული თვითცნობიერების განმტკიცებას უწყობდნენ ხელს, არამედ წინ სწევდნენ და ავითარებდნენ ისტორიულ მეცნიერებას, განსაზღვრავდნენ მის საგანსა და ამოცანებს, მეთოდსა და მეთოლოლოგიას“.⁹ ამით განსხვავდებოდა თერგდალეულთა და მათ წინამორბედ ისტორიკოსთა დამოკიდებულება ისტორიის როგორც საგნისა და ისტორიის როგორც ერის წერტნის, გამოღვიძების დანიშნულებისადმი. თერგდალეულნი მოითხოვდნენ მთელი ხალხის, ისტორიას ისეთი საუკეთესო წიგნიც კი, როგორც „ქართლის ცხოვრება“ მხოლოდ მეფეთა ისტორია იყო, ვინაიდან ეს უკანასკნელი იმ პრინციპით იყო შედგენილი, რომელიც ასახავდა ფეოდალური საქართველოს საზოგადოების მოთხოვნილებებს. ამიტომ XIX საუკუნის 50-60-იან წლებში საქართველოს ისტორიის „ქართლის ცხოვრების“ ქარგაზე აგება ფაქტობრივ „ქართული ფეოდალური საისტორიო მწერლობის რომანტიზმს“ ნიშნავდა.¹⁰ 70-80-იან წლებში, როცა ფეოდალურ ბატონყმური

⁷ გიორგი წერეთელი. რჩეული ნაწერები. ტ. II. გამომცემლობა „სახელმწიფო გამომცემლობა“, თბილისი, 1948, გვ. 38.

⁸ გიორგი წერეთელი. წერილი ე. ნინოშვილს. ნინოშვილი ე., ტ. II. თბილისი, 1923, გვ. 639.

⁹ გაზეთი „კვალი“, 1893, №11, გვ. 17.

¹⁰ ი. გომელაური. მღვიმევი. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1982, გვ. 11.

წყობილება კრიზისს განიცდიდა თერგდალეულებს ახალი საქართველოსათვის ისტორიის ახლებურად გააზრება სჭირდებოდათ, რაც დაეხმარებოდა მათ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სწორად წარმართვის საქმეში. გამოჩნდნენ ისეთი ისტორიკოსებიც, ვინც სწორად გაიგო თერგდალეულთა მიზანი, ამგვარად იმდროინდელ ვითარებაში ადვილი არ იყო პირუთენელი ისტორიის დაწერა. ცნობილი პუბლიცისტი სერგეი მესხი წერდა: „1800 წლის შემდეგ ჩვენი ისტორიის დაწერა ხეირიანად და პატიოსნად არ მოხერხდება, ცენზურა და მმართველობა ნებას არ მისცემს იმისთანა ისტორიის დაბეჭდვას რომელშიც ყველა მის მოქმედებას და განკარგულებას საქართველოში ქება არ ექნება“.¹¹

მიუხედავად ამისა XIX საუკუნის 70-80-იან წლებში მაინც დაიწყო მართალი ისტორიის დასაწერად მასალების შეგროვება. 1869 წელს დავით ბაქრაძემ დაიწყო საქართველოს ისტორიის ქართულ ენაზე შედგენა. განზრახული იყო ამ ისტორიის გამოშვება ხუთ რვეულად. ილია ჭავჭავაძემ აღფრთოვანებული რეცენზია უძღვნა დავით ბაქრაძის პირველ წიგნს, რომელიც 1888 წელს დაიბეჭდა. ილიამ დავით ბაქრაძეს დაუღალავე და სასიქადულო მოღვაწე უწოდა. რომელმაც დიდი ღვაწლი და სამსახური დასდო ქართველ ერს. მაგრამ წყაროების კრიტიკულმა განხილვამ და მოპოვებამ დავით ბაქრაძე აიძულა იმხანად შეეწყვიტა განმაზოგადებელი მონოგრაფიის გამოშვება.¹² დაიწყო მასალების მოძიების პერიოდი, თუმცა დავით ბაქრაძე მარტო მასალების შემკრების როლში როდი მოგვევლინა. იგი „XIX საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველი იყო, რომელმაც საფუძვლიანად გაარჩია მოპოვებული სიგელ-გუჯრები და შეუდარა ისინი ისტორიულ სინამდვილეს“.¹³

დიმიტრი ბაქრაძესთან ერთად საინტერესო, დაძაბულ მუშაობას ეწეოდნენ თედო ჟორდანიას,¹⁴ მოსე ჯანაშიელის,¹⁵ ნიკო ურბნელის,¹⁶ ზაქარია ჭიჭინაძე და სხვები. საინტერესო იყო კონსტანტინოპოლში მოღვაწე ქართველი კათოლიკების საქმიანობაც, რომლებიც ბევრ მასალებს აქვეყნებდნენ საქართველოს ისტორიაზე,¹⁷ მაგრამ ხალხს სჭირდებოდა გასაგები ენით მიწოდებული მასალა. ვინც თედო ჟორდანიას მიერ გამოცემულ ქრონიკებს შეიძინდა, მას სათანადო ისტორიული ცოდნაც უნდა ჰქონოდა. ჩვეულებრივი რიგითი მკითხველისათვის ქრონიკებში შესული მასალის აღქმა-გაგება ადვილი არ იყო. ამიტომ იყო, რომ თერგდალეულთა თაობა მხატვრულ პროზასა და პოეზიაში ისტორიულ თემატიკას მიეძალა. ამ მხრივ საინტერესოა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, იაკობ გოგებაშვილის შემოქმედება. ამავე მიზანს ისახავდა გიორგი წერეთელიც, როცა შეუდგა საქართველოს ისტორიულ წარსულზე წერილების გამოქვეყნებას მისი თანამებრძოლები: სერგეი მესხი, პეტრე უმიკაშვილი არაერთხელ აღნიშნავდნენ: „ფილოლოგია, ისტორია, არქეოლოგია... ეს ყველაფერი ერთ საგანს ეკუთვნოდა,

¹¹ ნიკო ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები. ტ. IV. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1963, გვ. 144.

¹² ალექსანდრე კოჭლავაშვილი. გიორგი წერეთელი და ჭაღის ნავთობის საკითხი.— ჟურნალი „მნათობი“, 1962, №9, გვ. 190.

¹³ ჟურნალი „ერებული“, 1872, №8, გვ. 3-4.

¹⁴ გაზეთი „Голос“, 1878, №87, გვ. 17.

¹⁵ გაზეთი „კვადი“, 1893, №14, გვ. 166.

¹⁶ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1973, გვ. 158.

¹⁷ მისივე ზანდუკელი. ახალი ქართული ლიტერატურა. გამომცემლობა „ცოდნა“, თბილისი, 1954, გვ. 65.

ერთის საფუძველ დედა-აზრისაგან მომდინარეობდა, შენი დედააზრი იყო ზრუნვა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ბედისათვის, ბედნიერებისათვის მისი წინვლისათვის“.¹⁸

ყოველივე ზემოთ ქმულის შემდეგ გიორგი წერეთლის მიერ საქართველოს ისტორიაზე მუშაობის დაწყება სავსებით გასაგებია, მაგრამ ჰქონდა კი მას საამისო განათლება და კომპეტენტურობა? ვფიქრობთ ამ კითხვას დადებითი პასუხი უნდა გაეცეს. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გიორგი წერეთელს ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროს წაუკითხავს ძველი ქართული მატრიანები, ქართული ლიტერატურის უძველესი ნიმუშები. ამ მხრივ ახალგაზრდა გიმნაზიელს ფასდაუდებელი დახმარება გაუწია საკუთარმა ბიძამ. შემდეგ კი პეტერბურგის უნივერსიტეტში, მართალია, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილებაზე სწავლობდა, მაგრამ იგი გატაცებით ისმენდა ლექციებს მსოფლიო ისტორიაში, ხელოვნების ისტორიაში. მან საფუძველიანად იცოდა გერმანული ენა და ორიგინალში კითხულობდა XIX საუკუნის გერმანულ ისტორიკოსთა ნაშრომებს. უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გიორგი წერეთელი ნიკო ნიკოლაძესთან ერთად ხვდებოდა ცნობილ რუს რევოლუციონერ-დემოკრატ ნიკოლაი ჩერნიშევსკის, რომელთანაც მსჯელობდნენ ფილოსოფიისა თუ ისტორიის აქტუალურ პრობლემებზე. გარდა ამისა, გიორგი წერეთელი როგორც ბუნებისმეტყველების განყოფილების სტუდენტი უკვე იცნობდა ამ დარგის დიდ აღმოჩენებს, რომლებმაც ხელი შეუწყო ისტორიული მეცნიერების განვითარებას. ყოველივე ამან დადებითი როლი შეასრულა გიორგი წერეთლის ისტორიული აზროვნების ჩამოყალიბებაში. იგი საქართველოს სინამდვილეში წარსული ისტორიის „რომანტიკულ“ აღქმას კი არ მოითხოვდა, არამედ ისტორიული მეცნიერების გულდასმით კვლევას, მეცნიერული ისტორიის უტყუარი ფაქტებით დასაბუთებას და გამართვას, რაც ქართველ ხალხს მომავლისათვის ბრძოლაში გამოადგებოდა. წერეთლის როგორც მოაზროვნისათვის ცნობილი იყო კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის შრომები. იგი ერთ-ერთ თავის წერილში აღნიშნავდა რომ მარქსის ეკონომიკური მოძღვრება ისეთივე სიახლეა მეცნიერებაში, როგორც დარვინიზმი ბუნებისმეტყველებაშიაო. ნათქვამის გამო ვფიქრობთ უმართებულოა ლევან ასათიანის განცხადება – „გ. წერეთელს, როგორც იდეალისტს და სუბიექტივისტს ისტორიის შემეცნებაში არ ესმოდა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას არა ადამიანების ნება-სურვილები განაგებენ, რომ ეს განვითარება დამოკიდებულია არა ამა თუ იმ საზოგადოებრივი ფორმაციის სასურველობასა და უმჯობესობაზე, არამედ იმ ისტორიულ აუცილებელ კანონებზე, რომელიც ახასიათებს საწარმო ძალთა განვითარებას და მასზე აშენებულ სოციალურ ურთიერთობას“.¹⁹ გიორგი წერეთელი აღიარებდა საზოგადოების კლასებად დანაწილებას, ეს დანაწილება მიაჩნდა სხვადასხვა კლასთა შორის დაპირისპირების მიზეზად. გიორგი წერეთელს არ მიაჩნდა სწორად ის, რომ ერის ან კაცობრიობის ისტორიის ცოდნის წარმოსაჩენად ძირითადად მეფეების ცხოვრებას, მათ ტახტზე ასვლა-ჩამოსვლას სწავლობდნენ. მისი აზრით, ასეთი ისტორიის ცოდნა წარსულში აკმაყოფილებდათ, ახლა კი დრონი იცვალნენ და ისტორიაზე შეხედულებაც შეიცვალაო. თუ გიორგი წერეთელმა თერგდალეულთა სხვა მოღვაწეებთან ერთად გააკრიტიკა ქართლის ცხოვრება, ეს ფეოდალური საქართველოს ისტორიის ამ საუკეთესო წყაროს როლისა და მნიშვნელობის

¹⁸ ილია ჭავჭავაძე. ასის წლის წინათ. თხზულებანი. ტ. IV. გამომცემლობა „სახელგამი“, თბილისი, 1955, გვ. 54.

¹⁹ მიხეილ გაფრინდაშვილი. ნარკვევები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. ტ. I. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1959, გვ. 99.

დამცრობის ცდა კი არ იყო. არამედ უარის თქმა ისეთი ისტორიულ კონცეფციაზე, რომელიც ისტორიას პიროვნების, თუნდაც მეფეთა ნება-სურვილის მიხედვით აგებდა. გიორგი წერეთელი ერთ-ერთ საისტორიო გამოკვლევაში აღნიშნავდა, რომ კაცობრიობის ცხოვრებაში ყოველთვის ასეა, რა დიდ წარმატებებსაც არ უნდა მიაღწიოს ამა თუ იმ ხალხმა, თუ ყოველივე ამისათვის სათანადოდ მომზადებული არ არის, „სულ ყველა ფუჭად ჩაივლის“.²⁰

ერთი კაცი როგორი დიდი ნიჭითა და უნართაც არ უნდა იყოს დაჯილდოებული, ვერ შეძლებს ერის გაძლიერებას, დიდი ამოცანების გადაწყვეტას, თუ იმის თანამედროვენი, იმის მოძმენი იმის გვარტომობა არ თანაუგრძობენ, არ ესმით იმისი მოქმედების აზრი და ვერ მოიხმარენ იმისგან მოტანილს სარგებლობას, გიორგი წერეთლის გაგებით პიროვნება, რა თქმა უნდა, დიდ როლს ასრულებს ისტორიაში, მაგრამ თუ ხალხი არ არის იმის აზრების შემცნობი და დამფასებელი, მას ყველაფერი ფუჭად ჩაუვლის. გიორგი წერეთელი მარქსისტი არ იყო, მაგრამ ისევე როგორც იმდროინდელი სხვა ქართველი მოაზროვნეები (ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ბაქრაძე) პიროვნების როლს ისტორიაში არ აფეტიშებდა, პირიქით ამა თუ იმ დიდი ისტორიული მოღვაწის წარმოჩენისას ეძიებდა იმ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მიზეზებს, გამომწვევებს პიროვნების წარმატებას რომ განაპირობებდა. მიხეილ გაფრინდაშვილის აზრით, გიორგი წერეთელი „სავსებით იზიარებდა მარქსამდელ მოაზროვნეთა ცნობილ დებულებას: საზოგადოება ადამიანთა ჯგუფებია, ხოლო საზოგადოების თვისებები ამ ჯგუფში შემავალი ადამიანების ინდივიდუალურ თვისებათა ჯამი. ამიტომ ადამიანზე რომ ლაპარაკობს, გიორგი წერეთელს მხედველობაში აქვს მთელი საზოგადოება, რომლის წევრიცაა ადამიანი და პირიქით. ამ აზრით ხელმძღვანელობდა გიორგი წერეთელი საზოგადოებრივი-ისტორიული მოვლენების შესწავლის დროს.“²¹

გიორგი წერეთელს მიაჩნდა, რომ ამა თუ იმ პოლიტიკური ვითარების გასაგებად საჭიროა გაირკვეს, რა მიზეზებმა გამოიწვია იგი, როგორია მისი შედეგები კაცობრიობის განვითარების თვალსაზრისით. წინ წავიდა საზოგადოება თუ, პირიქით, უკან დასწია. მისთვის ესა თუ ის ისტორიული საბუთი, სიგელ-გუჯარი მხოლოდ მაშინ იქცეოდა „ისტორიულ უტყუარ საბუთად“, როცა ხელთ გვექნებოდა კრიტიკულად განხილული ტექსტი, მაგრამ ეს კრიტიკული განხილვა გულისხმობდა ტექსტის მეცნიერულ შესწავლას. „წავიდა ის დრო – წერდა გ. წერეთელი – როცა სქოლასტიკოსები ისტორიულ მეცნიერებას ამყარებდნენ მხოლოდ მონასტრებში დარჩენილ წერილობით საბუთებზე... უნდა შეიგნონ და შედარებითი მეთოდით გაარკვიონ, როდის არის ის დაწერილი და ყველა ეს ტექსტთან ერთად კომენტარებით გამოაქვეყნონ“.²² გიორგი წერეთელს მიაჩნდა, რომ ნამდვილი ისტორიის გამართვა მხოლოდ ასეთი შედარებითი მეთოდის გამოყენებით შეიძლება. ამ პრინციპებით ხელმძღვანელობდა იგი, როცა ძველი საქართველოს ისტორიაზე მსჯელობისას იყენებდა ბიზანტიელი, სომეხი, ისტორიკოსების ცნობებს, უდარებდა ქართლის ცხოვრების მასალებს, მასალათა შეჯერების საფუძველზე გამოჰქონდა თამამი დასკვნები. შედარებითი მეთოდის ფართოდ გამოყენების ცდაა მის ნაშრომში „ჩვენი ძველი გმირები“.²³ ძველი საქართველოს ისტორიული სურათის აღდგენას

²⁰ შ. ლეკვიშვილი. დიდი ქართველი მწერალი.– გაზეთი „სოფლის ცხოვრება“, 1962, №52, გვ. 218.

²¹ გაზეთი „დროება“, 1868, №30, გვ. 119.

²² გაზეთი „კვალი“, 1895, №16.

²³ ილია ჭავჭავაძე. გიორგი წერეთელს. „საქართველოს კალენდარი“, ტფილისი, 1897, გვ. 104.

ცდილობდა ძველი ეგვიპტური, შუამდინარული მასალების საფუძველზე. ვფიქრობთ, შედარებითი მეთოდის გამოყენება, რომელსაც გიორგი წერეთელი მიმართავდა, საესეებით დასაშვები იყო, მაგრამ ამავე დროს საჭირო იყო არა მექანიკური შედარება, რაც ზოგჯერ თავს იჩენდა გ. წერეთლის ამ ნაშრომში, არამედ საფუძვლიანი და თანაც იმ განმასხვავებელი ნიშნების ჩვენებით, რომელიც უეჭველად ჰქონდა აღმოსავლურისაგან განსხვავებით ძველ ქართულ ყოფასა და ტრადიციებს.

გიორგი წერეთელი საქართველოს ისტორიული წარსულის შესწავლის დროს ითვალისწინებდა საქართველოს გეოგრაფიული გარემოს თავისებურებების და მის მნიშვნელობას ჩვენი ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნებისათვის მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში. იგი ილია ჭავჭავაძის მსგავსად ცდილობდა პასუხი გაეცა მთავარ კითხვაზე: რამ გადაგვარჩინა, ქართველობა? რომ მოგვიყვანა XIX საუკუნემდე? ეს არ იყო შემთხვევითი კითხვა, ამაზე პასუხის გაცემა ნიშნავდა იმის გაგებას, „რანი შეიძლება ვიყოთ მომავალში“. გიორგი წერეთელს მიაჩნდა, რომ საუკუნეთა მანძილზე საქართველოს ტერიტორია, როგორც აღმოსავლეთით, ასევე დასავლეთით კარგად იყო გამაგრებული ბუნებრივ-სტრატეგიული მდგომარეობით და ჩვენმა წინაპრებმა კარგად იცოდნენ ამ პირობების გონივრული გამოყენება. საქართველოს „სამხრეთი და ჩრდილოეთით მთები და კლდეები იცავდა... ყოველს გაჭირვების დროს. იმათ ისე გონივრულად შეეძლოთ დანაწილება სიმაგრეებში, ხეებში, ციხეებში, რომ ყოველთვის გამარჯვებულნი დარჩებოდნენ მოგერიების ომში და ვერც ერთი მძლავრი მტერი ვერ შელევდა საქართველოს კარებსა“.²⁴ მისი აზრით, ქართველთა მრავალსაუკუნოვანი მტრების წინააღმდეგ ერთი მუჭა ხალხის გადარჩენის, შერკინების და გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა იყო. სანამ ჩვენმა წინაპრებმა კარგად დაიცვეს მტერთაგან თითოეული ხეობა, უღელტეხილები, მანამ ქვეყანას არ გასჭირვებია, მაგრამ როცა XV-XVIII საუკუნეებში საქართველოს თანდათანობით დასუსტება დაეცყო, როცა დადგა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი, მაშინ ნათელი გახდა მიზეზიც, არცერთი ისტორიული ციხე-გასასვლელი, ხეობა უკვე არ იყო გამაგრებული. სადავო არ არის გეოგრაფიული გარემოს დიდი მნიშვნელობა ამა თუ იმ ხალხის განვითარების ისტორიაში, მაგრამ ვფიქრობთ, არასწორი იყო XV-XVIII საუკუნეების საქართველოს გაჭირვების, უბედურების მიზეზების მარტოოდენ გამგრებული ციხე-სიმაგრეების არქონით ახსნა.

გიორგი წერეთელს მხედველობიდან გამორჩა ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. კონკრეტულად XV საუკუნეში საქართველოში დასრულდა დიდაზნაურებიდან ახალი მძლავრი ფენის თავადობის გამოყოფის პროცესი. ყოველი სათავადო კი ცენტრალურ სამეფო ხელისუფლებასთან დაპირისპირებული იყო, გახშირდა ურთიერთმიხედობა, შუღლი, ერთიანი საქართველო გაითიშა ჯერ სამ სამეფოდ: ქართლის, კახეთის, იმერეთის სახით, ხოლო მოგვიანებით კიდევ უფრო დანაწევრდა. ეს მოხდა იმ დროს, როცა საქართველოს სამხრეთ საზღვარზე ერთმორწმუნე ბიზანტიის ნაცვლად გაჩნდა ახალი აგრესიული სახელმწიფო ოსმალეთი. ამ უკანასკნელისათვის კი განსხვავებული პოლიტიკურ-კულტურული-იდეოლოგიური ტრადიციების ქვეყანა საესებით მიუღებელი იყო. ამდენად გ.

²⁴ გ. ლომიძე. დრამის თეორია XIX საუკუნის ქართული მხატვრულ კრიტიკასა და ესთეტიკურ ნააზრევში. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1984, გვ. 160.

წერეთლის ტერმინს თუ ვიხმართ წინაპართაგან დაცული ხეობების, ციხე-სიმაგრების ნგრევა, დაუცველობა ამ მიზეზითაც უნდა აიხსნას. გიორგი წერეთელი საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ნათლად ამჩნევდა მქონებელთა და უქონელთა შორის წინააღმდეგობებს, მაგრამ სჯეროდა, რომ თანდათანობით ევოლუციური ფორმებით შესაძლებელი იყო საზოგადოების დრომოჭმული ურთიერთობების გადახალისება. ის ამბობდა, რომ სწავლა-განათლებით, ხალხში სიახლეთა მიტანით შესაძლებელი იყო ჩვენი ერის ეკონომიკური აღორძინება და განთავისუფლება. სიახლეთა ფართოდ დანერგვა კი შესაძლებელი იყო ქვეყნის ევროპიზაციით. გიორგი წერეთლის აზრით, „იდეალური“ საზოგადოება უნდა „შედგებოდეს სულ ღონიერი, გონიერი და შრომისმოყვარე ხალხისაგან – ასეთი მშრომელი და განათლებული ადამიანები უნდა ყოფილიყვნენ ბატონ-პატრონი იმ საზოგადოებისა, სადაც აღარ იქნებოდა არც „ღაფა არც ავაზაკობა, აღარც ქურდობდა და კაცის კვლა, და ყოველი სიიაფეში და სიკმაყოფილეში იცხოვრებდა“.²⁵ მაგრამ რა გზით შეიძლებოდა ასეთი საზოგადოების შექმნა, გიორგი წერეთელს ეს საკითხიც აწუხებდა და ცდილობდა ეპოვა გამოსავალი, თუმცა ამოდ, ვინაიდან განათლება, სწავლა კარგი საქმეა, მაგრამ მარტოდენ ამით სამართლიანი საზოგადოების შექმნა შეუძლებელი იყო. გიორგი წერეთელს მიაჩნდა, რომ XIX საუკუნის 60-80-იანი წლების ქართველობას ნაკლებად ესმოდა თავისი ერის სატიკვარი, რაც წარსულის უცოდინარობით აიხსნებოდა. ვგონებ, ერთი ერის აღარ იყოს ქვეყანაზე ისეთი, რომ განათლებაში ფეხი შეედგას და იმდენად თავის მამულის უმეცარი იყოს, როგორც ჩვენ, შენიშნავდა იგი. მისი აზრით, ჩვენი ქვეყნის წარსული, მისი ისტორია, ეთნოგრაფია დაწვრილებით უნდა იქნეს შესწავლილი და ისე მიეწოდოს ახლგაზრდობას. იგი იღია ჭავჭავაძის მსგავსად ფიქრობდა, რომ ერის ისტორიის ცოდნას შეუძლია ხელი შეუწყოს ჩვენი სამშობლოს წინსვლას. საკითხის ასე დაყენება XIX საუკუნის 70-80-იანი წლების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების კონკრეტული ანალიზიდან გამომდინარეობდა. საქმე ეხებოდა ეროვნული მეობის შენარჩუნებას, ამიტომ გიორგი წერეთლის დასკვნა სამშობლო ისტორიის ცოდნას შეუძლია ფეხზე დააყენოს ქვეყანაო, ეხმიანებოდა ეროვნულ-განმანათავისუფლებელ სულისკვეთებას. „რომელ ხალხს ჰსურს თავისი იერი შეინარჩუნოს, თავისი ვინაობა დარჩეს, ის უსათუოდ უნდა ჩაუღრმავდეს და გაიცნოს თავისი ისტორიული ზრდა“.²⁶

გიორგი წერეთელი იმასაც კარგად გრძნობდა, რომ მარტოდენ ისტორიის ცოდნა ვერ მისცემდა ქვეყანას თვითარსებობის გარანტიას. იგი მოუწოდებდა ახალგაზრდობას ბეჯითი შრომისაკენ, რაც ქვეყნის ეკონომიკური აღორძინების აუცილებელი პირობა იყო. გ. წერეთელი სწორად შენიშნავდა XIX საუკუნის 70-80-იანი წლების ქართული ისტორიოგრაფიის ზოგიერთი ნაკლს და აცხადებდა დღემდის საქართველოს ისტორიას ნამდვილი ისტორიკოსი არ გამოსჩენია და ჯერაც შეუძლებელია, რომ ვინმე გამოჩნდეს. მისი ეს აზრი არ ნიშნავდა მარი ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძის, პლატონ იოსელიანის, თედო ჟორდანიას ღვაწლის უარყოფას. გიორგი წერეთელი კარგად იცნობდა ხსენებული ისტორიკოსების ნაშრომებს და სათანადოდ აფასებდა მათ. იგი მარი ბროსეს პირველ მეისტორიესა და საქართველოში ისტორიული მეცნიერების დამაარსებელს უწოდებდა. აღნიშნავდა მარი ბროსეს ღვაწლს ტექსტოლოგიაში და, რაც მთავარია იმას, რომ „იმან

²⁵ გაზეთი „დროება“, 1868, №30, გვ. 90.

²⁶ გაზეთი „კვალი“, 1894, №9.

პირველად გააცნო საფრანგეთსა და მთელ ევროპას მივიწვებული საქართველო“.²⁷ გიორგი წერეთელს მიაჩნდა, რომ სწორედ მარი ბროსეს დაუღალავმა მოღვაწეობამ ამ სფეროში წააქეხა ქართველობაც უფრო ბეჯითად შეესწავლათ თავიანთი წინაპრების ისტორია. იგი სათანადოდ აფასებდა დიმიტრი ბაქრაძის ღვაწლსაც და ამბობდა, რომ მისმა დაუღალავმა მუშაობამ ბევრი ჩვენი ისტორიისათვის მანამდე უცხო, მაგრამ საინტერესო და აუცილებელი ახალი დოკუმენტები აღმოაჩინა. მას რატომღა აცხადებდა გიორგი წერეთელი, დღემდე საქართველოს ისტორიას ნამდვილი მკვლევარი არ გამოსჩენიაო? მას თავისი წინამორბედი ისტორიკოსები უფრო მასალათა მოძიებლებად მიაჩნდა. მისი აზრით, ამ ისტორიკოსთა ნაშრომების ხარვეზი ის იყო, რომ ისინი საქართველოს ისტორიის ცალკეულ მონაკვეთებს სწავლობდნენ და ეპოქის ზოგადი სურათი კი შეუსწავლელი რჩებოდათ. გიორგი წერეთელს მიაჩნდა, რომ სანამ სრულად არ იქნებოდა მოძიებული საქართველოს ისტორიის გაფანტული წყაროები, მანამ სისტემატური კურსის შექმნა გაძნელებოდა. ვფიქრობთ, სამართლიანი იყო გიორგი წერეთლის საყვედური მისი თანამედროვე ისტორიკოსების მიმართ, რომ საქართველოს მატრიანებში განსაკუთრებით ყურადღება აქვთ მიქცეული მხოლოდ რამდენიმე ხანაზე, რომლის ბრწყინვალეობა ძალაუნებურად XIX საუკუნის ისტორიკოსთა ყურადღებას, იქცევს, ხოლო რაც შეეხება დანარჩენ ეპოქებს, ისინი გამოუკვლეველი რჩებოდა. მისი აზრით, XIX საუკუნის 80-იან წლებში საქართველოს ისტორიის შესასწავლად მაძიებელი, უცხო ენების მცოდნე, სიმართლისმოყვარე კაცი უფრო საჭირო იყო, ვიდრე ისტორიკოსი, ვინაიდან ეკლესია-მონასტრებში, ზოგჯერ გაპარტახებულ ადგილებშიც იმდენი ისტორიული დოკუმენტები იყო, რომელთა მიმოქცევაში შემოტანა, განჩხრეკა საქართველოს ისტორიის არაერთ ფურცელს ახლებურად წარმოაჩენდა. ამიტომ გიორგი წერეთელი ქართლსა და იმერეთში, სამცხე-ჯავახეთის სოფლებში, აჭარასა და აფხაზეთში მუხლჩაუხრელად ერთი ადგილიდან მეორეში გადადიოდა და ჰკრებდა ძველ ისტორიულ დოკუმენტებს. საქართველოს ისტორიის სრულყოფილად შესწავლა ხელგონების ისტორიის, ნუმიზმატიკის, არქეოლოგიური მონაცემების გარეშე შეუძლებელია. ასე ფიქრობდა გიორგი წერეთელი. „ნამდვილმა ისტორიკოსმა... უნდა იცოდეს ნუმიზმატიკა, მხატვრობის ისტორია, ხელოვნების ისტორია და მიწის ზემოთ და მიწის ქვეშ ნახულის ნივთების, მოხელების და სხვა ისტორიული ნაშთების ზედმიწევნით დაფასება“.²⁸ მან კარგად იცოდა ძველი ქართული დამწერლობა, ხელნაწერში წაიკითხა უძველესი ქართული საისტორიო წყარო „მოქცევაი ქართლისაი“. მისი გამოკვლევები ყურადღებას იქცევდა იმითაც, რომ ავტორი ნაშრომის ბოლოს მიუთითებდა გამოყენებულ ლიტერატურას. იგი იყენებდა პლუტარქეს და ტაციტუსის, მოვსეს ხორენაცის და ვარდან დიდის, ქსენოფონტეს, და მომზენის შრომებს. გ. წერეთელი ისტორიულ ეპოქებზე მსჯელობისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა არგუმენტების საფუძვლიანობას, რომელიც რა თქმა უნდა, უტყუარ საბუთიანობაზე იქნებოდა დაფუძნებული. თუ სკეპტიციზმი გაუჩნდებოდა თავისი კოლეგის ნაშრომის მიმართ, დაუფარავად აღნიშნავდა. 1893 წელს, როცა თედო ჟორდანიამ გამოაქვეყნა გამოკვლევა „მოკლე ცნობანი ქართველთა მონასტრებზე აღმოსავლეთში“, ²⁹ რომელშიც ავტორი ამტკიცებდა, რომ მირიან მეფემ იმოგზაურა იერუსალიმს,

²⁷ შ. გაშაყმაძე. გიორგი წერეთელი და ჟურნალი „კვალი“ – კრებული „ახალი ქართული ლიტერატურის საკითხები“. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1954, გვ. 110-145.

²⁸ გაზეთი „კვალი“, 1895, №16.

²⁹ გაზეთი „ივერია“, 1900, №8.

განამრავლა იქაურ მონასტრებში ქართველი ბერები, მირიანის შვილმა ბაქარმა უკანასკნელი წლები პალესტინაში გაატარა და გარკვეულწილად დაეხმარა იერუსალიმის ქართველთა მონასტერს. გიორგი წერეთელი არ დააკმაყოფილა თედო ჟორდანიას მიერ ამ ფაქტების დასაცავად მოხმობილმა არგუმენტაციამ და სპეციალურ რეცენზიაში, მოსთხოვა ავტორს, არსებობდა თუ არა დასახელებული ფაქტების შესახებ წერილობითი დოკუმენტები და თუ არსებობდა რომელი საუკუნისა იყო ისინი.³⁰

გიორგი წერეთელი როგორც საქართველოს ისტორიის მკვლევარი თავისი სამუშაო პროფილით ყველაზე თვალსაჩინოდ წარმოჩინდა 1880 წელს, როცა მან ტფილისის კლუბში წაიკითხა ლექცია ქართულ ენაზე „საქართველოს ძველ დროებაზე“. საინტერესო იყო ავტორის მიერ შედგენილი ლექციის გეგმა-პროსპექტი. როცა ავტორი მსჯელობას იწყებდა საქართველოს უძველეს ისტორიაზე, განიხილავდა ბიბლიის ძველი ისტორიკოსების ქსენოფონტეს, პლინიუსის, მარკელინის, პეროდოტეს, ბიბლიის ცნობებს საქართველოს ისტორიაზე, იგი სათანადო შეფასებას აძლევდა სულხან ბარათაშვილის, დიმიტრი ბაქრაძის, ბაიერის და მარი ბროსეს შრომებს, ითვალისწინებდა 1881 წლამდე თბილისში არქეოლოგთა ყრილობისათვის მომზადებულ მასალებს, ვრცლად ეხებოდა ქართულ წარმართულ პანთეონს, ხსნიდა იმ მიზეზებსაც, რამაც გამოიწვია ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

გიორგი წერეთელი როგორც ისტორიკოსი უკრიტიკოდ როდი აღიარებდა ძველი ისტორიკოსების ყველა ცნობას. მაგალითად, თავის ლექციაში კრიტიკულად აფასებდა პტოლომაიოსის გეოგრაფიულ რუკას და მიაჩნდა, რომ რუკაზე იყო დაშვებული რიგი შეცდომები გეოგრაფიული სახელებისა თუ ხალხების განსახლების საკითხებზე. გიორგი წერეთელი მსჯელობდა ქართველური მოსახლეობის მცირე აზიაში განსახლებაზე, ერთმანეთს უდარებდა ქართლის ცხოვრებისა და კაიკურციუსის ნაამბობს, ხშირად ჩაურთავდა ხალხურ გადმოცემებსაც, რომლებიც შემორჩენილი იყო ალექსანდრე მაკედონელზე, მითრიდატე VI-ზე. ასევე საფუძვლიანი იყო გიორგი წერეთლის მსჯელობა თარგამოსისა და მისი შთამომავლობის შესახებ, ავტორს სურდა დამაჯერებლად აეხსნა ქართლოსისა და ჰაოსის ნათესაობის ვერსია...³¹ იმ დროს, როცა თვით გიორგი წერეთლის აზრითაც, ქართული ისტორიული მეცნიერება ჯერ შემგროვებლობით პრინციპს ვერ გასცილებოდა და საისტორიო მასალების განუჩხრეკელობისა და მოუძიებლობის გამო რომელიმე ეპოქაზე განზოგადოებული მსჯელობა ძნელდებოდა, გიორგი წერეთლის მიერ ასე ვრცელი ეპოქის მოვლენებზე მსჯელობდა დიდი გაბედულება იყო. საზოგადოების აზრი კი ამას დიდად აფასებდა, თუმცა უმჯობესია გაზეთ „დროებას“ მოვუსმინოთ: „შაბათს, 22 მარტს, გიორგი წერეთელმა წაიკითხა თბილისის კლუბში ლექცია „საქართველოს ძველს დროზე“. ეს იყო პირველი ლექცია ქართველისაგან ქართულს ენაზე წაკითხული. ამიტომ ადვილად წარმოასადგენია ის ინტერესი, რომლითაც ჩვენი საზოგადოება მიეგება... დარბაზი სრულებით გაჭედილი იყო ხალხით, დიდის ამბით მიეგებნენ ლექტორს და თითოეულს იმის სიტყვას გულმოდგინედ უგდებდნენ ყურს“.³² გაზეთი იქვე იმასაც დასძენდა, რომ ლექცია ბევრად უფრო მოიგებდა, ლექტორი უფრო მცირე

³⁰ გაზეთი „კვალი“, 1893, №26.

³¹ იპოლიტე ვართაგავა. გიორგი წერეთელი.—გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1959, №82.

³² იპოლიტე ვართაგავა. XIX საუკუნის ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქტორები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1957, გვ. 123.

მონაკვეთით რომ შემოფარგლულიყო, მაგრამ საერთოდ ამგვარი ლექციები სასურველი იყო საზოგადოებისათვის. გიორგი წერეთლის ამგვარი მოღვაწეობიდან ჩანს, რომ ავტორი ყველა ღონეს ხმარობდა საქართველოს ისტორიის პოპულარიზაციისათვის, მაგრამ იგი არ იყო უბრალო რეფერატების და კომპილაციების ავტორი; როგორც დავინახეთ, მას ჰქონდა თავისი კვლევის მეთოდები და ხერხები, იგი ხშირად საინტერესო მოსაზრებებს აყენებდა, ცხოველ დისკუსიებსაც იწვევდა მეცნიერული წრეებში.

გიორგი წერეთელი გრძნობდა, რომ საქართველოს ისტორია არ შეიძლება მსოფლიო ისტორიული მოვლენებისგან მოწყვეტილად განხილულიყო. იგი საინტერესო შედარებებს აკეთებდა ისტორიის ცალკეულ პერიოდებთან, ღრმა განსწავლულობას აძლავებდა. პასუხისმგებლობითა და სიყვარულით წერდა ჩეხეთის, ბალკანეთის ხალხების, შორეული აღმოსავლეთის ისტორიაზე და ამით დიდ საქმეს აკეთებდა: „მას ახალი დროის მსოფლიო ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობის აქტუალური პრობლემების აღძვრით უბრალო ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება კი არ სურდა, არამედ ამას მისთვის დიდი პრაქტიკულ შემეცნებითი დანიშნულება ჰქონდა: მსოფლიოს ისტორიის ანალებში მოენახა მშობლიური ქვეყნის ისტორიის პარალელები და დამთხვევები და ამით სამშობლოს განვითარების უკეთესი გზები გამოენახა“.³³

გიორგი წერეთელი დიდი პატივისცემით ეკიდებოდა არაქართულ წყაროებს, მაგრამ ამ წყაროს ან ისტორიკოსის ნაშრომებში თუ ტენდენციურად იქნებოდა ნაჩვენები ჩვენი სამშობლოს ისტორია, აქ იგი შეუპოვარ პოლემისტად იქცეოდა. მან გააკრიტიკა ქ. პატკანოვის მოსაზრება იმის შესახებ, რომ თითქოს უძველესი ქართული მითოლოგიური მემკვიდრეობა მოკლებულია თვითმყოფად ეროვნულ ნიადაგს და XIX საუკუნის სპარსული მითოლოგიისა და ლიტერატურის გადმოქართულების გზითაა შეთხზული და დაასაბუთა ქართული მითოლოგიის თავისთავადობა. სავსებით მართალი იყო ნიკო ნიკოლაძე, როცა წერდა: „მის სტატიებში ჩანდა დიდი ნიჭის მქონე მხატვარი, რომელიც არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს ამჩნევდა, არა მარტო მის ახალსა და ტიპიურ მხარეს შენიშნავდა, არამედ უფიქრდებოდა მის ხასიათს და ერკვეოდა ამ მოვლენათა მიზეზებში“.³⁴

გიორგი წერეთლის ისტორიული აზროვნება ეპოქის სულისკვეთებით არის გამსჭვალული, იგრძნობოდა გარკვეული შეზღუდულობაც, ფაქტებისა და მოვლენების ანალიზის არამართებულობის შემთხვევებიც, მაგრამ დღეს აღვილია თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მონაცემებიდან მასზე, მსჯელობა, და თუ ქართული ისტორიოგრაფია ამ სიმაღლეზეა, ამაში არამცირედი წვლილი XIX საუკუნის II ნახევრის სხვა ქართველ მოაზროვნეებთან ერთად გიორგი წერეთელსაც მიუძღვის. სწორად შენიშნავდა ნიკო ბერძენიშვილი: „მეცნიერული ისტორიის შესაქმნელად აუცილებელი პირობაა ისტორიის საშენი მასალის მეცნიერული მოპოვება. მასალა მრავალნაირი, წერილობითი, მატერიალური, ზეპირსიტყვიერი“.³⁵ XIX საუკუნის 80-90-იანი წლების ქართულმა ისტორიოგრაფიამ მისი საუკეთესო

³³ გაზეთი „დროება“, 1877, №77, გვ. 10.

³⁴ ვ. სიღამონიძე. გიორგი წერეთლის ერთი უცნობი სიტყვა.— ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, თბილისი, 1962, №4, გვ. 192.

³⁵ ლეო გორგილაძე. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1961, გვ. 313.

წარმომადგენლების დაუღალავი მოღვაწეობის შედეგად მოამზადა ნიადაგი მეცნიერული ისტორიოგრაფიის შესაქმნლად.

გიორგი წერეთლის ღვაწლიც დიდია მეცნიერული ისტორიოგრაფიის შექმნის გზაზე. იგი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების იდეებზე იყო აღზრდილი და საქართველოს ისტორიის ცალკეული პრობლემების განხილვისას ცდილობდა რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციების დაცვას. მაგრამ არცთუ იშვიათად ივიწყებდა ისტორიზმის პრინციპებს. მაგალითად გიორგი წერეთელი საყვედურს გამოთქვამდა „ქართლის ცხოვრების“ მიმართ და უკვირდა მასში რატომ ხალხის ცხოვრება არ სჩანსო, ის კი ავიწყდებოდა, რომ „ქართლის ცხოვრება“ ფეოდალური საქართველოს აზროვნებას სავსებით აკმაყოფილებდა. მაგრამ გიორგი წერეთლის ისტორიულ წერილებში რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების გავლენას შეეძლო დაენახებინა კაცობრიობის ისტორიის კანონზომიერი განვითარების მაგალითები, როცა იგი აღნიშნავდა, რომ საუკუნეთა მანძილზე ძველდება ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილება, რომელსაც ცვლის ახალი უფრო პროგრესული წყობილება, მაგრამ დრო ჟამი მისი შეცვლის აუცილებლობასაც აყენებს დღის წესრიგში. ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ „გ. წერეთელი არა მარტო საქართველოს ისტორიის პოპულარიზატორი იყო, არამედ სათანადო ისტორიული მასალების მოძიებელი და მკვლევარი. მისმა წერილებმა საქართველოს ისტორიაზე, რომლებიც ქვეყნდებოდა 1893-1900 წლებში გაზ. „კვალში“, „დროებასა“ და „ივერიაში“ ხელი შეუწყო ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების გაღრმავებას და გარკვეული წვლილი შეიტანა XIX საუკუნის 90-იან წლებში მეცნიერული ისტორიოგრაფიის საფუძვლების მომზადებაში“.³⁶

³⁶ მ. თოდუა. გიორგი წერეთლის ეკონომიკური შეხედულებანი.– ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი“, 1959, №1, გვ. 14-15.

დოკუმენტები და მასალები ყირიმის უახლესი ისტორიისათვის (1918-2014 წწ.)

1783 წლის 8 აპრილს რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე II-მ ხელი მოაწერა მანიფესტს ყირიმის რუსეთის იმპერიასთან შეერთების შესახებ. დასრულდა ყირიმის სახანოს ისტორია (1441-1783 წწ.). რუსეთის იმპერიის ხელისუფლება თითქმის საუკუნენახევარი (1783-1917 წწ.) ცდილობდა ყირიმი რუსეთის განუყოფელ ნაწილად ექცია. საიმპერატორო კარი ყირიმის ძირძველ მოსახლეობას – ყირიმელ თათრებს ოსმალეთის ბუნებრივ მოკავშირედ და ამდენად რუსეთისადმი მტრულად განწყობილ ძალად მიიხსენებდა. ამიტომ იყო, რომ თათრები მთელი XIX საუკუნის მანძილზე რუსეთის ხელისუფლების მხრიდან რეპრესიებს განიცდიდნენ, განსაკუთრებით დიდი რეპრესიები დაატყდათ თავს მათ ყირიმის ომის (1853-1856 წწ.) დროს და ომის შემდგომ პერიოდში. ყირიმელი თათრების ნაწილმა თავშესაფარი ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე იპოვა.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ რუსეთის იმპერიას ბოლო მოუღო. შეიქმნა ხელსაყრელი პირობები ყირიმში სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის. რუსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრემ საბჭოთა რუსეთმა არ დაუშვა ყირიმის დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა. ყირიმის ნახევარკუნძული ოკუპირებული იქნა საბჭოთა რუსეთის წითელი არმიის მიერ – ყირიმის საბჭოთა რუსეთის შემადგენელ ნაწილად იქცა. მომდევნო ათწლეულებში ყირიმის ნახევარკუნძულის ბედს მოსკოვი განაგებდა. გადაწყვეტილებები, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ყირიმისათვის, თათრებისა და ნახევარკუნძულზე მცხოვრები სხვა ხალხების სურვილის გათვალისწინების გარეშე მიიღებოდა. რუსეთის ფედერაციის ბრძოლა ყირიმის ნახევარკუნძულის რუსეთის განუყოფელ ნაწილად გადაქცევისათვის ათწლეულების მანძილზე გრძელდებოდა. ამ ბრძოლის ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი ბოლო ხანებამდე უცნობი იყო. 1944 წელს ყირიმის ნახევარკუნძულიდან თათრები შუა აზიისა და რუსეთის სხვადასხვა რეგიონში გადაასახლეს. 1957 წელს საბჭოთა კავშირის ახალმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ დეპორტირებული ხალხები სამშობლოში დააბრუნა. მართალია დეპორტაცია ხელისუფლების მიერ დაგეგმილი იქნა, მაგრამ სხვა ხალხებისაგან განსხვავებით ყირიმელი თათრები სამშობლოში არ დააბრუნეს. დაბრუნების ნებართვა მათ მხოლოდ 1989 წელს მიიღეს. ამ დროისათვის არანაირი პირობები თათრების ყირიმის ნახევარკუნძულზე დაბრუნებისათვის არ არსებობდა. ეს გაპირობებული იყო მიწის, საცხოვრებელი ფართის, სამუშაო ადგილების შეზღუდულობით. ამიტომ იყო, რომ XXI საუკუნის დამდგენისათვის ყირიმის ნახევარკუნძულზე თათრები მოსახლეობის მხოლოდ 10-12% შეადგენდნენ. სამაგიეროდ ყირიმის ნახევარკუნძულზე განუხრედად იზრდებოდა რუსების რაოდენობა. ყოველივე ეს წინასწარ განზრახული და კარგად დაგეგმილი პროცესი იყო.

მკითხველს ვთავაზობთ დოკუმენტებსა და მასალებს ყირიმის უახლესი ისტორიისათვის. დოკუმენტები თავისთავად ცხადყოფენ რუსეთის პოლიტიკას ყირიმში. ყირიმის ძალდატანებითი გაერთიანება საბჭოთა რუსეთში (1918 წ.), ყირიმელი თათრების დეპორტაცია (1944 წ.), საბჭოთა რუსეთში ყირიმის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გარდაქმნა საბჭოთა რუსეთის ყირიმის ოლქად (1945 წ.), საბჭოთა რუსეთის ყირიმის ოლქის გადაცემა უკრაინისათვის (1954 წ.), ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ – ყირიმის რესპუბლიკად გამოცხადება (2014 წ.) და მისი „ნებაყოფლობით“ შესვლა რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში (2014 წ.) ყირიმისათვის რუსეთის ბრძოლის ცალკეული ეტაპებია.

**დოკუმენტი №1. რუსეთის იმპერატორის ეკატერინე II-ის
1783 წლის 8 აპრილის მანიფესტი ყირიმის სახანოს
გაუქმებისა და რუსეთთან შეერთების შესახებ**

**В Ы С О Ч А Й Ш И Й М А Н И Ф Е С Т
ВЕЛИКОЙ ИМПЕРАТРИЦЫ ЕКАТЕРИНЫ II
О ПРИНЯТИИ КРЫМСКАГО ПОЛУОСТРОВА,
ОСТРОВА ТАМАНА И ВСЕЯ КУБАНСКОЙ СТОРОНЫ
ПОД ДЕРЖАВУ РОССИЙСКУЮ, 1783 год, 8 апреля**

**Божією проспешествующею Милостію
Мы, ЕКАТЕРИНА ВТОРАЯ
Императрица и Самодержица Всероссийская,
МОСКОВСКАЯ, КИЕВСКАЯ, ВЛАДИМИРСКАЯ, НОВГОРОДСКАЯ,
ЦАРИЦА КАЗАНСКАЯ, ЦАРИЦА АСТРАХАНСКАЯ, ЦАРИЦА СИБИРСКАЯ,
ЦАРИЦА ХЕРСОНИСА ТАВРИЧЕСКОГО,
ГОСУДАРЫНЯ ПСКОВСКАЯ И ВЕЛИКАЯ КНЯГИНЯ СМОЛЕНСКАЯ,
КНЯГИНЯ ЭСТЛЯНДСКАЯ, ЛИФЛЯНДСКАЯ, КОРЕЛЬСКАЯ, ТВЕРСКАЯ, ЮГОРСКАЯ, ПЕРМСКАЯ,
ВЯТСКАЯ, БОЛГАРСКАЯ И ИННЫХ;
ГОСУДАРЫНЯ И ВЕЛИКАЯ КНЯГИНЯ НОВА-ГОРОДА, НИЗОВСКІЯ ЗЕМЛИ,
ЧЕРНИГОВСКАЯ, РЯЗАНСКАЯ, ПОЛОЦКАЯ, РОСТОВСКАЯ, ЯРОСЛАВСКАЯ, БЕЛООЗЕРСКАЯ,
УДОРСКАЯ, ОБДОРСКАЯ, КОНДИЙСКАЯ, ВИТЕПСКАЯ,
МСТИСЛАВСКАЯ И ВСЕЯ СЕВЕРНЫЯ СТРАНЫ ПОВЕЛИТЕЛЬНИЦА,
И ИВЕРСКІЯ ЗЕМЛИ, КАРТАЛИНСКИХ И ГРУЗИНСКИХ ЦАРЕЙ
И КАБАРДИНСКІЯ ЗЕМЛИ, ЧЕРКАССКИХ И ГОРСКИХ КНЯЗЕЙ
И ИНЫХ НАСЛЕДНАЯ ГОСУДАРЫНЯ И ОБЛАДАТЕЛЬНИЦА:**

В прошедшую с Портой Оттоманской войну, когда силы и победы оружия НАШЕГО давали НАМ полное право оставить в пользу НАШУ Крым, в руках НАШИХ бывший, МЫ сим и другими пространными завоеваниями жертвовали тогда возобновлению доброго согласия и дружбы с Портой Оттоманской, преобразив на тот конец народы татарские в область вольную и независимую, чтоб удалить навсегда случаи и способы к распрям и остуде, происходившим часто между Россией и Портой в прежнем татар состоянии.

Не достигли МЫ однако ж в пределах той части Империи НАШЕЙ нашей тишины и безопасности, кои долженствовали быть плодами сего постановления. Татары, преклоняясь на чужие внушения, тотчас стали действовать вопреки собственному благу, от НАС дарованному.

Избранный ими в таковой перемене бытия их самовластный Хан был вытеснен из места и отчизны пришельцев, который готовился возвратить их под иго прежнего господства. Часть из них слепо к нему прилепилась, другая не была в силах противуборствовать.

В таковых обстоятельствах принуждены МЫ были, для сохранения целости здания НАМИ воздвигнутого, одного из лучших от войны приобретения, принять благонамеренных татар в НАШЕ покровительство, доставить им свободу, избрать себе на место Сагиб-Гирея другого законного Хана, и установить его правление; для сего нужно было привести военные силы НАШИ в движение, отрядить из них в самое суровое время энный корпус в Крым, содержать его там долго, и наконец действовать противу мятежников силою оружия; от чего едва не возгорелась с Портой Оттоманской новая война, как то у всех в свежей памяти.

Благодарение Всевышнему! Миновала тогда сия гроза признанием со стороны Порты законного и самовластного Хана в лице Шагин-Гирея. Произведение сего перелома обошлось Империи НАШЕЙ недешево; но МЫ по крайней мере чаяли, что оною наградится будущее от соседства безопасностью. Время да и короткое воспрекословило однако ж на деле сему предположению.

Поднявшийся в прошлом году новый мятеж, коего истинные начала от НАС не скрыты, принудил НАС опять к полному вооружению и к новому отряду войск НАШИХ в Крым и на Кубанскую сторону, кои там донныне остаются: ибо без них не могли бы существовать мир, тишина и устройство посреди татар, когда деятельное многих лет испытание всячески уже доказывает, что как прежнее их подчинение Порте было поводом к остуде и распрям между обеими державами, так и преобразование их в вольную область, при неспособности их ко вкушению плодов таковой свободы, служит ко всегдашним для НАС беспокойствам, убыткам и утруждению войск НАШИХ.

Свету известно, что имел со стороны НАШЕЙ толь справедливые причины не один раз вводить войска НАШИ в Татарскую область, доколе интересы государства НАШЕГО могли согласовать с надеждою лучшее, не присвоили МЫ там себе начальства, ниже отметили, или наказали татар, действовавших неприятельски против воинства НАШЕГО, поборствовавшего по благонамеренным в утешение вредных волнований.

Но ныне, когда с одной стороны приемлем в уважение употребленные до сего времени на татар и для татар знатные издержки, простиравшиися по верному исчислению за двенадцать миллионов рублей, не включая тут потерю людей, которая выше всякой денежной оценки;

с другой же, когда известно НАМ учинилося, что Парта Оттоманская начинает исправлять верховную власть на землях татарских, и именно: на острове Тамане, где, чиновник ее, с войском прибывший, присланному к нему от Шагин-Гирея Хана с вопрошенном о причине его прибытия, публично голову отрубить велел и жителей тамошних объявил турецкими подданными; то поступок сей уничтожает прежние НАШИ взаимные обязательства о вольности и независимости татарских народов;

удостоверяет НАС вяще, что предложение НАШЕ при заключении мира, сделав татар независимыми, не довлеет к тому, чтоб чрез сие исторгнуть все поводы к распрям, за татар произойти могущие, и поставляет НАС во все те права, кои победами НАШИМИ в последнюю войну приобретены были и существовали в полной мере до заключения мира;

и для того, по долгу предлагающего НАМ попечения о благе и величии отечества, стараясь пользу и безопасность его утвердить, как равно полагая средством навсегда отдаляющим неприятные причины, возмущающие вечный мир между Империями Всероссийской и Оттоманской заключенный, который МЫ навсегда сократить искренно желаем, не меньше же и в замену и удовлетворение убытков НАШИХ решился МЫ взять под державу НАШУ полуостров Крымский, остров Тамань и всю Кубанскую сторону.

Возвращая жителям тех мест силою сего НАШЕГО Императорского Манифеста таковую бытия их перемену, обещаем свято и непоколебимо за СЕБЯ и преемников престола НАШЕГО, содержать их наравне с природными НАШИМИ подданными, охранять и защищать их лица, имущество, храмы и природную веру, коей свободно отправление со всеми законными обрядами пребудет неприкосновенно, и дозволить напоследок каждому из них состоянию все те прелести и преимущества, каковыми таковое в России пользуется;

напротив чего от благодарности новых НАШИХ подданных требуем и ожидаем МЫ, что они в счастливом своем презрении из мятежа и неустройства в мир, тишину и порядок законный потщатся верною, усердием и благонаравием уподобиться древним НАШИМ подданным и заслуживать наравне с ними монаршую НАШУ милость и щедроту.

ЕКАТЕРИНА ВТОРАЯ

Дан в престольномъ Нашем граде Святого Петра, апреля 8 дня отъ Рождества Христова 1783, а государствованія Нашего въ двадцать первое лето.

¶*уѣбѣ*: Полное Собрание законов Российской Империи. Первое собрание (1649 - 1825). Том XXI. №15708.

დოკუმენტი №2. თავრიდის საბჭოთა სოციალისტური

რესპუბლიკის დეპუტატთა საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის 1918 წლის 22 მარტის დეკრეტი.

ДЕКРЕТ

**Центрального исполнительного комитета совета
рабочих солдатских и крестьянских депутатов
советской республики Тавриды**

Центральный исполнительный комитет согласно постановлению первого учредительного совета рабочих, солдатских, крестьянских, поселенческих и мусульманских депутатов всех земельных военно-революционных комитетов Тавриды, состоящего 10 марта 1918 года, объявляют территорию Крымского полуострова в составе Еропольского, Феодосийского, Ялтинского, Евпаторийского и Перекопского уездов Советской Социалистической Республикой Тавриды. Во главе советской республики Тавриды стоит Таврический Совет народных комиссаров, ответственный перед Центральным исполнительным комитетом советов рабочих, солдатских и крестьянских депутатов республики Тавриды.

Совет народных комиссаров в составе:

Председателя народных комиссаров *Антон Слуцкий*

Народный комиссар по иностранным делам *И.Фирдевс*

Народный комиссар финансов *А.Коляденко*

Врем. народный комиссар по военным делам *О.Куль*

Народный комиссар внутренних дел *С.Новосельский*

Народный комиссар труда *Поиванович*

Народный комиссар земледелия *С.Акимочкин*

Народный комиссар путей сообщения *П.Коробцов*

Председатель исполнительного комитета советов *Жан-Миллер*

22 марта 1918 года

წყარო: <http://sevkrimrus.ru/docs/8-republic-of-crimea/155-dekret-22-03-1918>

დოკუმენტი №3. სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის 1921 წლის 18 ოქტომბრის დადგენილებიდან

**Всероссийский Центральный Исполнительный Комитет
и Совет Народных Комиссаров постановляют:**

1. Образовать Автономную Крымскую Социалистическую Советскую Республику, как часть РСФСР, в границах Крымского полуострова из существующих округов: Джанкойского, Евпаторийского, Керченского, Севастопольского, Симферопольского, Феодосийского и Ялтинского.

Примечание: Для разрешения вопросов о северных границах Крыма образовать комиссию в составе представителей НКВД РСФСР, УССР, Кр.ССР и Наркомнаца, решение которой утверждает ВЦИК.

Председатель Всероссийского Центрального Исполнительного Комитета

М.Калинин

Председатель Совета Народных Комиссаров *В.Ульянов (Ленин)*

Секретарь

Енукидзе.

Москва, Кремль. 18 октября 1921 г.

წყარო: Собрание узаконений и распоряжений Рабочего и Крестьянского правительства Крымской Социалистической Советской Республики, 1922, №1

დოკუმენტი №4. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 30 ივნისის ბრძანებულება

**О преобразовании Крымской АССР
в Крымскую область в составе РСФСР
Указ от 30 июня 1945 г.**

Президиум Верховного Совета Союза Советских Социалистических республик постановляет:

Утвердить представление Президиума Верховного Совета Российской Советской Федеративной Социалистической Республики о преобразовании Крымской АССР в Крымскую область в составе РСФСР.

**Председатель Президиума Верховного Совета СССР М. КАЛИНИН
Секретарь Президиума Верховного Совета СССР А. ГОРКИН**

Москва. Кремль. 30 июня 1945г.

წყარო: Сборник законов СССР и Указов Президиума Верховного Совета СССР, 1938–1958 гг. Москва, 1959.

დოკუმენტი №5. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1946 წლის 25 ივნისის კანონი

**ЗАКОН
Об упразднении Чечено-Ингушской АССР и
о преобразовании Крымской АССР в Крымскую область**

Во время Великой Отечественной войны, когда народы СССР героически отстаивали честь и независимость Родины в борьбе против немецко-фашистских захватчиков, многие чеченцы и крымские татары по наущению немецких агентов вступали в организованные немцами добровольческие отряды и вместе с немецкими войсками вели вооруженную борьбу против частей Красной Армии, а также по указке немцев создавали диверсионные банды для борьбы с Советской властью в тылу, причем основная

масса населения Чечено-Ингушской и Крымской АССР не оказывали противодействия этим предателям Родины.

В связи с этим чеченцы и крымские татары были переселены в другие районы СССР, где они были наделены землей с оказанием необходимой государственной помощи по их хозяйственному устройству. По представлению Президиума Верховного Совета РСФСР Указами Президиума Верховного Совета СССР Чечено-Ингушская АССР была упразднена, а Крымская АССР преобразована в Крымскую область.

Верховный Совет Российской Советской Федеративной Социалистической Республики постановляет:

1. Утвердить упразднение Чечено-Ингушской АССР и преобразование Крымской АССР в Крымскую область.

2. Внести соответствующие изменения и дополнения в статью 14 Конституции РСФСР.

Председатель Президиума Верховного Совета РСФСР И.Власов

Секретарь Президиума Верховного Совета РСФСР П.Бахмутов

Москва, Кремль. 25 июня 1946 г.

წყარო: Заседания Верховного Совета РСФСР (седьмая сессия). 20–25 июня 1946 г. Стенографический отчет. Москва, 1946. (ინტერნეტგვერსი об.: <http://sevkrimrus.narod.ru/ZAKON/1945-46.htm>)

დოკუმენტი №6 ამონაწერი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის

1954 წლის 25 იანვრის სხდომის №49 ოქმიდან

**Из протокола №49
заседания Президиума ЦК КПСС о передаче Крымской области из состава
РСФСР в состав УССР**

25 января 1954 г.

Председательствовал т. **Маленков Г.М.**

Присутствовали: Члены Президиума ЦК тт. **Хрущев Н.С., Ворошилов К.Е., Булганин Н.А., Каганович Л.М., Микоян А.Л., Сабуров М.З, Первухин М.Г.**

Кандидаты в члены Президиума ЦК тт. **Шверник Н.М., Пономаренко П.К.**

Секретари ЦК КПСС тт. **Сулов М.А., Пospelов П.Н., Шаталин Н.Н.**

«О передаче Крымской области из состава РСФСР в состав УССР»

1. Утвердить с поправками, принятыми на заседании, прилагаемый проект Указа Президиума Верховного Совета СССР о передаче Крымской области из состава РСФСР в состав УССР.

2. Признать целесообразным провести специальное заседание Президиума Верховного Совета СССР, на котором рассмотреть совместное представление Президиумов Верховных Советов РСФСР и УССР о передаче Крымской области из состава РСФСР в состав УССР.

Секретарь ЦК КПСС Н.Хрущев

წყარო: <http://sevkrimrus.narod.ru/textstes/vozvrat.htm>

დოკუმენტი №7. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 19 თებერვლის დადგენილება

**ПОСТАНОВЛЕНИЕ
Президиума Верховного Совета Украинской ССР
О представлении Президиума Верховного Совета
РСФСР по вопросу передачи
Крымской области в состав Украинской ССР**

Обсудив представление Президиума Верховного Совета РСФСР по вопросу передачи Крымской области из состава РСФСР в состав Украинской ССР, внесённое на рассмотрение Президиума Верховного Совета СССР, Президиум Верховного Совета Украинской ССР выражает сердечную благодарность Президиуму Верховного Совета Российской Советской Федеративной Социалистической Республики за этот великодушный благородный акт братского русского народа.

Украинский народ с чувством глубокого удовлетворения и горячей признательности встретит решение о передаче Крыма в состав Украинской ССР, как новое яркое проявление безграничного доверия и искренней любви русского народа к украинскому народу, новое свидетельство нерушимой братской дружбы между русским и украинским народами.

Правительство Украины позаботится о дальнейшем развитии и процветании народного хозяйства Крыма.

**Президиум Верховного Совета Украинской ССР в соответствии с представлением Президиума
Верховного Совета Российской Советской Федеративной Социалистической Республики
п о с т а н о в л я е т:**

Просить Президиум Верховного Совета Союза ССР передать Крымскую область из состава Российской Советской Федеративной Социалистической Республики в состав Украинской Советской Социалистической Республики».

Принято 13 февраля этого года.

წყარო: <http://kro-krim.narod.ru/ZAKON/sten1954.htm>

დოკუმენტი №8. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 19 თებერვლის ბრძანებულება

**УКАЗ
Президиума Верховного Совета СССР
О передаче Крымской области из состава РСФСР в состав УССР**

Учитывая общность экономики, территориальную близость и тесные хозяйственные и культурные связи между Крымской областью и Украинской ССР,

Президиум Верховного Совета Союза Советских Социалистических Республик

ПОСТАНОВЛЯЕТ:

Утвердить совместное представление Президиума Верховного Совета РСФСР и Президиума Верховного Совета УССР о передаче Крымской области из состава Российской Советской Федеративной Социалистической Республики в состав Украинской Советской Социалистической Республики.

**Председатель Президиума Верховного Совета СССР
К.ВОРОШИЛОВ
Секретарь Президиума Верховного Совета СССР
Н.ПЕГОВ**

Москва, Кремль, 19 февраля 1954 года

წყარო: Сборник Законов СССР и Указов Президиума Верховного Совета (1938 — 1956). Москва, 1956

დოკუმენტი №9. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის
უმადლესი საბჭოს 1954 წლის 26 აპრილის კანონი

**Закон
о передаче Крымской области из состава РСФСР
в состав Украинской ССР**

Верховный Совет Союза Советских Социалистических Республик

постановляет:

1. Утвердить Указ Президиума Верховного Совета СССР от 19 февраля 1954 года о передаче Крымской области из состава Российской Советской Федеративной Социалистической Республики в состав Украинской Советской Социалистической Республики.

2. Внести соответствующие изменения в статьи 22 и 23 Конституции СССР.

Председатель Президиума Верховного Совета СССР К. Ворошилов.

Секретарь Президиума Верховного Совета СССР Н. Пегов.

Москва, Кремль, 26 апреля 1954 г.

წყარო: Ведомости Верховного Совета СССР, 1954, №10

დოკუმენტი №10. 1990 წლის 12 ნოემბრის დეკლარაცია ყირიმის
სახელმწიფოებრივი სტატუსის შესახებ

**ДЕКЛАРАЦИЯ
о государственном и правовом
статусе Крыма**

Сложившаяся общественно-политическая и социально-экономическая ситуация в области настоятельно требует изменения государственного статуса Крыма.

Крымский областной Совет народных депутатов считает Указ Президиума Верховного Совета СССР от 30 июня 1945 года и Закон РСФСР от 25 июня 1946 года, упразднившие Крымскую АССР, неконституционными и заявляет о праве народов Крыма на воссоздание государственности в форме Крымской Автономной Советской Социалистической Республики как субъекта Союза ССР и участника Союзного договора.

Реализация этого права должна быть осуществлена исключительно на основе волеизъявления народа путем референдума.

Крымский областной Совет народных депутатов полагает, что Верховные Советы Союза ССР и Украинской ССР с уважением и пониманием отнесутся к настоящей Декларации.

Принята четвертой внеочередной сессией Крымского областного Совета народных депутатов.
г. Симферополь, 12 ноября 1990 года.

წყარო: <http://www.sevkrimrus.ru/docs/8-republic-of-crimea/212-deklaratsiya-o-statuse-kryma-12-11-1990>

**დოკუმენტი №11. ყირიმის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 1991 წლის 4 სექტემბრის
“დეკლარაცია ყირიმის სახელმწიფო სუვერენიტეტის შესახებ”**

ДЕКЛАРАЦИЯ

О Государственном суверенитете Крыма

Верховный Совет Крымской Автономной Советской Социалистической Республики

- выражая волю народа республики;
- сознавая историческую ответственность за будущее Крыма;
- уважая суверенные права всех народов;
- считая Крым участником Союзного договора;
- уважая государственный суверенитет Украины;
- исходя из приоритета общечеловеческих ценностей, Всеобщей Декларации прав человека, других общепризнанных международно-правовых актов;
- стремясь создать правовое демократическое государство в составе Украины

ПРОВОЗГЛАШАЕТ:

Государственный суверенитет Крыма — как верховенство, самостоятельность, единство и неделимость государственной власти республики на её территории.

1. Граждане республики всех национальностей составляют народ Крыма, который является носителем суверенитета и источником государственной власти. Полновластие народа реализуется на основе Конституции как непосредственно, так и через выборные представительные органы.

Государственная власть в республике осуществляется по принципу разделения её на законодательную, исполнительную и судебную.

От имени народа Крыма может выступать исключительно Верховный Совет Республики.

Наиболее важные государственные вопросы, связанные с развитием республики, её взаимоотношениями с другими республиками, выносятся на всенародное обсуждение или референдум.

2. Территория республики не может быть изменена без её согласия.

Верховный Совет республики решает все вопросы административно-территориального устройства. Существующий особый статус г.Севастополя сохраняется, закрепляется соответствующими законодательными актами и не может быть изменен без согласия его граждан.

3. Республика гарантирует равные права и свободы всем проживающим на её территории гражданам, независимо от их национальности, социального происхождения, политических убеждений, отношения к религии.

Республика подтверждает право и будет всячески содействовать возвращению депортированных народов, возрождению их национальной самобытности и культуры.

4. Народ Крыма имеет исключительное право собственности на землю, её недра, воздушное пространство, водные и другие природные ресурсы, находящиеся в пределах территории и континентального шельфа Крыма.

Экономический и научно-технический потенциал, созданный на территории республики, является её собственностью, материальной основой суверенитета и используется в интересах ее граждан.

Предприятия, учреждения, организации и объекты других государств, международных организаций могут размещаться на территории Крыма и использовать его природные ресурсы только в соответствии с Конституцией и законами Республики.

Республика гарантирует равноправие и защиту всех форм собственности.

5. Республика самостоятельно определяет свой экономический статус, проводит финансовую, кредитную и инвестиционную политику, формирует свой государственный бюджет, устанавливает порядок образования и использования валютного и других фондов.

6. Республика самостоятельно устанавливает порядок охраны природы на территории Крыма и использования природных ресурсов, осуществляет мониторинг за экологической обстановкой.

Республика имеет право запретить строительство, прекратить функционирование любых предприятий учреждений и организаций, а также других объектов, создающих угрозу экологической безопасности.

7. Республика самостоятельна в решении вопросов науки, образования, культурного и духовного развития, гарантирует всем национальностям, проживающим на ее территории, право их свободного национально-культурного развития.

* * *

Настоящая Декларация действует с момента принятия и является основой для разработки Конституции Республики, участия в подготовке и заключении Союзного договора, договоров с другими республиками и государствами.

ВЕРХОВНЫЙ СОВЕТ КРЫМСКОЙ АССР, 4 сентября 1991 года.

წყარო: <http://sevkrimrus.narod.ru/ZAKON/dekl.htm>

*დოკუმენტი №12. 1992 წლის 5 მაისის ყირიმის რესპუბლიკის
სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის
გამოცხადების აქტი*

АКТ

**о провозглашении государственной самостоятельности
Республики Крым**

Исходя из необходимости ускорения процесса становления государственности Республики Крым, в связи со сложившейся вокруг Крыма политической ситуацией,

выражая огромную тревогу и обеспокоенность возрастанием напряженности между Украиной и Россией, стремясь стать консолидирующим фактором в их взаимоотношениях,

основываясь на волеизъявлении крымчан на референдумах 1991 года, осуществляя Декларацию о государственном суверенитете Крыма, подтверждая приоритет общечеловеческих ценностей, приверженность общепризнанным принципам и нормам международного права, разделяя с другими государствами полноту ответственности за возвращение депортированных из Крыма народов,

Верховный Совет Крыма провозглашает

Создание

СУВЕРЕННОГО ГОСУДАРСТВА

РЕСПУБЛИКА КРЫМ.

Республика Крым будет строить свои отношения с другими государствами в соответствии с международным правом, на началах равноправия и взаимовыгодного сотрудничества.

Территория Республики Крым в границах Крымского полуострова является неделимой и неприкосновенной.

Настоящий Акт вступает в силу с момента его утверждения на общекрымском референдуме.

წყარო: <http://sevkrimrus.narod.ru/ZAKON/1992ref.htm>

АКТ

о провозглашении государственной самостоятельности Республики Крым

Исходя из необходимости ускорения процесса становления государственности Республики Крым, в связи со сложившейся вокруг Крыма политической ситуацией, выражая огромную тревогу и обеспокоенность возрастанием напряженности между Украиной и Россией, стремясь стать консолидирующим фактором в их взаимоотношениях, основываясь на волеизъявлении крымчан на референдумах 1991 года, осуществляя Декларацию о государственном суверенитете Крыма, подтверждая приоритет общечеловеческих ценностей, приверженность общепризнанным принципам и нормам международного права, разделяя с другими государствами полноту ответственности за возвращение депортированных из Крыма народов,

Верховный Совет Республики Крым провозглашает

создание СУВЕРЕННОГО ГОСУДАРСТВА — РЕСПУБЛИКА КРЫМ.

Республика Крым будет строить свои отношения с другими государствами в соответствии с международным правом, на началах равноправия и взаимовыгодного сотрудничества.

Территория Республики Крым в границах Крымского полуострова является неделимой и неприкосновенной.

Настоящий Акт вступает в силу с момента его утверждения на общекрымском референдуме.

5 мая 1992 года.

წყარო: Ведомости Верховного Совета Крыма 1991-1992, № 6.

**დოკუმენტი №13. რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს
1992 წლის 21 მაისის დადგენილება**

**ПОСТАНОВЛЕНИЕ
Верховного Совета Российской Федерации
О правовой оценке решений высших органов государственной власти РСФСР
по изменению статуса Крыма, принятых в 1954 году**

**Верховный Совет Российской Федерации
постановляет:**

1. Постановление Президиума Верховного Совета РСФСР от 5 февраля 1954 года "О передаче Крымской области из состава РСФСР в состав Украинской ССР" как принятое с нарушением Конституции (Основного Закона) РСФСР и законодательной процедуры **признать не имевшим юридической силы с момента принятия.**

2. Ввиду конституирования последующим законодательством РСФСР данного факта и заключения между Украиной и Россией двустороннего договора от 19 ноября 1990 года, в котором стороны отказываются от территориальных притязаний, и закрепления данного принципа в договорах и соглашениях между государствами СНГ, считать необходимым урегулирование вопроса о Крыме путем межгосударственных переговоров России и Украины с участием Крыма и на основе волеизъявления его населения.

**Председатель Верховного Совета Российской Федерации
Р.И.ХАСБУЛАТОВ**

**Москва, Дом Советов России
21 мая 1992 года №2809-1**

წყარო: <http://sevkrimrus.narod.ru/ZAKON/o1954.htm>

**დოკუმენტი №14. რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს 1993 წლის
9 ივლისის დადგენილება ქალაქ სევასტოპოლის სტატუსის შესახებ**

**ПОСТАНОВЛЕНИЕ
Верховного Совета Российской Федерации
О статусе города Севастополя**

**Верховный Совет Российской Федерации, рассмотрев по поручению седьмого Съезда народных депутатов Российской Федерации вопрос о статусе города Севастополя,
постановляет:**

1. Подтвердить российский федеральный статус города Севастополя в административно-территориальных границах городского округа по состоянию на декабрь 1991 года.

2. Совету Министров — Правительству Российской Федерации в кратчайший срок разработать государственную программу обеспечения статуса города Севастополя, дав соответствующие поручения министерствам и ведомствам; провести переговоры с правительством Украины о городе Севастополе как главной базе единого Черноморского флота. В состав российской делегации на переговорах включить от Верховного Совета Российской Федерации народных депутатов России Воронина Ю.М., Амбарцумова Е.А., Пудовкина Е.К., Саенко Г.В., Селиванова А.Г., Чеботаревского Р.З., Югина В.А.

3. Центральному банку России предусмотреть финансирование соответствующих статей бюджета города Севастополя через свои отделения.

4. Комитету Верховного Совета Российской Федерации по конституционному законодательству подготовить проект закона Российской Федерации о закреплении в Конституции Российской Федерации Севастополя федерального статуса города Севастополя.

5. В целях недопущения политической напряженности просить Правительство Украины отозвать передислоцированные в район города Севастополя подразделения спецчастей.

**Председатель Верховного Совета Российской Федерации Р.И.Хасбулатов
Москва, Дом Советов России, 9 июля 1993 года.**

წყობი: <http://russia.bestpravo.ru/fed2008i/data185/tex185963.htm>;
<http://sevkrimrus.narod.ru/ZAKON/sewastop.htm>

**დოკუმენტი №15. ყირიმის უმაღლესი საბჭოს
1995 წლის 20 აპრილის დადგენილება**

Постановление Верховного Совета Крыма

О ПОЛИТИКО-ПРАВОВОЙ СИТУАЦИИ В РЕСПУБЛИКЕ КРЫМ

Сегодня народ Крыма, как и народ Украины, переживает переломный период своей истории. Практически все без исключения отрасли промышленности, сельского хозяйства, а также здравоохранение, образование, наука и культура находятся в кризисном состоянии.

В столь сложное время Республика Крым вправе рассчитывать на моральную, политическую и экономическую поддержку народа и руководства Украины, понимание проблем, стоящих перед республикой, развитие ее полномочий и прав на самоуправление.

20 января 1991 года на Всекрымском референдуме народ Крыма проголосовал за восстановление Крымской Автономной Советской Социалистической Республики как субъекта СССР и участника Союзного договора, стремясь таким путем иметь право определять свое будущее самостоятельно в случае изменения государственно-правового статуса Украины, находившейся в составе Союза ССР. Несмотря на волеизъявление народа Крыма, Украина в нарушение действовавшего тогда Закона Союза ССР "О порядке решения вопросов, связанных с выходом союзной республики из СССР" от 3 апреля 1990 года 1 декабря 1991 года провела референдум о своей независимости, лишив Крым возможности реализовать предоставленное ему статьей 3 этого Закона право самостоятельно решать вопрос о выходе из СССР.

[...]

Действия Украины нарушают такие основополагающие акты в сфере прав человека, как Заключительный акт СБСЕ (раздел "Области и формы сотрудничества"), а также Документ Копенгагенского совещания-конференции по человеческому измерению СБСЕ.

Верховный Совет Украины, отменив Конституцию Республики Крым, принятую Верховным Советом Крыма 6 мая 1992 года, тем самым нарушил право народа Крыма, большинство которого составляют русские, на самоуправление.

Попытки Верховного Совета Крыма решать возникающие проблемы с Верховным Советом Украины, Президентом Украины в духе соблюдения законов Украины, уважения прав Республики Крым, общепризнанных норм международного права на данном этапе не нашли понимания.

Обязательства, принятые в области человеческого измерения СБСЕ, не являются исключительно внутренним делом какого-либо одного государства. Этот принцип является нормативной основой выражения законной заинтересованности России в событиях, связанных с Крымом.

Таким образом, законодательные и нормативные акты от 17 и 31 марта 1995 года, принятые Верховным Советом Украины и Президентом Украины в нарушение Конституции Украины, ее законов и общепризнанных норм международного права, неправомерны и не могут иметь юридической силы на территории Крыма.

В целях цивилизованного разрешения возникшего конфликта Верховный Совет Крыма считает необходимым продолжить переговорный процесс с Верховным Советом Украины по восстановлению нарушенных прав Республики Крым.

Проанализировав решения высших органов государственной власти Украины, принятые 17 и 31 марта 1995 года в отношении Республики Крым,

Верховный Совет Крыма постановляет:

1. Обратиться в Верховный Совет Украины и к Президенту Украины с предложением пересмотреть решения, касающиеся Республики Крым, принятые 17 и 31 марта 1995 года, и привести их

в соответствии с международными обязательствами Украины, принципами и нормами международного права.

2. Просить Государственную Думу Федерального Собрания Российской Федерации и Президента Российской Федерации в соответствии с их международными обязательствами принять меры по защите прав соотечественников, проживающих на территории Республики Крым и являющихся национальным меньшинством в государстве Украина.

Председатель Верховного Совета Крыма С.ЦЕКОВ
г.Симферополь, 20 апреля 1995 года.

წყობი: <http://zakon4.rada.gov.ua/krym/show/rb0422002-95>; www.normdoc.crimea-portal.gov.ua/search.php

დოკუმენტი №16. ყირიმის ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ სევასტოპოლის 2014 წლის 11 მარტის დამოუკიდებლობის დეკლარაცია

ДЕКЛАРАЦИЯ
о независимости Автономной Республики Крым
и города Севастополя

Мы, депутаты Верховной Рады Автономной Республики Крым и Севастопольского городского совета, исходя из положений Устава Организации Объединенных Наций и целого ряда других международных документов, закрепляющих право народов на самоопределение, а также принимая во внимание подтверждение международным судом ООН в отношении Косово от 22 июля 2010 года того факта, что одностороннее провозглашение независимости частью государства не нарушает какие-либо нормы международного права, принимаем совместно решение:

1. В случае если в результате предстоящего 16 марта 2014 года прямого волеизъявления народов Крыма будет принято решение о вхождении Крыма, включая Автономную Республику Крым и город Севастополь, в состав России, Крым после референдума будет объявлен независимым и суверенным государством с республиканской формой правления.

2. Республика Крым будет демократическим, светским и многонациональным государством, которое обязуется поддерживать мир, межнациональное и межконфессиональное согласие на своей территории.

3. Республика Крым как независимое и суверенное государство в случае соответствующих результатов референдума обратится к Российской Федерации с предложением о принятии Республики Крым на основе соответствующего межгосударственного договора в состав Российской Федерации в качестве нового субъекта Российской Федерации.

Утверждена
Постановлением Верховной Рады Автономной
Республики Крым на внеочередном пленарном
заседании 11 марта 2014 года
Председатель Верховной Рады Автономной
Республики Крым

В. КОНСТАНТИНОВ

Утверждена
постановлением Севастопольского городского
совета на внеочередном пленарном заседании 11
марта 2014 года
Председатель Севастопольского городского
совета

Ю. ДОЙНИКОВ

წყობი: <http://www-ki.rada.crimea.ua/index.php/2014-04-03-07-29-46/13747-2014-03-12-07-08-35>;
<http://sevkrimrus.narod.ru/ZAKON/2014nezavisimost.htm>

1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი და აჭარა

გვიანი შუა საუკუნეების ხანაში საქართველოს ძნელბედობა ყველაზე მეტად ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ რაიონებს და კერძოდ, აჭარას დაატყდა თავს. პოლიტიკურად დასუსტებულმა და დანაწევრებულმა საქართველომ ვერ შეძლო მრავალრიცხოვან დამპყრობთა მოგერიება. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი და მათ შორის აჭარაც ოსმალთა ბატონობის უღელქვეშ მოექცა.

თურქთა ბატონობის ქვეშ მოხვედრილი ქართველი მოსახლეობა მუდამ განაგრძობდა მზაგერელთა წინააღმდეგ ბრძოლას.

ქართველი პოლიტიკოსების არაერთი თაობის დაჟინებული და თავგანწირული ცდა, გაეთავისუფლებინათ მტრისაგან მიტაცებული მიწა-წყალი, ურთულესი საშინაო და საგარეო ვითარების გამო წარმატებით ვერ დასრულდა. XIX საუკუნის დასაწყისში კი ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოები მოექცა მეორე დიდი დამპყრობლის, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში.

რუსეთმა ამიერკავკასიაში მოიკიდა ფეხი და ოსმალეთის მთავარი მეტოქე გახდა კავკასიაში გაბატონებისთვის ბრძოლაში. შეშფოთებულმა ოსმალებმა ჩქარ ტემპში დაიწყეს ქართული სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობის უკანასკნელი ნაშთების ამოძირკვა აჭარაში და მის ნაცვლად ცხოვრების ყველა სფეროში ოსმალური წყობის, წეს-ჩვეულებებისა და ინსტიტუტების დანერგვა.

რუსეთის დამკვიდრება საქართველოში ეწინააღმდეგებოდა ევროპის დიდი სახელმწიფოების (განსაკუთრებით ინგლის-საფრანგეთის) ინტერესებს არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ მთელ ახლო და შუა აღმოსავლეთში. ისინი ირანისა და ოსმალეთის მეშვეობით ცდილობდნენ რუსეთის განდევნას ამიერკავკასიიდან. წინააღმდეგობის მიუხედავად რუსეთი სულ უფრო განამტკიცებდა პოზიციებს, როგორც საქართველოში, ისე საერთოდ ამიერკავკასიაში და ქმნიდა ხელსაყრელ პლაცდარმს თავისი აღმოსავლური პოლიტიკის განსახორციელებლად.

აჭარის, კერძოდ ბათუმის შეერთება რუსეთის ამიერკავკასიაში დამკვიდრების შემდგომდროინდელი საგარეო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილად იქცა. 1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამდე, ოსმალეთის საზღვრებში მოქცეული შავი ზღვის გამაგრებული პუნქტებისა და ნავსადგურების, კერძოდ კი ბათუმის დაჭერა, ერთ-ერთ ძირითად ამოცანად იყო გათვალისწინებული. 1806 წელს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გენერალ გუდოვიჩს წერდა: „...ფოთი, ბათუმი, გონიო - ყველა ეს დასახლებული პუნქტი ძველთაგანვე ეკუთვნოდა საქართველოს სამეფოს. მაშასადამე, არ შეიძლება არ ვისურვოთ რუსეთის სახელმწიფოში ყველა ამ ადგილის გაერთიანება, რომ ამით უზრუნველყოთ რუსეთის ბატონობა საქართველოში“.³⁷ ამ ომის შედეგად როგორც ახალციხის საფაშოს, ისე აჭარის დიპლომატიური თუ სამხედრო დონისძიებებით შეერთების მცდელობა მარცხით დამთავრდა. აჭარის შეერთების განზრახვა ძალაში რჩებოდა 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დროსაც, თუმცა უშედეგოდ.

აჭარასა და ბათუმს რუსეთის სამხედრო გეგმებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ყირიმის ომის პერიოდშიც. რუსეთმა „ყირიმის ომში ბათუმის შეერთება პრაქტიკულ ამოცანად დაისახა.“³⁸ 1854 წლის მაისში კოვალევსკის რაზმი ზემო აჭარაში შეიჭრა და

³⁷ Акты, собранные Кавказскою археографическою комиссией, т. 3, стр. 525

³⁸ არჩილ ჩხვიძე, ინგლისის პოლიტიკა კავკასიაში. თბილისი, 1973, გვ. 11.

დაიკავა სოფლები ბაკო, თხილვანა“.³⁹ მაგრამ ამ შეტევას სერიოზული წარმატება არ მოჰყვა ე. ი. აჭარისა და ბათუმის საკითხი რუსეთისათვის კვლავ გადაუჭრელი დარჩა.

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზანს ყირიმის ომის შედეგად შეღახული საერთაშორისო ავტორიტეტის აღდგენა წარმოადგენდა. ამდენად, რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ძირითადი კვლავ „აღმოსავლეთის საკითხი“ იყო.

1875 წელს ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ოსმალთა წინააღმდეგ სლავი ხალხების აჯანყება დაიწყო. რუსეთი, რომელიც ტრადიციულად ბალკანეთის სლავთა მფარველის როლში გამოდიოდა, მოუწოდებდა ოსმალეთის ხელისუფლებას შეეწყვიტა ქრისტიანი მოსახლეობის დარბევა და განეხორციელებინა რეფორმები. ოსმალეთმა ყურად არ იღო ეს მოთხოვნა. რუსეთის მხრიდან შემდგომი ყოყმანი ბალკანეთის ხალხებში მის პრესტიჟს დასცემდა. 1877 წლის 12 (24) აპრილს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ კიშინიოვში ხელი მოაწერა მანიფესტს ოსმალეთთან ომის დაწყების შესახებ. რუსეთი ამ ომში წარმატების შემთხვევაში გეგმავდა ყირიმის ომის შედეგად დაკარგული სამხრეთ ბესარაბიის დაბრუნებას და ბათუმის შეერთებას.⁴⁰

ქართველი საზოგადოებრიობა სიხარულით შეხვდა ოსმალეთთან ომის დაწყებას, ვინაიდან მიიჩნევდა, რომ „მას შედეგად მოჰყვებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლება“.⁴¹ მტრისაგან მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნებისათვის სწრაფვა ქართველი ერს არასოდეს განელებია. XIX საუკუნის 60-70-იან წლებში ბალკანეთის პრობლემის გამწვავებამ რუსეთ-ოსმალეთის მორიგი ომი გარდაუვალი გახადა. ქართული პრესა, კერძოდ კი „ივერია“ და „დროება“ განსაკუთრებული ყურადღებით მიმოიხილავდა ბალკანეთის საკითხის ირგვლივ შექმნილ ვითარებას, მისდამი ევროპის დიდი სახელწიფოების დამოკიდებულებას. „დროება“ 1877 წლის 12 იანვარს მოწინავეში „ომის საქმე“ წერდა: „ოსმალეთი არც ერთ იმ წინადადებაზე არ დათანხმებულა... კონფერენცია დათხოვნილია... ევროპამ თავისი მოვალეობა აასრულა, უნდოდა ომი აეცილებინა თავიდან, უნდოდა ოსმალთა და რუსეთს შორის შეტაკება არ მომხდარიყო, უნდოდა და ამ ჰაზრით სტამბულის კონფერენცია შეიკრიბა, მაგრამ... ვერა გააწყო რა... კონფერენციის დაშლა მოასწავებს იმას, რომ რუსეთი და ოსმალთა ახლა თავის ნებაზე იქნებიან მიშვებულნი, შეუძლიათ პირდაპირ ომი გამოუცხადონ ერთმანეთს“.⁴²

რუსეთ-ოსმალეთს შორის ომის დაწყების შემთხვევაში კავკასია საომარი მოქმედებების ასპარეზად იქცეოდა. რა მოელოდა ამ შემთხვევაში საქართველოს? საერთოდ როგორი უნდა ყოფილიყო ქართველთა დამოკიდებულება მოსალოდნელი ომისადმი? ამ კითხვებზე პასუხს იძლევა გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდილი ნიკო ნიკოლაძის წერილი „საქართველო-ომი თუ იქნა“: „აღმოსავლეთის ომი თუ ატყდა, ბრძოლა მარტო რუსეთსა და ოსმალეთს შუა კი არ დაბოლოვდება. მარტო ერთ შემთხვევაში შესაძლებელია ამგვარი „ომის შემოსახლვრა“. თუ ბრძოლა გაჭიანურდა მაშინ კი ოსმალეთის ევროპელი მომხრეები მისთვის აუცილებლად თავს გამოიდებენ და ბრძოლა მთელს ევროპას მოედება... ჩვენს ქვეყანას დიდი სტრატეგიული და პოლიტიკური მნიშვნელობა მოეწივს აღმოსავლეთის ომში...“⁴³ მოვლენათა შემდგომმა მსვლელობამ დაადასტურა ნიკო ნიკოლაძის წერილში მოცემული ანალიზის უტყუარობა. თუ როგორი პოზიცია უნდა დაეჭირა ქართველობას მოსალოდნელი საომარი მოქმედების დროს, ნიკო ნიკოლაძე ამასთან დაკავშირებით წერდა: „ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენი ქვეყნის სახელი, სიკეთე და მომავალი ჩვენს საკუთარს საქციელზეა დამოკიდებული. ნუ შევირცხვენთ დღემდე პატივცემულ სახელს... ნუ დავიმალავთ სოროში. ჩვენი გონიერი, წესიერი და პატიოსანი საქციელი მაღლა ასწევს საქართველოს სახელს და მტერსა და მოყვარეს

³⁹ Акты, собранные Кавказскою археографическою комиссию, т.10, стр. 802.

⁴⁰ История внешней политики России (вторая половина XIX века). Москва, 1999, Стр. 196.

⁴¹ საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. V. თბილისი, 1970, გვ. 440.

⁴² გაზეთი „დროება“, 1877, №4, 12 იანვარი.

⁴³ გაზეთი „დროება“, 1877, №36, 3 აპრილი.

დაანახევებს, რომ ჩვენი ხალხი სიყვარულის, პატივისცემის, მორიდების და კეთილდღეობის ღირსია“ .⁴⁴

რუსეთის მიერ ოსმალეთისადმი ომის გამოცხადების ფაქტს „ივერია“ ასე ეხმაურებოდა: „12-ს აპრილს ხელმწიფე იმპერატორმა კიშინიოვში მოაწერა ხელი უმაღლეს მანიფესტსა, რომლითაც ომი გამოუცხადა ოსმალეთს და მხედრობას რუსეთისას, საზღვრებზედ შეკრებილსა, ბრძანება მიეცა ოსმალეთის იმპერიაში შესვლისათვის... ეს ხმა ელვაზედ უმაღლეს მოედო მთელს ქალაქსა და ყველანი მარტო ამას კითხულობდნენ... ორს საათზედ მთელი სიონის სობორო აივსო ხალხითა, კაცითა და ქალითა... ბანებზედ, ჩვეულებრივ ხალხი მოგროვდა...“⁴⁵ ქართველთა ასეთი განწყობილების მიზეზს კარგად ხსნის პეტრე უმიკაშვილი წერილში „ოსმალის საქართველო“: „ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ბედნიერი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კვლავ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოდ და ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინიდის და დიდი ხნის განშორებულს ძმას ძმურადვე მიიყრდენს, თვალში სიხარულის ცრემლმორეული ქართველი და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლს უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუდრეკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორიათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა“.⁴⁶

საომარი მოქმედებები ერთდროულად ორ ფრონტზე – ბალკანეთსა და კავკასიაში გაჩაღდა. ორთავე ფრონტს მეფის ძმები ხელმძღვანელობდნენ – დუნაის არმიას სარდლობდა დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, ხოლო კავკასიის არმიას მეფისნაცვალ დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. რუსეთის მთავარსარდლობის გეგმით, კავკასიის ფრონტს უნდა დაებანდებინა ოსმალთა ძალები მცირე აზიაში და აეძულებინა ოსმალეთის სარდლობა გადმოეხროლა რეზერვები ამ მიმართულებით. საომარი მოქმედებების მსვლელობისას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრები მაჰმადიანი ქართველების პოზიციას, მით უფრო მხარდაჭერას. **შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი ივანე კერესელიძესთან** საუბარში აცხადებდა: „ღმერთმა ქნას, რომ მალე დაიწყოს ომი, მე მზად ვარ, რომ მაშინვე ჩემი ქვეყანა ქართველთ შვილებს შევუერთო და როგორც ადრე ყოფილა საქართველო, დღეის შემდეგაც ისე გახდეს“.⁴⁷ რუსეთის ცარიზმი დიდ იმედს ამყარებდა ქართველ მოლაშქრეებზე, რომელთაც რეგულარული არმიის გვერდით უნდა ებრძოლათ. სულ ომის დროს 30 ათასი ქართველი მოხალისე იყო მობილიზებული.⁴⁸ რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ადგილობრივთა კეთილგანწყობის მოპოვებას. კავკასიის მეფინაცვალ, დიდი მთავარი **მიხეილი**, რომელიც იმავდროულად კავკასიაში მოქმედი ჯარების მთავარსარდალიც იყო, ასე მიმართავდა აჭარისა და ქობულეთის მოსახლეობას:

„აჭარისა და ქობულეთის მცხოვრებნო!

სრულიად რუსეთის ხელმწიფე იმპერატორმა ინება და ჯარი ჩვენდამი მონდობილის კავკასიის მხედრობისა მოდის თქვენს ქვეყანაში...

ნუ გეშინისთ! ყოველს თქვენგანს, რომელიც მტრად არ მოგვექცევა, ჩვენ მივიღებთ და მის ცოლშვილსა, ოჯახსა და ქონებას ჩვენ თვითონ მფარველად ვეყოლებით. რუსის ჯარის ყოფნამ თქვენს ქვეყანაში უნდა გვაშოროს ერთმანეთის მტრობა-სიძულვილი და გულისთ შეგვათვისოს და დაგვაახლოვოს ჩვენ თქვენთან. ჰოი, ძენო კეთილშობილის ქართველის ტომისანო, ძმანო ყოველთვის ერთგულთა და საყვარელთა ქვეშევრდომთა რუსის იმპერატორისათა“.⁴⁹ სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობას ჯერ კიდევ არ

⁴⁴ გაზეთი „დროება“, 1877, №37, 6 აპრილი.

⁴⁵ გაზეთი „ივერია“, 1877, №7, 16 აპრილი.

⁴⁶ გაზეთი „ივერია“, 1877, №29, 28 აპრილი.

⁴⁷ **ზაქარია ჭიჭინაძე**, ისტორია ოსმალეთის ყოფილ მუსულმან-ქართველებისა. ბათუმი, 1911, გვ. 29-30.

⁴⁸ **III. В. Мегрелидзе**. Вопросы Закавказья в истории русско-турецкой войны 1877-1878 гг. Тбилиси, 1969, стр. 47.

⁴⁹ გაზეთი „ივერია“, 1877, №8, 23 აპრილი.

დაეკარგა ეროვნული ცნობიერება. სწორედ ამის შედეგი იყო, რომ „რუსეთ-ოსმალეთის (1877-1878 წწ.) ომის დროს აჭარა მტკიცედ დადგა განმათავისუფლებელი არმიის მხარეზე“.⁵⁰

ამიერკავკასიაში მოქმედი რუსეთის კორპუსი 60 ათას კაცს შეადგენდა. გეგმის თანახმად, შეტევა ოთხი მიმართულებით განვითარდა: **ოზურგეთიდან - ბათუმისკენ, ახალციხიდან - არტაანისკენ, ალექსანდროპოლიდან - ყარსისაკენ, ერევნიდან - ბაიაზეთისაკენ.** კავკასიის არმიის მარჯვენა ფლანგზე ბათუმის მიმართულებით მოქმედებდა ოზურგეთის რაზმი გენერალ-ლეიტენანტ **ოკლობუიოს** მეთაურობით. იგი იყოფოდა სამ ნაწილად: მარცხენა კოლონა გენერალ - მაიორ **დანიბეგაშვილის**, შუა - გენერალ - მაიორ **შერემეტიევის** და მარჯვენა პოლკოვნიკ **აბაშიძის** მეთაურობით.⁵¹

ომის გამოცხადების პირველ დღესვე რაზმი გადავიდა მდ. ჩოლოქზე და ბრძოლები გააჩაღა ბათუმის მიმართულებით. ამავე პერიოდში ძლიერი ბრძოლები გაჩაღდა მუხაესტატესა და ხუცუბნისათვის. აქ თავი ისახელა **დანიბეგაშვილის** რაზმმა, რომელმაც იერიშით აიღო ხუცუბნის ყორღანი, რომელსაც მეტოქეებმა დანიბეგაშვილის ყორღანი შეარქვეს. მედგრად იბრძოდა პოლკოვნიკ **ბუჭყიაშვილის** 151-ე ქვეითი პიატიგორსკის ლეგიონი მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩეოდა გურიის ლაშქარი, შტაბსკაპიტან **გურიელის** მეთაურობით. გურიელის მილიცია ყოველთვის ავანგარდში მოქმედებდა, რადგან ბრძოლის ასპარეზს კარგად იცნობდა და ამიტომ ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი იყო.

საერთოდ ქართველობა ამ ომში არნახულ ენთუზიაზმს ავლენდა. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გურიის მცხოვრებნი. „გურულები ძალიან მხნეობასა და შესამჩნევ სურვილს ბრძოლაში მონაწილეობისას იჩენდნენ. ამას წინათ 12-16 წლის ყმაწვილები მოვიდნენ თურმე ჯარის უფროსთან და ითხოვეს, რომ საცა ჩვენი მამები და ძმები არიან, ჩვენც იქ უნდა ვიყვეთო. თოფი მოგვეცით და ჯარში ჩაგვაყენეთო“.⁵²

ცუდი ამინდებისა და მტრის ძლიერი წინააღმდეგობის გამო ოზურგეთის რაზმი ნელა მიიწვედა წინ.

რუსთა და ქართველთა გაერთიანებულმა ლაშქარმა უეცარი დარტყმით დაიკავა **ქობულეთი** და **ოჩხამური**, 13 (25) აპრილს ლეღვა, ხოლო 14 (26) აპრილს **მუხაესტატეც** გაათავისუფლა. მსხვერპლი ორივე მხარეს დიდი იყო. რუსეთის სარდლობა იძულებული გახდა შეტევა შეეჩერებინა, რათა განემტკიცებინა პოზიციები დაკავებულ ტერიტორიებზე. სათანადო მომზადების შემდეგ რუს-ქართველთა ჯარი მორიგ შეტევაზე გადავიდა. გენერალ **დანიბეგაშვილის** შენაერთმა, გენერალ **შერემეტიევის** რაზმთან ერთად 29 აპრილს (11 მაისი) სოფელი **ხუცუბანი** აიღო. გურული დრუჟინის მეოთხე ასეულმა პორუჩიკ **ივანე მაყაშვილის** მეთაურობით, **გიორგი ყაზბეგის** რაზმთან ერთად, დაიკავა მდ. **აჭყვასა** და მდ. **კინტრიშს** შორის ტერიტორია.

ამ საბრძოლო ოპერაციების შემდეგ რუს-ქართველთა საჯარისო შენაერთებში საკადრო ცვლილებები განხორციელდა. ოზურგეთის რაზმს დაერქვა ქობულეთის რაზმი, რომლის მეთაურად დაინიშნა გენერალ-მაიორი **დანიბეგაშვილი**, ხოლო შტაბის უფროსად - პოლკოვნიკი **გიორგი ყაზბეგი**. რაზმი გაძლიერდა ახალი შენაერთებითა და საბრძოლო მასალებით. „1877წლის 20 ივნისს გურიის რაზმი დაექვემდებარა ქობულეთის რაზმის უფროსს. ამასთან ორივე რაზმის შემადგენლობის განსაზღვრა, ჯარების განლაგების, მათი მოქმედების და სურსათისა და მომარაგების უზრუნველყოფა დაევალა გენერალ-მაიორ დანიბეგოვს. გაერთიანებული რაზმის სახელწოდება იყო

⁵⁰ **აბელ სურგულაძე.** განმანთავისუფლებელი მოძრაობის ისტორიიდან აჭარაში. ბათუმი, 1978, გვ. 45.

⁵¹ **შამში მგერელიძე.** საქართველო აღმოსავლეთის ომებში. თბილისი, 1974, გვ. 72.

⁵² გაზეთი „დროება“, 1877, №48, 1 მაისი.

ქობულეთის რაზმი, ხოლო მისი განლაგების ადგილი სოფ. **მუხაესტატე**.⁵³ 16 (28) მაისს რუს-ქართველთა ჯარმა გაათავისუფლა სოფელი **სამება** და დაიკავა სტრატეგიულად ძალზე მნიშვნელოვანი მაღლობი სოფ. **ზენითან**, მაგრამ მისი შენარჩუნება ვეღარ შეძლო. რუს-ქართველთა ჯარმა გააძლიერა მზადება **ციხისძირზე** იერიშისათვის.

ბრძოლები ბათუმის მიმართულებით მძიმედ წარიმართა. ქობულეთის რაზმი მხოლოდ ივლისის დასაწყისში მიუახლოვდა ციხისძირს, რომლის აღება რუსეთის არმიამ ადრე ვერ შეძლო.

მიუხედავად ამისა, კავკასიის არმიის სარდლობამ საჭიროდ ჩათვალა საბრძოლო ოპერაციების განახლება ბათუმის მიმართულებით და საამისო სამზადის შეუდგნენ.

კავკასიის არმიის სარდლობის საბრძოლო გეგმა ითვალისწინებდა მტრისთვის ზურგიდან დარტყმას. ეს ამოცანა დაეკისრა არტაანის რაზმს, რომელიც გენერალ **კომაროვის** ხელმძღვანელობით **ჭოროხის ხეობის** გზით **ბათუმისაკენ** მოემართებოდა. ეს ორი რაზმი გაერთიანდა გენერალ კომაროვის სარდლობით.

ციხისძირის მეორე შეტევა 1878 წ. 18 (30) იანვარს დაიწყო. მეწინავე ჯარი სამი კოლონისაგან შედგებოდა. მარცხენას გენერალი შერემეტიევი მეთაურობდა, ცენტრს – გენერალი **დანბეგაშვილი**, ხოლო მარჯვენას - გენერალი **შალიკოვი (შალიკაშვილი)**. რუს-ქართველთა ჯარი თავგანწირულად იბრძოდა, მაგრამ ეს ოპერაციაც ასევე წარუმატებლად დამთავრდა. მსხვერპლი კიდევ მეტი იყო, ვიდრე 1877 წ. 11-12 ივნისის შეტევების დროს. ციხისძირზე მეორე შეტევის დროს რუსეთმა დაკარგა კიდევ ერთი გენერალი (შერემეტიევი), 44 ოფიცერი და 1260 ჯარისკაცი.⁵⁴

რუსეთის ჯარებს დიდი წარმატებები ჰქონდათ ბალკანეთში, სადაც აიღეს პლევნა და კონსტანტინეპოლს მიუახლოვდნენ. რუსეთის არმიამ გადამწყვეტ წარმატებას მიაღწია კავკასიის ფრონტის ძირითად მიმართულებაზე – აიღეს ძლიერი ყარსის ციხესიმაგრე. ყარსისა და პლევნის დაცემის შემდეგ ოსმალეთმა დაჰკარგა ომის წარმატებით დასრულების იმედი და ევროპის სახელმწიფოებს მიმართა რუსეთთან საზავო მოლაპარაკებაზე შუამდგომლობის თხოვნით.⁵⁵ ამ დროს, ბათუმი ჯერ კიდევ ოსმალთა ხელში რჩებოდა. მაშინ როცა, რუსეთს ბათუმისადმი, როგორც ბრწყინვალე ნავსადგურისა და მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტისადმი განსაკუთრებული ინტერესი გააჩნდა. ამ განწყობილებას კარგად გამოხატავდა „დროება“ მოწინავეში: „ბათუმის დაპყრობა მარტო იმიტომ კი არ არის ჩვენთვის საჭირო, რომ ეს ჩინებული ნავსადგური ჩვენთვის დავინარჩუნოთ, არამედ იმისათვისაც, რომ შემდეგ რიონის მხარეს აქედამ არასოდეს არავითარი შიში აღარ ჰქონდეს“.⁵⁶ მიუხედავად ასეთი გეგმისა და არერთგზის შეტევისა, რუსეთის ჯარმა ციხისძირის გადალახვა და ბათუმის განთავისუფლება ომის მსვლელობაში ვერ შეძლო.

რუსეთის მხარემ მოლაპარაკებების დროს თავისი მოთხოვნები გადასცა მოწინააღმდეგე მხარეს, რომლის მიხედვითაც ოსმალეთს უნდა დაეტოვებინა არზრუმი, ბაიაზეთი და ბათუმი. მოლაპარაკებების მიმდინარეობისას გრძელდებოდა საომარი ოპერაციები, რომელშიც წარმატებით შეტევას განაგრძობდა რუსეთის არმია. მან აიძულა სულთანი დაეკმაყოფილებინა გამარჯვებულის მოთხოვნები. 19 (31) იანვარს ადრიანოპოლში მხარეებმა ხელი მოაწერეს ომის შეწყვეტისა და მომავალი საზავო ხელშეკრულების საფუძვლებზე შეთანხმებას.⁵⁷

⁵³ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1087, საქმე 520, ფურცელი 7; აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ფონდი 82, საქმე 1, ფურცელი 16.

⁵⁴ Батумь и его Окрестности. Батумь, 1906, стр. 70-71.

⁵⁵ III. В. Мегрелидзе. Вопросы Закавказья в истории русско-турецкой войны 1877-1878 гг. Тбилиси, 1969, стр. 88.

⁵⁶ გაზეთი „დროება“, 1877, №194, 16 ნოემბერი.

⁵⁷ История внешней политики России. Москва, 1997, стр. 208.

1878 წლის თებერვალში სან-სტეფანოში დაიწყო საზავო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკება. რუსეთის მხარეს წარმოადგენდა **ნ. იგნატიევი** და **პ. ნელიდოვი**, ხოლო ოსმალთა მხარეს **საფვეტ-ფაშა** და **სადულაჰ-ფაშა**. ოსმალეთის დიპლომატები ცდილობდნენ გაეჭიანურებინათ მოლაპარაკებების პროცესი, რადგან იმედოვნებდნენ წინასწარი შეთანხმების პირობების გადასინჯვას ევროპის ქვეყნების (განსაკუთრებით ინგლისის) მხარდაჭერით. თავის მხრივ რუსული დიპლომატიაც ხვდებოდა, რომ ხელშეკრულების გაფორმება აიძულებდა ევროპას ეცნო მისი პირობები. რამდენიმე დღის დაძაბული დაპირისპირების შემდეგ, **1878 წლის 19 თებერვალს (3 მარტს)** დაბა **სან-სტეფანოში** გაფორმდა საზავო ხელშეკრულება, რომლის პირობები სავსებით შეესაბამებოდა გამარჯვებული რუსეთის ინტერესებს.

სან-სტეფანოს საზავო პირობებით ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ვითარება რუსეთის მოთხოვნების შესაბამისად წყდებოდა – სერბია, ჩერნოგორია და რუმინეთი დამოუკიდებლობას ღებულობდა. ბულგარეთს ენიჭებოდა სამთავროს სტატუსი (დამოუკიდებელი მთავრობით) ოსმალეთის მფარველობაში.

ომის შედეგად მიღებული ზარალისათვის რუსეთის მოთხოვნით ოსმალეთმა ვალდებულია აიღო გადაეხადა:

ა) 900 მილიონი მანეთი სამხედრო ხარჯებისათვის (არმიის შენახვის, სურსათის, სამხედრო დაკვეთების)

ბ) 400 მილიონი მანეთი რუსეთის სამხრეთზე მიყენებული ზარალისათვის (ვაჭრობაზე, მრეწველობასა და რკინიგზაზე მიყენებული ზიანისათვის)

გ) 100 მილიონი მანეთი კავკასიაში შეჭრის დროს მიყენებული ზარალისათვის

დ) 10 მილიონი მანეთი თურქეთში რუსეთის ქვეშევრდომებისა და რუსულ დაწესებულებებზე მიყენებული ზიანისათვის.

სულ ათას ოთხას ათი მილიონი მანეთი.⁵⁸

ოსმალეთის მძიმე ფინანსური მდგომარეობისა და სულთნის სურვილს გათვალისწინებით, რუსეთის იმპერატორი დათანხმდა გადასახდელი თანხის დიდი ნაწილის სანაცვლოდ მიეღო ტერიტორიული დათმობები. ოსმალეთი გადასახდელი თანხის 2/3 სანაცვლოდ უთმობდა რუსეთს სამხრეთ ბესარაბიას, ხოლო კავკასიაში ყარსს, არდაგანს ბაიახეთსა და ბათუმს.⁵⁹ აღნიშნული ტერიტორიები ეძლეოდა რუსეთს ათას ასი მილიონი მანეთის სანაცვლოდ.⁶⁰

სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების 21-ე სტატიით რუსეთისათვის გადაცემული ტერიტორიების მოსახლეობას, რომელთაც სურვილი ექნებოდა გადასახლების, შეეძლოთ გაეყიდათ თავისი უძრავი ქონება ხელშეკრულების რატიფიკაციიდან 3 წლის განმავლობაში.

სან-სტეფანოს საზავო პირობები რუსეთის სერიოზულ წარმატებებს აკანონებდა როგორც ბალკანეთში, ისე კავკასიაში, რაც მიუღებელი იყო ევროპის სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით ინგლისისათვის. მას მხარს უჭერდნენ ავსტრია-უნგრეთი და საფრანგეთი. ევროპის სახელმწიფოთა უკმაყოფილება მხოლოდ პროტესტით არ შემოიფარგლებოდა, მათ ომისათვის დაიწყეს მზადება. პრემიერ-მინისტრ ბიკონსფილდის (დიზრაელის) შუამდგომლობით დედოფალმა ვიქტორიამ 1878 წლის მარტის ბოლოს თადარიგში მყოფთა მობილიზაცია გამოაცხადა. ინგლისის გემები დარდანელისაკენ დაიძრნენ.⁶¹ რუსეთი ახალი დიდი ომის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა – ამიტომ დათანხმდა სან-სტეფანოს საზავო პირობების გადასინჯვას ევროპის სახელმწიფოთა კონგრესზე. რუსეთის ხელისუფლებამ თავის ელჩს ინგლისში გრაფ შუვალოვს დაავალა დაეზუსტებინა თუ რა დათმობებს მოითხოვდა ინგლისი რუსეთისაგან. 1878 წლის 18 (30) მაისს ლონდონში **შუვალოვმა** და **სოლსბერემ** ხელი მოაწერეს ინგლის-რუსეთის შეთანხმებას სან-სტეფანოს ხელშეკრულების

⁵⁸ Сборник договоров с другими государствами (1856-1917). Москва, 1952, стр.169.

⁵⁹ Н. А. Троцкий. Россия XIX в. Москва, 1999, стр. 170.

⁶⁰ Сборник договоров с другими государствами (1856-1917). Москва, 1952, стр. 169.

⁶¹ Восточный вопрос во внешней политике России (конец XVIII - начало XX века). Москва, 1978, стр. 219.

ცვლილებების თაობაზე. ეს შეთანხმება განსაზღვრავდა რუსეთის დათმობებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ამიერკავკასიაზე მოდიოდა.⁶² ოსმალეთს უბრუნდებოდა **ალაშკერტის** ველი, **არზრუმი** და **ბაიაზეთი**. მაგრამ ინგლისი ამ წარმატებას არ სჯერდებოდა და 1878 წლის 4 ივნისს ოსმალეთთან გაფორმებული ხელშეკრულებით ვალდებულებას დებულობდა საჭიროების შემთხვევაში სამხედრო ძალით დახმარებოდა მას.

ასეთ ვითარებაში, 1878 წლის 1 (13) ივნისს **ბერლინში** გაიხსნა ევროპის სახელმწიფოთა კონგრესი, რომელსაც უნდა გადაესინჯა სან-სტეფანოს ზავის პირობები. კონგრესში მონაწილეობდნენ რუსეთის, ოსმალეთის, ინგლისის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, საფრანგეთისა და იტალიის დელეგაციები. კონგრესის მსვლელობისას გამოიკვია, რომ რუსეთი ფაქტიურად საერთაშორისო იზოლაციაში მოექცა და იძულებული გახდა სერიოზულ დათმობებზე წასულიყო. გასაკუთრებით მძაფრი წინააღმდეგობა წარმოიშვა ბათუმის საკითხის გამო. ინგლისს არ სურდა ასეთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული და ეკონომიკური ცენტრი რუსეთს გადასცემოდა.

კონგრესზე წასვლის წინ „ბიკონსფილდს უთქვამს მეგობრისათვის, რომ ბერლინში მიდის, რათა ხელი შეუშალოს სოლსბერის ბათუმის დათმობაში, რომ არასოდეს დათანხმებოდა რუსეთისათვის ბათუმისა და ყარსის გადაცემას“.⁶³ კონფერენციის მსვლელობისას ინგლისის დელეგაცია დაუინებით ცდილობდა რუსეთის შენაძენი ტერიტორიები შეემცირებინა კავკასიაში. ამ მიზნით იგი მხარს უჭერდა „ოსმალეთის სომხეთის“ ოსმალეთის ფარგლებში დატოვებას და იმავდროულად წინ წამოსწია „ლაზეთის სახანოს“ შექმნის საკითხი. ინგლისის დიპლომატიამ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია და რუსეთი იძულებული გახდა უარი ეთქვა ქართველებითა და სომხებით დასახლებული მიწების ნაწილის შეერთებაზე, რომელიც სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით მას უნდა გადასცემოდა. საბოლოოდ ბათუმი რუსეთს გადაეცა პორტო-ფრანკოს თავისუფალი სავაჭრო ნავსადგურის სტატუსით. ინგლისის დელეგაცია დათანხმდა ბათუმის პორტო-ფრანკოდ გამოცხადებას იმ მიზნით, რომ მომავალში ქალაქი რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო და ეკონომიკური შეტევისათვის გამოეყენებინა.⁶⁴

ბათუმი ჯერ კიდევ ოსმალთა ხელში რჩებოდა. ბათუმის გადაცემის საკითხის საბოლოოდ შესათანხმებლად შედგა რუსეთ-ოსმალეთის ერთობლივი კომისია. რუსეთის დელეგაციას ხელმძღვანელობდა კავკასიის მთავარსარდლის თანაშემწე გენერალ ადიუტანტი თავადი **სვიატოპოლკ-მირსკი**. შემადგენლობაში იყვნენ: გენერალ-მაიორი თავადი **ტრუბეცკოი**, კავკასიის მეფისნაცვლის საველე კანცელარიის უფროსი პოლკოვნიკი თავადი **გრიგოლ დავითის ძე გურიელი** და რუსეთის ყოფილი კონსული ბათუმში **ჯუდიჩი**. ოსმალეთის მხრიდან კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ: ვარნის ყოფილი კომენდანტი **ნეად-ფაშა**, **ალი-ბეი** და **სულეიმან-ბეი** და რამდენიმე დიპლომატი. შერეული კომისიის სხდომა გაიმართა ქალაქ ქუთაისში 12-20 აგვისტოს. ოსმალეთის მხარე კისრულობდა ბათუმიდან ჯარები გაეყვანა 25 აგვისტოსათვის. შეთანხმების მიხედვით რუსეთს უნდა დაეკავებინა **ჩურუქ-სუ**, **სამება** და კვირიკე – 17 აგვისტოს, **ცინისძირი** – 21 აგვისტოს, **ჩაქვი** – 24 აგვისტოს. რუსეთს უნდა გადასცემოდა სახელმწიფო დაწესებულებათა დოკუმენტები და არქივები. მიუხედავად შეთანხმებისა ოსმალებმა გაიტაცეს ისინი. 19 აგვისტოს რუსეთის ჯარებმა დაიკავეს **ქობულეთი**, (**ჩურუქ-სუ**).⁶⁵ 25 აგვისტოს 11 საათზე რუსთა და ქართველთა ჯარი **ბათუმში** შევიდა. იმავე დღეს რუსთა მეორე კორპუსი **ტრეიტერის** მეთაურობით შევიდა ხულოში, ფურტიოში, ჭვანაში და დაიძრა ბათუმისაკენ **სვიატოპოლკ-მირსკის** ჯარებთან შესაერთებლად. ოსმალთა უკანასკნელი ნაწილები **დევრიშ ფაშას** სარდლობით ბათუმს

⁶² **შამშე მეგრელიძე**. საქართველო აღმოსავლეთის ომებში. თბილისი, 1974, გვ. 86.

⁶³ **არჩილ ჩხეიძე**. ბათუმი ინგლისის ახლოაღმოსავლურ პოლიტიკაში. ბათუმი, 1974, გვ. 49.

⁶⁴ **გ. სიჭინავა**. ბათუმის ისტორიიდან. ბათუმი, 1958, გვ. 70.

⁶⁵ Батумъ и его окрестности. Батумъ, 1906, стр. 96.

ტოვებდა. კავკასიის მეფისნაცვალმა დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ იმპერატორ ალექსანდრე II-ს დეპეშით მიულოცა: „Имею счастье поздравить ваше императорское величество с занятием Батума“.⁶⁶

ბათუმის მშვიდობიანად განთავისუფლებას ასე ეხმაურებოდა „ივერია“: „აი, ბათუმიც დაუცალა ოსმალებმა რუსეთს და მადლობა ღმერთს არავითარი ვაივაგლახი და სისხლის ღვრა არ მოჰყვა ამ გარემოებას... დრო არის დამშვიდდეს და ცოტა მაინც დალაგდეს ცხოვრება. მშვიდობიანობას, ნამდვილ მშვიდობიანობას თანდათან ფეხი შემოაქვს ჩვენს ცხოვრებაში და უნდა ვინატროთ, რომ დიდი ხნით მაინც გვეწვიოს, თუ არა სამუდამოდ“.⁶⁷

აჭარის გათავისუფლებას და დედა სამშობლოსთან დაბრუნებას აღტაცებით მიესალმება ქართველი მოწინავე ინტელიგენცია. ილია ჭავჭავაძე წერდა: „ბერლინის ხელშეკრულებამ ჩვენ ერთი დიდი სიკეთე შეგვძინა... ჩვენი ძმები, ჩვენი სისხლხორცი, ჩვენთან ერთად მებრძოლნი შავი ბედისა, ჩვენი გმირების ბუდე, ჩვენი ძველი საქართველო, ჩვენი განათლებისა და სწავლების აკვანი, დღეს ჩვენ შემოგვიერთდა“.⁶⁸

ილია ჭავჭავაძისა და სერგეი მესხის თაოსნობით მთელ საქართველოში დაიწყო შეწირულობათა შეგროვება ომის მძიმე შედეგებით გაწამებული, ახლად შემოერთებული მხარის მოსახლეობის დახმარებისათვის. ქართველი ინტელიგენციის გულისხმიერი დამოკიდებულების გამოსატყულება იყო 1878 წლის ნოემბერში თბილისში სამუსლიმანო საქართველოს დელეგაციის გულთბილი მიღება. მოწინავე ინტელიგენციამ აჭარაში იმთავითვე აქტიური კულტურული საქმიანობა გააჩაღა, რასაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამუსლიმანო საქართველოს მკვიდრთა ეროვნული ცნობიერების აღდგენის საქმეში.

⁶⁶ Н. А. Троицкий. Россия в XIX В. Москва, 1999, стр. 100.

⁶⁷ გაზეთი „ივერია“, 1878, №34, 28 აგვისტო.

⁶⁸ ილია ჭავჭავაძე. რჩეული თხზულებანი ხუთ ტომად. ტ. V. თბილისი, 1987, გვ. 158.

**დალის მხარის (დალის სვანეთი//კოდორის
ხეობა//ზემო აფხაზეთი)
ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა**

დალის მხარის (დალის სვანეთის, კოდორის ხეობის, ოფიციალურად, ზემო აფხაზეთის) ტრადიციული ყოფისა და თანამედროვე სოციალურ-კულტურული პორცესების კვლევა მრავალმხრივ საყურადღებოა, რადგან 2008 წლიდან მოყოლებული დალის ხეობის მოსახლეობა დევნილია მშობლიური მიწიდან, რაც ბუნებრივია, კიდევ უფრო აჩქარებს ეთნოგრაფიული რეალიების გაქრობის პროცესს საყოველთაო გლობალიზაციის პირობებში.

ისტორიულ-ეთნოგრაფიული ლიტერატურა დალის ხეობის შესახებ მწირია. არსებობს ვერა ბარდაველიძისა და მერი გუჯეჯიანის მიერ XX საუკუნის 30-იან წლებში შეკრებილი მასალა, რაც ჯერ-ჯერობით სრულად გამოცემული არ არის. გამოქვეყნებულ მასალათაგან საყურადღებოა ი. ასლანიშვილის სტატია¹ და მ. გუჯეჯიანის საექსპედიციო ანგარიში,² კოდორის ხეობის ქართველთა სვანური მეტყველების ნიმუშების მხრივ მნიშვნელოვანია იზა ჩანტლაძის ხელმძღვანელობით გამოცემული „კოდორული ქრონიკები“.³ არქეოლოგიური კვლევა-ძიების შესახებ ინფორმაციას გვაწვდის რეზო ხვისტანი.⁴ ჩემ მიერ დამოწმებული ეთნოგრაფიული მასალა შეკრებილია 2007-2008 წლებში უშუალოდ დალის მხარეში, ხოლო 2008-2015 წლებში – დევნილთა შორის თბილისსა და ქუთაისში, თეთრიწყაროსა და დმანისის რაიონებში. კვლევის შედეგების ერთი ნაწილი გამოცემულია.⁵

ნაშრომი შესრულებულია ისტორიული ეთნოლოგიის სამეცნიერო დისციპლინის თეორიულ ჩარჩოებში. გამოყენებულია კომპლექსურ-ინტენსიური კვლევის მეთოდი, ასევე, დაკვირვების, მონაწილე დაკვირვების, გამოკითხვის, ინტერვიურების, ბიოგრაფიული და სტატისტიკური კვლევის მეთოდები.

დალის მხარე ადმინისტრაციულად აფხაზეთის ნაწილია. ადგილობრივ მოსახელობას უძველესი დროიდანვე შეადგენდნენ ქართველთა ერთ-ერთი ეთნოგრაფიული ჯგუფის – სვანების წარმომადგენლები. კოდორის ხეობის ზემო წელს პარალაური რადენე სახელით იხსენიებენ და ამთ შორის, ერთ-ერთია „დალის სვანეთი“. დალის მხარე ბალსქემო სვანეთს, კერძოდ, ჭუბერის თემს, ჯერილდის უღელტეხილზე გამავალი ბილიკებით უკავშირდებოდა. ცნობილია, ბერძნები მიერ ეგრისის სამეფოსათვის შერქმეულ სახელს – „ოქრომრავალ კოლხიდას“ – ამართლებდა ოქროს მოპოვებისა და დამუშავების მდიდარი ტრადიციები სვანეთში

¹ ი. ასლანიშვილი. აფხაზეთის სვანეთი. 1926 წლის მოგზაურობის მიმოხილვა 25 სურათით და რუკით ტექსტში, ტფილისი, 1933.

² მ. გუჯეჯიანი. საანგარიშო მოხსენება აფხაზეთის სვანეთში (დალში) მივლინების შესახებ.– ენიმკის მოამბე. IV. 1939.

³ კოდორული ქრონიკები (გამოკვლევეთიურთ). იზა ჩანტლაძე, ქეთევან მარგიანი-დადვანი, ქეთევან მარგიანი-სუბარი და სხვ. თბილისი, 2007-2010.

⁴ რ. ხვისტანი. მასალები საქართველოს ქრისტიანული არქეოლოგიისათვის. თბილისი, 2009.

⁵ რ. გუჯეჯიანი. დალის სვანეთის (კოდორის ხეობის/ზემო აფხაზეთის) ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა.– კრებული „საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები“. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის – „საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები“ – მასალები. თბილისი, 2009. ინგლისურად: Historical-Ethnographical Survey of Dali Svaneti/Kodori Gorge/Zemo (upper) Abkhazia, - krebulSi “Causes of War – Prospects for Peace”, Tb., 2009. გვ. 13-17; რ. გუჯეჯიანი. აფხაზეთის ეთნოგრაფიული სამყარო.– კრებული „საქართველოში არსებული კონფლიქტები და მშვიდობის პერსპექტივები“. თბილისი, 2009, გვ. 55-69. თანაავტორები: ნ. შოშიტაშვილი, ს. ჭანტურიშვილი, ნ. მინდაძე, ქ. ხუციშვილი, გ. ჭეიშვილი.

და ოქროს წარმოების უძველეს კერად დალის ხეობის მეზობელი ჭუბურის თემი ითვლებოდა. ამასთანავე, ამ ორ ხეობაზე გადიოდა გზა ჩრდილოეთ კავკასიაში (თონდუზ-ორუნისა და ბასის უღელტეხილები).⁶

კოდორის ხეობელ ქართველებს (სვანებს), VI–VII საუკუნეების ბიზანტიური წყაროები (აგათია სქოლასტიკოსი, მენანდრე პროტიქტორი, თეოდოსი განგრელი), „მისიმიანელებს“, ხოლო ტერიტორიას „მისიმიანთა მხარეს“ უწოდებენ.⁷ ცხადია, მისიმიანელები ქართველები, იგივე სვანები არიან. ეს სახელწოდება სვანების დიალექტური სახელიდან „მუშუან“-იდან მომდინარეობს.⁸ მისიმიანეთი აქტიურად ფიგურირებს ადრეული შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიაში, IV–VII საუკუნეების ბიზანტიისა და სპარსეთის ომებში. ცნობილია, რომ ომიანობა განსაკუთრებით მძიმედ სვანეთსა და მისიმიანეთზე აისახა და ამ დროის ბიზანტიურ წყაროები ხშირად იხსენიებს დალის ციხესიმაგრეებს: „ბუკოლუსის“//ბოკერისა და „რკინის“//ჩხალთის ციხეებს.⁹

გვიან შუასაუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიიდან აბაზურ-ადიღეური ტომების საქართველოს ტერიტორიაზე ინტენსიური ჩამოსახლების შედეგად მკვეთრად იცვალა აფხაზეთის და, მათ შორის, მდინარე კოდორის ზემოწველის ეთნო-დემოგრაფიული ვითარებაც.¹⁰ ადგილობრივებმა, რომლებიც ჩრდილო კავკასიიდან მუდმივ შემოსევებს განიცდიდნენ, დალის ხეობიდან სვანეთის სიღრმისკენ დაიწყეს გადაადგილება.

აბაზურ-ადიღეურ ტომთა შემოჭრის სიუჟეტები შემონახულია ისტორიულ მახსოვრობაში. გადმოცემებში მოთხრობილია ჩრდილოეთიდან გადმოსულ მომთაბარეთა მიერ ჯერ დალის მხარის დალაშქვრის (მტერი კოდორის ხეობაში ყარაჩაიდან გადმოსასვლელი ბილიკით შემოსულა) და შედეგ დალისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე დღევანდელი ჭუბურისა და ნაკრის სოფლების (სალი და ფაჟის) გავერანებისა და მკვიდრთა ამოწყვეტის შესახებ. სალი სპილენძის, რკინის და ოქროს მოპოვებით იყო სახელგანთქმული. ფაჟის სიმდიდრის წყაროს ტყვისა და ვერცხლის მოპოვება შეადგენდა.¹¹ მტრის გაუგონარი სისასტიკით და იმდენად დათრგუნულა ფაჟიდან გაქცეული, ცოცხლად გადარჩენილი რამდენიმე ადამიანი, რომ მათ ფსიქიკური პრობლემები შექმნიათ და დღემდე სვანურ მეტყველებაში ცოცხალია ტერმინი „ლ-ფაჟუ“ სულით ავადმყოფთა აღსანიშნავად. სხვა გადმოცემებში დალის ხეობელი ქართული საგვარეულოს – ქალდანების ტრაგიკული ისტორიაა მოთხრობილი,¹² ასეთივე ტრაგიზმითაა აღსავსე გვარმიანთა საგვარეულო ისტორია, მასში მოთხრობილია ჩრდილო-კავკასიიდან გადმოსული მტრის მიერ 40 გვარმიანის ამოხოცვის ამბავი და ა. შ.

ეთნოგრაფიული მასალით, დალის ხეობელ ქართველთა ნაწილი განსახლდა ბალსქვემო სვანეთის სოფლებში. 10-მდე ქართულ საგვარეულოს სვანეთში შემოუნახავს ხსოვნა მათი წინაპრების დალის ხეობაში ცხოვრების შესახებ (გვარმიანების, ქალდანების, გურჩიანების, გერლიანების, სუბელიანების, ჩხვიმიანების... თითო შტო). საინტერესოა ამ საგვარეულოთა ტრადიცია: ლოცვის

⁶ Т. Н. Берадзе. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии. Тбилиси, 1989; გ. ლორთქიფანიძე, ზ. კვიციანი, გ. გერაძე. სვანეთი – ანტიკური ხანის საქართველოს ზარაფხანა. თბილისი, 2008.

⁷ გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტ. IV. ნაკვ., I. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1941, გვ. 236.

⁸ მ. ქალდანი. მიესიანეთისა და მიესიანთა ტომის ვინაობის საკითხისათვის.– აფხაზეთის მოამბე, 1999, №2-3.

⁹ გ. ათანელაშვილი. სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში, თბილისი, 1959; გ. გასვიანი. ბიზანტია-ირანის ბრძოლა ვერის-სვანეთის გამო.– ქართული დიპლომატია, წელიწადი. II. თბილისი, 1995; ა. გელოვანი. დასავლეთ საქართველოს მთიანეთი (სვანეთი) XIX საუკუნეში. თბილისი, 2003.

¹⁰ ბ. ხორავა. აფხაზეთის სამთავროს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების საკითხისათვის გვიან შუა საუკუნეებში.– ჟურნალი „არტანუჯი“, 2000, №10, თბილისი.

¹¹ А. А. Иессен. Деген-Ковалевский Б. Е. Из истории древней металлургии Кавказа. ОГИЗ. М.-Л., 1935. გვ. 319-323.

¹² სვანური პროზაული ტექსტები. ბალსქვემოური კილო. II. თბილისი, 1957, გვ. 242-245.

რიტუალის დასრულების შემდეგ, რომელიც სრულდება ეკლესიებში, ან სახლებში – სალოცავ კუთხედ გამოყოფილ აღმოსავლეთის სარკმელთან, მლოცველები შემოტრიალდებიან ჩრდილო-დასავლეთისკენ, დალის ხეობის მიმართულებით და ლოცვას ადავლენენ დალში მდებარე სალოცავების (შყერის წმიდა გიორგის ეკლესია, აჯარის წმ. გიორგის ეკლესია...) სახელზე, რომელთა მრევლნიც ყოფილან მათი წინაპრები დალის ხეობაში ცხოვრების დროს.¹³ ეს ფაქტი მრავლისმეტყველია და იგი ასახავს არა მხოლოდ ქართველ მთიელებში დღემდე არსებულ ძლიერ რელიგიურ მუხტს, არამედ ქართველთა ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობის უფლებასაც ხეობაზე.

მრავლისმეტყველია ფაქტი, რომ კოდორის ხეობის მთის საბალახოებით სარგებლობისათვის აფხაზი მეჯოგეები XIX საუკუნის 40-იან წლებამდე გადასახადს უხდიდნენ ბალსქვემო სვანეთის მთავრებს, დადეშქელიანებს. რუსეთის მიერ საქართველოს პირველი ოკუპაციის შემდეგ აფხაზებმა გადასახადების გადახდა შეწყვიტეს, რასაც მოჰყვა არაერთი შეტაკება სვანეთის სამთავროსა და აფხაზებს შორის. რასაკვირველია, რუსეთის ბატონობის დროს არც აფხაზები იყვნენ დალხენილ დღეში. 1867 წელს ხელისუფლებამ აყარა და ოსმალეთში გადაასახლა წებელის მოსახლეობის დიდი ნაწილი და დალის მხარეში ჩასახლებულ აფხაზები. გაჩნდა ე.წ. თავისუფალი მიწის ფონდი, სადაც ხელისუფლება ასახლებდა მხოლოდ რუსებს, რომლებიც დამკვიდრდნენ „ლათაში, აჟარაში, გენწუიში... დაწესდა რუსული მონასტრები, ეკლესია“.¹⁴ XIX საუკუნის დასაწყისიდან დაწყებული პროცესი – ქართველების დაბრუნება ისტორიულ საცხოვრისში – გაძლიერდა 60-იანი წლებიდან, რასაც მკვეთრად ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლება.¹⁵ ქართველებს არ აძლევდნენ სოფლებში დასახლების უფლებას, რის გამოც სვანებმა ტყეების გაკაფვას მიჰყვეს ხელი. პირველმოსახლეთა ოჯახები 5-6 წლის განმავლობაში ტყეებში ცხოვრობდნენ. ქართველებს თავისუფალი მიწების დამუშავების ნება არ ეძლეოდათ.

ქართველთა ჩასახლებით დალის მხარეში აღდგა ქართული ტოპონიმები, რომელთა ეტიმოლოგია ახსნადი მხოლოდ სვანური მეტყველებითაა: ბოკერი, ბუჩყური, ბუძური, გენწვიში, ლაგვანა, ლათა, დალი, ჩხალთა, ჩახარი, გვანდრა, აჟარა, აძგარა, ტვიბრაშერი, ხეწკვარა, ხუტია, შიყერი, ნაჰარი...¹⁶

მიუხედავად სიძნელებისა, 1926 წლის მონაცემებით, ხეობა მთლიანად ქართველებითაა (სვანებით) დასახლებული: „ასივე პროცენტი სვანებია, ვინაიდან თანდათანობით რუსობა გადასახლდა დალიდან და მათი ადგილები შეისყიდეს სვანებმა. ამ მდგომარეობას ხელი შეუწყო იმპერიალისტურმა ომმა და რევოლუციამ“.¹⁷ ლათის ქვემო სოფლებში კი შერეული მოსახლეობა იყო: 34% – ქართველები, 9% – აფხაზები, 4% – რუსები, 3%.¹⁸

ქართველები დიდხანს მოკლებული იყვნენ საგანმანათლებლო და სამკურნალო დაწესებულებებს. მეურნეობის მთავარ დარგებად ჩამოყალიბდა მესაქონლეობა, მიწათმოქმედება, მეფუტკრეობა. გაშენდა ხეხილი. ტრადიციული ყოფა მცირედით

¹³ ვ. ბარდაველიძე. ქართულ (სვანურ) ხალხურ დღეობათა კალენდარი. I. ახალწლის ციკლი. ტფილისი, 1939, გვ. 60-61.

¹⁴ ი. ასლანიშვილი. აფხაზეთის სვანეთი. 1926 წლის მოგზაურობის მიმოხილვა 25 სურათით და რუკით ტექსტში, ტფილისი, 1933, გვ. 16.

¹⁵ მ. ქაღანი. მივსიანეთისა და მივსიანთა ტომის ვინაობის საკითხისათვის.– აფხაზეთის მოამბე, 1999, №2-3, გვ. 58.

¹⁶ მ. ქაღანი. მივსიანეთისა და მივსიანთა ტომის ვინაობის საკითხისათვის.– აფხაზეთის მოამბე, 1999, №2-3; თ. მიბჩუანი. აფხაზეთის ტოპონიმთა კრებული „აფხაზეთის ისტორიის პრობლემები“, თბილისი, 1998; თ. მიბჩუანი. დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან. თბილისი, 1989.

¹⁷ ი. ასლანიშვილი. აფხაზეთის სვანეთი. 1926 წლის მოგზაურობის მიმოხილვა 25 სურათით და რუკით ტექსტში, ტფილისი, 1933, გვ. 10-20.

¹⁸ ი. ასლანიშვილი. აფხაზეთის სვანეთი. 1926 წლის მოგზაურობის მიმოხილვა 25 სურათით და რუკით ტექსტში, ტფილისი, 1933, გვ. 10.

თუ განსხვავდებოდა სვანეთის ეთნოგრაფიული რეალიებისაგან და მხარის სახელად დამკვიდრდა „დალის სვანეთი“.

საბჭოთა პერიოდში კოდორის ხეობა სხვადასხვა ადმინისტრაციულ საზღვრებში შედიოდა: 1930 წელს იგი სოხუმის მაზრის შემადგენლობაშია აქარის სას. საბჭოს სახელით; 1977 წელს კი უკვე გულრიფშის რაიონშია მოქცეული აქარის სას. საბჭოს სახელით.¹⁹ 1991 წლიდან დალის ხეობა გულრიფშის რაიონის აქარის თემს ეკუთვნის. აფხაზეთში მიმდინარე საომარი პროცესების დროს ეს მხარე დიდად დაზარალდა. მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი დაიღუპა საქართველოს ტერიტორიული ერთიანობისათვის მიმდინარე ბრძოლებში. მხარის სოციალური რეაბილიტაცია დაიწყო 2006 წლიდან და 2007 წელს სამხქანო გზა იქნა გაყვანილი დალის ხეობიდან ჭუბერის თემამდე. სახელმწიფომ დალის ხეობას „ზემო აფხაზეთი“ უწოდა. შეიქმნა აქარის (ზემო აფხაზეთი) მუნიციპალიტეტი. ამოქმედდა ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, მოქმედებდა 3 საჯარო და 6 დაწესებულება საფეხურის სკოლა, რომლებიც გენწვიშის საჯარო სკოლაზე იყვნენ მიბმულნი. 2008 წლის 1 აპრილის მონაცემებით ზემო აფხაზეთის საჯარო სკოლებში სწავლობდა 292 მოსწავლე, ხოლო დასაქმებული იყო 89 პედაგოგი და ტექნიკური პერსონალი. კოდორში ფუნქციონირებდა საავადმყოფო

რეაბილიტაციის პარალელურად საქართველოს ხელისუფლებამ გააუქმა ბატალიონი „მონადირე“ და განაიარაღა ადგილობრივი ქართველები, რომლებიც ათწლეულების განმავლობაში იცავდნენ მშობლიურ მხარეს სეპარატისტული რეჟიმისაგან. 2008 წლის ტრაგიკულ მოვლენებამდე დალის მხარეში ცხოვრობდა 929 კომლი. 2008 წლის აგვისტოში დალის ხეობა ქართველებისაგან დაიცალა. დევნილები რამდენიმე წლის განმავლობაში მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობდნენ.

დალის მხარის სოფლები მდინარე კოდორისა და მისი სათავეების (საკენი, გვანდრა) ნაპირებზე მდებარეობს. მდინარე საკენის ხეობაში ყველაზე მაღლა მდებარე სოფელია საკენი, მის ქვემოთ ომარიშარაა. მდინარე გვანდრას ხეობაში სოფელი გვანდრაა გაშენებული. მდინარე კოდორზე ყველაზე მაღლა სოფლები – მარჯვენა და მარცხენა გენწვიში მდებარეობს. უფრო ქვემოთ, მდინარეებიდან მოშორებით, არის პატარა სოფელი ხუტია. მდინარე კოდორის მარჯვენა ნაპირზე, ზემო და ქვემო აქარა/აჯარაა, მარცხენა ნაპირზე კი სოფელი მრამბაა. მდინარე ჩხალთის კოდორთან შესართავში, ორივე მდინარის მარჯვენა ნაპირზე განლაგებულია სოფელი ჩხალთა. უფრო ზემოთ, მდინარე ჩხალთის ხეობაში არის სოფლები მარჯვენა და მარცხენა პტიში. სოფელ ჩხალთის ქვემოთ, კოდორის მარცხენა ნაპირზე სოფელი შაბათკვარა, მარჯვენა ნაპირზე კი სოფელი ქვაბჩარაა. უფრო ქვემოთ ზემო ლათაა, რომელიც საკუთრივ სოფელ ლათას ესაზღვრება. ლათას ქვემოთ მდინარე კოდორის ხეობა ვიწროვდება, ის ბაგადას ვიწროებში შედის და ამ ვიწროებთან დალის ხეობაც სრულდება.

დალის ამა თუ იმ სოფლის დასახლების ტიპი და კარ-მიდამო გაფანტული სახისა. მოსახლეობა ერთმანეთისაგან საკმაოდ დაცილებულ მანძილზე ცხოვრობს. საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი განცალკევებით, პორიზონტალურ ჭრილშია წარმოდგენილი. კარმიდამოს ცენტრში საცხოვრისია, საცხოვრისის უკან კი – სამეურნეო ნაგებობები. ტყით მდიდარ მხარეში ხითხურობისთვის შესანიშნავი პირობები არსებობდა და სახლები, ძირითადად, ხისაა. ძველად, ძირითადად, მორებისაგან შეკრული სახლები იგებოდა, თანდათანობთ დაიწვეს თლილი ფიცრებით მშენებლობა. დამხმარე სამეურნეო ნაგებობები კი ისევ მორებისაგან შენდებოდა. საქონელი განთავსებული იყო ბოსელში. თივის მარაგი ინახებოდა ე. წ. დარბაზში, რომლებიც, უმრავლეს შემთხვევაში, ბოსლის მეორე სართულზეა აგებული, ზოგჯერ კი დარბაზი დამოუკიდებელი ნაგებობაცაა. მდინარეებით უხვად დაქსელილ სოფლებში

¹⁹ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1977 წლის 1 იანვრისათვის. გამოცემა მეოთხე, თბილისი, 1977.

გამართული იყო წყლის წისკვილები. კარ-მიდამოებს ამკობდა ბალები და ბოსტნები. სახნავი და სათიბი მიწები საცხოვრებლებისაგან მოშორებით მდებარეობდა. დალის მხარე განთქმულია სათიბებისა და საძოვრების სიმრავლით. თითქმის ყველა სოფელს ჩამოუდის სვიმ-ები – სამკურნალო თვისებების მინერალური წყლები (აძგარა, საკენი, ხეცქვარა//ხეწკვარა, ბასქასარა, ყულუჩი...). სოფლებისაგან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს საზაფხულო იალაღები, რომელთა შორის განსაკუთრებით გამორჩეულია **ხვარაში**. დალის ქართველთა კულტურულ-სამეურნეო ყოფა დასავლურ-ქართული **მთური სამეურნეო კულტურის ნაწილია**. მეურნეობის წარმართვა მჭიდროდ უკავშირდებოდა რელიგიურ კალენდარს. მდიდარი საძოვრები და სათიბები შესაძლებლობას იძლეოდა ყოველ ოჯახს ჰყოლოდა საქონელი. მესაქონელობის პროდუქცია უზრუნველყოფდა ოჯახს ხორციით, რძის ნაწარმით, ცხიმით, მატყლით, ტყავით. ხარი იყო მუშა პირუტყვი ტრაქტორების გავრცელებამდე. ძველად დიდი რაოდენობით ჰყოლით ცხენები, ჯორები, ვირები, რომელთაც ტრანსპორტირებისა და ტვირთის გადაზიდვისთვის იყენებდნენ. ყოველ სოფელს აქვს თავისი „მთა“, ტყისა და ალპური ზონის საზღვარზე, სადაც გამართულია იყო საზაფხულო სადგომები – კარვები და საქონლის ბაკები. საქონელი საზაფხულო იალაღზე ჰყავდათ მაისის ბოლოდან 15 სექტემბრამდე. ხარებს უფრო მაღლა, ალპურ ზონაში უშვებდნენ და ორ კვირაში ერთხელ მათ მამაკაცი ააკითხავდა, რომელსაც თან ქვა-მარილი (სალოკი მარილი) მიჰქონდა საქონლისათვის. ზოგიერთ „მთას“ ისეთი ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები გამორჩეულა, რომ თვით მის ტერიტორიაზევე რამდენჯერმე იცვლიდა მესაქონლე ბინას საძოვრების აცოლებით. იალაღებზე ამზადებდნენ დიდი რაოდენობით სულგუნს და იმარაგებდნენ ყველს ზამთრისათვის („ნარჩვ“). ძველად სასულგუნეც ხისა იყო და სულგუნის კალაპოტიც ხისგან მზადდებოდა. საწურიც ხისგან მზადდებოდა. ჰყავდათ როგორც ადგილობრივი ჯიშის, ასევე, ჩრდილო კავკასიიდან გადმოყვანილი პირუტყვიც. საქონლის ნაყოფიერებას **წმიდა ბარბარეს** ავედრებდნენ. სათიბები ივლისსა და აგვისტოში, მეორე ნათიბი კი სექტემბრისთვის ითიბებოდა. თივას ზვინებად დგამდნენ და შემდეგ სათიბეში (დარბაზ) ათავსებდნენ, ნაწილს ადგილზეც ტოვებდნენ, ზვინად დაგმულს, ან ხეზე შემოკრულს. თივასთან ერთად, საქონლის საკვებად გამოიყენებოდა ჩალა, ბზე, ნეკერი. თიბვის პროცესს წინ უძღოდა **სათემო ლოცვა**. სახნავ-სათესი სავარგულებში დიდი ადგილი ეკავა პურეულ კულტურებს (ათამდე სხვადასხვა ჯიშის ხორბალი ითესებოდა), სიმინდს და კარტოფილს. თესავდნენ ფეტვს, ბარდას, ცერცვს, ოსპს, შერიას, ჭვავს, ქერს, მუხუდოს, კანაფს. ხვნას იწყებდნენ ადრე გაზაფხულზე, თოვლის გადნობისთანავე, ნაკვეთის განოყიერების შემდეგ. ხნავდნენ რკინის სახნისით, უღელი ხარით. თესავდნენ ადგილობრივი ჯიშის მარცვლეულს, რომელსაც ზოგჯერ აახლებდნენ ზემო სვანეთიდან გადმოტანილი თესლით. ხვნის დაწყების წინ, ასევე თესვის წინ ზოგიერთი ოჯახი ატარებდა **სპეციალურ ლოცვას**. მოსავლიანობის ამადლებას, მიწის ხელოვნურ განოყიერებასთან ერთად, მიწის დასვენებითა და მარცვლეულ კულტურათა ციკლური თესვითაც აღწევდნენ. დათესილ ნაკვეთს ფარცხავდნენ. ამოსულ ჯეჯილს გამარგლავდნენ, გასათოხნს გათოხნიდნენ. მოსავლის აღების დროს ხშირად ნადი იკვრებოდა. დალის ხეობაში დამხმარე მეურნეობის მეტად განვითარებულ დარგს წარმოადგენდა მეფუტკრეობა. განვითარებული იყო მეფუტკრეობა, რასაც აპირობებდა ხელსაყრელი ბუნებრივი გარემო, თაფლოვანი მცენარეებით მდიდარი ფლორა და ფუტკრის ენდემური ჯიში – კავკასიური მთური ნაცრისფერი ფუტკარი. კოდორის ხეობელებს თაფლი და ცვილი გაჰქონდათ სვანეთში, სამეგრელოში, სოხუმში, ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში. მეფუტკრე ერთ გეჯა თაფლს სწირავდა ღვთისმშობლის ეკლესიებს ყოველ მარიამობას. საერთოდ, სამეურნეო მენეჯმენტი რელიგიური წეს-ჩვეულებებით იყო გაჯერებული. ტრადიციული მეურნის აზრით, ადამიანისა და ბუნების ჰარმონიული თანაარსებობისათვის აუცილებელია საეკლესიო კალენდრის გათვალისწინება. კარგ დარსა და მოსავლის ავი დარისაგან დაცვას „**მაღალ ღმერთს**“ და ელია

წინასწარმეტყველს ავედრებდნენ, ასევე, კონკრეტულად, ბალსქვემო სვანეთში მდებარე კაიშის მთავარანგელოზის ეკლესიას. წინასწარ იყო დათქმული უქმე დღეების დაურღვეველობაც. მოგზაურობის დაწყების წინ და დასრულების შემდეგ მადლობას სწირავდნენ წმიდა გიორგის. ეკლესიას ძღვენს სწირავდნენ.

ბოლო დრომდე ზრუნავდნენ ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებისთვის: იკრძალებოდა ტყეების მასობრივი გაჩეხვა. ეწინააღმდეგებოდნენ მდინარეებისა და ტბების დაბინძურებას. არეგულირებდნენ თევზჭერის ზომიერების ბალანსს. კალმახის რაოდენობის შემცირებისთანავე სოფელი იკრიბებოდა სალოცავ ცენტრში და იღებდა თევზაობის გარკვეული დროით შეწყვეტის გადაწყვეტილებას, თევზის ხელახალი გამრავლების შემდეგ კი აკრძალვას აუქმებდნენ. მრავალფეროვანი იყო ნადირობასთან დაკავშირებული აკრძალვების ჩამონათვალიც. გარემო ბუნებრივი პირობების ცოდნა ყოფის ყოველ ნიუანსში შეინიშნებოდა, მაგალითად, ტრადიციულ ეკოლოგიურ ცოდნას ზიარებული მოსახლეობა ამბობს, წყაროს თუ კარგი გემო აქვს, კარგი დარი იქნება, თუ ცუდი – უთუოდ გაავდრდებაო.

დალის მხარეში არსებობდა **სოლიდარობის მდიდარი ტრადიციები**: მატერიალური შესაწევრი, შრომითი დახმარება. მაგალითად, სახლის მშენებლობას წინ უძღოდა საშენი ხე-ტყის მოჭრა, დამზადება. ამ საქმეში ოჯახს მთელი სოფელი ეხმარებოდა. მატერიალური შესაწევრის გაღება ახლდა ყოველ ღვინსა და ჭირს. ქვრივ-ობლებზე, თუკი მათ ახლო ნათესავი არ დარჩებოდათ, სოფელი ზრუნავდა.

დალის ხეობაში „აქიმობის“ ტრადიცია გააგრძელეს იმ საგვარეულოებმა, რომელთაც მსგავსი გამოცდილება უკვე ჰქონდათ სვანეთში ცხოვრებისას. „აქიმები“, ემპირიულ-რაციონალურთან ერთად, **მაგიურ-რელიგიურ სამკურნალო საშუალებებსაც ითვალისწინებდნენ**. ამ მხრივ, მრავალფეროვანი მასალა შემონახულია ბავშვთა ინფექციურ დაავადებებთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებში. შავი ჭირით, ყვავილით და საერთოდ სახადებით დაავადებულთა მფარველად **წმიდა ბარბარე** ითვლებოდა. ხველებისა და გაცივების თავიდან ასაცილებლად ხვამლის წმიდა გიორგის ევედრებოდნენ, თვალის დაავადებების დროს კი იოანე ნათლისმცემელს. არსებობდა ეკლესიისათვის მიწის ნაკვეთის შეწირვის ტრადიცია ავადმყოფობის თავიდან ასაცილებლად ან მისგან განსაკურნებლად (**ლცხატ**). არსებობდა ე. წ. შეთქმული დღეების ტრადიციაც, როდესაც ღოცებდნენ ამა თუ იმ წმინდანის ან ეკლესიის სახელზე და მას ჯანმრთელობას შესთხოვენ. **ცნობილია**, ტრადიციული ქართველი კარგად ყოფნას და ავად ყოფნას რელიგიურ საფუძველზე განიხილავდა. კარგად ყოფნა, სიკეთე – ადამიანის სულიერ სიმშვიდეს, ხოლო ავად ყოფნა, ბოროტება – ადამიანის სულიერ აფორიაქებას გულისხმობდა,²⁰ ამიტომ ტრადიციული მლოცველი ავადმყოფის „**კარგი გუნება-განწყობისათვის**“ (**ხოჩა გვი-ბუნაბ**) **სპეციალურ ღოცებს ადევლენდა**. ამგავრი ღოცვა განსაკუთრებით აღევლინებოდა გაბრიელ მთავარანგელოზის სახელზე. ღოცვის ამ რიტუალს განსაკუთრებით ასრულებდნენ ბენოს თემიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები, რადგან, სწორედ ბენოს თემის სოფელ გულში არის **გაბრიელ მთავარანგელოზის ეკლესია (გულა გაბრელ)**, სადაც სრულდება საჯანმრთელო ღოცვები და მრავალი სხვა რიტუალი.

დალის ხეობელ ქართველთა ნათესაობის სისტემა ტიპური ნიმუშია მართლმადიდებელი ქართველების ნათესაური სისტემისა და სტრუქტურისა. აქაც ოთხი ძირითადი სახეა ცნობილი: მამის ხაზით ნათესაობა (ავნატიკური), დედის ხაზით ნათესაობა (კოგნატიკური), სულიერი ნათესაობა (ნათელ-მირონი) და ხელოვნური ნათესაობის ტიპები. **ყველა ეს სახე შენარჩუნებულია დალის ქართველებში დევნილობის შემდეგაც**. ნათესაურ ჯგუფებს შიგნით ქორწინების აკრძალვა ახასიათებს თითქმის ყველა ქართულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ თემს/ჯგუფს და იგი განსაკუთრებით აქტუალურია დალის მხარის ქართველებისათვის. ქორწინება აკრძალული იყო არა მხოლოდ მოგვარეთა შორის,

²⁰ ნ. მინდაძე. ქართული ხალხური სამედიცინო კულტურა. თბილისი, 2014.

არამედ დედის და ბებიების მოგვარებებთანაც კი, აგრეთვე, ნათელ-მირონით და ხელოვნური გზით დანათესავებულთა შორის.

მონადირეობას სვანეთში უძველესი ტრადიციები აქვს და დაღის ხეობელებიც განთქმული მონადირეები იყვნენ. საუკეთესო სანადირო ადგილად ითვლება **აძგარის მიდამოები**. მონადირეები ნადირობდნენ სეზონურადაც, ჯგუფურადაც და ინდივიდუალურადაც თანმხლები აღჭურვილობითა და წეს-ჩვეულებებით. ტყეებსა და კლდეებში ბინადრობდა არჩვი, ჯიხვი, დათვი, მგელი... ცნობილია, მონადირეობა ძველ საქართველოში მამაკაცის აუცილებელ „ხელობად“ ითვლებოდა, მას სამხედრო ვალდებულების სახეც კი ჰქონდა. სოციალური პრესტიჟის ერთ-ერთ გამოხატულებად დაღის მოსახლეობაში ბოლო დრომდე ითვლებოდა ნადირობა. მონადირეები ჯიხვზე და არჩვზე ნადირობდნენ. მგელზე ნადირობდნენ, ძირითადად, ზამთრობით, ამ დროს მშვიერი ნადირი სოფლის შემოგარენს ეჩვეოდა და მოსახლეობას დიდ ზარალს აყენებდა. დათვზე აგვისტოსა და სექტემბერში ნადირობდნენ. ნადირობდნენ ფრინველებზეც. კოლექტიურ ნადირობას ძირითადად ზამთრობით მისდევდნენ. დიდთოვლობისას მონადირეებს ხალხი შეჰყავდათ სანადირო ადგილებში, კლდეებიდან ჯიხვებს გამოდევნიდნენ ხევისკენ, სადაც ჩასაფრებულები იყვნენ დადარაჯებული. ჯიხვები ღრმა თოვლში ეფლობოდნენ. ნადირობდნენ უღრან ტყეებსა და ძნელად მისადგომ მთებსა და კლდეებში, სადაც მრავლად მოიპოვებოდა ჯიხვი, არჩვი, დათვი, მგელი, კვერნა... ნადირობდნენ ფრინველებზეც. მონადირეებს სპეციალური აღჭურვილობაც ჰქონიათ. მონადირეები ხშირად გარემო პირობების ფერის ტანსაცმელს იცვამდნენ. ნადირის მომკვლელს წილად ხვდებოდა ნანადირევის თავ-კისერი, თუ ნადირი რქოსანი იყო თავრიელი რქებითურთ. თავრიელი საპატიო იყო და მისი გაყიდვა არ შეიძლებოდა, დანარჩენი მონადირეები კი ნანადირევის ხორცს თანაბრად იყოფდნენ. **მონადირეები ნანადირევის რქებს ბოლო დრომდე სწირავენ ეკლესიებს მადლობის ნიშნად**. მრავალფეროვანია ნადირობასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები, მონადირე გულდასმით იცავდა წინაპართაგან მომდინარე, ტრადიციებსა და აღკვეთებს დაღის მხარეშიც. მონადირე, სანადიროდ წასვლამდე, გულმოდგინედ იცავდა **ადკვეთებს** და თუკი „სიწმინდე“ მოჯახში დაცული იყო, იგი ბედავდა სანადიროდ წასვლას. გამთენიისას საგზაღს უმძრახად აიღებდა და სოფლიდან გადიოდა. სანადირო ადგილებს მიახლოებული მონადირე **ლოცვას** ადავლენდა „**დიდი ღმერთის**“ – **სვე-ბედის მომნიჭებლის სახელზე**. ნადირობა რამდენიმე დღესაც გრძელდებოდა. მონადირე მოკლავდა თუ არა ჯიხვს ან არჩვს, გაატყავებდა, გულ-ღვიძლს ამოაცილიდა, შეწავდა და **ისევ ილოცებდა**. ამჯერად სამადლობელ **ლოცვას** ადავლენდა. შინ დაბრუნებული **ეკლესიას მიაშურებდა, თან მიჰქონდა სანთლები, ზედაზე, სეფისკვერები („ღემზირები“)** და **ღმერთს მადლობას შესწირავდა**. საღამოს კი ნათესავ-მეზობლებს ნანადირეზე ჰპატიუებდა.²¹

დაღის ხეობის ტრადიციულ ყოფაში განსაკუთრებით თვალსაჩინოა ჩვეულებითი სამართლის როლი. ჩვეულებითი სამართალი, აქაც, როგორც სვანეთში, **ქართული სახელმწიფო და კანონიკური სამართლის კორელაციის შედეგს წარმოადგენს და აგრძელებს 1801 წლიდან გაუქმებული ქართული სამართლის ტრადიციებს**. სვანეთსა და დაღის მხარეში ჩვეულებითი სამართალი ამჟამადაც სახელმწიფო კანონების პარალელურად მოქმედი ინსტიტუტია, სადავო საქმეებს დღესაც მედიატორები („მოურავ/მორევ“) განიხილავენ წინაპართაგან მომდინარე

²¹ საგულისხმოა, რომ აფხაზურ წარმართულ რწმენა-წარმოდგენებში იკვეთება ქართული კულტურისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ანარეკლიც. მაგალითად, რამდენიმე ასეთი საყურადღებო პასაჟი იკვეთება დ. გულიას ნაშრომში „ნადირობის ღვთაებები და სამონადირეო ენა აფხაზეთში“ (Гулия Д., Божества Охоты и Охотничий Язык у Абхазов. Кэтнографии Абхазии. Сухум, 1926). ნაშრომში აღწერილია აფხაზეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში არსებული სამონადირეო წეს-ჩვეულებები, რიტუალები, რწმენა-წარმოდგენები, რაც შედარებულია ქართულ (სვანურ) მასალასთან. პარალელები განსაკუთრებით თვალსაჩინოა აფხაზური „აირგ“-ის შემთხვევაში, რომელიც, შესაძლოა, განხილულ იქნას **წმიდა გიორგის გახალსურებულ სახედ**.

სამართლებრივი ნორმების მიხედვით და მხოლოდ ჩვეულებითი სამართლით გამოტანილი „განაჩენის“ შემდეგ ითვლება ესა თუ ის პრობლემა გადაწყვეტილად. ჩვეულებითი სამართლის მთავარ მიზანს სისხლის აღების ადათის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოადგენს.

სადღესასწაულო წლიური ციკლი ტრადიციულ ქართულ ყოფაში ბარბარობით (4 (17) დეკემბერი) იწყებოდა და ასე იყო დალის მხარეშიც. ამ დღეს წმიდა ბარბარეს თვალის სინათლეს და ზოგადად, ჯანმრთელობას, ასევე საქონლის გამრავლებას შესთხოვდნენ. 25 დეკემბერს (7 იანვარს) ქრისტეშობას - „ქრისტეშობა“ - ზეიმობდნენ. წინა საღამოდან დაწყებული რიტუალები მთელი დღე გრძელდებოდა. დალის მოსახლეობა ასრულებდა აღილოზე ჩამოვლის ტრადიციასაც. იმართებოდა მიცვალებულთა მოხსენიების რიტუალიც - „ლიფანე“. 31 დეკემბერს (13 იანვარს) - „იეშხვამ“//„შეშხვამ“-ს მოსახლეობა წინასახალწლო რიტუალებით ეგებებოდა. მზადდებოდა საახალწლო ატრიბუტიკი, მოქმედებდა მეკვლის ინსტიტუტი. 1 (14) იანვარს ახალი წელი აღინიშნებოდა. დალის მოსახლეობის ის ნაწილი, რომლის წინაპარიც ბალსხემო სვანთიდან იყო გადმოსული, ამ დღეობას „ზომხას“ უწოდებს; ბალსქვემოელები კი - „კანდას“. 5 (18) იანვარი მძიმე მარხვა და უქმე იყო. ამ საღამოს („ადგომ“) იწყებოდა „ლიფანაღის“ რიტუალი. „ადგომ“-ის ღამეს ჭრიდნენ არყის ხეებს ტყეში „ლამპრობისა“ და მირქმის („სვიმნობ“) დღეობებისათვის. მეორე დღეს ნათლისღების დღესასწაული შემობრძანდებოდა - 6 (19) იანვარი. მას სვანები „განცხადაბ“-ს (ძველი ქართული ტრადიციით, „განცხადებას“ უწოდებენ. 2 (15) თებერვალი - მირქმაა - „სვიმნობ“. მეზვერისა და ფარისეველის კვირას - ლამპრობის//ლიჩედურაღის დღესასწაული აღინიშნებოდა. ხორციელის შაბათი, მიცვალებულთა მოხსენიების დღეა და სპეციალური „ლიფანეც“ სრულდება. ხორციელის აღების კვირა ხორციელის დაურწყების დღეა (აღაბ). ყველიერის კვირისთვის დამახასიათებელია ბერიკაობის ნაირსახეობის - გამურვის//ლიგუნაშელის - ტრადიცია. ყველიერის ორშაბათს, რომელსაც თეთრი ორშაბათი ჰქვია „ლოგუშედას“ რიტუალი სრულდება, სიმღერითა და თემის დალოცვით. ყველიერის ოთხშაბათს - ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი დღეობა იმართება. ყველიერის შაბათს სულთა მოსახსენიებელი „ლიფანეა“. ყველიერის კვირას - ყველიერის აღებაა. თევდორობა დიდმარხვის პირველი კვირას აღინიშნებოდა. დიდმარხვის მეორე ხუთშაბათი - იერუსალიმეთობის დღეობა იყო, მაგრამ ის, თითქმის დაკარგული იყო და ერთეულებსდა ახსოვდათ. დიდმარხვის შუა კვირის ოთხშაბათს მარხვის განზოგების რიტუალები სრულდებოდა. 25 მარტს (7 აპროლს) ხარებას („ხარაბ“) ზეიმობდნენ. მას „ბაიობა“//„ზობა“ მოჰყვებოდა. ვნების კვირა მძიმე კვირეული იყო. სჩვეოდათ ეზო-კარმიდამოს მორთვა ეკლიანი მცენარეებით. აღდგომა („თანაფ“) უდიდესი დღესასწაული იყო და ის მასშტაბურად აღინიშნებოდა. აღდგომის მოერე დღით კი საფლავეების კურთხევა - „ლიჯგრის“ და „ლიფანე“-ს რიტუალია, „ლიჯგრი დეშდიშ“ - კურთხევის ორშაბათია. კვირაცხოვლობას, აღდგომის მომდევნო კვირას („უფლიშ“) დიდი დღეობაა. 23 აპრილს (6 მაისს) - გაზაფხულის გიორგობა („ლიგერგი“) აღინიშნებოდა. აღდგომიდან მეორმოცე დღეს - ამადლებას („ანდლაბ“) ზეიმობდნენ. სულიწმიდის გარდამოსვლის წინა შაბათს ხვამლის წმიდა გიორგის სახელზე ლოცულობდნენ. სულიწმიდის გარდამოსვლის დღესასწაული - სულთმოფენობის დღეობა - „სინოხსნაბ“ მიცვალებულთა სულების მოხსენიებით აღინიშნებოდა. 24 ივნისი (7 ივლისი) - იოანე ნათლისმცემლის შობის დღესასწაული („ჯგირგანაშობ“) იყო. ამ დღეობაზე ბავშვების ჯანმრთელობას და თვალის ჩინის დაცავს ავედრებდნენ. პეტრე-პავლობის მარხვის დაწყებამდე - ჰულიშ//ულიშ-ობის დღეობა აღინიშნებოდა. 29 ივნისს (12 ივლისს) - პეტრე-პავლობაა („პარპულაშ“). ამ დღისათვის საკლავი იკვლებოდა, ყველისგულიანი დიდი ზომის ხაჭაპურები ცხვებოდა და ზედაშესთან ერთად შეიწირებოდა. მთელი სოფელი ერთობლივ ლოცვას მართავდა. 13 (26) ივლისს არის კრება მთავარანგელოზ გაბრიელისა და ამ დღეს სვანეთში, ბეჩოს თემში იმართება გულა გაბრელი-ის დიდი დღეობა და აქ

სალოცავად მიდიდოდნენ დაღის მხარის სვანებიც. 15 (28) ივლისი – წმიდა კვირიკესა და ივლიტას დღეობა – განსაკუთრებით მასშტაბურია სვანეთის კალის წმიდა კვირიკეს მონასტერთან გამართული კვირიკობა. („ლიგურკე“). დღეობას ესწრებოდნენ დაღის მცხოვრებნიც. კვირიკობის მომდევნო ხუთშაბათი – სვანეთში, ჰადიშში იმართება „ლიჩანიში“-ს დღეობა. დღესასწაულს ესწრებოდნენ კოდორელი სვანებიც, ვისი წინაპარიც იფარის თემიდან იყო ან იფარელთა ბადიში გახლდათ. 20 ივლისი (2 აგვისტო) – ილია წინასწარმეტყველის ხსენების დღეა – ელიაობა („ჰელობ“). 6 (19) აგვისტოს – ფერიცვალება („ფერცვლაბ“). ტრადიციული მოსახლეობა (უფრო ძველად) მხოლოდ ამ დღის შემდეგ მიირთმევედა ახალ ხილს, მას შემდეგ, რაც ხილს საფლავებზეც აკურთხებდნენ მიცვალებულთა სულებისათვის. 5 (28) აგვისტო – მარიამობა („ლიმრიე“). დიდი დღეობაა. საკურთხე გააქვთ საფალვებზეც. 8 (21) ნოემბერს – კრება მთავარანგელოზთა – მთავარანგელოზების სახელზე ლოცულობდნენ. ოქტომბრის რომელიმე ერთი კვირას ზოგიერთი აღნიშნავდა „კლახორა მიშლაღელის“ დღეობას. იგი სათემო ხასიათისა იყო და სოფლის მშვიდობიანობისთვის სრულდებოდა. 10 (23) ნოემბერი – გიორგობა („ლიგურგო“).

რუსეთის მიერ აფხაზეთის დიდი ნაწილის ოკუპაციის შემდეგ, დაღის მხარეში დაბრუნებულმა მარიამ და ლიდა გურჩიანებმა, რომლებიც სოხუმშიც საეკლესიო ცხოვრებით გამოირჩეოდნენ, სასულიერო პირთა დახმარებით საფუძველი ჩაუყარეს დედათა მონასტერს. აქვე ამოქმედდა მამათა მონასტერიც (მამა გიორგი გურჩიანი).

2008 წლის შემდეგ დაღის მოსახლეობის დიდი ნაწილი დევნილია. ზემო აფხაზეთში რუსეთის საოკუპაციო ჯარი ჩადგა (მარცხენა გენწვიშა და საკენში). ადგილზე დარჩენილია 40-მდე ქართული კომლი. ჭუბერიდან დაღის ხეობაში გადასასვლელი უღელტეხილი ჩაკეტილია, ამიტომ ერთადერთი გზა დაღის ხეობაში მოსახვედრად არის გულრიფშის რაიონიდან, ლათის მხრიდან. კოდორის ხეობაში საზოგადოებრივი ტრანსპორტი არ დაღის. სეპარატისტული ხელისუფლებამ ზემო აფხაზეთში ნადირობა აკრძალა და ტერიტორია გამოცხადებულია ნაკრძალად. დე-იურე აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ცნობით 27 ქართველი დასაქმებულია ადგილობრივ ჰიდროელექტროსადგურზე. დღეს ზემო აფხაზეთში არ მოქმედებს არც სკოლა და არც ეკლესია. შიყერის წმიდა გიორგის ეკლესია ღიაა, მაგრამ წირვა-ლოცვა არ აღევლინება. აგვისტოს ომის შემდეგ აჟარის მამათა მონასტრიდან გამოდევნეს ქართველი ბერები, ამიტომ იგი დაკეტილია. დღესდღეობით კოდორის ხეობაში, სოფელ მარცხენა გენწვისში მოქმედებს ახლად აგებული რუსული ეკლესია, იქ ქართველებიც ლოცულობენ, მაგრამ მხოლოდ დიდ დღესასწაულებზე.

2008 წლის აგვისტოს შემდეგ კოდორის ხეობიდან დევნილი მოსახლეობის დიდი ნაწილი თბილისსა და ქუთაისში დააბინავეს. დევნილები იმყოფებოდნენ სრულიად გაუსაძლის პირობებში: სკოლებში, საბავშვო ბაღებსა და სხვადასხვა დაწესებულებებში (მაგალითად, თბილისში „ენციკლოპედიის“, ამიერკავკასიის სახედრო ბაზის შენობაში, მინდელის ქუჩაზე, ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე, ვაშლიჯვარში, მეტრომშენის დასახლებაში და ა.შ.). წლების მანძილზე დევნილი მოსახლეობის დიდი ნაწილი დაკმაყოფილდა ბინით, მაგრამ 200-მდე ოჯახი დღემდე დახმარების მოლოდინშია. 2009-2010 წლებში დაიწყო დევნილების საქართველოს სხვადასხვა ადგილას ჩასახლების პროცესი, მათი გამოსახლება სასტიკი მეთოდებით ხდებოდა. დევნილი მოსახლეობის სამასმა ოჯახმა (975 სული) სახელმწიფოსაგან მიიღო ფულადი კომპენსაცია, 429 ოჯახი (1192 სული) ბინით უზრუნველყვეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

დაღის ხეობიდან დევნილი მოსახლეობის სულიერ და სოციალურ ცენტრად ჩამოყალიბდა თბილისში დაარსებული კოდორის მამათა მონასტერი. მონასტერი აშენდა თბილისში, 31-ე ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე. ეს ადგილი გახდა დაღის

ხეობელთა მანუგეშებელი საკრალური ცენტრი. სამწუხაროა, მაგრამ მონასტრის ეზოში უკვე გაჩნდა პირელი საფლავიც. აქ დაიკრძალა მორჩილი ილია (გურჩიანი).

დალის ხეობელები იზიარებენ ერთმანეთის ღვინსაც და ჭირსაც. სხვადასხვა ქალქებსა და რაიონებში გაფანტულნი, არ ივიწყებენ ტრადიციული ქართული ცხოვრების წესით სვლას. მათში დევნილობის დროსაც ცოცხალია ურთიერთდახმარების ფორმები და უკიდურესი გაჭირვების მიუხედავად, პირადი სამძიმრითა და მატერიალური შესაწირავით მხარში უდგანან გარდაცვლილის ოჯახს. ცდილობენ, ყოველი გარდაცვლილის დაკრძალვისას ითქვას სვანური სამგლოვიარო საგალობელი „ზარი“.

კომპაქტურად ჩასახლებულნი აღნიშნავენ **გიორგობის დღეობას**, ასრულებენ **მირქმის** და **“ლამპრობის/ლიჩედურალის” ტრადიციულ რიტუალებს**. იქ, სადაც, დევნილებს დახვდნენ ეკომიგრანტი სვანები, დევნილთა და ეკომიგრანტთა დღეობები გაერთიანდა.

ამრიგად, ნაშრომში წარმოდგენილია დალის ხეობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა. გამოვლენილია ადგილობრივ ქართველთა ტრადიციული ყოფის ძირითადი ელემენტები: კულტურულ-სამეურნეო რეალიები, რელიგიის გავლენა ყოფა-ცხოვრებაზე. წარმოდგენილია ხალხურ დღეობათა კალენდარი. აღწერილია დევნილთა განსახლების არეალი და ადაპტაციის პრობლემები, რელიგიის როლი დევნილთა კონსოლიდაციის საქმეში.

ჟურნალი „მწვემსი“ განათლების აქტუალური
პრობლემების შესახებ
(XIX საუკუნის II ნახევარი)

ჟურნალ „მწვემსი“ განხილული განათლებასთან დაკავშირებული საკითხები საკმაოდ მრავალფეროვანია. გამოქვეყნებულ სტატიებსა და კორესპონდენციებში წარმოჩენილია სკოლების ფუნქციონირებასთან, სწავლების შინაარსსა და მეთოდებთან, მასწავლებელთა კვალიფიკაციასთან, განათლების პოლიტიკასთან დაკავშირებული პრობლემური მხარეები და მოცემულია მათი დაძლევის რეკომენდაციები, რომელთა ნაწილს არც დღეისთვის დაუკარგავს მნიშვნელობა.

ქალთა განათლება. XIX საუკუნის 90-იან წლებში აქტუალურ თემად რჩება ქალთა განათლებისა და ქალთა სასწავლებლების საკითხი. ამ პრობლემას საგანგებოდ მიექცნა რამდენიმე კორესპონდენცია და სტატია. მათში საკვანძო პრობლემებად გამოიყოფა ქალთა სასწავლებლების დაფინანსება, შემოწირულობების რაციონალურად გამოყენება. სტატიიდან – „იმერეთის ეპარქიის სამღვდელთა დეპუტატების XXXII კრება“ ჩანს, რომ ქუთაისის ქალთა სასწავლებლის წინაშე გადაულახავ პრობლემად იდგა შენობის კეთილმოწყობა და პანსიონის გახსნა. პუბლიკაციიდან ვგებულობთ, რომ სასწავლებელს საკმარის დახმარებას უწევდა, როგორც იმერეთის ეპარქია (1893 წლისთვის გამოყო 45000 მანეთი), ისე კერძო პირები. სისტემატურად გაწეული ფინანსური დახმარების მიუხედავად, სასწავლებლის ძირითად პრობლემას წარმოადგენდა შეზღუდული მატერიალური რესურსი (ფართი, საკლასო ინვენტარი), რის გამოც დირექცია ვერ აკმაყოფილებდა სწავლის მსურველთა გაზრდილ რაოდენობას. კრების მონაწილენი სერიოზულ ბრალდებას უყენებდნენ სასწავლებლის დირექციას, აკრიტიკებდნენ სახსრების არაეფექტურად ხარჯვისთვის: „იმედია ახლა მაინც გამოიცდება სამღვდელთა და სასწავლებლების საქმეს კარგად დააკვირდება და შეკრებილ ფულებს რიგიან განსაზღვრულ გზას მისცემს. ჩვენ მაინც კიდევ ვიტყვი, პატრონი რომ იყოს, იმ ფულით, რამდენსაც სამღვდელთა ხარჯავს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელზე, ორ ამისთანა სასწავლებელს შეინახავდა კაცი და საქმეც რიგიანად წავიდოდა“.¹

სასწავლებელთა ნაკლებობა. ჟურნალი „მწვემსი“ საკმარის ადგილს უთმობდა სასულიერო სკოლების ნაკლებობით გამოწვეული პრობლემების წარმოჩენას. ამ მიზეზით არაერთი უნარიანი, მოწადინებული მოსწავლე რჩებოდა ელემენტარული განათლების გარეშე. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალიდან ირკვევა, რომ ასეთი შემთხვევები განსაკუთრებით ხშირი იყო იმერეთსა და სამეგრელოში, და ეს მაშინ, როდესაც საზოგადოებას სულ უფრო მეტად ჰქონდა შეგნებული განათლების აუცილებლობა – „ყველამ იცის, ვინც კი აკვირდება აწინდელ მდგომარეობას ჩვენის ყოფა-ცხოვრებისას, რომ სწავლის სურვილი ჩვენში დღე-დღეზე მატულობს. ეს სურვილი ყველას ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. ყველამ იცის დღეს, რომ ჩვენის აწინდელის, თუ მომავალის ბედნიერების უმთავრესი სახსარი, უპირველესი საშუალება, ნამდვილი და ჭეშმარიტი გზა ჩვენის კეთილდღეობისა არის სწავლა“.²

ქართველი სამღვდელთა დაქინებით მოითხოვდა საეკლესიო

¹ ჟურნალი „მწვემსი“, 1893, №14, გვ. 4.

² ჟურნალი „მწვემსი“, 1893, №22, გვ. 12.

სასწავლებლების რიცხვის გაზრდას, რადგან მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა ვერ ახერხებდა აუცილებელი რელიგიური ცოდნის მიღებას, რაც ეკლესიის მსახურთა ავტორიტეტზე უარყოფითად მოქმედებდა და ამასთან, რეალურად აფერხებდა მათ სამოღვაწეო ასპარეზს.³

სამრევლო სკოლები. დაწყებითი სკოლების დეფიციტს რამდენადმე ავსებდა საეკლესიო-სამრევლო სკოლების ქსელის გაფართოება, რაც ქართველი სამღვდელოების ძალისმხვეით მოხერხდა. სკოლების გახსნა და მათზე მეთვალყურეობა სასულიერო უწყების მოვალეობად იქცა, რითაც სამღვდელოებისა და საეკლესიო სწავლების როლი ხალხის განათლების პროცესში მნიშვნელოვნად იზრდებოდა. ქართველი სამღვდელოება არ გაურბოდა გაზრდილ პასუხისმგებლობას და ერთსულოვნად გამოთქვამდა მზადყოფნას საკუთარი ძალით გაძღოლოდა საეკლესიო განათლების გაფართოების რთულ და საპატიო საქმეს, იმ იმედით, რომ ფრთხილი პოლიტიკით შესძლებდნენ რუსიფიკატორული მიზნების შენელება-შეჩერებას.⁴

ამ და სხვა დადებითი შედეგების მიღწევის შესაძლებლობა კი მდგომარეობდა სამრევლო სკოლების ფიზიკურ სიახლოვეში ეკლესიებთან, ასევე სწავლების შინაარსობრივ კავშირში ქრისტიანულ აღმსარებლობასთან და თვით სამღვდელოების დეაწლში სასწავლებელთა წინაშე.⁵

ქართველი სამღვდელოების თაოსნობითა და გაბრიელ ეპისკოპოსის უშუალო ხელმძღვანელობით გაიხსნა ქუთაისის საეპარქიო ქალთა სასწავლებელი (1892 წელს), (ქუთაისის ეპარქიის სამღვდელოებამ ამ საქმისთვის 45 ათასი მანეთი გაიღო), საზოგადოება ამ გადაწყვეტილებას იმედით შეხვდა, რასაც დეკანოზ დავით ღამბაშიძის სიტყვებიც ადასტურებს: „მიუულოცავთ იმერეთის ეპარქიის სამღვდელოებას ამ სასიხარულო ამბავს და ვუსურვებთ, რომ სასწავლებელს მიენიჭებოთ ჩვენი მოზარდი ქალებისათვის ის გონებრივი და ზნეობრივი სწავლა-განათლება, რომელიც ასე საჭიროა დღეს მათთვის. ჩვენი აზრით ქუთაისში დედათა ეპარქიალური სასწავლებლის დაარსება სასიხარულოა არა მარტო იმერეთის სამღვდელოებისათვის, არამედ მთელი საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებისათვის...“⁶

სამღვდელოების როლს ხალხის განათლების საქმეში, მათ შესაძლებლობებს, სათანადოდ აფასებდნენ ცნობილი საზოგადო მოღვაწეები: ი. გოგებაშვილი ყურადღებას ამახვილებდა ეკლესიისა და ხალხის კავშირის განმტკიცების მნიშვნელობაზე, რაც საზოგადოების ზნეობრივი გაჯანსაღებისა და მისი განათლების საწინდარი უნდა გამხდარიყო. ამასვე თვლიდა ეკლესიის უპირველეს დანიშნულებად ს. მესხი. საკითხის გარშემო სწორ პოზიციას აყალიბებდა ქ. გელოვანი. მისი აზრით თანამედროვეობის მოთხოვნები მნიშვნელოვნად აფართოებდა ეკლესიის სამოქმედო არეალს, იმით, რომ

აკისრებდა ხალხის ზნეობრივი და გონებრივი მდგომარეობის, მისი ტრადიციული ყოფითი კულტურის გაუმჯობესების ამოცანებს: „სასულიერო უწყება ამ უკანასკნელ ხანებში გამოწვეულ იქმნა საერო განათლების ასპარეზზედ სამუშაოდ; იმათ დაედვათ ვალად იღვაწონ ერის გონებითი ამაღლებისა და განათლების შესახებ საერო სასწავლებლებში; მიენიჭათ კანონიერი უფლება, დააწესონ მათდამი რწმუნებულს მრევლში სამრევლო სკოლები, იკისრონ თვითონ მასწავლებლობა და ამ საშუალებით მოფინონ თავიანთ სამწყსოში როგორც რელიგიური სწავლა, მეცნიერება, აგრეთვე ცხოვრებაში აუცილებელი საჭირო სამოქალაქო სწავლა და გონების განვითარებაც...“⁷

³ ჟურნალი „მწვემი“, 1892, №7, გვ. 1.

⁴ ჟურნალი „მწვემი“, 1884, №16, გვ. 6.

⁵ ჟურნალი „მწვემი“, 1885, №25, გვ. 1.

⁶ ჟურნალი „მწვემი“, 1892, №7, გვ. 1.

⁷ ჟურნალი „მწვემი“, 1884, №22, გვ. 4.

საკუთარი ხარჯით გაუხსნია ორკლასიანი სკოლა ხარაგაულის მოძღვარ რომან დეკანოსიძეს;⁸ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე ასწავლიდნენ გლეხების შვილებს სოფლების: ხოვლეს მღვდელი გრიგოლ კავსაძე (ადგილობრივი დიაკვნის დახმარებით) და ა.შ.

სამწუხაროდ, ქართველი ხალხის უკიდურესად მძიმე მატერიალური მდგომარეობა არ იძლეოდა სათანადო რესურსების მობილიზების საშუალებას. სწორედ ამ მიზეზით ვერ მოხერხდა სოფელ ძმუისში (ქუთაისის მაზრა) სამრევლო სასწავლებლის გახსნა – ადგილობრივი მღვდლის მიხ. ჩიქვინიძის არაერთგზის მცდელობას, სოფელთა მეცადინეობას ფუჭად ჩაუვლია.⁹

უკეთესი მდგომარეობა არც რაჭა-ლეჩხუმსა და სვანეთში იყო. საქართველოს მთიან მხარეებში სამრევლო სკოლების ნაკლებობა, საერო სასწავლებელთა სიშორისა და სიძვირის გამო, მით უფრო მტკივნეულად იგრძნობოდა.¹⁰

სასოფლო სკოლების დეფიციტს მტკივნეულად განიცდიდა ზემო იმერეთის მოსახლეობა. ისინი კმაყოფილებით შეხედნენ საჩხერის მღვდლის აბესალომ ტყემალაძის ინიციატივას - დაეარსებინათ აქ საეკლესიო სასწავლებელი, რომელშიც სწავლების ენა მშობლიური იქნებოდა.¹¹ ქართული სასწავლებლის გახსნას, რუსიფიკატორთა ცნობილი ავანტიურის ფონზე, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამეგრელოშიც. ამ მხრივ დასაფასებელია სოფ. ხორგის (ზუგდიდი მაზრა) მღვდლის ნიკოლოზ დათუაშვილის მოქმედება (მან სკოლა საკუთარ სახლში განათავსა)¹² და სხვ.

მასწავლებელთა კვალიფიკაცია. განათლების ხარისხის გაუმჯობესებას XIX საუკუნის საქართველოში არაერთი გარემოება აბრკოლებდა. მათგან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პედაგოგთა დაბალი კვალიფიკაცია იყო. აქ პრობლემას ქმნიდა ორი, ერთმანეთის განმაპირობებელი ასპექტი: მასწავლებლების მომზადებისას და შერჩევისას საკმარისი ყურადღება არ ექცეოდა მათ აღჭურვას შესაბამისი თეორიული ცოდნით და პრაქტიკული უნრებით – „ამ სკოლებში (იგულისხმება საეკლესიო სკოლები) მასწავლებლად არიან უმეტესად ისეთნი პირნი, რომელთაც მარტო სასულიერო სასწავლებელში აქვთ სწავლა შესრულებული. სასულიერო სასწავლებელი, როგორც ყველამ იცის, მცირედენ თეორიულ სწავლასთან, თითქმის, არას აძლევს მათში კურსშესრულებულებს პრაქტიკულსა მასწავლებლობის ასპარეზზედ სამოქმედო...“.

მოქმედ და მომავალ მასწავლებელთათვის საყურადღებო მითითებებს (რჩევა-დარიგებებს) შეიცავს წერილი „ჩვენ მოძმეთა საყურადღებოდ“. ¹³ მასში გამოკვეთილია ძირითადი პრობლემა – მცირედენი თეორიული ცოდნით პედაგოგები ვერ შეძლებენ ხარისხზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვას. მეორე მხრივ, არ არსებობდა პედაგოგთა კვალიფიკაციის ამადლების სისტემა, რომელიც მასწავლებლებს საგნობრივი ცოდნისა და პროფესიული უნარების განახლება-გაუმჯობესებაში დაეხმარებოდა. ასეთ სავალალო ვითარებაში წარმატების საფუძველს წარმოადგენდა მასწავლებლის მზადყოფნა თავად ეზრუნა საკუთარი პროფესიონალიზმის გაუმჯობესებაზე. ამ თვალსაზრისით სტატიაში შემოთავაზებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია. უპირველესად, მასწავლებელი მუდმივად უნდა ესწრაფოდეს თვითგანვითარებას, ცოდნისა და პედაგოგიური უნარების განახლებას, სრულყოფას - „მასწავლებელთათვის თვითგანვითარება შეადგენს პირველს და უსაჭიროეს მოთხოვნილებას, რადგან მასწავლებელი, თუ თვითონ არ სწავლობს ისე მას რიგიანად არ შეუძლია ასწავლოს სხვას. რიგიანი არ არის ის მასწავლებელი, რომელიც მხოლოდ იმ

⁸ ჟურნალი „მწვემისი“, 1901, №20, გვ. 1.

⁹ ჟურნალი „მწვემისი“, 1902, №7, გვ. 11.

¹⁰ ჟურნალი „მწვემისი“, 1901, №6, გვ. 10.

¹¹ ჟურნალი „მწვემისი“, 1888, №17, გვ. 7.

¹² ჟურნალი „მწვემისი“, 1898, №2, გვ. 9.

¹³ ჟურნალი „მწვემისი“, 1893, №15-16, გვ. 12.

სულიერი საზრდოთი კმაყოფილება, რომელიც მან შეიძინა სასწავლებელში და ცხოვრებაში კი აღარ ცდილობს, რომ აღიმადლოს თავისი გონება და აცილდეს იმ წერტილს გონებითი წარმატებისას, რომელზედაც ის იდგა თავის მოვალეობის დასაწყისში...“

ამავე საკითხს არაერთხელ უბრუნდება ჟურნალი „მწვემსი“. სხვადასხვა პუბლიკაციებში აქცენტი კეთდება მასწავლებლის მიმართ წაყენებულ მოთხოვნათა ცვალებადობაზე, რაც თვით საუკეთესო და გამოცდილ პედაგოგებსაც უბიძგებს განვითარებისკენ. ეს პრობლემა კარგად არის წარმოჩენილი სტატიაში „თვით-განვითარება მასწავლებლისა“: – „მასწავლებელი უნდა სცდილობდეს, რომ სწავლის საქმეში გააუმჯობესოს თავისი თავი. მასწავლებლის თანამდებობა არის ცოცხალი ხელობა, ეს ხელობა თითქმის დღით-დღე ფერს იცვლის, ამ ხელობის ერთ კალაპოტში ჩაყენება არ შეიძლება. თუ ძველ ცოდნას ახალი არ ემატება ის მაშინ თავის სიახლეს და მიმზიდველობა კარგავს“.¹⁴

განათლების უწყვეტობა. მტკივნეულ საკითხად იქცა ქვედა საფეხურის სასულირო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა პერსპექტივა – სწავლა განეგრძოთ სასულირო სემინარიებსა და აკადემიებში. აღნიშნული პრობლემა დიდი ხნის მანძილზე რჩებოდა მოუგვარებელი. სასულიერო უწყებისგან არ იყო შემუშავებული სტრატეგია, რომელიც რამდენადმე მაინც უზრუნველყოფდა განათლების უწყვეტობას, შექმნიდა სტიმულს ახალგაზრდების წასახალისებლად, მათ დასაინტერესებლად, განეგრძოთ სწავლა და არ დაკმაყოფილებულიყვნენ მიღებული ცოდნით. ამის საპირისპიროდ, სულ უფრო იშვიათობად იქცეოდა ქუთაისის, გორის, თელავის და სხვა ქალაქების სასულირო სასწავლებელთა კურსდამთავრებულების მხრიდან თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლის გაგრძელების შემთხვევები. კიდევ უფრო პრობლემური იყო სემინარია დამთავრებულთაგან სწავლის გაგრძელება რუსეთის სასულიერო აკადემიებში. მაგალითად, 1893 წლისთვის არც ერთ კურსდამთავრებულს არ გაწევია რეკომენდაცია სასულიერო აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად.

ასეთი პრაქტიკა არ შეიძლება აიხსნას მოსწავლეთა უუნარობით, მათი დაბალი აკადემიური მაჩვენებლებით (საეკლესიო მმართველობა სწორედ ამ არგუმენტებს იშველიებდა). ჩვენი აზრით, პრობლემის სავსებით სწორ ინტერპრეტაციას გვთავაზობს ლუარსაბ ბოცვაძე, როდესაც აღნიშნავს, რომ, სინამდვილეში, ხელისუფლების მიზანს არ წარმოადგენს განათლებული ქართველი სამღვდელთა მომზადება და ეს საქმე შეგნებულად ბრკოლდება – „ჩვენ კუთხეს მომეტებულად ესაჭიროება უმაღლეს სასწავლებელში სწავლა დამთავრებულნი პირნი. ისეა დღეს ჩვენი ცხოვრება მოწყობილი, რომ ყოველად შეუძლებელია მარტო სემინარიის „კურსოვნიკებით“ წინ წავიდეთ. თუ აკადემიაში სწავლა-დამთავრებულნი არ გვეყოლნენ, ყველას შესამჩნევ ადგილებს სხვანი დაიკავენ და ჩვენ ხელცარიელი დავრჩებით...“¹⁵

როგორც ვხედავთ, ლუარსაბ ბოცვაძე სერიოზულ ბრალდებას უყენებს საეგზარქოსოს – სტუდენტებისთვის რეკომენდაციის არ გაწევა, პირდაპირ მიუთითებდა, რომ რუსული საეკლესიო მმართველობა არ იყო დაინტერესებული განათლებული ადგილობრივი სასულიერო კადრების მომზადებით. სხვაგვარად ვერ აიხსნება ის გარემოება, რომ წლიური კვოტა - ორი სტუდენტისთვის რუსეთის სასულიერო აკადემიებში სწავლის გაგრძელების საშუალება სახელმწიფო ხარჯით მიეცათ, ხშირ შემთხვევაში გამოუყენებელი რჩებოდა.

სწავლების მეთოდები და მასწავლებელთა პროფესიული მახასიათებლები. ჟურნალ „მწვემსი“ იბეჭდებოდა იმ დროისთვის უაღრესად პროგრესული მოსაზრებები პედაგოგიკის ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა, სწავლების ფორმები, ხერხები და მეთოდები, მოსწავლეთა მოტივაციის გამოწვევის საშუალებები, მასწავლებლის დანიშნულება, მათი როლი აღსაზრდელთა

¹⁴ ჟურნალი „მწვემსი“, 1893, №23, გვ. 6.

¹⁵ ჟურნალი „მწვემსი“, 1893, №23, გვ. 5.

აკადემიური წარმატებების მიღწევის პროცესში და ა.შ. ამ მხრივ საყურადღებო მსჯელობას შეიცავს ლუარსაბ ბოცვაძის სტატია „პედაგოგიური შენიშვნები სამრევლო სკოლის მასწავლებელთა საყურადღებოდ“.¹⁶

სტატიაში განხილულია პედაგოგიკის საკვანძო დებულებები და მოცემულია სასწავლო პრაქტიკასთან დაკავშირებული რეკომენდაციები. ლუარსაბ ბოცვაძე აქცენტს აკეთებს სწავლების ეფექტურობის განმაპირობებელ, მასწავლებლის პროფესიულ და პიროვნულ მახასიათებლებზე: ახალი მასალის გადაცემის უნარი, საგნის ცოდნა და ზოგადი ერუდიცია, ღვთის მოყვარეობა, საკუთარი და მოსწავლეთა ღირსების გრძნობა, მოთმინება – „ამაზე არის დამოკიდებული სკოლის ბელი და უბედობა“.

სტატიის ავტორი მასწავლებელთა მთავარ საზრუნავად თვლის სწავლების მეთოდების სწორად შერჩევას და მათ ეფექტურად გამოყენებას, რაც უშუალოდ განაპირობებს აღსაზრდელთა მიერ ახალი ცოდნის გააზრებას, მის შეგნებულად დაუფლებას.

მოსწავლეთა მოტივაციასა და მათ აკადემიურ მაჩვენებლებზე არანაკლებ გავლენას ახდენს მათდამი მასწავლებელთა ობიექტურობა და თანაბარი მომთხოვნელობა. საპირისპირო მაგალითები (არა გულწრფელობა, თვალთმაქცობა, ფარისევლობა და ა. შ.) მოსწავლეებს არასოდეს რჩებათ შეუნიშნავი – „ისინი უკვირდებიან მასწავლებელს და დაწვრილებით გამოიცნობენ და შეისწავლიან მის თვისებათა ხასიათს, თუ სიტყვებიდან არა – მისი მოქმედებითგან და განსაკუთრებით სწავლების დროს შემოდებულ წესებითგან. მოწაფეები ძალიან მალე გაიგებენ, რით ხელმძღვანელობს მასწავლებელი – მოწაფეების სიყვარულით, თუ თავის სიყვარულით, ღვთისმოშიშებით, თუ კაცთა სათნოებით, რის თანახმაც იქნება მისი მოქმედება სწავლების დროს“.¹⁷

მასწავლებლების წინაშე წაყენებულ მოთხოვნათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია საგნის საფუძვლიანი ცოდნა. როგორც მასწავლებლის განწყობა და დამოკიდებულება არ დარჩება შეუმჩნეველი მოსწავლეს, ისე, და, მით უფრო, პედაგოგის მოუმზადებლობა, თეორიული ცოდნის დეფიციტი, დაბალი ერუდიცია მყისიერად ფიქსირდება აღსაზრდელთაგან. ასეთ მასწავლებელს არ შეუძლია მოსწავლეებს მისცეს სათანადო ცოდნა ამა თუ იმ საგანში, ამავე დროს, არ ექნება ავტორიტეტი, დაკარგავს რა მოწაფეთა პატივისცემას.

აუცილებელ პედაგოგიურ უნართა შორის ლ. ბოცვაძე ასახელებს მოთმინების უნარს და მოსწავლეთა შესაძლებლობების რწმენას. სწორედ ამ უნართა დეფიციტი განაპირობებს ხოლმე ახალგაზრდა პედაგოგთა გულაცრუებას საქმისადმი. მასწავლებელმა ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდეს საკუთარ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, ქცევის მოტივები, შემეცნებითი შესაძლებლობები და გაკვეთილის დაგეგმვისას ითვალისწინებდეს ყველა ამ სპეციფიკურ მხარეს. ზოგჯერ, პედაგოგებს ზედმეტი მოლოდინები აქვთ საკუთარი მოსწავლეების მიმართ, თითქოს ჩქარობენ მიაღწიონ დასახულ, არცთუ იოლ მიზანს. სინამდვილეში, ასეთი პრაქტიკა გაუმართლებელია, ზოგჯერ საბედისწეროც. მოსწავლეები ვერ მიჰყვებიან სწავლების მაღალ ტემპს, უქვეითდებათ ინტერესი, კარგავენ მოტივაციასა და სტიმულებს. მეორე მხრივ, მასწავლებლებსაც ეუფლებათ იმედგაცრუება, ვერ აღწევენ რა განსაზღვრულ მიზანს.

ამ ვითარებაში დამნაშავე მასწავლებელია, რადგან ზუსტად ვერ განსაზღვრა მოსწავლეთა რეალური შესაძლებლობები და ინტერესი. „პირველ დაწყებითი სკოლების მასწავლებლების ყველა უმთავრეს თვისებათა შორის საპატიო ადგილი უნდა ეჭიროს მოთმინებას, მასწავლებელს გული არ უნდა მოსდიოდეს, თუ გონებით და ზნეობით წარმატება არ ამართლებენ მის მოლოდინს. ამით ბავშვები სრულიად არ ფიქრობენ შეურაცხყოფა მიაყენონ მასწავლებელს, არამედ ეს წარმოსდგება მათი

¹⁶ ჟურნალი „მწვემისი“, 1893, №14, გვ. 7.

¹⁷ ჟურნალი „მწვემისი“, 1893, №14, გვ. 7.

სუსტი ძალისა და მასწავლებლის პედაგოგიური უმეცრების ან დაუღვერობის გამო...“¹⁸

წარმატებული სასწავლო პრაქტიკა მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული სასწავლო პროცესის რაციონალურად დაგეგმვასთან. ლუარსაბ ბოცვაძე თანაბარ დატვირთვას ანიჭებს, როგორც უშუალოდ გაკვეთილის დაგეგმვას (გაკვეთილის ეტაპების, მეთოდების, სასწავლო რესურსების განსაზღვრა), ისე საგაკვეთილო ცხრილის შედგენას. სავსებით სწორია ავტორის ის შენიშვნაც, რომ მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს საგნის მომზადებისთვის საჭირო დროც – „როდესაც მასწავლებელი დაწვრილებით განსაზღვრავს კვირობით გაკვეთილების რიცხვს თითოეულ განყოფილებაში ყველა საგნებისა, მან უნდა მიაქციოს აგრეთვე ყურადღება, თუ რამდენი გაკვეთილი და რომელ საგნებში და რა დროს უნდა იმეცადინონ...“¹⁹

მასწავლებელმა უნდა წაახალისოს მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა. ამისთვის საკმარისი როდია მხოლოდ დამოუკიდებელ სამუშაოთა რაოდენობის განსაზღვრა, არამედ, მნიშვნელოვანია თვით ამ სახის დავალებათა შინაარსი. ლუარსაბ ბოცვაძე აყალიბებს რამდენიმე მოსაზრებას, რომელთა გათვალისწინებაც დადებით გავლენას იქონიებდა მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის დაგეგმვის და დავალებათა ტიპოლოგიების შერჩევის თვალსაზრისით. კერძოდ: ა) დამოუკიდებელი სამუშაო უნდა შეესაბამებოდეს მოწაფის გონებრივ შესაძლებლობებს და ხელს უწყობდეს მის განვითარებას. ამ თვალსაზრისით არაეფექტურია, როგორც იოლი, ისე ზედმეტად რთული დავალებების მიცემა, რადგანაც მოწაფეები ან ვერ შეასრულებენ სამუშაოს მასწავლებლის დაუსმარებლად და ან შეასრულებენ გონებრივი ძალების დაძაბვის გარეშე; ბ) დამოუკიდებელი სამუშაოს შესასრულებლად, ისევე როგორც, მოსწავლეთა პასუხების მოსასმენად და გასაანალიზებლად გამოყოფილი უნდა იყოს საკმარისი დრო; გ) მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობის პროცესი უნდა იქცეს გაკვეთილის შემადგენელ ნაწილად და ის არ უნდა წარმოვიდგინოთ დამატებით, მეორეხარისხოვან სასწავლო ეტაპად.

ერთ-ერთ მთავარ მეთოდოლოგიურ მოთხოვნად იქცა სწავლების შეგნებულობის პრინციპის გატარება. ნებისმიერი საკითხის შესწავლისას მოსწავლე მასალის შინაარსში უნდა ერკვეოდეს. სწავლების შეგნებულობის პრინციპი უპირისპირდებოდა იმ დროისთვის ჯერ კიდევ გაბატონებულ ზეპირობის პრაქტიკას, როდესაც მოსწავლეებს ევალებოდათ მასალის ცოდნა (სხარტი მოყოლა) და ნაკლები ყურადღება ექცეოდა საკითხის გააზრებას.

შეგნებულობის პრინციპი ლუარსაბ ბოცვაძესთან წარმოჩენილია რელიგიური განათლების მაგალითზე – „ყველაზე უფრო ბუნებრივს და მასთან ყველაზე უფრო ნამდვილ საშუალებას ბავშვის კეთილმსახურებაში აღზრდისათვის შეადგენს ლოცვები, მაგრამ, რომ ამ უკანასკნელს ჰქონდეს ჭეშმარიტად და ზნეობრივად აღმზრდელი მნიშვნელობა – საჭიროა ისე გამჯდარი ჰქონდეს ბავშვს გულში ლოცვის სიტყვები, რომ ლოცვის დროს იგი მარტო გაზეპირებულ სიტყვებს კი არ უნდა იმეორობდეს, არამედ, ყოველის გულით უნდა ამაღლდეს იქამდის, ვისდამიც მიქცეულია მისი ლოცვა, ამიტომ საჭიროა, რომ ლოცვის შინაარსი ცხადად და შეგნებულად წარმოდგენილი და ნაგრძნობი ჰქონდეს ბავშვს; საჭიროა, აგრეთვე, პირველად ისეთი ლოცვები ისწავლებოდეს, რომლის შინაარსი ადვილად წარმოსადგენია და საგრძნობი ბავშვისათვის“.²⁰

სწავლების შეგნებულობის პრინციპის განხორციელების მნიშვნელოვანი ასპექტია ახალი ცოდნის კავშირი უკვე არსებულთან. ეს სწორი პედაგოგიური მიდგომაა და სწავლების სისტემატურობასა და თანმიმდევრობას გულისხმობს. ლ. ბოცვაძის შენიშვნით - „მრწამსისა და ათი მცნების ახსნის დროს მასწავლებელმა

¹⁸ ჟურნალი „მწვემისი“, 1893, №14, გვ. 7.

¹⁹ ჟურნალი „მწვემისი“, 1893, №14, გვ. 8.

²⁰ ჟურნალი „მწვემისი“, 1893, №21, გვ. 5.

უნდა მოკლედ მაინც გაამეორებინოს მოწაფეებს საღმრთო სჯულითგან ყველა გავლილი მასალის შინაარსი, ამასთანავე ისარგებლოს ურთიერთშორის კავშირით, რომელიც არსებობს ათ მცნებას, საღვთო ისტორიას და შესწავლილ ლოცვებს შორის“. ²¹ მისი აზრით, მხოლოდ მეთოდთა ოპტიმალური შერჩევით, ცოდნის შეგნებულად დაუფლებით, სიტემური და თანმიმდევრული სწავლებით მიიღწევა სასკოლო განათლების მთავარი მიზანი – მოსწავლის სულიერი განვითარება და მისი შემეცნებითი ძალების სრულყოფა: „ყველა სასწავლო საგანს აზრად უნდა ჰქონდეს, რომ ბავშვს გაუძლიეროს მეტყველება, გაუღვიძოს გრძნობანი, წარმოდგენანი, გაუფართოს ცნობების ჰორიზონტი და შეუმუშაოს აზროვნება“.²²

სახელმძღვანელო, როგორც მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსი. ლუარსაბ ბოცვაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა სასკოლო სახელმძღვანელოებს. სახელმძღვანელო უნდა ითვალისწინებდეს მოსწავლეთა ასაკობრივ შესაძლებლობებს, მოთხოვნებს, ინტერესებს. ასევე, სავალდებულო მოთხოვნათა შორის, ის აყენებდა სახელმძღვანელოს მეთოდურ გამართულობას

სწორედ ამ პრინციპით გამოარჩევედა ლ. ბოცვაძე ი. იოსელიანის საღმრთო სჯულის სახელმძღვანელოს – „ეს წიგნი და ამისივე ლოცვანი მცირე სარგებლობას არ მოუტანს ჩვენურ სკოლებს, ამიტომ სასურველია მათი გავრცელება ჩვენს სკოლებში, მით უფრო, რომ ამ წიგნებს წინ მიუძღვის ვრცელი დარიგება საღმრთო სჯულის სწავლების შესახებ, სამაგალითო გაკვეთილებით, რომლებშიდაც ბევრ სასარგებლო რჩევას იპოვის საღმრთო სჯულის მასწავლებელი“.²³

რუსიფიკატორული საგანმანათლებლო პოლიტიკის მხილება. ჟურნალი „მწვემსი“ ქართველი სამღვდელოების შეხედულებებს, მათ პატრიოტულ განწყობებს გამოხატავდა და ეროვნული საკითხის მოგვარების სადარაჯოზე იდგა. ჭეშმარიტად პატრიოტული პოზიციით უპირისპირდებოდნენ „მწვემსის“ კორესპონდენტები და პუბლიცისტები რუსიფიკატორულ პოლიტიკას, რომელიც ქართველი ხალხის ასიმილაციას ისახავდა მიზნად.

სამწუხარო რეალობა კი იყო ის, რომ სასულიერო სასწავლებლებში, მათ შორის სემინარიებშიც, სადაც მომავალი სამღვდელოება მზადდებოდა, სულ უფრო უგულვებელყოფილი ხდებოდა ქართული ენა და საეკლესიო გალობა. „წარსულს წლებში მოწაფეებმა რამდენიმე ლექსი წაიკითხეს ქართულად, წელს კი მხოლოდ ერთი ლექსი წაიკითხეს ქართულად... შარშან ქართულად ბევრი საეკლესიო და ხალხური საგალობლებელი იგალობეს მოწაფეებმა, წელს კი ერთი საგალობელიც არ უგალობნიათ ქართულად“. ²⁴ – ასეთი შინაარსის კორესპონდენციები სიპტომატურია XIX საუკუნის 90-იანი წლების „მწვემსისთვის“.

ქართულ საეკლესიო გალობას უძველესი ისტორიული ტრადიცია აქვს. საქართველოს ეგზარქოსთა წაქეზებით უწმინდესმა სინოდმა სასულიერო სასწავლებელში ჯერ შეამცირა მისთვის განკუთვნილი გაკვეთილები, ხოლო შემდეგ რუსული გალობის შესწავლით ჩაანაცვლა. რუსულის უცოდინარობის გამო, აღსაზრდელთ ქართულ ენაზე რუსული ნოტებით ასწავლიდნენ გალობას. ასეთი პრაქტიკით მახინჯდებოდა და საერთოდ ისპობოდა ქართული საეკლესიო ბგერები, დაუნდობლად იდევნებოდა მშობლიური ენა, ეკლესია კარგავდა ეროვნულ ხასიათს. არადა, დეკანოზ დ. ღამბაშიძის განმარტებით, ქართულ გალობას განსაკუთრებული სიფრთხილითა და სიყვარულით ეპყრობოდა ხალხი, მონდომებით სწავლობდა მას და კარგი შესრულებით თავმომწონებოდა კიდევც: „იყო დრო, როდესაც საქართველოში დიდი ყურადღება ჰქონდა მიქცეული საეკლესიო გალობაზე მღვდელსაც და ერსაც. დიდსა და პატარას, თავადსა და გლეხს საქებრად მიანდათ

²¹ ჟურნალი „მწვემსი“, 1893, №21, გვ. 6.
²² ჟურნალი „მწვემსი“, 1893, №21, გვ. 6.
²³ ჟურნალი „მწვემსი“, 1893, №21, გვ. 6.
²⁴ ჟურნალი „მწვემსი“, 1893, №3-4, გვ. 5.

საეკლესიო გალობის ცოდნა, მაგრამ დღეს ჩვენმა ქართველებმა ამ საგნის შესახებ იცვალეს ფერი“.²⁵

ქართველი სამღვდლოების სამართლიან შემფოთებას იწვევდა საზოგადოებაში ფეხმოკიდებული სარწმუნოებრივი ინდიფერენტიზმი, რომლის აღმოფხვრასაც „კარგად გაწყობილ საეკლესიო გალობას და საეკლესიო წიგნების კარგად და გაგებით კითხვას“ უკავშირებდნენ.²⁶ სიტყვა „კარგად“-ში ქართველი სამღვდლოება ეროვნულ ელემენტს მოიაზრებდა, რომლის დასტურიც არის ქართველი ხალხის ეროვნული ღვთისმსახურებისადმი დიდი იტერესი – იმ ეკლესიებში, სადაც წირვა ღოცვა ქართულად ტარდებოდა ხალხი შესაშურ სარწმუნოებრივ გულმოდგინებას ამჟღავნებდა

ქართველი ერის დამქსახველი პოლიტიკის მხილება. ცარიზმის მორიგ მიზანს შეადგენდა სამეგრელოში, აფხაზეთსა და სვანეთში მღვდელმსახურების ადგილობრივ ენებზე წარმოება. ამის შესახებ ჟურნალ „მწვემსში“ ვკითხულობთ, რომ „ზოგიერთმა ვაჟბატონმა განიზრახეს თავის გამოჩენა და შეუდგნენ ქართული ენიდან მეგრულს ენაზე ღოცვების და ღვთისმსახურების გადათარგმნას. მათ კიდევ სცადეს ზოგიერთ ეკლესიებში ღვთისმსახურების შესრულება მეგრულს ენაზე. მაგრამ მლოცველები წყვეა-კრულვით სტოვებდნენ ტაძრებს, გარბოდნენ ეკლესიებიდან და ლანძღვა-გინებით იხსენიებდნენ მეგრულს ენაზე ღოცვების და ღვთისმსახურების მთარგმნელთ“.²⁷

თვითმპყრობელობა საქმის გაადვილების მიზნით უკვე გამზადებულ სლავურ საეკლესიო ენაზე შესრულებულ წიგნებს სთავაზობდა სამეგრელო-სვანეთის და აფხაზეთის მცხოვრებთ. ამრიგად, ამ კუთხეებში ქართული ეკლესია უნდა მოსპობილიყო და გაბატონებულიყო რუსული ეკლესია.²⁸

ქართველი საზოგადოება კარგად გრძნობდა ამ „საეკლესიო და საგანმანათლებლო“ პოლიტიკის მიზანდასახულობას და დაუფარავად ამხელდა მას – „თავისთავად შეცდომაა ისიც, - აღნიშნავს დეკანოზი დ. დამბაშიძე, - როდესაც მეგრულს ქართულისაგან განსხვავებულ ენობრივ ჯგუფად თვლიან. და ეს მარტო უცოდინარობით როდი მოსდის მაგანს, არამედ სრულიად შეგნებულად, წინასწარგანზრახულად ხდებოდა ქართველთა ერთიანობის დარღვევა“.²⁹

როგორც ვხედავთ, ჟურნალ „მწვემის“ ცალკეულ პუბლიკაციებში წარმოჩენილია არა მხოლოდ განათლების პრობლემები და გაანალიზებულია მათი გამომწვევი მიზეზები, არამედ შემოთავაზებულია ხარვეზთა აღმოფხვრის რეკომენდაციები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ავტორთა უმრავლესობა სასეებით სწორ, ოპტიმალურ მიდგომებს გეთავაზობს პედაგოგიკის საბაზო საკითხებისადმი: პედაგოგთა განათლება, კვალიფიკაციათა ამაღლების ხერხები და სისტემა, გაკვეთილის, ზოგადად, სასწავლო პროცესის დაგეგმვა, უწყვეტი განათლება, მოსწავლეთა დამოუკიდებელი მუშაობა და სხვ. ცალკე საუბრის თემაა ჟურნალის მსოფლმხედველობრივი, სამოქალაქო პოზიცია, რაც ერთნაირი პრინციპულობით უპირისპირდებოდა, როგორც სკოლის, ისე ეკლესიის რუსიფიკაციის პოლიტიკას.

²⁵ ჟურნალი „მწვემის“, 1887, №18, გვ. 1.

²⁶ ჟურნალი „მწვემის“, 1887, №18, გვ. 1.

²⁷ ჟურნალი „მწვემის“, 1892, №22, გვ. 3.

²⁸ ჟურნალი „მწვემის“, 1889, №20, გვ. 2.

²⁹ ჟურნალი „მწვემის“, 1892, №11, გვ. 3.

ლევან ჯიქია, ისტორიის დოქტორი

**საბჭოთა რუსეთის XI წითელი არმიის საველე
პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელობის
მოწოდება ქართველ მუშებს,
გლეხებსა და ჯარისკაცებს
(1921 წლის თებერვალი)**

1918 წლის 26 მაისს საქართველომ ეროვნული სახელმწიფოებრიობა აღიდგინა. ქართველი პოლიტიკოსების მთავარი საზრუნავი იმთავითვე საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმებისთვის მუშაობა იყო. ამის მიღწევა კი ძალზე რთული აღმოჩნდა. საბჭოთა რუსეთი არ ურიგდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობას. 1920 წლის აპრილის მიწურულს XI წითელი არმიის მიერ აზერბაიჯანის დაპყრობისთანავე განზრახული იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გასაბჭოებაც, თუმცა საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა მტერს ამის საშუალება არ მისცეს. საქართველოს დაპყრობის გეგმის ჩაშლისა და რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომის პირობებში, კრემლში მიიღეს გადაწყვეტილება საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე. მართლაც, 1920 წლის 7 მაისს, მოსკოვში, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკისა და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლებს შორის ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა აღიარა დე იურე და დე ფაქტო და უარი თქვა მის მიმართ ყოველგვარ პრეტენზიებზე. საბჭოთა რუსეთის დაჟინებული მოთხოვნის შედეგად ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად იქცა ე. წ. „საიდუმლო მუხლები“ („საიდუმლო დამატება“), რომლითაც საქართველოს კომუნისტურ პარტიას ლეგალურად საქმიანობის უფლება მიეცა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ეკრძალებოდა ქართველი კომუნისტების ნებისმიერი ქმედების საწინააღმდეგო სანქციების განხორციელება. ცხადია, საიდუმლო მუხლები უხეშად თელავდნენ საქართველოს სუვერენიტეტს, რომელსაც რუსეთი ხელშეკრულების სხვა მუხლებით აღიარებდა.

ხელშეკრულების საიდუმლო მუხლებით საბჭოთა რუსეთი მიზნად ისახავდა საქართველოს მთავრობის ქართველი კომუნისტების ხელით დამხობას, თუმცა ქართველი კომუნისტები მოსახლეობაში არანაირი მხარდაჭერით არ სარგებლობდნენ. შედეგი არ მოჰყოლია ასევე საბჭოთა რუსეთის მცდელობას საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მეშვეობით შეექმნა პრობლემები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისათვის. დარჩა ერთადერთი გამოსავალი – საბჭოთა რუსეთს საქართველო წითელი არმიის მეშვეობით უნდა დაეპყრო, ოღონდ შენიღბულად. გადაწყდა, ლორეს „ნეიტრალურ ზონაში“ დროებით მდგარი ქართული შეიარაღებული ძალების დისლოკაციის სოფლებში დაწყებულიყო ადგილობრივი მოსახლეობის „აჯანყება“, სინამდვილეში კი რუსი წითელარმიელების შეტევა ქართულ სამხედრო ნაწილებზე. მართლაც, 1921 წლის 11-12 თებერვლის ღამეს დაიწყო გადაცემული წითელარმიელების თავდასხმა ქართველ ჯარისკაცებზე. პარალელურად საქართველოსაკენ დაიძრნენ საბჭოთა წითელი არმიის ნაწილები აზერბაიჯანიდან კახეთის, სოჭი-ტუაფსედან აფხაზეთის, მამისონის უღელტეხილიდან ონი-ქუთაისისა და დარიალის ხეობიდან მცხეთა-თბილისის მიმართულებით. ძალები აშკარად უთანაბრო იყო. მიუხედავად ამისა, ქართული შეიარაღებული ძალები გამირობის არნახულ მაგალითებს იძლეოდნენ. XI წითელი არმიის სახმელეთო პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელობამ სცადა ქართველი მუშებისა და გლეხების გადმობირება და 1921 წლის 16, 17 და 28 თებერვალს გააერთიანა პროკლამაციები, რომელშიც აღნიშნული იყო ის „მოტივი“ და „მიზეზები“, რამაც თითქოსდა განაპირობა წითელი არმიის შემოსვლა საქართველოში. პროკლამაციებს მოსახლეობა გულგრილად შეხვდა.

1921 წლის 16 თებერვლით დათარიღებულ პროკლამაციაში სათაურით „**რატომ მოვიდა წითელი არმია საქართველოში**“ ყურადღება გამახვილებულია იმ „მიზეზებზე“, რომელთაც თითქოს განაპირობეს რუსული წითელი არმიის შემოსვლა საქართველოში. პროკლამაციაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისადმი წაყენებული იყო შემდეგი პრეტენზიები: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მუდმივად არღვევდა საბჭოთა რუსეთთან 1920 წლის 7 მაისს დადებულ ხელშეკრულებას, საქართველოს კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციის მიუხედავად აპატიმრებდა და ხვრეტდა ქართველ კომუნისტებს; ხელს უშლიდა ბათუმის პორტში შემოსული ტვირთის ტრანზიტს საბჭოთა რუსეთში; აპატიმრებდა საქართველოში საბჭოთა რუსეთის საელჩოს თანამშრომლებს; საქართველოს ხელისუფლებისა და ქართული ბურჟუაზიის ხელშეწყობით მიმდინარეობდა თეთრგვარდიელი გენერლის ხოსტიკოვის ბანდების ფორმირება დაღესტანში, ახერბაიჯანში და სომხეთში. სწორედ ამ ბანდებმა მოაწვეეს არაერთი აჯანყება, რომელსაც მრავალი წითელარმიელი შეეწირა. გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლება ეხმარებოდა თეთრგვარდიელ გენერალ ვრანგელს; საქართველოს მთავრობა ხელს უწყობდა ინგლისურ-ფრანგული ბურჟუაზიის მძარცველური გეგმების რეალიზებას კავკასიაში და ყოველნაირად ეხმარებოდა ანტანტას, რათა კავკასია თავის კოლონიად ექცია; საქართველოს ხელისუფლებამ უარი განაცხადა მისი ტერიტორიის გამოყენებით მომხდარიყო საბჭოთა რუსეთიდან საბჭოთა სომხეთში ხორბლის ტრანსპორტირება, როდესაც მთელი სომხეთი შიმშილობდა; საქართველოს ხელისუფლების სადამსჯელო რაზმებმა გადაწვეს და გადაბუგეს სამხრეთ ოსეთი, სადაც თითოეულმა პატიოსანმა მუშამ და გლეხმა აღიმადლა ხმა საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად საქართველოში.

პროკლამაციაში ხაზგასმულია თუ რა მოჰყვა შედეგად საქართველოს მთავრობის ამ ქმედებებს, კერძოდ, „ნეიტრალური ზონისა“ და ბორჩალოს მაზრის გლეხებმა პირველებმა აღმართეს თავისუფლების დროშა საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ და შექმნეს რევოლუციური კომიტეტები. საქართველოს მთავრობა ცდილობდა სისხლში ჩაეხშო ეს აჯანყება. რუსი მუშები, გლეხები და წითელარმიელები გულისტკივილით ადევნებდნენ თვალყურს საქართველოს ხელისუფლების ქმედებებს და თავიანთ მოვალეობად მიიჩნევდნენ დახმარება გაეწიათ ქართველი მშრომელებისათვის მენშევიკურ-ბურჟუაზიული უღლის გადაგდებაში; საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება ასევე თავის თავს მოვალედ რაცხდა დახმარების ხელი გაეწია აჯანყებულებისთვის და გაეწმინდა საქართველო მენშევიკებისა და ბურჟუაზიისგან და ხელი შეეწყობ ქართველი მუშებისა და გლეხებისთვის მოეწყობთ თავიანთი ცხოვრება საბჭოურ ყაიდაზე.

პროკლამაციის ბოლო ნაწილში წითელი არმიის ხელმძღვანელობას უწევს თავის მართლებას, რომ საბჭოთა არმია არ მოსულა საქართველოს დასაპყრობად, როგორც ამას ავრცელებენ ქართველი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები). ისინი მოსახლეობას აიძულებდნენ, რომ: საქართველოს დამოუკიდებლობა შენარჩუნდება, მოისპობა მხოლოდ მენშევიკების ქლესაობა დასავლეთის ბურჟუაზიის წინაშე; საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მოისპობა ყოველგვარი ნაციონალური სიძულვილი; საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება მხოლოდ მუშების, გლეხების, მშრომელი ინტელიგენციისა და პატიოსანი რევოლუციონერების ხელში იქნება. ყველა მშრომელის და პატიოსანი მოქალაქის ვალია მხარი დაუჭიროს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას, რათა საქართველო იყოს თავისუფალი და ბედნიერი.

1921 წლის 17 თებერვლით დათარიღებულ პროკლამაციაში სათაურით „**ქართველ მუშებს, გლეხებს და ჯარისკაცებს!**“ ანალოგიურად არის საუბარი საქართველოში წითელი არმიის შემოსვლის „ნამდვილ მიზეზებზე“. პროკლამაცია მთავრდება მოწოდებით: „**გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას!**“ „**გაუმარჯოს გამათავისუფლებელ წითელ არმიას!**“

XI წითელი არმიის ხელმძღვანელობის მიერ გავრცელებულმა პროკლამაციებმა მიზანს ვერ მიაღწიეს. ქართველი მუშები და გლეხები პროკლამაციებს არ გამოხმაურებიან.

საბჭოთა რუსეთ-საქართველოს ომი სულ უფროდაუფრო მასშტაბურ ხასიათს იძენდა. 1921 წლის 24 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და დამფუძნებელმა კრებამ (პარლამენტმა) თბილისი დატოვეს და ქუთაისში გადავიდნენ. 25 თებერვალს XI წითელი არმია, სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით, თბილისში შემოვიდა. ამ წარმატებით აღფრთოვანებულმა სერგო ორჯონიკიძემ კრემლში იოსებ სტალინის სახელზე შემდეგი შინაარსის დეპეშა გააგზავნა: „**თბილისის თავზე ფრიალებს წითელი დროშა. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს!**“. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. შეიძლება ითქვას, რომ წითელი არმიის ხელმძღვანელობას იმედი გაუცრუვდა – მოსახლეობის დამოკიდებულება შემოსული ძალის მიმართ კვლავაც არაალოიალური იყო.

1921 წლის 28 თებერვალს XI წითელი არმიის ხელმძღვანელობამ კიდევ ერთი პროკლამაცია გაავრცელა სათაურით „**ქართველ გლეხებს!**“ პროკლამაციაში აღნიშნულია შემდეგი: ამ დროისათვის საბჭოთა ხელისუფლება არსებობს თბილისში, სიღნაღში, თელავში, დუშეთში, მცხეთაში, მანგლისში და სხვა ადგილებში. „საქართველოს მთავრობა თბილისიდან გაიქცა და ქუთაისში გადავიდა, საიდანაც ცდილობს იუნკრებისა და თეთრგვარდიელების მხარდაჭერით გააგრძელოს ბრძოლა საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისა და მისი მხარდამჭერი წითელი არმიის წინააღმდეგ. უდავოა, რომ საბჭოთა ხელისუფლება და წითელი არმია მალე გაიმარჯვებენ თეთრგვარდიელებზე და გაანადგურებენ მენშევიკურ ხელისუფლებას, საბჭოთა წითელი დროშა აღიმართება მთელ საქართველოში. მოგიწოდებთ შემოგვიერთდით და გადმოდით წითელი არმიის მხარეს, განდევნეთ თქვენი სოფლებიდან მენშევიკების აგენტები და მათი სახელმწიფო მოხელეები. შექმენით სამხედრო-რევოლუციური კომიტეტები და საბჭოები.

ვიცი, რომ ბევრი თქვენგანი დაშინებულია მენშევიკების მიერ. ისინი ცილს სწამებდნენ წითელ არმიას და ბოლშევიკებს და გეუბნებოდნენ, რომ ჩვენ ვართ მძარცველები, მოგკლავით ქართველებს, ვიძალადებით თქვენ ცოლ-შვილებზე, დავიტაცებდით თქვენ ქონებას და სხვა.

ჩვენ მოვედით თქვენს გასათავისუფლებლად! ჩვენ მკვლელები და მძარცველები არ ვართ! საქართველოს არ გავანადგურებთ, ის იქნება დამოუკიდებელი საბჭოთა რესპუბლიკა, რომელიც მეგობრულ ურთიერთობას დაამყარებს მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკებთან. თბილისის მშვიდობიანი მშრომელი მოსახლეობა შეგხვდა აღფრთოვანებულად, გვესალმებოდა და მადლობას გვიხდოდა.

მოგიწოდებთ, თქვენივე ინტერესებიდან გამომდინარე, გადმოდით ჩვენს მხარეს. რაც მალე გააკეთებთ ამას, მით მალე დამთავრდება ომი. ბურჟუაზიის გვერდზე ყოფნით თქვენ კარგავთ ყველაფერს, საბჭოთა ხელისუფლების გვერდზე გადმოსვლით კი თქვენ მიიღებთ მშვიდობას, თავისუფლად განვითარებისა და თავისუფალი შრომის შესაძლებლობას.

კარგად დაფიქრდით! ახლავე გადმოდით ჩვენს მხარეს. განდევნეთ მენშევიკები და ბურჟუაზია, დაეხმარეთ წითელ არმიას.

გაუმარჯოს განმათავისუფლებელ წითელ არმიას!

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს!“

ზემოთ მოტანილი პროკლამაციების გაცნობა კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ რუსულ წითელ არმიას საქართველოში დასაყრდენი არ ჰქონდა და გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მათ ქართველი მუშები და გლეხები ეპატიუებოდნენ, ცხადია, მტკნარი სიცრუეა. ამას ნათლად ადასტურებს გავრცელებული პროკლამაციების შინაარსი.

ქვემოთ გთავაზობთ 1921 წლის 16, 17 და 28 თებერვალს XI წითელი არმიის ხელმძღვანელობის მიერ ქართველი მუშების, გლეხებისა და ჯარისკაცების მისამართით გავრცელებულ პროკლამაციებს. ქვეყნდება პირველად.

**დოკუმენტი №1. საბჭოთა რუსეთის XI წითელი არმიის
საველე პოლიტიკური განყოფილების მიერ საქართველოში
გაგრძელებული პროკლამაცია სათაურით
„რატომ მოვიდა წითელი არმია საქართველოში“
1921 წლის 16 თებერვალი**

Зачем Красная армия пришла в Грузию

16 Февраля красная армия получила приказ о наступлении на войска меньшевистско-буржуазного правительства Грузии

Чем вызван этот ответственный шаг Советского правительства?

Главные следующие:

I. Меньшевистско-буржуазного правительство Грузии, заключенный в Мае 1920 г. договор с Советской Россией не выполнило.

а) Вместо легализации Грузинской коммунистической партии (большевиков), она арестовывала её членов, сажал в тюрьму, расстреливало, высылало словно товар. Советскую Россию и Азербайджан партийные организации большевиков громило. Оно боялось правдивого слова и революционной работы коммунистов - хуже огня.

б) Торговые русские суда, находившиеся в Батумском порту, согласно договора не выдавало Советской России.

в) Представители посольства Российской Советской республики арестовывались, денежные склады конфисковывались. Грузинское правительство, совершенно не выражавшее воли трудящихся масс, все время враждебно относилось к Советской России, за последнее время производило мобилизацию; буржуазная пресса Грузии неоднократно пророчила гибель Советскую власть при помощи грузинских меньшевиков и буржуазии

II. Благодаря покровительству и поддержки грузинских меньшевиков и буржуазии, формировались белогвардейские шайки генерала Хвостикова: беков, ханов, разбойников - Дагестана, Азербайджана, армянских дашнаков. Эти шайки поднимали восстания, вырывали неисчислимые жертвы из рядов красной армии. Кроме того грузинское правительство оказывало помощь Врангелю, была готовой выполнять грабительские цели иностранной (главным образом англо-французской) буржуазии. На кавказе она все время строило козни против Советских республик России, Горской, Азербайджана и Армении, помогала антанту превратить Кавказ в свою колонию.

III. Враждебность к Советским республикам сказалось лучше всего, на отказе пропускать хлеб, из Советской республики в голодающую Армению.

IV. Советской власти были хорошо известны безобразия грузинских меньшевиков и все слетевшихся туда буржуазии над честным трудящимся людям. Южная Осетия выжигалас карательными отрядами другие восстания подавлялись. Все честное из крестьян и рабочих поднимало свой голос за Советскую власть, но он душился грузинским правительством. Многие солдаты еще раньше братались с красной армией.

Предатели трудящихся меньшевики и буржуазия продавали оптом и в розницу маленькую Грузию капиталистам Запада, готовились втянуть Грузию в длительную кровополитную борьбу с Советской Россией.

Рабочие, крестьяне, красноармейцы с болью в сердце смотрели на чёрное пятно меньшевистской власти в Грузии, считали своим долгом помочь трудящихся грузи сбросить с себя меньшевистско-буржуазное иго.

V. Крестьяне нейтральной зоны и Борчалинского уезда первые подняли знамя восстания против меньшевистских разбойников. Они стали создавать ревкомы-советы. Подлое меньшевистское

правительство пыталось в крови и огне подавить возстания, чтобы снова возставших закоболить под свое владычество. Советская власть считала своим долгом помочь повстанцам, наконец то вычистить грузию от всей буржуйской своры и меньшевистской нечисти, помочь грузинским рабочим и крестьянам строить по советскому свою жизнь.

VI. Красная армия не пришла завоевывать Грузию, как об этом кричать меньшевики. Самостоятельность грузи сохраняется, уничтожается бывшее холопство меньшевиков перед иностранной буржуазией и Грузия по воле своего народа входит в федерацию Советских республик Российской, Азербайджанской, Горской, Туркестана, Татарской, Башкирской, Киркизской, Украинской, Калмыкской и других.

VII. С установлением советской власти в грузии, Кавказ превращается в советскую твердыню, уничтожается национальная ненависть и резня, обеспечивается братское сотрудничество народов Кавказа и России и деле хозяйственного строительства. В связи с этим движение задавленных народов востока: Турции, Персии, Аравии, Индии против иностранных колонизаторов приобретает новые толчки, обеспечить национальное освобождение.

VIII. Советская власть в Грузии находится только в руках рабочих, крестьян и честных революцион, труженников интеллигентов. Долг всех трудящихся, всех честных граждан поддержать эту власть, во имя интересов свободного счастливого развития Грузии.

Полевой политотдел XI армии

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (III), ფონდი 8, აღწერა 4, საქმე 675, ფურცელი 1.

*დოკუმენტი №2. საბჭოთა რუსეთის XI წითელი არმიის
საველე პოლიტიკური განყოფილების მიერ საქართველოში
გავრცელებული პროკლამაცია სათაურით
„საქართველოს მუშებს, გლეხებსა და ჯარისკაცებს!“
1921 წლის 17 თებერვალი*

РАБОЧИЕ, КРЕСТЬЯНЕ И СОЛДАТЫ ГРУЗИИ!

Красная армия перешла границу, вступила в пределы Грузии, для того, чтобы освободить вас от подлого меньшевистско-буржуазного правительства.

Крестьяне Борчалинского уезда первые подняли знамя восстания, которое поддержали многие крестьяне и солдаты Грузии.

Меньшевистское правительство долго помогало организоваться белогвардейским шайкам, которые поднимали контр-революционные восстания в Дагестане, Азербайджане и Кубани.

Под их крылышком свили себе в Тифлисе гнездо деникинцы, мусаватисты, дашнаки, вся бегущая от революции белогвардейская свора.

По милости их пролилась драгоценная кровь тысячей лучших крестьян и рабочих.

Меньшевистско-буржуазная власть, боялась как смерти, правдивой агитации, революционной работы Грузинской Коммунистической партии; она сажала её членов в тюрьму, убивала, высылала их словно товар в Советскую Россию и Азербайджан.

Меньшевистско-буржуазное правительство превратило грузию в колонию Антанты (иначе союза капиталистических правительств Англии, Франции, Америки и др.). Когда буржуазная лига наций признала Грузинскую республику, только потому, что она меньшевистская, да и неудобно

своих холопов признать, когда уже давно Советское большевистское правительство признало право грузинского народа на свою самостоятельность.

Меньшевики и вся грузинская буржуазия, весь махровый букет слетевшихся бездомных буржуев, капиталистов, генералов, беков, ханов лакейски праздновали «Юридическое» признание Грузии (на самом деле не трудящейся Грузии, а их власти).

Они уже бряцали оружием в сторону Советской России.

Крестьяне Борчалинского уезда первые приняли этот вызов, поднялись за свержение меньшевистского гнета, крестьяне некоторых уездов поддержали. Красная армия пошла на выручку.

Трудящиеся Грузии сейчас в борьбе дают юридическое признание Советской власти, только она может вывести из тупика, обеспечить истинную свободу, повести к счастью.

Долг всех честных крестьян, рабочих, солдат, всех трудящихся принять участие в борьбе за Советскую власть.

Довольно, натерпелись!

Гоните из своих сел, местечек, городов агентов и чиновников правительства меньшевиков.

Организуйте военно-революционные комитеты, Советы трудящихся!

Долой меньшевистское буржуазное правительство!

Вожрузим Красное знамя в Тифлисе, Кутаисе и Батуме!

Да здравствует Советская Грузинская Республика!

Да здравствует освободительница Красная армия!

Полевой политотдел XI Красной армии

17 Февраля 1921 г.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 8, აღწერა 4, საქმე 669, ფურცელი 1.

**დოკუმენტი №3. საბჭოთა რუსეთის XI წითელი არმიის
საგლე პოლიტიკური განყოფილების მიერ საქართველოში
გავრცელებული პროკლამაცია სათაურით „საქართველოს გლეხებს!“
1921 წლის 28 თებერვალი**

Пролетарии всех стран соединяйтесь!

Крестьяне Грузии!

Усилиями восставших крестьян Борчалинского уезда и Лорийской долины, при поддержке Красной Армии, власть подлого меньшевистско-буржуазного правительства свергнута.

В Тифлисе, Сигнахе, Телаве, Душете, Мцхете, Манглисе и других местах установлена уже Советская власть.

Меньшевистское правительство позорно бежало из Тифлиса и Кутаис, откуда думает при поддержке юнкеров и белогвардейцев продолжать борьбу с Советской властью Грузии и помогающей ей Красной Армией.

Нет сомнения, что Советская власть, Красная армия скоро победят белогвардейциму, уничтожат меньшевистскую власть, Красное Знамя Советов будет реять над всей Грузией.

Для торжества Советской власти, для братского Союза всех трудящихся, мы призываем вас присоединиться к нам, переходить на сторону Красной Армии, гнать на своих сел, деревень и аулов агентов и чиновников меньшевистского правительства, организовывать свой военно-революционные Комитеты и Советы.

Мы знаем многие из вас, напуганные меньшевиками, боятей, не решаются этого сделать. Меньшевики много клеветали на Красную Армию и большевиков.

Вам они говорили, что мы - разбойники, будем убивать грузин, насиловать ваших жен и детей, грабить ваше имущество и много другой неправды.

На самом деле мы пришли только освободить вас, мы не убиваем, не грабим, Грузии не уничтожаем, она становится свободной, самостоятельной Советской Грузией живущей в союзе и дружбе с соседними Советскими республиками.

Мирное трудящееся население Тифлиса встречало с восторгом, приветствовало, благодарило, удивлялось хорошему отношению к нему Красной Армии и прикливало меньшевиков, кдеветников-обманщиков, прислужников буржуазии.

Вам много затуманивали головы меньшевики разными провокациями, но правда Советская колет глаза всем своим врагам и обманутые люди начинают крепко стоять за Советскую власть.

Мы завём вас, в ваших же интересах, скорее переходить на нашу сторону, устанавливая Советскую власть. Чем скорее вы будете с нами, тем скорее кончится война, вы будете мирно обрабатывать свои поля.

Меньшевики и буржуазия взрывают мосты, разоряют склады, расхищают добро, разоряют в войне Грузию.

Они готовы вас всех гнать на убой на кровопролитие с нами, за интересы буржуазии.

В рядах буржуазии вы теряете все, в рядах Советской власти вы получаете мир, свободное развитие и свободный труд.

Подумайте хорошенько и, немедля ни дня, переходите к нам, гоните буржуазию и меньшевиков, помогайте Красной Армии, в своих родных местах устанавливайте Советскую власть!

Да здравствует освободительница Красная Армия!

Да здравствует свободная самостоятельная Грузия!

**28 Февраля 1921 г.
Тифлиς**

**Полевой политотдел
XI Красной армии**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 8, აღწერა 4, საქმე 676, ფურცელი 1.

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
უწმიდესისა და უნეტარესის ლეონიდეს ეპისკოპლე მოსკოვისა და
სრულიად რუსეთის პატრიარქის,
უწმიდესი ტიხონის მიმართ**

XIX საუკუნის დასაწყისიდან საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო. 1801-1802 წლებში რუსეთმა დაიპყრო ქართლ-კახეთის სამეფო, რაც საქართველოს საეკლესიო დამოუკიდებლობის (ავტოკეფალიის) დაკარგვის წინაპირობა გახდა. რუსებმა დიდხანს აღარ დააყოვნეს, 1811 წელს გაუქმდა ერთ-ერთი უძველესი საპატრიარქო – მცხეთის საპატრიარქო, ხოლო 1814 წელს – ლიხთიმერეთისა და აფხაზთა საპატრიარქო.¹ არსებობა შეწყვიტა უძველესმა სამოციქულო ავტოკეფალურმა (თვითმწყემსმა) ეკლესიამ.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა, ქართველ მამღვდელოებასთან ერთად, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის დაიწყეს ზრუნვა. მათმა თავდაუზოგავმა ბრძოლამ ნაყოფიც გამოიღო და 1917 წლის 25 მარტს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღდგა.

1919 წლის 23 თებერვალს მიტროპოლიტი ლეონიდე მოწამეობრივად აღსრულებული კირიონ II-ის (1917-1918) ნაცვლად გამორჩეული იქნა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის კათოლიკოს-პატრიარქად. იმ დღიდან მოყოლებული უწმიდესი პატრიარქი აქტიურად შეუდგა საქართველოს ეკლესიის მართვას. მრავალმხრივია უწმიდესი ლეონიდეს დამსახურება საქართველოს ეკლესიის წინაშე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი ლეონიდეს ინიციატივით გაიხსნა სკოლები ჯავახეთში, მთიულეთში, საინგილოში. დიდი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა საინგილოში უწმიდესი პატრიარქის საქმიანობას. ლეონიდემ დიდი ამაგი დასდო საქართველოს საეგზარქოსოს სკოლებში ქართული ენის შესწავლის საქმეს. ყოველივე ზემოაღნიშნულთან ერთად მაღალყოვლადუსამღვდელოესი ლეონიდე იყო ბრწყინვალე მქადაგებელი.²

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის ისტორიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეპისკოპოს ლეონიდეს მოღვაწეობა რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მუშაობის პერიოდში (1906 წლის მარტი-დეკემბერი). ქართველ მღვდელმთავარს არაერთხელ მოუწია რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირზე მოხსენებით გამოსვლა, რამაც რუსი საერო და სასულიერო პირების რისხვა გამოიწვია. ქართველი მღვდელმთავრებისა და მეცნიერების გამოსვლები იბეჭდებოდა სტენოგრამების სახით, რომელიც სამ ტომად გამოიცა (Журналы протоколы заседания Высочайше учрежденного Предсоборного Присутствия. Том. III. Синодальная типография. С.-Петербург, 1906). სამტომეულის შესწავლისას გაირკვა, რომ ეპისკოპოსი ლეონიდეს, ეპისკოპოს კირიონის და ქართველ მეცნიერთა გამოსვლებმა ამ გამოცემაში მხოლოდ ნაწილობრივ ჰპოვა ასახვა. ცხადია, ეს პოლიტიკური მოსაზრებით გაკეთდა. საბედნიეროდ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მუშაობის პერიოდში რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის უწმიდესი სინოდის ორგანო, ჟურნალი „Церковная

¹ მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია. თბილისი, 2009, გვ. 1090-1091.

² სერგო ვარდოსანიძე. საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია 1917-1952 წლებში. თბილისი, 2001, გვ. 191-192.

Ведомости“თითქმის სრულად აქვეყნებდა საეკლესიო კრების წინარე თათბირის სხდომების სტენოგრამებს, მათ შორის ქართველ მღვდელმთავართა და მეცნიერთა გამოსვლების სტენოგრამებს. მიუხედავად ამისა უსამღვდელოესი ლეონიდეს მოხსენება არც ჟურნალ Церковныя Ведомости“-ში დაბეჭდილა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენთვის უცნობია ეპისკოპოს ლეონიდეს მოხსენების შინაარსი, რამაც რუსი მეცნიერების და სასულიერო პირების რისხვა გამოიწვია.

ამჯერად კი ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს „სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი ლეონიდეს ეპისტოლე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი ტიხონის მიმართ“, რომელიც 1932 წელს საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პატრიის ჟურნალ „სამშობლო“-ს მე-11 ნომერში გამოქვეყნდა. მოგვიანებით აღნიშნული წერილი გურამ შარაძემ 1990 წელს გამოცემულ ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ მე-3 ნომერში გამოაქვეყნა. ეპისტოლე უწმიდეს ლეონიდეს დაუწერია 1919 წლის 5 აგვისტოს, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის შემდეგ. უწმიდესი პატრიარქის წერილი მრავლის მომცველია და ამასთანავე ეხმიანება 1906 წელს გამართულ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირს. შევეცდებით მოკლედ მიმოვიხილოთ უსამღვდელოესი ლეონიდეს წერილი.

აი, როგორ მიმართვას უწმიდესი ლეონიდე რუსეთის ეკლესიის ახლად არჩეულ პატრიარქ ტიხონს:

„...დიდი სიხარულით გაიხარა ივერიის ეკლესიამ, როცა გაიგო, რომ შენ ჩაუდექ სათავეში რუსეთის ეკლესიას და ამით აღადგინე მასში სჯულისმიერი წესრიგი. მაგრამ როდესაც მივიღეთ 1917 წლის 29 დეკემბრით დათარიღებული შენი წერილი, ეს ჩვენი უდიდესი სიხარული ღრმა მწუხარებით შეიცვალა, რადგან ამ წერილში ვერ ვპოვეთ შენთვის ჩვეული „მშვიდობისა და სიყვარულის სიტყვა“, არამედ მხოლოდ ქართველ ეპისკოპოსთა მხილება იმის თაობაზე, რომ „შეწყვიტეს რა კანონიკური ურთიერთობა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან, მათ საჩქაროდ გამოსთხოვეს დროებით მთავრობას 1917 წლის 27 მარტის დადგენილება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ“, „დაარღვიეს რუსეთის ეკლესიასთან სარწმუნოებისა და სიყვარულისმიერი ერთობა“ და დასტოვეს მასთან „ყოველგვარი ურთიერთობა სჯულის კანონის საწინააღმდეგოდ“³.

უსამღვდელოესი ლეონიდეს ამ სიტყვებიდან გამომდინარე ნათელი იყო რუსეთის ახლად არჩეული კათოლიკოს-პატრიარქის განწყობა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ. პატრიარქი ტიხონი (ბელავინი), როგორც სხვა რუსი სასულიერო და საერო პირები თვლიდა, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ და საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის თვითმწყემსობის გაუქმების შემდეგ საეკლესიო ხელისუფლება ეკუთნოდა რუსეთის ეკლესიის უწმიდეს და უმართებულეს სინოდს. სწორედ ამიტომ ჩათვალა უსამღვდელოესმა ლეონიდემ რუსეთის პატრიარქისათვის წერილით მიემართა, რასაც თვითონვე ასე განმარტავს: „როდესაც 1905 წელს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის მცდელობა იყო, წმინდა სინოდმა დაადგინა, რომ „მოცემული საკითხის“ განხილვა დაევალებინა რუსეთის ეკლესიის ადგილობრივი კრებისათვის. სწორედ ამ კრების „სამსჯავროზე“ უნდა გამოგვეტანა ჩვენ ჩვენი სურვილები და მისწრაფებები და „მის გადაწყვეტილებას უნდა დავლოდებოდით“. აქედან დავასკვნებ, რომ შენი უწმინდესობა საკმარისი სიზუსტით არ ფლობს ჭეშმარიტებას და საჭიროდ მივიჩნიე, შენს უნეტარესობას შევთავაზო ჭეშმარიტი სიტყვა ივერიის ეკლესიის თაობაზე.“⁴ ამ სიტყვების შემდეგ უსამღვდელოესი

³ გურამ შარაძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი ლეონიდეს ეპისტოლე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი ტიხონის მიმართ.– ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1990, №3, გვ. 64.

⁴ გურამ შარაძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი ლეონიდეს ეპისტოლე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი ტიხონის მიმართ.– ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1990, №3, გვ. 64.

ლეონიდე უწმიდეს პატრიარქ ტიხონს აცნობს საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის რუსეთის ეკლესიასთან შეერთების ისტორიას: „ერთმორწმუნე საქართველო (ირწმუნები შენ, უნეტარესო) შეუერთდა რუსეთს ერთი საერთო საეკლესიო ძალაუფლების ქვეშ და იმ დროიდან უზენაესი საეკლესიო ძალაუფლება საქართველოში „ნამდვილად ეკუთვნოდა რუსეთის უწმიდეს სინოდს“.

როგორც შენი უწმინდესობისათვის ცნობილია, ას წელზე მეტი ხნის წინათ საქართველო მართლაც შეუერთდა რუსეთს „ერთი საერთო საერო ძალაუფლების ქვეშ“, მაგრამ მას ნამდვილად არაფრით არ გამოუხატავს ის, რომ სურდა ეკლესიის შეერთებაც.

ასეთი აზრები, შესაძლოა მომწიფდა ზოგიერთი საერო მმართველის გონებაში, მაგრამ ეკლესიის კანონიერ საჭეთმპყრობელთა კრებული ამ საკითხის ასეთ გადაწყვეტას ემხრობოდა: საერო ცხოვრების ახალი პირობებისას უნდა შენარჩუნებულიყო საეკლესიო დამოუკიდებლობა. თვით რუსეთის უწმინდესი სინოდიც კი თავდაპირველად არ ამჟღავნებდა საქართველოს ეკლესიის საქმეებში ჩარევის სურვილს: მსგავსი აზრი პირველად მთლიანად იმ „საერო ხელისუფალთა“ მხრიდან მოდიოდა, რომლებიც მისი საიმპერატორო უდიდებულესობის სახელის მიღმა აფარებდნენ თავს.⁵

პატრიარქი ტიხონისადმი გაგზავნილ წერილში უსამღვდელოესმა ლეონიდემ ეტაპობრივად გაიხსენა ის მოვლენები, რომელიც წინ უძღვოდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას. საქართველოს ეკლესიის თვითმწყემსობის გაუქმება, რომ საერო პირების აქტიურობით მოხდა, ამას არაერთი ფაქტი ადასტურებს. უწმიდესი პატრიარქი ლეონიდე ეპისტოლეში იხსენებს, რომ რუსეთის ეკლესიის სინოდის ობერ-პროკურორი გოლიცინი გენერალ ტორმასოვს სწერდა, რომ ქართველი სასულიერო პირები რუსეთის ეკლესიის წმინდა სინოდზე დამოკიდებულები უნდა გაეხადათ:

„გენერალმა ტორმასოვმა უკვე თავად გოლიცინის მითითების გარეშე დაიწყო საქართველოს ეკლესიის საქმეებში ჩარევა (1809 წლის 6 ივნისიდან) და 1810 წლის 3 ნოემბერს კათოლიკოსი ანტონ II საქართველოდან რუსეთში გადაასახლა. 1811 წლის 18 თებერვალს კი თავად გოლიცინს წარუდგინა საქართველოს ეკლესიის მართვის № 28 პროექტი, რომელიც ერთობლივად შეადგინეს თვით ტორმასოვმა და პატივმოყვარე მთავარეპისკოპოსმა ვარლამმა. ამ პროექტით საქართველოს ეკლესიის სათავეში უნდა ჩამდგარიყო საქართველოს სინოდალური ეგზარქოსის წოდებით „მცხეთისა და ქართლის მთავარეპისკოპოსი, ვითარცა წინამძღოლი ქართველი სამღვდელოებისა, მცხეთისა და ქართლის მიტროპოლიტისა, რომელიც უნდა ყოფილიყო უწმინდესი სინოდის ქვეშევრდომი და მისადმი ანგრიშვალდებული მნიშვნელოვან, გადასაწყვეტ საქმეებში, ხოლო უწმინდესი სინოდის მიერ მიცემულ საკითხებზე ევალებოდა პატაკების წარდგენა“.⁶

უსამღვდელოესი ლეონიდეს ეს სიტყვები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება მოხდა ქართველი ხალხისა და საქართველოს ეკლესიის გვერდის ავლით:

„ამგვარად, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება არის არა „ერთმორწმუნე რუსეთთან ნებაყოფლობითი შეერთება“, არამედ „საერო ხელისუფალთა“ წარმომადგენლების საქმე. ამასთან ერთად, შენმა უწმინდესობამ მშვენივრად იცის, რომ საერო ხელისუფალთა ჩარევას საეკლესიო საქმეებში არ ურიგდება საღვთო კანონები (მოციქულთა წესები, IV მსოფლიო საეკლესიო კრების დადგენილება, VII მსოფლიო სასაეკლესიო კრების დადგენილება)...“

⁵ გურამ შარაძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი ლეონიდეს ეპისტოლე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი ტიხონის მიმართ.– ჟურნალი „ჯვარი ვახისა“, 1990, №3, გვ. 65.

⁶ გურამ შარაძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი ლეონიდეს ეპისტოლე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი ტიხონის მიმართ.– ჟურნალი „ჯვარი ვახისა“, 1990, №3, გვ. 66.

ეპისკოპოსი ლეონიდე სინანულით აღნიშნავდა, რომ რუსეთის უწმიდეს სინოდს არაფრად მიაჩნდა ის ფაქტი, რომ საერო პირი (იგულისხმება გენერალი ტორმასოვი - გ. ბ.) ასე უხეშად ერეოდა საეკლესიო საქმეში. საერო პირის საეკლესიო საქმეში ჩარევით რუსი მღვდელმთავრებისათვის კარგად ცნობილი შემდეგი საეკლესიო კანონები დაირღვა:

1. „არც ერთმა ეპისკოპოსმა არ გაბედოს ერთი ეპარქიიდან მეორეში გადასვლა, არც ვინმეს დაყენება მის ეკლესიაში ღვთისმსახურებისთვის, არც სხვათა მოყვანა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას მოიწვევენ სიგელებით მიტროპოლიტი და მასთან მყოფი ეპისკოპოსები, რომელთა სამმართველოში შედის. მაგრამ თუ არავის მოუწვევია და წესის დარღვევით წავა მღვდელთა ხელდასახმელად და იმ საეკლესიო საქმეთა განსაკარგავად, რაც არ ეკუთვნის, იყოს ყოველივე მის მიერ ქმნილი ცნობილი ბათილად, თვით მას კი უწესობისა და უგუნურებისათვის დაეკისროს შესაფერი სასჯელი წმინდა კრებულის მიერ სამღვდლო ხარისხიდან დაუყოვნებელი განკვეთით“ (ანტიოქიის კრების წესი).

2. „ადგილობრივი ეპისკოპოსები ნუ გააგრძელებენ თავიანთ ძალაუფლებას მათი ეპარქიის გარეთ არსებულ ეკლესიებზე... ეპისკოპოსები ნუ გადავლენ თავიანთი ეპარქიის საზღვრებს გარეთ მღვდელთა ხელდასახმელად ან სხვა რაიმე საეკლესიო განჩინებისათვის. საეკლესიო ეპარქიათა ზემოხსენებული წესის შენარჩუნებისას კი აშკარაა, რომ ყოველი ეპარქიის საქმეებს კეთილად უნდა განაგებდეს ამავე ეპარქიის კრებული, როგორც დადგინდა ნიკეაში“ (II მსოფლიო საეკლესიო კრება).⁷

პატრიარქი ტიხონისათვის გაგზავნილ წერილში ქართველმა მღვდელმთავარმა ასევე მიმოიხილა ის პოლიტიკურ მოვლენები, რამაც განაპირობა 1906 წელს რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მოწვევა და რა მიზეზითაც კიდევ ერთხელ წარმოიშვა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. კარგად არის ცნობილი, რომ 1905 წლის 18 თებერვალს იმპერატორ ნიკოლოზ მეორის მიერ გამოცა რესკრიპტი, რომლის ძალითაც იმპერიაში გამოცხადდა სიტყვის თავისუფლება, რაც ქართველმა სამღვდლოებამ თავისი მიზნის აღსრულებისათვის გონივრულად გამოიყენა. 1905 წლიდან მოყოლებული მიმდინარებოდა ქართველ სამღვდლოებათა კრებები, სადაც არაერთხელ დაისვა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საკითხი. დიდი ცვლილებები მიმდინარებოდა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში. სულ უფრო პოპულარული ხდებოდა მოთხოვნა პატრიარქობისა და საეკლესიო კრების აღდგენის თაობაზე. რუსეთის საიმპერატორო კარი გრძნობდა, რომ საჭირო იყო რეფორმები, მაგრამ მან ისიც კარგად უწყოდა, რომ საეკლესიო რეფორმის გატარება ადვილი არ იქნებოდა. გადაწყდა, რომ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიაში გასატარებელი რეფორმის პროექტი უნდა მოემზადებინა საგანგებოდ შექმნილ ორგანოს – რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირს. ასე გამოეხმაურა ეპისკოპოსი ლეონიდე აღნიშნულ მოვლენებს.⁸

„წერილში მოყვანილი ფაქტებიდან შენს უწმინდესობას უნდა გაეგო, რატომ მოხდა, რომ მხოლოდ „1905 წლიდან გამოქვეყნდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ცდები“. სწორედ ამ წელს დართეს სიმართლის თქმის ოფიციალური ნება და ჩვენც ვთქვით სიმართლე. განა მხოლოდ ჩვენში „გამქვეყნდა“ კანონიკური წესრიგის აღდგენის ცდები 1905 წელს? განა თვით რუსეთის ეკლესია, რომელიც ჩვენზე ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ მაინც ემონებოდა „ფრაკიან და მუნდირიან პატრიარქებს“, „ურწმუნო“ და „სარწმუნოებისაგან აშკარად განდგომილ“ ადამიანებს („რუსეთის საეკლესიო მაცნე“, 1917, №156, საეკლესიო კრების აქტები, 25 ოქტომბერი), სწორედ იმავე 1905 წელს არ ალაპარაკდა პატრიარქობის აღდგენაზე? შენს უწმინდესობას ალბათ არ დავიწყნია,

⁷ გურამ შარაძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი ლეონიდეს ეპისტოლე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი ტიხონის მიმართ – ჟურნალი „ჯვარი ვახისა“, 1990, №3, გვ. 67.

⁸ Сергей Бычков. Русская Церковь и Императорская власть. Москва, 1998, стр. 117-120.

რუსეთის ეკლესიის საუკეთესო მღვდელმთავრების პირველ ცდას, აღედგინათ რუსეთის საეკლესიო მმართველობაში ნორმალური წყობა, კ. ი. პობედონოსცევის რა მრისხანე შეძახილი შეხვდა და რაოდენ დიდი იყო მღვდელმთავართა გაოცება და შეშფოთება ყოველსშემდეგ კარისკაცის ამ შეძახილის შემდეგ. გარდა ამისა, შენი უწმინდესობა სხვაგანაც სცოდავს ჭეშმარიტების წინაშე: საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი საეკლესიო კრებას განსახილველად წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით კი არა, იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ნებით გადაეცა ქართველი ეპისკოპოსების ვედრების პასუხად, რომ საქართველოს ეკლესია აღდგენილი ყოფილიყო თავისი ავტოკეფალური უფლებით. წმინდა სინოდს კი უბრალო განჩინებაც კი არ გამოუტანია, რომ ეს უზენაესი ნება გამოქვეყნებულიყო მის ოფიციალურ ორგანოში „საეკლესიო უწყებანში“ და ეს ნება გამოეცხადა ქართველ ეპისკოპოსებს კავკასიაში იმპერატორის ნაცვლის მეშვეობით. არსებითად კი 1906 წლის ეს დადგენილება თუ ნებართვა საქართველოს ეკლესიას კიდევ უფრო უარეს მდგომარეობას უმზადებდა. საქმე ისაა, რომ მომავალი კრება ვერ შეძლებდა მისთვის განსახილველად გადაცემული საკითხის მართებულ გადაწყვეტას — ამას ამტკიცებს მისი სრულუფლებიანი წევრობისათვის განწესებულ საქპარქიო მღვდელმთავართა „გამოხმაურებები“: ყოვლადუსამღვდელოესი მეუფენი ამ „გამოხმაურებებში“ ან სრულიად არ ეხებიან ამ საკითხს, ან უარყოფითად წყვეტდნენ მას. ზოგმა კი ჩვენი დასასჯელად გადაცემა მოითხოვა (ლავერენტი ტულელი, — საქპარქიო მღვდელმთავართა გამოხმაურებები, ნაწ. 3, 387)”.⁹

უსამღვდელოესმა ლეონიდემ რუსეთის პატრიარქისადმი გაგზავნილ წერილში რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის მიერ მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზეც ისაუბრა. სხდომაზე მყოფი ქართველი სასულიერო და საერო პირებისათვის ნათელი იყო, რომ რუსეთის საეკლესიო კრების წინარე თათბირის სხდომები საქართველოს ეკლესიისათვის სასურველი შედეგით არ დასრულდებოდა. პირიქით, კავკასიაში საეკლესიო საქმეების მოწყობა დაავალეს ქართველებიდამი შოვინსტურად განყობილ დეკანოზ ი. ი. ვოსტორგოვს: „არცთუ უკეთესი მიმართულება მიიღო საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხმა კრების წინამორბედ სხდომებზე. ეს საკითხი სხდომამ უარყოფითად გადაწყვიტა და შემდეგ შეუდგა ამიერკავკასიაში საეკლესიო საქმის კეთილმოწყობას პროტოპრესვიტერ ი. ი. ვოსტორგოვის მიერ შემოთავაზებული ორი პროექტიდან ერთ-ერთის მოწონებით; თუმცა პროფესორ ნ. გლუბოკოვსკის აზრით, ეს პროექტები არც კანონიკური თვალსაზრისით იყო გამართული, რადგან ერთსა და იმავე ტერიტორიაზე ივარაუდებოდა „ორი ერთმანეთთან კონკურენციის მდგომარეობაში მყოფი და შესაძლოა, ერთმანეთის მიმართ მტრულად განწყობილი სხვადასხვა საეკლესიო ხელისუფლების შექმნა“ (კრების წინამორბედი სხდომების ოქმების ჟურნალი, ტ. III, ნაწ. 2, გვ. 277). მომავალი კრების წევრთა და მათ თანაშემწეთა ასეთი განწყობის პირობებში განა შესაძლებელი იქნებოდა, გამოგვეტანა ჩვენი სურვილები და მისწრაფებები სრულიად რუსეთის საეკლესიო კრების სამსჯავროზე? ან იქნებ შენი უწმინდესობა ფიქრობს, რომ „დამოუკიდებლობის ჩვენი სურვილი“ სამართლებრივი თვალსაზრისით იპოვიდა დამცველებს საქართველოს ეკლესიის უახლოეს მმართველებში 1906 წლის უზენაესი განჩინების შემდეგ?

დიდად ვწუხვართ, რომ არ გაგვანხია საკმაო ოფიციალური მონაცემი იმის თაობაზე, თუ როგორ აშუქებდნენ ამ საკითხს საქართველოს ეგზარქოსები უზენაესი საეკლესიო ხელისუფლების წინაშე, მაგრამ ისიც, რაც ხელთა გვაქვს, საკმარისად ცხადად ახასიათებს ეგრეთ წოდებულ ეგზარქოსებს საქართველოში. უზენაესი განჩინების შემდეგ მოსული პირველივე ეგზარქოსი, მთავარეპისკოპოსი ნიკონი, ასე სწერდა 1908 წლის 20 იანვარს წმინდა სინოდის პირველ წევრს, მიტროპოლიტ ანტონს: „საქართველოს სამღვდელოებამ დაადგინა სემინარიებსა და სასულიერო

⁹ გურამ შარაძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი ლეონიდეს ეპისტოლე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი ტიხონის მიმართ. — ჟურნალი „ჯვარი ვახისა“, 1990, №3, გვ. 68.

სასწავლებლებში საღვთისმეტყველო საგნების ქართულ ენაზე სწავლება, მაგრამ ეს უპირობოდ დაუშვებელია... სემინარიას, როგორც ეროვნულ ენაზე მსწავლელს, ჩამოერთვას სახელმწიფო ხაზინის დახმარება და უფლებები, რომლებსაც ის ანიჭებდა თავის მოწაფეებს მანამ, სანამ სრულიად რუსული იყო. მაშინ ჩადენილის სინანულითა და შეწყალების ცრემლიანი ვედრებით ქართველები უარყოფენ თავიანთ ეროვნულ მისწრაფებებს და შეგვეხვეწებიან იმის დაბრუნებას, რაც ჰქონდათ. რა საჭიროა მათთან ლოლიალი?" (ამიერკავკასია, 1917 წლის 16 აპრილი). განა შესაძლებელი იყო, სანატრელო ძმად, გეკონოდა იმედი, რომ ამ სიტყვების ავტორი დადებითად გადაწყვეტდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური უფლებების აღდგენას?

მთავარეპისკოპოს ნიკონის მემკვიდრემ, მაღალყოვლადუსამღვდელოესმა ინოკენტიმ, როცა იმერეთის სამღვდელოების ყრილობამ მიულოცა ეგზარქოსად დანიშვნა და გამოთქვა იმედი, რომ იბერიის ეკლესიის საკითხი კეთილად გადაწყდებოდა, განაცხადა, რომ იგი მხოლოდ რუსეთის ეკლესიას სცნობს და არ აღიარებს საქართველოს ეკლესიას. ასევე ეგზარქოს ინოკენტის მემკვიდრე, მთავარეპისკოპოსი ალექსი მეორე 1913 წლის 7 დეკემბერს იმპერატორისადმი გაგაზავნილ თავის მიმართვაში ამბობს, რომ ქართველთა სურვილი, აღადგინონ საეკლესიო დამოუკიდებლობა, არის „ქართველ ავტოკეფალისტ ინტელიგენტთა ფანატიკური ბოღვა“ (უწმინდესი სინოდის განჩინება №6167, 1914 წლის 11 აპრილი)...

ნათქვამი საკმარისია, უწმინდესო მეუფეო, იმის გასაგებად, თუ როგორ ამზადებდნენ რუსეთის ეკლესიის კრებას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის გადასაწყვეტად და რა დადგენილების გამოტანა შეეძლო კრებას ამ საკითხზე. ავტოკეფალიის საკითხის უარყოფით გადაწყვეტას კი შეეძლო გამოეწვია რუსეთისა და საქართველოს ეკლესიებს შორის მტრობა და კონფლიქტი, რაც ჩვენ არასდროს გვსურდა და არც გვსურს. ამიტომ საეკლესიო საქმისათვის გულშემატკივარი ქართველები ღიად აცხადებდნენ, რომ რუსეთის საეკლესიო კრება, 1906 წლის 11 აგვისტოს უხენაესი განჩინების შემდეგაც კი, არ არის უფლებამოსილი გადაწყვიტოს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხი და ყველა ღონეს ხმარობდნენ, რომ სრულიად რუსეთის მომავალ საეკლესიო კრებას „არ დაეწყო მისთვის განსახილველად გადაცემულ საკითხზე მსჯელობა“ („თბილისი“, №16, 1906 წლის 12 ოქტომბერი, „სამღვდელოთა ჯგუფის თვალსაზრისი“).

ამის შემდეგ ან უნდა დაერჩენილიყავით წმინდა სინოდის ძალაუფლების ქვეშ და მიგვეღწია მისგან ნაწილობრივი სამმართველო რეფორმებისათვის ისე, რომ არ შეეცებოდით ავტოკეფალიის საკითხს ან დაველოდებოდით ხელსაყრელ გარემოებებს, როცა თვით საქართველოს ეკლესია აღადგენდა საკუთარ თავს თვითმმართველი ეკლესიის ხარისხში. უფალმა ღმერთმა ინება ისეთი პირობების შექმნა, როცა საქართველოს ეკლესიამ შეძლო მეორე გზის არჩევა და შედეგად 1917 წლის 12 მარტს თვითგამორკვევის დიდი აქტი მივიღეთ. და ამისათვის გვიცხავ შენ, სიყვარულით აღსავსე?

მაგრამ შენ, უნეტარესო, განაგრძობ ჩვენს მხილებას და ამბობ, რომ ჩვენ „მას შემდეგ, რაც შევწყვიტეთ (1917 წლის 12 მარტის აქტით) კანონიკური ურთიერთობა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან, იმწამსვე გამოვსთხოვეთ დროებით მთავრობას 27 მარტის დადგენილება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ“.

უწმინდესო მეუფეო, საღვთო განგებამ ინება იმის მოწყობა, რამაც დააბრკოლა რუსეთის ეკლესიის კრების მოწვევა 1917 წლამდე და ის, რამაც გაანადგურა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია — თვითმპყრობელი ძალაუფლება შეიცვალა სახალხო წარმომადგენლობით. ამ ცვლილების გამო საქართველოს ეპისკოპოსებმა, სამღვდელოებისა და ერის წარმომადგენლებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს, შეკრებილიყვნენ 1917 წლის 12 მარტს თორმეტი მოციქულის სახელობის მცხეთის საკათოლიკოსო ტაძარში და ერთხმად და ერთხლოვნად დაადგინეს: იმ მომენტიდან

მივიჩნით ადღგენილად საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალური მმართველობა და ამის შესახებ აუწყონ დროებით მთავრობას, რომელმაც შეცვალა ამ მმართველობის 1811 წელს მომსპობი და 1906 წელს მისი ადღგენის მოთხოვნის მიმღები ხელისუფლება. დროებითმა მთავრობამ არა საქართველოს ეკლესიის ეპისკოპოსთა რაიმე მეცადინეობის შედეგად, როგორც მცდარად მიიჩნევს შენი უწმინდესობა, არამედ ჩვენგან სრულიად დამოუკიდებლად მიიღო „დადგენილება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ (დროებითი მთავრობის მაცნე, 1917 წ. №18, შდრ. საეკლესიო უწყებანი, №9, 1917 წ.)“.¹⁰

საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელმა ეკლესიამ 1917 წელს აღადგინა უკანონოდ გაუქმებული ავტოკეფალია, მაგრამ აქაც წინააღმდეგობა შეხვდა. უწმიდესი პატრიარქი ლეონიდე იუწყებოდა, რომ დროებითმა მთავრობამ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა აღიარა, მაგრამ ეროვნული ნიშნით: „ამ დადგენილებაში დროებითმა მთავრობამ აღნიშნა, რომ არ ეხება საქართველოს უძველესი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის კანონიკურ მხარეს, მაგრამ სწორედ რომ შეეხო მას და საკითხიც ანტიკანონიკურად გადაწყვიტა, რადგან აღიარა „საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის ეროვნული, ქართული ხასიათი“, არ შეუზღუდია ის, როგორც ამას კანონები მოითხოვს, გარკვეული ტერიტორიით და ამავე კანონების საწინააღმდეგოდ დატოვა „ყველა რუსული და სხვა არაქართული სამრევლოები რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გამგებლობაში“. საქართველოს ეკლესიის დროებითმა მმართველობამ, რომელიც საკითხის ამგვარ გადაწყვეტას ანტიკანონიკურად მიიჩნევდა, დადგენილების ტელეგრაფით მიღების დღესვე გააპროტესტა ის შემდეგი სიტყვებით: „საქართველოს ეკლესიის ნაციონალური და არა ტერიტორიული ავტოკეფალიის აღიარებას არა აქვს პრეცედენტი ისტორიაში და ეს სრულიად ეწინააღმდეგება ყოველთა მართლმადიდებელთათვის აუცილებელ საეკლესიო კანონებს. საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღიარებულ უნდა იქნას ტერიტორიულ საფუძველზე საქართველოს ძველი საკათოლიკოსოს ფარგლებში“... მაგრამ დროებითი მთავრობა უარყოფითად განეწყო ამ სამართლიანი პროტესტის მიმართ და შესაძლებლად არ მიიჩნია ანგარიში გაეწია საეკლესიო კანონებისათვის...“¹¹

უსამღვდელოეს ლეონიდეს არ დაუმაღავს ქართველებს დიდი იმედი და მოლოდინი იმისა, რომ ისევე როგორც პატრიარქი ტიხონი, ასევე რუსი ერი სიხარულით შეხვდებოდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას, მაგრამ მოხდა პირიქით: „რადგან წმინდა სინოდი XIX საუკუნის დასაწყისში არა თავისი ინიციატივით ჩაერია საქართველოს ეკლესიის საქმეებში, არამედ ზემოდან წამოსული იძულების შედეგად (ბუტკევიჩი, გვ. 16, 19), საქართველოს ეკლესიას ჰქონდა საფუძველი, ეფიქრა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მისი წმინდა სინოდის სახით 1917 წელს სიხარულით შეხვდებოდა საქართველოს ეკლესიაზე მისთვის თავსმობვეული ზრუნვისაგან გათავისუფლებას და გამოასწორებდა დროებითი მთავრობის მიერ დაშვებულ შეცდომას. მაგრამ ეს ასე არ მოხდა: წმინდა სინოდის წევრს, მთავარეპისკოპოს პლატონს (მას შემდეგ, რაც მიიღო ჩვენი ოფიციალური უწყება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა და მისთვის ქართლისა და კახეთის ეპისკოპოსისა და საქართველოს ეგზარქოსის წოდების ჩამორთმევის შესახებ) იმის მაგიერ, რომ ძმურად მოელოცა ჩვენთვის, რუსი ჯარისკაცების ხიშტებით დაგვემუქრა. წმინდა სინოდი კი სასწრაფოდ შეუერთდა ბულგარელთა თვალსაზრისს, რომელსაც შენი უწმინდესობა სამართლიანად უწოდებს სქიზმატურს,

¹⁰ გურამ შარაძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი ლეონიდეს ეპისტოლე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი ტიხონის მიმართ.– ჟურნალი „ჯვარი ვახისა“, 1990, №3, გვ. 69.

¹¹ გურამ შარაძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი ლეონიდეს ეპისტოლე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი ტიხონის მიმართ.– ჟურნალი „ჯვარი ვახისა“, 1990, №3, გვ. 70.

და 1917 წლის 14 ივლისს გამოსცა „კავკასიაში რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის მოწყობის დროებითი წესები“ (საეკლესიო უწყებანი, 1917, №30) და დააწესა რუსი მიტროპოლიტის კათედრა იქ, სადაც უკვე V საუკუნიდან არსებობს ქართველი თბილელი მიტროპოლიტის კათედრა, რითაც დაარღვია I მსოფლიო საეკლესიო კრების მე-8 კანონი: „ნუ იქნება ორი ეპისკოპოსი ერთ ქალაქში“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე იმედი მაქვს, შენი უწმინდესობა „გულის სიღრმეში“ აღიარებს, რომ საქართველოს ეპისკოპოსები მთელი ამ ხნის განმავლობაში იცავდნენ კანონიკურ წესრიგს, მაშინ, როცა ისინი, რომლებიც თავიანთ თავს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლებად მოიხსენიებდნენ, საღვთო კანონების წინააღმდეგ ილაშქრებდნენ.

მაღალყოვლადუსამღვდელოესი ლეონიდეს ეპისტოლედან ნათელია, რომ პატრიარქ ტიხონს საქართველოს ეკლესიისათვის და ქართველი სასულიერო პირებისათვის არაერთი ბრალდება ჰქონდა წაყენებული, მაგრამ მთავარი ბრალდება მაინც ის, იყო რომ საქართველოს ეკლესიამ 1917 წლის ავტოკეფალიის აქტით რუსეთის ეკლესიასთან კავშირი გაწყვიტა და ამით ყველა კანონიკური წესი დაარღვია. არც ამ ბრალდებას დატოვებდა უპასუხოდ უსამღვდელოესი ლეონიდე. ქართველი მღვდელმთავარი რუსეთის პატრიარქს სწერდა, რომ საქართველოს ეკლესიის მიერ 1917 წლის მარტში ავტოკეფალიის გამოცხადება არ იყო კანონიკური წესის დარღვევა, პირიქით ეს იყო ისტორიული უკანონობის აღდგენა. მართალია საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ აღიდგინა თვითმწყემსობის უფლება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ იგი სამუდამოდ წყვეტდა რუსეთის ეკლესიასთან კავშირს: „შენი უწმინდესობა ჩვენ რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიასთან სარწმუნოებისა და სიყვარულის ერთიანობის დარღვევას და მასთან „ყოველგვარი კანონიკური წესების საწინააღმდეგოდ ყველანაირი ურთიერთობის გაწყვეტასაც“ გვსაყვედურობს. მაგრამ ეს საყვედურიც არ დაგვიმსახურებია და ამიტომ უსაფუძვლოა. მართლაც, 1917 წლის 12 და განსაკუთრებით კი 27 მარტის შემდეგ ჩვენ აღარ ვაღიარებდით ჩვენს თავზე სინოდის სრულიად არაკანონიკურ ძალაუფლებას, მაგრამ სულაც არ გვიფიქრია „რუსეთის ეკლესიასთან ყოველგვარი ურთიერთობის“ გაწყვეტა. საბუთში, რომელიც 1917 წლის 14 მარტს გადავეციტ მიტროპოლიტ პლატონს, ცხადად იყო ნათქვამი, რომ მას ჩამოერთმევა „მმართველობის უფლება“ საქართველოს საკათოლიკოსოს ფარგლებში არსებულ ქართულ ეპარქიებსა და სამრევლოებში, სასულიერო სასწავლებლებსა და საეგზარქოსოს საეკლესიო დაწესებულებებში“...¹²

საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა ეპისტოლეს ბოლოს კიდევ ერთხელ გამოთქვა საქართველოს და რუსეთის ეკლესიების ძმური კავშირის სურვილი: „ჩვენ ახლაც გვაქვს იმედი უწმინდესო მეუფეო, რომ „ღმერთი ყველაფერს სასიკეთოდ მოაწყობს და ამ საქმეში არსებული მახვილი კუთხეები დაბლაგვდება“, ხოლო თუ არ მოგვიხდა ძმური შეხვედრა რუსეთის ეკლესიის ადგილობრივ კრებაზე, ამაში წმინდა მეუფეო, ჩვენი ბრალი არ არის — ამ ძმურ კრებაზე ჩვენ, მიუხედავად ობერპროკურორ ა. ვ. კარტაშოვის დაპირებისა, არავის მიუუწვევივართ, როგორც მიიწვიეს კონსტანტინოპოლის, ელადის, სერბეთისა და სხვა ეკლესიათა წარმომადგენლები. მაგრამ რუსეთის საეკლესიო კრებაზე ჩვენს არყოფნას შენი უწმინდესობა ვერ შეაფასებს როგორც რუსეთის ეკლესიასთან ყოველგვარი ურთიერთობის გაწყვეტის სურვილს. ჩვენ მივესალმეთ კრების მოქმედების დაწყებას დეკემბრით, რომელიც კრებამ 1917 წლის 19 აგვისტოს მოისმინა, და ვთხოვეთ სინოდის ობერპროკურორს, დროებითი მთავრობის წევრს, კარტაშოვს, გადაეცა კრებისათვის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისაგან ძმური ქრისტესმიერი მოკითხვა და

¹² გურამ შარაძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი ლეონიდეს ეპისტოლე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი ტიხონის მიმართ. — ჟურნალი „ჯგერო ვახისა“, 1990, №3, გვ. 72-73.

სურვილი, რომ მისი დიდი შემოქმედებითი შრომა ნაყოფიერი ყოფილიყო (სრულიად რუსეთის საეკლესიო და საზოგადოებრივი მაცნე, №99, 1917 წელი).¹³

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი ლეონიდეს წერილიდან იკრკვევა, რომ რუსეთის ახლად არჩეულმა პატრიარქმა ტიხონმა ქართველი სასულიერო პირებს რუსეთის საეკლესიო კრებაზე მხოლოდ იმეტომ მოუხმო, რომ საკუთარი შეცდომა (იგულისხმება საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა – გ. ბ.) მოენანიებინათ. პატრიარქი ტიხონის ამ მოწოდებას ასე გამოეხმაურა მაღალყოვლადუსამღვდელოესი ლეონიდე: „ყოველივე თქმულის შემდგომ შენი უწმინდესობის მოწვევა, რომ გამოვცხადდეთ სრულიად რუსეთის წმინდა კრებაზე და ვადიაროთ საკუთარი ცდომილება, უადგილო და უმიზნოა. ჩვენს ქმედებებში ცდომილებები არ არის და რომც აღმოჩნდეს, ყოველ ეკლესიას აქვს მათი აღმოსაფხვრელი საშუალება, რომელიც შენი უწმინდესობისათვისაც ცნობილია: სული წმინდის უშრეტი მადლი, „რომლის საშვალებითაც სიმართლე გონიერადაა განჭვრეტილი და მტკიცეაა შენახული ქრისტეს სამღვდელოების მიერ“. ამიტომ, ნუ ისურვებ, ძმაო, მავანთა თხოვნით სრულიად რუსეთის კრების სასამართლოზე ჩვენს მოწვევას“...¹⁴

უსამღვდელოემა ლეონიდემ წერილის დასარულს რუსეთის პატრიარქ ტიხონს შესთავაზა, რომ აღედგინათ კანონიკური წესრიგი საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებს შორის, რომელიც უძველესი დროიდან არსებობდა და ასე განემტკიცებინათ ორი ეკლესიის ექვარისტიული კავშირი: „რაც შეეხება „მახვილ კუთხეებს“, რომლებზედაც საუბრობდა წმინდა სინოდის თავმჯდომარე, მაღალყოვლადუსამღვდელოესი სერგი, და რომლებსაც ადგილი ჰქონდა თქვენთანაც და ჩვენთანაც, გამოწვეულია საერო ხელისუფალთა ეკლესიის საქმეებში ჩარევით და საერო ხელისუფალთა სურვილით, დაემორჩილებინა საქართველოს ეკლესია. მაგრამ შენ, უნეტარესო, იცი, რომ ყოველივე ეს მოხდა „არა საეკლესიო წესის, არამედ კაცთა სხვაგვარი სურვილის მიხედვით“, ამიტომაც, აღვადგინოთ კანონიკური წესრიგი საქართველოსა და რუსეთის ეკლესიებში და დავიცვათ ის მტკიცედ, „რათა შემდგომში არაფერი მსგავსი არ მოხდეს“ (I მსოფლიო საეკლესიო კრება, წესი 2). განახლებული საეკლესიო და სახელმწიფო წყობილების პირობებში ერთმანეთის მიმართ ჩვენი გრძნობებიც უნდა განახლდეს, რათა „მომავალში ჩვენი ერთმორწმუნე ერები ქრისტესმიერი სიყვარულისა და ერთობის სულისკვეთებით გამსჭვალულნი და საეკლესიო განჩინებათა ერთგულნი ერთმანეთის გვერდი-გვერდ მშვიდობით ცხოვრობდნენ“.

მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სიყვარული ღვთისა და მამისა და ზიარება სულისა წმინდისა იყოს ჩვენ ყოველთა თანა. ამინ.

მდაბალი ლეონიდე, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი¹⁵.

ასეთი შინაარსის წერილი მისწერა უწმიდესმა ლეონიდემ რუსეთის პატრიარქ ტიხონს (ბელიაჟინი). რუსეთის ახლად არჩეულმა პატრიარქმა საქართველოს ეკლესიისათვის ყოვლად მიუღებელი და დამამცირებელი წერილი 1917 წელს დაწერა. როგორც ჩანს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა კირიონ II-მ მიზანშეწონილად არ მიიჩნია პასუხის გაცემა. შედარებით გვიან, ახალა უკვე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ლეონიდემ უპასუხოდ არ დატოვა პატრიარქ ტიხონის გზავნილი. ეპისტოლედან ნათელია, რომ არც რუსეთის ეკლესიის ახლად არჩეული პატრიარქისათვის იყო საქართველოს ეკლესიის

¹³ გურამ შარაძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი ლეონიდეს ეპისტოლე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი ტიხონის მიმართ.– ჟურნალი „ჯვარი ვახისა“, 1990, №3, გვ. 74.

¹⁴ გურამ შარაძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი ლეონიდეს ეპისტოლე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი ტიხონის მიმართ.– ჟურნალი „ჯვარი ვახისა“, 1990, №3, გვ. 75.

¹⁵ გურამ შარაძე. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესი ლეონიდეს ეპისტოლე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი ტიხონის მიმართ.– ჟურნალი „ჯვარი ვახისა“, 1990, №3, გვ. 76.

ავტოკეფალიის აღდგენის ფაქტი მისაღები. მიუხედავად ამისა ქართველი კათოლიკოს-პატრიარქები, ეპისკოპოსები თუ სასულიერო პირები ყოველმხრივ ცდილობდნენ საქართველოს ეკლესიის ინტერესების დაცვას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საქმე საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიას ეხებოდა.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და რელიგიური სინკრეტიზმის საკითხისათვის

ქრისტიანობის გავრცელების საკითხი საქართველოს მთიანეთში ცალკე განხილვის თემაა. ქართველ ეთნოგრაფთა მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით დადასტურებულია, რომ საქართველოს მთიანეთში არსებული რწმენა-წარმოდგენები სინკრეტული ხასიათისაა. გარეგნულად აქ თითქოს ქრისტიანობა გვექონდა, მაგრამ სინამდვილეში ერთმანეთთან შერწყმული იყო ქრისტიანობამდელი რწმენა-წარმოდგენები და ქრისტიანული რელიგია.¹

ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრება საქართველოს ბარსა და მთაში არაერთგვაროვნად მიმდინარეობდა. მთაში ახალ რელიგიას დიდი წინააღმდეგობებით ხვდებოდნენ და ხელისუფლებას მის გასაქრისტიანებლად საუკუნეების მანძილზე უხდებოდა ბრძოლა.²

საქართველოს მთის მოსახლეობის გასაქრისტიანებლად მიმართული ღონისძიებათა ცნობები დაუცავს როგორც ჰაგიოგრაფიულ, ასევე საერო ჟანრის მწერლობას. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობით, წმიდა ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანების შემდეგ, ქრისტიანობა აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობისათვის უქადაგია, მაგრამ მთიელებს ყურად არ უღიათ წმიდა ნინოს ქადაგება, რის გამოც მთიელთა გასაქრისტიანებლად ძალის გამოყენება გამხდარა საჭირო.³

ქრისტიანობას განსაკუთრებით ფხოველებმა გაუწიეს წინააღმდეგობა, რამაც მათი თუშეთში მიგრაცია გამოიწვია: „ხოლო ფხოველთა დაუტევეს ქუეყანა მათი და გარდავიდეს თუშეთს. და სხუანიცა მთეულნი უმრავლესნი არა მოიქცეს, არამედ დაუმძიმა მათ მეფემან ხარკი, ოდეს არა ინებეს ნათლის-ღება.“⁴ ქართლის სამეფო კარის მცდელობა მთიელთა გასაქრისტიანებლად გაგრძელდა შემდგომ საუკუნეებშიც.

ქრისტეს აღიარების მიზნით, ვახტანგ გორგასლის მემკვიდრემ დაჩიმ გამეფების შემდგომ, კახეთში მოიწვია მთიულნი: „ხოლო მათ არა ინებეს, და განდგეს ყოველნი ნოპატელნი“.⁵

მთიელთა გაქრისტიანებისთვის იღვწოდა აბიბოს ნეკრესელიც, რომელსაც მთიელთა გარკვეული ნაწილი მოუქცევია ქრისტეს რჯულზე.⁶

თამარის ისტორიკოსი მოგვითხრობს, მთიელთა სარწმუნოების და მათი განდგომის შესახებ, რომელსაც ადგილი თამარის მეფობის დროს ჰქონია. მთიელებს კვლავ გაუსხენებიათ და აღუდგენიათ თავიანთი წარმართული კერპების თაყვანისცემა, რის გამოც სამეფო კარს მთაში ჯარით გაუგზავნია ივანე ათაბაგი, რის შედეგადაც კვლავ დაუმორჩილებიათ და ქრისტეს რჯულზე მოუქცევიათ მთიელები.⁷

¹ რ. თოფჩიშვილი. რელიგიური სიტუაცია საქართველოში. ზოგადისტორიული მიმოხილვა. ქრისტიანობა საქართველოში. ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევები. თბილისი, 2000, გვ. 77.

² ნ. ჯალაღბაძე. რელიგიური სინკრეტიზმის ეთნო-ფსიქოლოგიური ასპექტები. ქრისტიანობა საქართველოში ისტორიულ-ეთნოლოგიური გამოკვლევები. თბილისი, 2000, გვ. 95.

³ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“. წ. I, (V-Xსს). ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1964, გვ. 89.

⁴ „ქართლის ცხოვრება“. ანასეული ნუსხა. თბილისი, 1942, გვ. 80.

⁵ „ქართლის ცხოვრება“. ანასეული ნუსხა. გვ. 140.

⁶ „ქართლის ცხოვრება“. მარიამისეული ნუსხა. ე. თაყაიშვილის გამოცემა. თბილისი, 1906, გვ. 107.

თამარ მეფის დროს ფშავ-ხევსურთა გაქრისტიანების შესახებ მოგვითხრობს დიმიტრი ცისკარაულის საარქივო მასალებიც, რომელიც მას ხევსურების ტრადიციული გადმოცემების მიხედვით ჩაუწერია: „მათი ტრადიციულის გადმოცემით, უწინარეს დროში ივინი ცხოვრობდნენ ეგრედ წოდებულს „ხანდოსკარს“ ესლანდელს ჟინვანის და მის გარშემო მიდამოებში და როდესაც მათგან მოითხოვეს გაქრისტიანება, ივინი ამ ახალ სჯულს გაექცნენ და შეეხიზნენ ესლანდელ ხევსურეთის ტერიტორიას, სადაც უგზობის გამო დიდ ხანს დარჩნენ ისევ თავისუფლად. ქრისტიანობა მიიღეს თამარ დედოფლის დროს, რომელიც თურმე ძლიერ უყვარდათ და დღემდის დიდის პატივით ეპყრობიან მის სახელსა და ხსენებას“.⁸

ფხოველთა წინააღმდეგ გალაშქრებაზე, მათი დამორჩილების და ჯვარის სამსახურში ჩაყენების ამსახველ ცნობებს გვაწვდის ჟამთააღმწერელიც; მისი ცნობით, საქრთველოს სამეფო კარს დავით ულუს მეფობის დროს გაულაშქრია მთიანეთში. ხოლო, უშუალოდ ეს ლაშქრობა მესტუმრე ჯიქურის მიერ ყოფილა დაგეგმილი და სისრულეში მოყვანილი, რომელსაც დაუმორჩილებია და მოხარკედ გაუხდია ფხოველნი.⁹

მთიულეთ-ხევში ქრისტიანული რელიგიის მდგომარეობის და ისევ და ისევ ამ ტერიტორიაზე ქართული ეკლესიის მიერ ქრისტიანობის გავრცელების მცდელობის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის წილკნის ეკლესიის გუჯარი, რომელიც 1669 წელს დომენტი კათალიკოსის განკარგულებით დაუწერია რომანოზ წილკნელს. გუჯრის ცნობები მიხედვით ქაისხეველები სახელმწიფოს წინაშე არანაირ გადასახად არ იხდიდნენ. და მათ ტერიტორიაზე ეპისკოპოსის შესვლასაც კი ხელს უშლიდნენ. არც ახსარებას ამბობდნენ და მარხვასაც არ ინახავდნენ, ნათლისღების წესსაც არ ასრულებდნენ. ამიტომ ქრისტიანობაზე მათ მოსაქცევად არაგვის ერისთავის ძალის გამოყენებაც კი გამხდარა საჭირო, ზოგიც საკუთარი ნებით მოქცეულა. რომანოზ წილკნელს ამ ტერიტორიაზე არსებული ქრისტიანული ტაძრები უკურთხებია და სასულიერო პირები განუწესებია ქრისტიანული წესჩვეულებების შესასრულებლად.¹⁰

ქრისტიანული წესის და რიგის დაცვისკენ მოუწოდებს მთიელებს ერეკლე II-ის ძის, ვახტანგ ბატონიშვილის 1782 წლის მთიელთა განჩინების ბრძანებაც, რომლის ცნობითაც, ვახტანგ ბატონიშვილი მთიელებს ქრისტიანული წესჩვეულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში სასჯელით ემუქრება.¹¹

გ. ჯალაბაძის აზრით, მთაში მძლავრი წარმართული ნიშნის არსებობა, განპირობებული ყოფილა მთაზე ბარის ფეოდალთა ბატონობის სისუსტით. ამიტომ რელიგიური მიმართულება ფშავ – ხევსურთა ყოფაში ისევ ძველი დარჩენილა. გ. ჯალაბაძე თავისი აზრის დოკუმენტისათვის იმომეებს იოანე წილკნელის მიერ 1800 წელს შედგენილ მოხსენებით ბარათს: ბარათი ანტონ კათალიკოსის სახელზეა შედგენილი და გათვალისწინებული ყოფილა რუსეთის იმპერატორის-პავლე პირველისათვის. მოხსენებით ბარათში იოანე წილკნელი კმაყოფილი ტონით აღნიშნავს: „კაწალხევში ავედი. იქ ფშავლები ცხოვრობენ 100 კომლი და სამ დღეში მრავალი მოვაქციე ქრისტიანობაზე“. ამ დოკუმენტიდან ჩანს, თუ რა დიდი ხნის მანძილზე შესძლეს მთიელებმა რელიგიური ავტონომიის შეენარჩუნებინა.¹²

⁷ „ქართლის ცხოვრება“. მარიაამისეული ნუსხა. ე. თაყაიშვილის გამოცემა. თბილისი, 1906, გვ. 527-528.

⁸ დ. ცისკარაული. მ. 106. „ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი“ XX. „სარწმუნოება“, გვ. 3. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, დიმიტრი ცისკარაულის პირადი საარქივო ფონდი.

⁹ ჟამთააღმწერელი. „ქართლის ცხოვრება“. ტ. II. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1959, გვ. 229-230.

¹⁰ შ. ჩხეტი. წილკნის სარგოს გარიგების წიგნი 1660 წლისა.– ჟურნალი „საისტორიო მოამბე“. II. ტფილისი, 1925, გვ. 11-24.

¹¹ განჩინება ბარისა და მთიურთა ადგილთა (1782).– ქართული სამართლის ძეგლები. ტ. II. რედაქტორი ი. დოლიძე. თბილისი, 1965, გვ. 451.

¹² გ. ჯალაბაძე. მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა). თბილისი, 1986, გვ. 66.

მთაში როგორც საერო, ასევე სასულიერო ხელისუფლების მიერ ქრისტიანობის დანერგვის შესახებ, მეტყველებენ აქ არსებული, მაგრამ უკვე განადგურებული ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების ნაშთები.

სერგი მაკალათიას ფშავის შესახებ აღნიშნული აქვს, რომ ქრისტიანობა ფშავში ადრე შესულა (IV საუკ.), მაგრამ მისი რწმენა-წარმოდგენები მოსახლეობაში მყარად ვერ დამკვიდრებულა, ამიტომ, ამ მხარეში ქრისტიანული ძეგლები ნაკლებად არის, რომელთა ხნოვანებაც XIX საუკუნეშია საძიებელი.¹³

ერთ დროს ფშავ-ხევსურეთში ქრისტიანობის მყარად არსებობაზე მიუთითებს არა მარტო აქ შემორჩენილი ძველი ეკლესიის ნაშთები, არამედ აქ არსებულ ხატ-სალოცავებში ძველი დროიდან დიდი რაოდენობით დაცული ქრისტიანული ხატები და საჭირო ნივთები, რომლებიც უკვე ხევის-ბერ-დეკანოზთა ხელში ყოფილა.¹⁴

ხევსურეთის ჯვარ-სალოცავებში, დიმიტრი ცისკარაულის ჩანაწერების მიხედვით, ყოფილა მრავალი ვერცხლის და ბრინჯაოსგან ნაკეთი წარწერიანი და უწარწერო შეწირული მრავალი ნივთი. აქ ყოფილა თამარ დედოფლის მიერ შეწირული ნივთი წარწერით: „ეს შემომიწირავს თამარსა დედოფალსა ამა და ამ წმიდანის სადიდებლად“. დ. ცისკარაულს, შემოწირულ ნივთებს შორის დაფიქსირებული აქვს ერეკლე მეფის და ვინმე ჯიმშერ მთავრის მიერ შეწირული ნივთები. ამ ნივთების ხელში გდებას თურმე ბევრი ცდილობდა, როგორც საერო, ასევე საეკლესიო პირიც. მაგრამ ხევსურები მათ საგულდაგულოდ მალავდნენ და იშვიათად თუ აჩვენებდნენ ვინმეს. სოფელ ახიელის მთავარანგელოზის სამლოცველოშიც ყოფილა ძვირფასი ლითონისგან ნაკეთები ტაბაკი, წონით დაახლოებით შვიდ გირვანქამდის. რომელზედაც გამოსახული ყოფილა ხარება, გარშემო კი ჩამოსხმული ლათინური ასოებით წარწერა ჰქონია.¹⁵

ჩვენ თუ დავუკვირდებით და შევისწავლით მთიელთა ყოფას, აშკარად დაინახავთ, რომ მათ ცხოვრების წესში მრავალი წინაქრისტიანული ხასიათის წესჩვეულება შემორჩენილა, რომელსაც შერწყმია ქრისტიანული რელიგიის ელემენტები.

ვერა ბარდაველიძის თქმით, ქართველი ხალხის ყოფაში შემონახული მდიდარი და მრავალმხრივი მასალის შესწავლა წარმოადგენს ძვირფას ისტორიულ წყაროს ქართველი ხალხის კულტურის ისტორიის საკვანძო საკითხების გასარკვევად.¹⁶

მთაში ქრისტიანობის ზედაპირული გავრცელება გამოწვეული იყო სხვადასხვა მიზეზით. ჩვენი აზრით, ერთ-ერთი პირველი მიზეზი, რომლის გამოც ქრისტიანობამ მყარად ვერ მოიკიდა ფეხი მთის მოსახლეობაში, იყო ისევე მთა, რომელიც გეოგრაფიული და სხვა ფაქტორების გამო გამოირჩეოდა კარჩაკეტილობით, რის შედეგადაც ქრისტიანულს წინაქრისტიანული ჭარბობდა.

საქართველოს ცენტრალური რაიონებისგან განსხვავებით, რომლებიც წარმოადგენდნენ ქრისტიანობის გავრცელების კერებს მთიანი რაიონებისკენ, ამ უკანასკნელთა აზროვნებაში მაინც საკუთარი სამყაროს წინაქრისტიანული სურათი აისახებოდა. ამგვარი სურათის თითქმის უძღვეველობა გამოწვეული იყო ქრისტიანობამდელი რწმენით, რომლის მიხედვითაც თვითონ მთა წარმოადგენდა ღვთაებას. მთები იყო საუფლო როგორც მამრ, ასევე ქალ-ღვთაებათა. ქრისტიანობის მიზანს ასეთი მთების გაქრისტიანება წარმოადგენდა, რომელსაც თან სდევდა კერპსალოცავების აღგილას ეკლესიების მშენებლობა. ეს პროცესი ნათლადაა

¹³ ს. მაკალათია. ფშავი. თბილისი, 1985, გვ. 190-191.

¹⁴ რ. ძამსაშვილი. მეზავრის შენიშვნები (მოგზაურობა არაგვის ხეობაში). გაზეთი „ივერია“, 1880, №102, გვ. 1-2.

¹⁵ დ. ცისკარაული. მს. 106. „ხევსურთა ხნეჩვეულებანი“ XX, „სარწმუნოება“, გვ. 64.

¹⁶ ვ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. I. „ფშავი“, თბილისი, 1974, გვ. 3.

წარმოდგენილი როგორც საისტორიო, ასევე ჰაგიოგრაფიული ჟანრის ლიტერატურაში.¹⁷

ჰაგიოგრაფიულ ნიმუშებში მრავლად არის პასაჟები, სადაც წარმოდგენილია საქართველოს განაპირა, მაღალმთიანი ხეობებისა და მთების ქრისტიანიზირების პროცესი. ამ სახის სურათი წარმოდგენილია „მარტვლობაჲ ყრმათა კოლაელთაჲ“ – ს ძეგლში: „იყო სოფელი ერთი დიდი თავსა ზედა დიდისა მის მდინარისასა, რომელსა ჰრქვან მტკუარი, ჴევსა, რომელსა ჰრქვან კოლაჲ. და იყო უმრავლესი ერი სოფლისაჲ მის წარმართთა კერპთ მსახური, და უმცროესი ერი ქრისტიანე, ღმრთის მსახური“.¹⁸

ჰაგიოგრაფიული ჟანრის თხზულებათა მკვლევარი, ქალბატონი ნათელა ვაჩნაძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც: „ეს დრამატული მოვლენები გათამაშდა მცხეთიდან–ქართლის სამეფოს პოლიტიკური და რელიგიური ცენტრიდან–საკმაოდ მოშორებით, მაღალმთიან ხეობაში, „თავსა ზედა დიდისა მის მდინარისასა, რომელსა ჰრქვან მტკუარი.“ ეს ხომ უძველესი ქართული თემა–კოლა, მთიან მხარეებში ხომ სხვაგვარად იყვნენ განწყობილნი ყოველივე სიახლის მიმართ, ვიდრე ბარში! მთები აშორიშორებდა ერთიანი ქართული სამეფოს ცალკეულ შემადგენელ ნაწილებს, ჰყოფდა საზოგადოებას ცალკეულ სოციოკულტურულ ერთეულებად, ხელს უწყობდა მათ კარნაკეტილობას მთელი შუა საუკუნეების მანძილზე და თვით ახალ და უახლეს ხანაშიც კი“.¹⁹

ძეგლში წარმოდგენილია ის თავდაპირველი ხანა, როდესაც ქრისტიანობას საქართველოში ბრძოლა უნდა ჰქონოდა ადგილობრივ წარმართობასთან. აქ მოთხრობილია ამბავი იმისა, თუ როგორ ძლიერ ჰყვარებიათ ჩვენ წინაპრებს თავიანთი წინაქრისტიანული სარწმუნოება. რომ უბრძოლველად არ უთმობდნენ ასპარეზს ქრისტიანობას და დიდ წინააღმდეგობას უწევდნენ.²⁰

წინაქრისტიანული რელიგიის კულტმსახურთა ადგილების და მათი რწმენის მიხედვით, წმინდა მთების გაქრისტიანების ამსახველი კადრები მჭიდროდ არის დაკავშირებული საქართველოში ცამეტი ასურელი მამის მოღვაწეობასთან.

იოანე ზედაზნელის „ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ წმიდა იოანე დაემკვიდრდა მაღალ მთაზე, რომელსაც ჰქვია ზედაზენი, რომელზედაც ააშენა მონასტერი. მანამდე ეს ადგილი იყო ყოვლად „მალნარი“ და წინაქრისტიანული სააზროვნო სისტემის მქონე საზოგადოების სამკვიდრებელი, სადაც ასრულებდნენ სხვადასხვა რელიგიურ რიტუალებს.²¹

სერაპიონ ზარზმელის „ცხოვრების“ ტექსტში არსებული პასაჟების მიხედვით, საკერპო, უკაცრიელი ადგილების უფლის მიერი ცვრის ცხებისათვის იღწვიან წმიდა მამები. ტექსტის მიხედვით, ასეთი უკაცური საკერპო ადგილები მოხსენიებულია შემდეგი სახელებით: თავი შეშათაი, ტყიანი და ლოდიანი, მალნარი და სხვ.²²

¹⁷ რ. სირაძე. ქართული აგიოგრაფია. თბილისი, 1987, გვ. 105-106.

¹⁸ წამებაჲ ყრმათა წმიდათაჲ რიცხვთ ცხრათაჲ, რომელნი იყვნეს სულითა ძმანი ნათლის-ღებითა წმიდისაგან ემბაზისა, ხოლო შობილ იყვნეს თავის-თავისა დედისაგან თვისისა, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“. წ. I, (V–X სს). ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1964, გვ. 183-184.

¹⁹ ნ. ვაჩნაძე. სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი V-X სს. თბილისი, 1998, გვ. 20.

²⁰ ივანე ჯავახიშვილი. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად. წ. I. თბილისი, 1945, გვ. 65.

²¹ ცხოვრებაჲ წმიდისა მამისა ჩუენისა იოვანე ზედაზნელისაჲ. რომელი ბრძანებითა ღმრთისაჲთა და წინამძღურობითა სულისა წმიდისაჲთა მოივლინა ქუეყანით შუამდინარით ქუეყანად ქართლისად ათორმეტთა მოწაფეთა მისთა წმიდათა თანა, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“. წ. I, (V–X სს). ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1964, გვ. 201.

²² ბასილი ზარზმელი. ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“. წ. I, (V–X სს). ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1964, გვ. 329-330.

ჰაგიოგრაფიული ძეგლების ცნობების მიხედვით, ქრისტიანობა რომ ცდილობდა უკაცრიელი, მადნარი მთების გაქრისტიანებას, ამის ნათელი მაგალითი დაუცავს დავითის და ტირიჭანის „მარტვილობის“ ტექსტს, რომლის ცნობით, წარმართი კაცი თევდოსი პირადი მზაკრული ანგარების გამო „მადნარ“, „ურწყული“ და „ვერხუნარ“ მთის წვერზე დაუდარაჯდება თავის დისშვილებს, რომელნიც უფლის მადლით ცხებულნი იყვნენ, და დახოცავს მათ. წარმართი თევდოსი თავისი ქმედების გამო ბრმავდება, მაგრამ შემდგომ ერთი დიდი სასწაულის წყალობით იგი მოეგება გონს, რის გამოც იგი აღიარებს ქრისტეს და სწორედ სასწაულის წყალობით აღუდგება მხედველობა.²³

ამ ფაქტების მიხედვით, მოხდა არა მარტო წარმართი ადამიანის გაქრისტიანება, არამედ მასთან ერთად მოხდა ურწყული და მადნარი მთის ქრისტიანიზაცია.

მთათა თაყვანისცემის და მათზე საკერპო ადგილების არსებობაზე მიუთითებს ნინოს „ცხოვრების“ ტექსტიც: „ვჰმსახურებდით სამე დაბადებულთა და არა დაბადებულსა, ქერობინთა ეტლთა ზედა მჯდომარისა წილ მთათა მადალთა თაყუანის – სცემდეს მამანი ჩუენნი, ... ხოლო ამას ქუეყანასა ქართლისასა იყვნეს ორნი მთანი და მათ ზედა ორნი კერპნი, არმაზ და ზადენ“.²⁴

მთის გაღმერთების და მის თაყვანისცემაზე მიუთითებს ქართველ მთიელებში ბოლო დრომდე ჩვეულებად შემორჩენილი წესი, რომელიც სრულდებოდა სნოს მცხოვრებთა მიერ საუფლო დღესასწაულთან დაკავშირებით. ამ დღეს, რომელიც მოდიოდა აღდგომიდან მეთორმეტე კვირა დღეზე, სწოველები მიემართებოდნენ ორ მაღალ მთის წვერისაკენ. ერთი მთა მდებარეობდა სნოდან ჩრდილოეთით და მას უწოდებდნენ „წვერს“, ხოლო მეორე მთა სნოდან ჩრდილოეთით იყო, რომელსაც „დარყეს წვერის“ სახელით მოიხსენიებენ.²⁵

მთიულეთში, მიხეილ კედელაძის მიერ ჩაწერილი ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, სოფ. კობაანში, მაღალ მთის წვერზე არსებულ ხატს მოსახლეობა უწოდებდა „წვერის ანგელოზის ხატს“, ხოლო თვითონ ამ მთას მოიხსენიებდნენ „ხატის მთის სახელწოდებით“.²⁶ წარმოდგენილი ცნობის მიხედვით, ვფიქრობთ, რომ სახელწოდება „წვერის ანგელოზი“-თ ჩვენ საქმე გვაქვს წინაქრისტიანული ცნობიერებისათვის დამახასიათებელ რწმენა-წარმოდგენასთან, რომლის მიხედვითაც თაყვანს სცემდნენ და აღმერთებდნენ მთას, განსაკუთრებით კი მის წვერს.

ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალა, მთის და მასთან დაკავშირებით არსებული წინაქრისტიანული რწმენა-წარმოდგენები ქრისტიანული რელიგიისათვის წარმოადგენდნენ ერთგვარ ბარიერს, რომლის გადალახვაც საკმაოდ რთული აღმოჩნდა.

მკვლევარები, რომელთაც უმოგზაურიან და შეხება ჰქონიათ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მოსახლეობასთან, ერთხმად აღიარებენ, რომ მთიელთა ეთნო-რელიგიურობაში წინაქრისტიანული კულტურის წეს-ჩვეულებების არსებობის ერთ-ერთი მიზეზი წარსულის გადმოცემის როლი იყო.

თინათინ ოჩიაურის მიხედვით, მთიელთა ყოფაში გადმოცემა იყო ერთ-ერთი მძლავრი საშუალება, რითაც მთის მოსახლეობა თავის ტრადიციასა და ადათ-წესებს ინარჩუნებდა, თავის ყოფას იცავდა. გადმოცემის ამ ძალის მაგალითად შეიძლება

²³ წმიდათა ყრმათა ორთა ძმათა დავითისი და ტირიჭანისი საკითხავი, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“. წ. I, (V–Xსს). ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1964, გვ. 186-191.

²⁴ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები“, წ. I, (V–Xსს). ი. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბილისი, 1964, გვ. 125.

²⁵ გ. ბედოშვილი. კავკასიის მთებიდან – გაზეთი „დროება“, 1881, №75, გვ. 3.

²⁶ მ. კედელაძე. 1/7. სოფ. კობაანის წვერის ანგელოზის ხატის მთა, გვ. 8. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, მიხეილ კედელაძის პირადი საარქივო ფონდი.

დავასახელოთ ხალხური სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორც იყო ხევსურული რჯული.²⁷

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა, კერძოდ კი, ხევსურების ცხოვრების წესშიც გადმოცემის მნიშვნელობა და ადგილი განაპირობებს ძველი შეხედულებების დაცვას, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე უცვლელად მეორდება. „ეს ასე იყო, ეს ასე უნდა იყოს, ეს ასე იქნება“.²⁸

XIX საუკუნის ბოლოს, ქართველ მთიელებში (ხევში) არსებულ ცხოვრების წესზე გადმოცემის როლის შესახებ მოგვითხრობს გაბრიელ ბედოშვილიც, რომელსაც მიაჩნია, რომ ხევის მოსახლეობა კი მიჰყვება თანამედროვე ცხოვრების წესს, მაგრამ, მაინც ჩამორჩენილია და ამის მიზეზად მას მიაჩნია წინაპართაგან დატოვებული ზნე-ჩვეულებების მიმდევრობა და გავლენა.²⁹

XIX საუკუნის ბოლო დროის მთიულეთ-გუდამაყარში წინაპართაგან დატოვებული რწმენა-წარმოდგენების თავყანისცემის შესახებ არაერთი საგაზეთო პუბლიკაცია აქვს გამოქვეყნებული დიმიტრი მეტრეველს. მისი ცნობების მიხედვით: გუდამაყრელები ისევ ძველებური წესჩვეულებებით ცხოვრობდნენ, ასევე ფშავ-ხევსურთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაშიც დიდი ადგილი ეკავა არქაულ რწმენა-წარმოდგენებს. მაგალითად მთიულს სამღვდელ პირი ან თუ ვინმე ეტყოდა, რომ მისთვის საზიანოა კერპების მსახურობა, ან დედა-კაცების მიერ ტყეში მელიოგინების წესის შესრულება, ამ რჩევას იგი ძალზედ უნდობლად შეხედავდა.³⁰

მეცხრამეტე საუკუნის გუდამაყარში, როგორც ჩანს, საერო და სასულიერო ხელისუფლება ბევრს ცდილობდა ქრისტიანობამდელი კულტურისათვის დამახასიათებელი რწმენა-წარმოდგენების აღმოფხვრას, მაგრამ მათი მცდელობის შედეგი მცირე ყოფილა.³¹

მთიულთა ცხოვრების ყოფაში გადმოცემის გამო არსებულ საწარმართო წესზე და ქრისტიანობის გავრცელების ხელის შემშლელ ფაქტორებზე მიაჩნებოდა ვაჟა-ფშაველაც:

„ფშაველები, როგორც ნამდვილნი ქართველნი, რა თქმა უნდა, მართლ-მადიდებლები არიან, ხოლო ფშაველების მართლ-მადიდებლობა არ წარმოადგენს გაწმენდილს, შემუშავებულს რჯულს; იგი შემდგარია სხვა-დასხვა წარმართულის და ქრისტიანულის წეს-რწმუნებისაგან“.³²

მთის მოსახლეობის ცნობიერებაში არსებულ მრავალ წინაქრისტიანული წესის მიზეზებზე მიუთითებს 1770 წლის დემოგრაფიული ნუსხაც, სადაც ვკითხულობთ: „არს ჴევსურეთი კერძო ქრისტიანე ჩვენის მოუცლელობით და ჟამთ ვითარებით სჯულზედ წამკდარნი. კომლნი ათას ორასი“.³³

აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის ეთნო-რელიგიურ ყოფაში ქრისტიანობის გახალხურება, უყურადღებოდ არც უცხოელ მოგზაურებს დარჩენიათ.

„მთებში, არაგვის და თერგის სათავეებში ეგრეთწოდებული ფშავები და ხევსურები ცხოვრობენ; უფრო აღმოსავლეთით კი ზემოთ ხსენებული თუშები... ფშავებსა და ხევსურებს, ისევე როგორც ოსებს, სულ არ გააჩნიათ რელიგია. ამის გამო ძალიან უჭირთ როგორც ერთის, ისე მეორეთა მონათვლა მართლმადიდებელ ქრისტიანებად. ისენი მღვდლებს, რომლებსაც მათ უგზავნიდნენ, ყოველთვის უკან აგლებდნენ“.³⁴

²⁷ თ. ოჩიაური. მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში. თბილისი, 1967, გვ. 8.

²⁸ შ. არაბული. ისტორიული თავგადასავალი ხევსურთა. თბილისი, 2006, გვ. 8.

²⁹ გ. ბედოშვილი. თერგის ხეობიდან.— გაზეთი „დროება“, 1881, №84, გვ. 2.

³⁰ დ. მეტრეველი. მთიულ-გუდამაყარი.— გაზეთი „დროება“, 1881, №90, გვ. 2.

³¹ „გუდა-მაყარი“.— გაზეთი „ივერია“, 1888, №195, გვ. 2.

³² ვაჟა ფშაველა. ფშაველები.— გაზეთი „ივერია“, 1886, №39, გვ. 1.

³³ გ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი. 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა.— ჟურნალი „მაცნე“, ისტორიის სერია, 1973, №1, გვ. 153.

³⁴ კოხისა და სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა. თბილისი, 1981, გვ. 156.

ხევსურეთის ყოფა-ცხოვრების და რჯულის შესახებ ძალზედ საინტერესო ჩანაწერები აქვს გაკეთებული რაფიელ ერისთავს – ხევსურებს გააჩნიათ საკუთარი სამართალი და ზნე-ჩვეულებები, მათ აქვთ ყველასგან გამორჩეული ტანისამოსი. მათ ყოველდღიურ ყოფაში წარმართული ჭარბობს ქრისტიანულს. როგორც რ. ერისთავს ჰგონია ერთდროს ამ მხარეში ქრისტიანობა მყარად ყოფილა დამკვიდრებული, მაგრამ საქართველოს მდგომარეობის გაუარესების გამო, მათ აღარ ჰყოლიათ ქრისტიანული რელიგიის მცოდნეები, რის შედეგადაც დავიწყებამის მისცემია ქრისტიანობა და კვლავ უმძლავრია წინაქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებს. რ. ერისთავი ასახელებს ხევსურეთის შემდეგ სალოცავებს: „გუდანის ჯვარი“, „საღმრთო ზღურბლის თავი“, „ხახმატის ჯვარი“, „გიორგი ნაღვარის პირისა“, „სანების ჯვარი“, „კარატის ჯვარი“, „ანატორი“, „ნახარელა“, „პეტრე-პავლე“, „ადგილის დედა“, „პირქუში“, „გიორგი მუხის ანგელოზი“, „თელის ანგელოზი“, „გორის ანგელოზი“, „ჯიშალის ჯვარი“, „კოპალა“, „უნჯის ანგელოზი“, „დიდ გორი“, „თეთრი გიორგი“, „კარის მეზობელი“, „იასხარი“ და სხვა. ასევე ხევსურები აღიარებენ სულეთის ღმერთს, ქრისტე ღმერთს, დიდ ღმერთს და ერთ ღმერთიანობის შესახებ არაფერს შეიგონებენ, თუმცა ქრისტიანობისაც სწამთ.³⁵

ხევსურების ყოფა-ცხოვრებაში ქრისტიანობამდელი წეს-ჩვეულებების არსებობის ერთ-ერთ მიზეზად რ. ერისთავს დასახელებული აქვს დროის ცვლილება, რის შედეგადაც ამ მხარეში ქრისტიანული რელიგიის მცოდნე აღარ დარჩენილა, რომელიც იქადაგებდა ქრისტიანობას. ამის გამო კი ხევსურეთში კვლავ წინაქრისტიანული წეს-ჩვეულებანი აღორძინებულა.

ფშავ-ხევსურთა რჯულის შესახებ თავისი აზრი აქვს გამოთქმული 1912 წელს ამ მხარეში მოგზაურობისას ეპისკოპოსს ანტონს, რომელიც ამ ადგილის მკვიდრთ წარმართებად მოიხსენიებს.

ეპისკოპოს ანტონის ამ აზრს გამოეხმაურა ვაჟა-ფშაველა თავის წერილით, სადაც ამტკიცებს, რომ ფშავ-ხევსურთა რელიგია არის არა წარმართულ კერპთაყვანისმცემლური (ეპისკოპოს ანტონის მიხედვით), არამედ ქრისტიანულ ხალხური, სადაც შერეულია ერთმანეთს არქაული და ქრისტიანული წესები და ამ სახით მოუღწევია ჩვენამდე.³⁶

ჩვენს მიერ წარმოდგენილი ფაქტების და აგრეთვე სხვა მიზეზების გამო მთიელებში ქრისტიანობამ მყარად ვერ მოიკიდა ფეხი. ქრისტიანობის ის ნიშნებიც რომელთაც აქ პოვეს დამკვიდრება, ისინიც შეერწყნენ ადგილობრივ წინაქრისტიანულ ჩვეულებებს და, ამრიგად, ქრისტიანობა მივიღეთ, როგორც ამას მკვლევარები აღნიშნავენ, გასოფლურებული, ხალხური სახით.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებით, მე-19 საუკუნის მკვლევარებიდან დღემდე ერთი საკმაოდ მყარი შეხედულებაა, რომ აქ არსებობს რელიგიური სინკრეტიზმი. მკვლევართა ერთი ნაწილი ამას მიიჩნევს არქაული, ქრისტიანობამდელი რელიგიური სამყაროს გადმონაშთად და აქედან ქრისტიანობის ეპოქაში მათი გადმოსვლისა და შენარჩუნების პროცესად.³⁷

მთიელთა სინკრეტული რელიგია მოიცავს როგორც მითოლოგიურ ღვთაებათა და ღვთისშვილთა, ასევე ქრისტიანული რელიგიის წმინდანთა თავყანისცემას.

ხევსურები თავიანთ სალოცავს „ჯვარს“ ეძახიან, ფშავლები კი – „ხატს“, ეს ორივენი კი ერთმანეთის სინონიმებია, მაგრამ ამ შემთხვევაში „ხატი“ უფრო გვიანდელია.³⁸

³⁵ რ. ერისთავი. „ნარკვევი-ცხოვრებისათვის ნათესავთა ხევსურთასა“. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, რაფიელ ერისთავის პირადი საარქივო ფონდი №1074, გვ. 1-26.

³⁶ ვაჟა ფშაველა. ლაშარის ჯვარის დღეობა ანუ ლაშარობა. თხზულებანი. ტ. IX. თბილისი, 1964, გვ. 357-360.

³⁷ თ. მიმინოშვილი. ეთნოგრაფიული მოგზაურობა საქართველოში. თბილისი, 1998, გვ. 37.

³⁸ შ. არაბული. ისტორიული თავგადასავალი ხევსურთა. თბილისი, 2006, გვ. 29.

ჯვარიც და ხატიც ზეციურ ღვთაებათა ამქვეყნიურ საბრძანისებს წარმოდგენდნენ. ეს ზეციური არსებანი შემდგომში ასტრალურ ღვთაებებად გარდაიქმნენ, გაუჩნდათ უზუნაესი ტრიადა (მორიგე ღმერთი, მზექალი, კვირია), რომლის მორჩილების ქვეშაც აღმოჩნდნენ. ეს დამორჩილებული ასტრალური ღვთაებები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ღვთისშვილებად მოიხსენიებიან. თავის მხრივ, ღვთისშვილებს ემორჩილებოდნენ არქაული დროიდან მომდინარე რელიგიური პერსონაჟები (მწვეარნი, ლაშქარნი, დობილნი).³⁹

დღეს „ჯვარისა“ და „ხატის“ სახელი, ქრისტიანობის გავლენით წარმოდგენილია ქრისტიანული სიმბოლიკის მნიშვნელობით. მაგრამ, როგორც ქალბატონი ვერა ბარდაველიძე ბრძანებს: „ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების სხვადასხვა უფრო ადრეულ საფეხურებზე, ეს ტერმინები სხვა შინაარსის მატარებელი ყოფილა“.⁴⁰

აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მითოლოგიური გადმოცემების მიხედვით, უზუნაესი მორიგე ღმერთის საბრძანებელს ღვთის კარი წარმოდგენს. სადაც ღვთისშვილნი იკრიბებიან და არჩევენ სკნელის ამბებს. ყველა საკითხი წყდება მორიგეს სურვილისამებრ, მაგრამ იგი მიუწვდომელი და უხილავია. მორიგესა და ღვთისშვილთა შორის შუამავლის ფუნქცია კვირიას აკისრია.⁴¹

ხატები იგივე ღვთისშვილები, ქართული წარმართული პანთეონის მრავალრიცხოვანი წევრები არიან, ესენია: კოპალა, იახსარი, ლაშარელა, პირქუში და სხვანი, ხოლო ქალღმერთთაგან უპირველესი – დალი, აგრეთვე – ხელსამძიმარი, პირიმზე, მზექალი და სხვ. მათზე დაბლა დგანან გმირები – „პიროფლიანები“, მაგალითად: ამირანი, ხოგაის მინდი, სულკაღმახი და სხვანი.⁴²

მთიანეთში არსებულ ღვთისშვილთა მიმართ მკვლევართა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ჯვარ-ხატები და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები არსებობენ აქ მაღალგანვითარებული ქრისტიანობის შემდგომი ეპოქიდან, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობა ქრისტიანობის გავლენით ქმნიდა ადგილობრივ, აღსაქმელად და ფიზიკურად მთაში ადვილად ასაშენებელ ან შესასრულებელ ქრისტიანულ კულტებს, რომ ჯვარ-ხატებით ადგილობრივი სააზროვნო სისტემის ქრისტიანობა იგულისხმება.⁴³

ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ მათში ერთმანეთს შერწყმია წინაქრისტიანული და ქრისტიანული ელემენტები და რელიქტის სახით მოსულა ჩვენამდე შორეული ქრისტიანობამდელი რელიგიის წესჩვეულებები.

დღეს თითქმის ყველა იმ აზრს ადგას, რომ ღვთისშვილები ოდესღაც მართლაც ხორციელი ადამიანები იყვნენ, რომლებიც ებრძოდნენ მომხდურ მტერს და არ აძლევდნენ საშუალებას მათზე ბატონობის, ხოლო, რადგანაც მთიანეთში არსებული რწმენა-წარმოდგენებით თავიანთ სცემენ და აღმერთებენ გმირს, გამორჩეული წინაპრის კულტს, ამიტომ თაობიდან თაობას გადასცემია და დაეიწყებას არ მისცემია გამორჩეული პიროვნებების საგმირო საქმეები. თანდათან ხალხსაც მათი სახელები და სახელობითი ჯვარ-ხატებიც დაუარსებია, რომლებსაც ჩვენამდე ღვთისშვილთა სახელებით მოუღწევიათ.

გამორჩეული წინაპრის კულტის თავიანთსცემის მემკვიდრეობა მთაში დღესაც გრძელდება. ხალხურ გმირებს სხვადასხვა ხატობებსა და დღეობებში განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ, სვამენ მათ სადღეგრძელოებს და იხსენებენ მათ

³⁹ გ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. I. „ფშავი“. თბილისი, 1974, გვ. 10.

⁴⁰ გ. ბარდაველიძე. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები. ტ. I. „ფშავი“. თბილისი, 1974, გვ. 10.

⁴¹ ი. ქეშიკაშვილი. ღმერთები, მითები, რიტუალები. თბილისი, 1990, გვ. 9.

⁴² რ. სირაძე. ქართული ესთეტიკური აზრის ისტორიიდან. თბილისი, 1978, გვ. 28.

⁴³ თ. მიმინოშვილი. ეთნოგრაფიული მოგზაურობა საქართველოში. თბილისი, 1998, გვ. 37.

საგმირო საქმეებს, რომლებშიც, ძირითადად, წარმოდგენილია მტერთან ბრძოლის ამსახველი ფაქტები.⁴⁴

ჩვენი აზრით, წინაპრის კულტად ქცევას უკავშირდება მთიანეთის ტრადიციულ ყოფაში არსებულ წესში ბავშვისთვის წინაპრის სახელის დარქმევა.

ამ წესის მიხედვით, ახლად დაბადებულ ბავშვს არქმევდნენ წინაპრის სახელს. სახელის დარქმევით თითქოს ბავშვზე გადადიოდა წინაპრის თვისებები და მიცვალებულიც ამ სახით თითქოს კვლავ ცოცხლდებოდა და მონაწილეობას იღებდა სამზესოს საქმეებში.⁴⁵

არსებული რწმენის თანახმად, როდესაც წინაპარი ითხოვდა, რომ მისი შთამომავლისათვის მისი სახელი დაერქმიათ, მაშინ ის საიქიოდან ახდენდა გავლენას ბავშვზე, რომელიც ბავშვის ხშირი და გაუჩერებელი ტირილით ვლინდებოდა. ამ შემთხვევაში ბავშვის დედა მიდიოდა „მესულთანესთან“ (მკითხავი, რომელიც ხალხს მიცვალებულთა სახელით რჩევას აძლევს), მესულთანე აანთებდა სანთლებს, დააწყობდა ხმიადებს, პატარა ყველის ნაჭერს და სახელს სდებდა: „შაუნდას, მააგმარას, იმ სულიწმიდას, რომელიც ექვივნებოდას ყმაწვილს“. ამის შემდეგ მესულთანე მოყვებოდა ბოდვას და ერთი რომელიმე მიცვალებულის სახელით გამოაცხადებდა: „მე ვუზიონ აკვანთ, მე ვექვივნები და არც არავის ვანებებ სხვას სახელს გამატანას ჩემ სახელ უთხარით“ – ო. მესულთანის მიერ დარქმეულ სახელს უწოდებენ „სულის სახელს“. ბავშვს არქმევდნენ, აგრეთვე, ერთ რომელიმე „ჯვარის სახელს“, ამას ეძახიან ჯვარის სახელს, ან წიგნის სახელს.⁴⁶

წინაპრის სახელის დარქმევის წესი გარდა ხევესურეთისა, ცნობილია ხევში, მთიულეთში, თუშეთში, ფშავში.⁴⁷

ხევში არსებული რელიგიური შეხედულების მიხედვით, ადამიანი რომ დაიბადებოდა, მისი მომავალი ბედ-იღბალი თუ როგორ წარიმართებოდა დამოკიდებული ყოფილა „წერაზე“. ბავშვის დაბადებისთანავე „მწერალს“ წიგნში შეჭკონდა მისი ბედ-იღბალი და სიცოცხლის ხანგრძლივობა, აგრეთვე ის, თუ რისგან მოეღის სიკვდილი: ავადმყოფობისგან, ნადირისაგან, ტყვისაგან და ა. შ. როცა ადამიანი კლდეზე გადაჩეხილა და გადარჩენილა, იტყოდნენ წერა ჰქონდა ასეთიო, სიკვდილი არ ეწერაო. მაშასადამე ადამიანს თავისი წერა აქვს, რომელსაც ვერ გადაურჩება. ამაზე ლექსიც კია გამოთქმული:

„ჩამოსხდებიან ყორნები,
არ გაირევენ ძერასა,
კაცი ვერ გადაუვალის
თავის ბედსა და წერასა“⁴⁸

ბედის მწერლების ფშავლებსაც ძლიერ სწამდათ. მათი რწმენით, უმწერლოდ კაცი არ მოკვდებოდა. ადამიანს დაბადების დღიდან დაეწერებოდა, თუ როგორ წარიმართებოდა მისი სიცოცხლე. კაცის ბედი თუ უბედობა, ბედის დაწერის დროზე (საათზე) ყოფილა დამოკიდებული. თუ კარგ საათზე დაიბადებოდა კაცი, კარგა წავიდოდა მისი ცხოვრება, თუ ცუდ საათზე დაიბადებოდა, მისი ცხოვრებაც შესაბამისად წარიმართებოდა. ფშავლის აზრით, კარგი საათი იყო, რომლის დროსაც ღმერთი და ანგელოზები კარგ გუნებაზე იმყოფებოდნენ და კაცის ბედ-იღბალსაც კარგად წერდნენ. ცუდ საათად მიაჩნდათ, როდესაც ღმერთი და ანგელოზები

⁴⁴ ვაჟა ფშაველა. აფშუხოზა.– გაზეთი „ივერია“, 1886, №141, გვ. 1.

⁴⁵ ვაჟა ფშაველა. ფშავლების ამოდ მორწმუნეობანი.– გაზეთი „ივერია“, 1888, №223, გვ. 2.

⁴⁶ გ. ქობულაძე. 1943 წელს ჩაწერილი მასალები უკანახოში. რვეული №1, გვ. 15-16. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, გიორგი ქობულაძის პირადი საარქივო ფონდი.

⁴⁷ ე. მაჭავარიანი. ბავშვის მოვლა-აღზრდის წესები მთიულეთში. მუზეუმის მოამბე. ტ. XIX-A და XXI-B, თბილისი, 1957, გვ. 255.

⁴⁸ ა. შადურის. M¹, 33. „მიცვალებულის კულტი მოხვევებში“, 1940, გვ. 1. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, ანდრო შადურის პირადი საარქივო ფონდი.

გაჯავრებულები არიან, მაშინ დაბადებული ადამიანის სახელსაც და ბედ-იღბალსაც წერის წიგნში ავად ჩაწერდნენ.⁴⁹

ხევში არსებული რწმენის მიხედვით, მწერლისგან, ადამიანის მომავალი ბედისწერის წინასწარ გაგებაც შეიძლებოდა. ამის გარკვევის ერთ-ერთი ხერხი შემდეგში მდგომარეობს: „რომელ სახლშიც მიცვალებული ესვენა, ღამით ამ სახლის ბანზე ჩუმად რამოდენიმე კაცი ავიდოდა. ბანზე ასვლისას, ისინი აიღებდნენ თეთრ ბროლს და დიდ წრეს შემოხაზავდნენ, ამ წრის შუაში თვითონ დასხდებოდნენ და ერთმანეთს ზურგს მიაყრდნობდნენ ისე, რომ ხმა არ უნდა ამოეღოთ. რამდენიმე ხნის შემდეგ ბანზე მოვიდოდა დევის მაგვარი უშველებელი თეთრწვერა კაცი. ის იყო მწერალი, რომელიც თან „მწერლის“ წიგნს მოიტანდა. ის იმდენად დიდი არსება ყოფილა, რომ მის მოსვლას თან ქარის ამოვარდნა მოსდევდა. მწერალს წრის შიგნით შესვლა არ შეეძლო, ამიტომ „ბანზე ასულთ“ მისი მოსვლის არ ეშინოდათ, თუმცა მწერალი ცდილობდა მათ შეშინებას. წრესთან მისვლისთანავე მწერალი დაიღრიალებდა სახარელი ხმით: „ეს ქუნთები ვისლა მიუგდია აქაო“ (ქუნთას ხევში ეძახიან ნაცრით გატენილ ბალიშს). მწერალი ამას რომ დაიძახებდა, თან ფეხს წამოუსვამდა ბანზე ასულთა გადასაყრელად, მაგრამ ვერაფერს დააკლებდა, რადგან მათ წრე იცავდა. შემდეგ მწერალი დაიძახებდა: „ჩემი ცოდვამც გაქუთ ჩემი აქ მაყვანისათვის“, შემდეგ გადაშლიდა წიგნს და ამოიკითხავდა, თუ ვის მოელოდა იმ წელს სიკვდილი. ამას მწერალი შემდეგნაირად აცხადებდა: „ვაგლახ მე, რომ ამა და ამ კაცის ოჯახში (დაასახელებდა თუ ვის ოჯახში), ამა და ამ თვეს და ამა და ამ დღეს დანაკლისი მოხდებოდა. რომ დაასახელებდა ყველა იმ პირთ, ვისაც სიკვდილი მოელოდა, მწერალი დახურავდა წიგნს და გაქრებოდა. ბანზე მყოფები ამის შემდეგ დაბლა ჩამოდიოდნენ და მოსმენილ ამბავს არავის ეუბნებოდნენ. არ უნდოდათ გაეგოთ იმ ოჯახს, ვის ოჯახშიც დანაკარგი უნდა ყოფილიყო.“⁵⁰

ამ ცნობის მიხედვით მართალია, ადამიანთა, მომავალი ბედის წინასწარმეტყველება ხორციელდება მწერლის დახმარებით, მაგრამ ამ წინასწარმეტყველურ პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი მიცვალებულსაც უკავია, რომლის გამოც მოდის მწერალი.

თითქმის ასეთივე რწმენა არსებობდა სვანეთშიც, ოღონდ აქ, განსხვავებით ხევში არსებული რწმენისა, თვითონ მომაკვდავი ადამიანი წარმოგვიდგება სამზეოში მყოფ ადამიანთა ბედის წინასწარმეტყველად.⁵¹

ხევში არსებული რწმენის თანახმად, როდესაც ადამიანი უნდა მომკვდარიყო, მომაკვდავს თავს დაადგებოდა „სულის-მღებელი“, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა სულის განცალკევება სხეულისაგან. ეს განცალკევება ხდებოდა არა უეცრად, არამედ გარკვეული დროის განმავლობაში. მომაკვდავი ებრძოდა სულის მღებელს, მას სულს არ უთმობდა, მაგრამ ეს ბრძოლა თანასწორი არ იყო. რადგანაც ადამიანს სიკვდილი ეწერა, სულის მღებელი მაინც თავისას გაიტანდა და მომაკვდავს პირიდან სულს ამოხდიდა.⁵²

როდესაც სული საიქიომდე მიადწევდა, აქ მას უნდა გაეველო ბეწვის ხიდზე, რომლის ქვეშაც კუპრის ტბა იყო. თუ კაცი ცოდვიანი არ იყო, მისი სული ადვილად გავიდოდა ბეწვის ხიდზე და სამოთხეში მოხვედებოდა, ხოლო თუ ცოდვიანი იყო, კუპრის ტბაში ჩავარდებოდა და საშინლად დაიტანჯებოდა.⁵³

⁴⁹ გაჯა ფშაველა. ფშაველების ამაოდ მორწმუნეობანი.– გაზეთი „ივერია“, 1888, №223, გვ. 1.

⁵⁰ ა. შადური. M¹, 33. „მიცვალებულის კულტი მოხვევებში“, 1940 წელი, გვ. 23-24. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, ანდრო შადურის პირადი საარქივო ფონდი.

⁵¹ ბ. ნიჟარაძე (თავისუფალი სვანი). წესები მიცვალებულზე სვანეთში.– გაზეთი „დროება“, 1885, №47, გვ. 2-3.

⁵² ა. შადური. M¹, 33. „მიცვალებულის კულტი მოხვევებში“, 1940, გვ. 27. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, ანდრო შადურის პირადი საარქივო ფონდი.

⁵³ ა. შადური. M¹, 33. „მიცვალებულის კულტი მოხვევებში“, 1940, გვ. 27. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, ანდრო შადურის პირადი საარქივო ფონდი.

ხევში არსებული რწმენის მიხედვით, გარდაცვლილი ადამიანის სული შეიძლება წვრილ პეპლებშიც გადასულიყო. ასეთ პეპლებს „სულის პეპელებს“ ეძახდნენ, რის გამოც მათი მოკვლა არ შეიძლებოდა.⁵⁴

ხევსურეთში არსებული ტრადიციული რწმენის მიხედვით, როდესაც ადამიანს დაწერილი ვადა გაუვიდოდა, „მწერალნი“ სულეთის ღმერთს შეატყობინებდნენ, რომლის დავალებითაც „მეგვაშენი“ ახალ სულს საიქიოში უწონად გვამს „აუშენებდნენ“ (გამოუძერწავდნენ). სულეთის ღმერთი სულის შესახვედრად გამოგზავნიდა „მგებრთ“, რომელნიც ახალ სულს ჯერ დედულებთან, შემდეგ სხვა ნათესავეებთან მოატარებდნენ, ბოლოს თავის ანდაბში დააბინავებდნენ. ანდაბის უფროსი მისთვის სულეთის ღმერთისგან კუთვნილ ულუფასა და სამყოფს გამოითხოვდა.⁵⁵

ხევსურების აზრით, საიქიო ანუ სულეთი ისეთივე ქვეყანაა, როგორც მიწიერი. მათი აზრით, სულეთში მზე არ არსებობს, ამიტომ მიცვალებულები ჩვენ ქვეყანას უწოდებენ „სამზეოს“. სულეთში წყალიც ნაკლებად ყოფილა, ამიტომ საჭიროა მიცვალებულებისათვის სამზეოდან წყლის მიწოდება. სულეთი ხევსურებს წარმოუდგენიათ მშვენიერი, წყნარი გაზაფხულის ისეთი დღის დარად, როდესაც ჯერ მზე არ ამოსულა, ანდა გარდასულა, ან კიდევ ცას გადაკვრია ნაზი, თხელი ღრუბელი და ადამიანი გრძნობს ისეთ სიამოვნებას ბუნებისას, რომ მისგან დაშორება და შინ წასვლა მეტად ეზარება. ამავე დროს, იგი წარმოადგენს ველის დღეობას, მაგალითად, ზოგჯერ რომ არის ხალხი გასული სოფლის ან ქალაქის გარეთ, მშვენიერ კორდზე და აქა იქა ჯგუფ – ჯგუფად ატარებს დროებას სმაქეიფში. ხოლო ეს ხდება ისეთი სიწყნარით, წესრიგის დაცვით, რომ ბუხის გაფრენაც ისმის. სულეთში ანგელოზთა და ეშმაკთაგანი არავინ არის, იქ არის მარტო სულეთის ღმერთი, რომელიც ჩვენი ანუ სამზეოს ღმერთისაგან განირჩევა იმით, რომ იქ მცხოვრებთ ყოველთვის შეუძლიათ მასთან მისვლა სათხოვარით ან საჩივრით დროს და მოლაპარაკება პირადათ. ეს ამისთვის, რომ სულეთის ღმერთი გაცილებით მდაბლად დგას სამზეოს ღმერთზედ. ადამიანს იქ გადასახლების შემდეგ ენიჭება მეტი უფლება და სულეთის ღმერთს და მას შორის არ არსებობს რაიმე გარდაუვალი კედელი. სულეთის ღმერთი მარტო სათავეში დგას, ხოლო ყოველივე სულეთის საქმეებს განაგებენ სამზეოდან გადასახლებულები. ისენი გაარჩევენ სამართალს ახალი მისულებისათვის, ისინი შეაფასებენ ცოდვა – მადლს, ისინივე ააშენებენ გარდაცვალების შემდეგ ხორციდან წასული სულისათვის ახალ სხეულს, როგორც იქ შეეფერება. ერთი სიტყვით ეს მიცვალებულნი ისეთი უფლებითა და შეძლებით არიან აღჭურვილნი, რომ როდესაც უნდათ, მოვლენ ჩვენთან სამზეოში. ამას ჩვენ ვერა ვხედავთ, ხოლო ისინი გვხედავენ. ხევსურეთში თუ რაიმე სმის დროს არეულება, ან კიდევ პატარა ყმაწვილი ანჩხლობს და ტირის, მაშინ ამას აბრალევენ ისევ მიცვალებულებს, რომლებიც აქ უხილავად იმყოფებიან. ამ დროს მოიტანენ ცალკე ჭურჭლით სასმელს და დალოცავენ მათ ვისი სულნიც იქ იმყოფებიან. ყმაწვილის ტირილის დროს კი შენდობას (ნიშნავს მოგონებას, მიცვალებულისთვის გარდაცემას) ეტყვიან იმას, რომელი გარდაცვლილის მოსახელეც არის ბავში.⁵⁶

როგორც უკვე ვთქვით, ქრისტიანობას ჩვენში მძლავრი წარმართული პანთეონი დახვდა, რასაც ჩვენი წინაპრები ადვილად ვერ თმობდნენ, მაგრამ დროის გასვლის შემდეგ ნათელი გახდა, რომ წამყვანი სარწმუნოება ქრისტიანობა უნდა ყოფილიყო, ამიტომ ჩვენი წინაქრისტიანული რელიგიის კულტმსახურები იძულებულნი გახდნენ შეგუებოდნენ ახალ ქრისტიანულ იდეოლოგიას – წინაქრისტიანულის გადასარჩენად და არა ქრისტიანობის განსამტკიცებლად. ამ გზით ჩვენი წინაპრები ცდილობდნენ ქრისტიანობამდელი ქართული რწმენა-

⁵⁴ ა. შადურთ. M¹, 33. „მიცვალებულის კულტი მოხვევებში“, 1940, გვ. 29.

⁵⁵ შ. არაბული. ისტორიული თავგადასავალი ხევსურთა. თბილისი, 2006, გვ. 33.

⁵⁶ დ. ცისკარაული. M¹, 106, „ხევსურთა ზნე-ჩვეულებანი“ XX, „სარწმუნოება“, გვ. 55–56. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, დიმიტრი ცისკარაულის პირადი საარქივო ფონდი.

წარმოდგენების შენარჩუნებას. ეს ნაბიჯი კი განაპირობებდა ქრისტიანულში ქრისტიანობამდელი ნაკადის ასახვას. ამის დასტურია სერგი მაკალათიას დაკვირვება, დაფუძნებული ქართული ეთნოგრაფიული ყოფის სერუპულოზურ ანალიზზე, რომ საქართველოში, როგორც ყველგან, ქრისტიანობის გავრცელებისას საჭირო შეიქმნა წინაქრისტიანული კულტურის წესების გადმოქრისტიანება. მაგრამ ეკლესიამ ეს ბოლომდე მაინც ვერ მოახერხა. დღესასწაულებს სახე მოჩვენებით გაუქრისტიანდათ, მაგრამ რწმენა წინაქრისტიანული შერჩათ. ამ გზით კი ჩვენამდე, ზოგიერთი ქრისტიანული წმიდანის ზურგს უკან ამოფარვით, მოაღწია ჩვენი წინაპრების უძველესი რწმენის გადმონაშთებმა.⁵⁷

ქრისტიანულ დროში, როდესაც წინაქრისტიანული რწმენა-წარმოდგენები დევნას განიცდიდა, ამ უკანასკნელის მფარველებს, მისი შენარჩუნების მიზნით მამაპაპური ღმერთები, ქრისტიანულ წმინდანებსა და მათი სახელის მოსახსენიებელ დღეობებისთვის დაუმთხვევია. მაგალითად, წმ. გიორგის კულტი ამგვარად წარმოგვიდგება: მთვარე-მითრა-წმიდა გიორგი. მთვარის თაყვანისცემა ქართველთა ყოფისთვის უძველესი ჩანს, მეორეულია ინდოირანული ღვთაება მითრა, რომელიც მნათობებთანაა გაიგივებული, ძირითადად მზესთან. როცა მისი მიმდევარი ხალხი პოლიტიკურად გაბატონებულა ჩვენში, როგორც ჩანს, ეს რელიგიაც თან შემოუტანიათ, რასაც მთვარის თაყვანისცემა გაქრობის საშიშროების წინაშე დაუყენებია. ჩვენ წინაპრებს უზრუნიათ მისი გადარჩენისათვის და სავსებით გააზრებულად მითრაიზმი მოურგიად მთვარის კულტისთვის. ხოლო, როცა ქრისტიანობა გამხდარა სახელმწიფო რელიგია, ქართულ შეგნებას მთვარის ფუნქცია, მითრას გავლით, წმიდა გიორგისთვის დაუკისრებია.⁵⁸

წინაქრისტიანული ღვთაებების თვისებების ქრისტიანულში გადატანით, ქრისტიანობა გვევლინება, როგორც დიდი წვლილის შემტანი ქრისტიანობამდელ ღვთაებათა რწმენა-წარმოდგენების დაცვისა და მათი ჩვენამდე მოტანის მხრივ. მაგალითად: სვანებში ფეტვისა და მისი უზენაესი პატრონის კულტი იონა წინასწარმეტყველთან არის დაკავშირებული, როგორც ჩანს, სვანებს თავისი რწმენა-წარმოდგენები წინაქრისტიანული ღვთაების შესახებ იონა წინასწარმეტყველზე გადაუტანიათ და ამ გზით ქრისტიანობას გარკვეული წვლილი შეუტანია ფეტვისა და მთვარის კულტის ჩვენამდე დაცვის საქმეში.⁵⁹

ხევსურეთში ქრისტიანობამდელ ღვთისმშვილებს დაკავშირებია წმ. გიორგი, მაგალითად, გუდანის, ხახმატის და კოპალას ჯვარს, მაგრამ მათი განდევნა ხალხის ყოფიდან ბოლომდე მაინც ვერ მოუხდენია. ზოგიერთ ღვთაებას თავისი წინაქრისტიანული სახელი დღემდე შერჩენია: მორიგე, კვირია, კოპალა, იახსარი, პირიმზე და პირქუში. ზოგი მათგანი კი ნაწილობრივად გაქრისტიანებულა და დღეს ჯვარობით იხსენიება, როგორც მაგალითად: ჭაკმატის-ჯვარი, გუდანის-ჯვარი, კარატის-ჯვარი, ბლოს-ჯვარი და სხვ. რაც შეეხება ადგილის დედას, მას თითქმის ყველგან ღვთისმშობლობით ღოცულობენ.⁶⁰

ფშავეში კვირიას კულტს ჩანაცვლებია ღვთისმშობელი. ღვთისმშობელი განსაკუთრებით მჭიდროდ დაკავშირებია წინაქრისტიანულ ადგილის დედის კულტს, რის გამოც დღეს არსებობს შემდეგი სახელწოდებანი: ადგილის დედა ღვთისმშობელი, დედა-ღვთისმშობელი. ეს პროცესი კარგად ჩანს სახატო ტოპონიმებში. მაგალითად, ფშავის სოფელ მათურაში დასახელებული სახის ერთსა და იმავე სალოცავს ეძახიან ადგილის დედასაც, ხთისმშობელსაც და მარიამწმინდასაც.⁶¹

⁵⁷ ბ. კილანავა. ბასილ და გრიგოლის კულტი საქართველოში.– ჟურნალი „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, №4, გვ. 88-89.

⁵⁸ ბ. კილანავა. ბასილ და გრიგოლის კულტი საქართველოში. გვ. 89-90.

⁵⁹ გ. ბარდაველიძე. ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. ტ. V. თბილისი, 1951, გვ. 65.

⁶⁰ ს. მაკალათია. ხევსურეთი. თბილისი, 1984, გვ. 238.

⁶¹ ი. ქეშიკაშვილი. ღმერთები, მითები, რიტუალები. თბილისი, 1990, გვ. 27.

სოფელ მათურის მარიამწმინდის სალოცავის ქრისტიანობამდელი რელიქტიდან ერთ-ერთს წარმოადგენს პატარძლის შვილიერების მიზნით წყალზე გაყვანის რიტუალი. რიტუალის მიზნის მიხედვით, საქმე გვაქვს ქართველთა წინაპრების რელიგიურ შეხედულებასთან, რომლის მიხედვითაც არსებობდა წყლის კულტი, რომელიც ნაყოფიერების სიმბოლოს წარმოადგენდა, რიტუალის აზრი კი პატარძლისთვის შვილიერების მინიჭებაში მდგომარეობდა. დღევანდელობაში ამ რიტუალის არსებობით საქმე გვაქვს წინაქრისტიანული კულტურისთვის დამახასიათებელ გადმონაშთთან, რომელსაც შინაარსი არქაული დარჩენია, ხოლო სახელი კი გაქრისტიანებულია.⁶²

მათურის მარიამწმინდაში, წყლის ნაყოფიერების ღვთაების წინაქრისტიანული პლასტი, ქალებთან კავშირს ავლენს არა-მხოლოდ ამ უკანასკნელთათვის შვილიერების მინიჭებაში, არამედ სხვა ნიშნითაც და საერთოდ, სახელი ადგილის დედაც მიმანიშნებელია იმისა, რომ ეს ღვთაება არის მდედრობითი სქესის.

წყლის კულტის, როგორც ნაყოფიერების მომცემი ღვთაებისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი რიტუალის ამსახველი ცნობა, რომელიც კვლავ მდედრობითი სქესის ადამიანებისგან სრულდებოდა, მთიულეთში ყოფნის დროს ჩაუწერია მიხეილ კედელაძეს, რომლის მიხედვითაც: „როცა გოლვა დადგის და ყანებს წვიმა უნდოდა, დედაკაცებმა და ქალებმა ვიცოდით წყლის (მდინარის) კალაპოტის მოჭვნა გუთნით ისე, როგორც კარებით მიწის მოჭვნა, კარების უღლები კისერზე დავიდვით ოთხმა დედაკაცმა, ერთი გუთანს მაკეიდიდის და დავიწყებდით წყლის ჳვნას, როცა ასე გაგაკეთებდით აუცილებლად წვიმა მოვიდოდა“.⁶³

ჩვენ დრომდე მოღწეულ, ამ წინაქრისტიანულ წესჩვეულებაში წყალი (წვიმა) ანაყოფიერებს მიწას, რომლის მოსასვლელად საჭირო რიტუალის შემსრულებლებიც მდედრობითი სქესის წარმომადგენლები არიან, ისინი ნაყოფიერების ღვთაებასთან კავშირს ამყარებენ გარკვეული რიტუალით, სადაც მთავარ როლს ისევ წყალი ასრულებს, რომელიც გამოიხატება მდინარის კალაპოტის მოხენით.

დღევანდელ ხალხურ ყოფაში არსებული სხვადასხვა რიტუალები, რომლებშიც გარკვეული ადგილი წყლის კულტს უკავია, ქალბატონ ნათელა ვაჩნაძის თქმით, მიმანიშნებელია წინაქრისტიანული აზროვნების ქრისტიანობაში შემოჭრის და ჩვენ წინაპართა ყოფაში გავრცელებული და სულ უკანასკნელ ხანებამდე შემორჩენილი რწმენის გამჟღავნებისა.⁶⁴

წინაქრისტიანული წყლის ღვთაების კულტი, ვითარცა უძველესი ნაყოფიერების, შვილიერების გამომწვევი ძალის ღვთაების ფუნქციები, როგორც ჩანს, ქრისტიანობას და უპირველეს ყოვლისა კი ღვთისმშობელს გადაეცა.⁶⁵

ქრისტიან წმიდანში, ქრისტიანობამდელი ხანის ღვთაებათა ფუნქციის გადმოსვლა, მიხეილ ჩიქოვანის თანახმად, არც თუ იშვიათია.⁶⁶

⁶² თ. თრიალური. წყლის კულტის ელემენტები საქორწინო რიტუალში. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. 1975, №18, გვ. 164-167.

⁶³ მ. კედელაძე. 1/2. სოფელი ჳევშა (მთიულეთი), „მაგია“, გვ. 12. ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის არქივი, მიხეილ კედელაძის პირადი საარქივო ფონდი.

⁶⁴ ნ. ვაჩნაძე. სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი V-X სს. თბილისი, 1998, გვ. 136.

⁶⁵ ნ. ვაჩნაძე. სააზროვნო სისტემა და ქართული საზოგადოების ზნეობრივი იდეალი V-X სს. გვ. 138.

⁶⁶ მ. ჩიქოვანი. ბერძნული და ქართული მითოლოგიის საკითხები. თბილისი, 1971, გვ. 64-66.

ნინო შიოლაშვილი, ისტორიის დოქტორი

სიგელ-გუჯრების შედგენა-გაფორმების წესი საქართველოში

თითოეულ ისტორიულ საბუთს თავის დროზე პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა, იქნებოდა ის წყალობა-ბოძების, ნასყიდობის, ოჯახის გაყოფის, ვალის, ბატონყმობისა თუ სხვა წიგნები. დოკუმენტში ასახული იყო ამა თუ იმ პირის, ოჯახისა თუ საგვარეულოს ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. ამდენად, ყველა ისტორიული დოკუმენტი იურიდიულ აქტს წარმოადგენდა და დგებოდა გარკვეული ტრაფარეტებითა და წესების დაცვით.

დანიშნულებისა და შინაარსის მიხედვით დოკუმენტები ორ ჯგუფად იყოფა: იურიდიული ხასიათის საბუთები (ანუ აქტები) და არაიურიდიული ხასიათის საბუთები. „იურიდიული ხასიათის საბუთებს წარმოადგენს ის საბუთები, რომლებიც აწესებენ ამ საბუთების მიმღებთა, მფლობელთა მიმართ რაიმე დაკანონებულ, იურიდიულ ნორმას (საკუთრების უფლება, გადასახადის, შრომითი თუ სხვა ვალდებულება, ან მათგან თავისუფლება, სასჯელის დადება, ან მისგან თავისუფლება, ბატონყმურ, ან სენიორალურ-ვასალურ ურთიერთობაში მოქცევა, ან მათგან გათავისუფლება, ფეოდალის სახლის წევრთა ურთიერთობის ნორმები და სხვა), ან ხელს უწყობენ, მოითხოვენ ასეთი ნორმის დაწესებას. ასეთთა რიცხვს ქართულ დიპლომატიკაში განეკუთვნებიან: წყალობის, შეუვალობისა და სითარხნის (აზატობის), შეწირულობის, ნასყიდობის, მეფის მიერ საკუთრების უფლების დადასტურების („კვლის ამართვის“ საბუთები – რბილ მასალაზე და „კვლი“ – ეპიგრაფიკაში), გაყრისა და შეყრის, გაუყრელობის, ყმობის (თავდაწერის), ფიცის, პირობის, მოწმობის საბუთები, ბრძანებები (ოქმები, ფირმანები), განჩინებები და გარდაწყვეტილებები, არხები, საჩივრები, მოხსენებები, საადაპე ჩანაწერები, სულთა მატთანები და სხვა. არაიურიდიული ხასიათის საბუთებია: კერძო ნუსხები, ანგარიშები, ეპისტოლარული ხასიათის მასალა და სხვ.“¹

გამცემთა ვინაობის მიხედვით საბუთები შემდეგ ჯგუფებად იყოფა: ა) მეფეთა საბუთები; ბ) სახელმწიფო მოხელეთა და ფეოდალთა საბუთები; გ) სამედიატორო და სახელმწიფო სასამართლოს საბუთები; დ) დაბალ წოდებათა წარმომადგენლების (გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები, მოქალაქეები) საბუთები ე) საეკლესიო (კათოლიკოს-ეპისკოპოსთა, სამონასტრო კრებულის) საბუთები.²

საბუთები, რომელიც იურიდიული ძალის მქონე იყო დგებოდა გარკვეული ცოდნითა და წესების დაცვით. ეს წესები ძირითადად უცვლელი რჩებოდა საუკუნეების მანძილზე. საბუთები დგებოდა გარკვეული სქემით. საბუთის თითოეულ ნაწილს დიპლომატიკურ ენაზე კლავსულა ანუ ფორმულარი ეწოდება.

ქართული სიგელ-გუჯრების აგებულება შეისწავლა და შესაფერისი ტერმინები შეურჩია ივ. ჯავახიშვილმა. შეისწავლა XI-XV საუკუნეების „სრულიად საქართველოს მეფეთა სიგელ-გუჯრების აგებულება და დანაწილება“. ქართული სიგელები ევროპული საბუთების მსგავსად სამ მთავარ ნაწილად გაყო – ესაა: სიგელის თავი, შუატანი და სიგელის ბოლო. საბუთი 6-7 განყოფილებად აქვს მოცემული, თითოეული განყოფილება კი რამდენიმე ნაკვეთად. მეტი სიცხადისათვის

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბილისი, 1984, გვ. 6.

² ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი. IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბილისი, 1984, გვ. 7.

მოგვეყავს ივ. ჯავახიშვილის მიერ შემუშავებული საბუთების აგებულება-დანაწილების გეგმა:

I ნაწილი: სიგელის თავი – 4 ნაკვეთიანი

1. ქანწილი – საბუთის თავში დასმული იყო ასო „ქ“, რომლითაც ქრისტეს აღნიშნავდნენ, ხოლო დიპლომატიკაში მას „ქანწილი“ ეწოდება.
2. ვედრება, დიდებისმეტყველება – საბუთის ამ ნაწილში წმინდანებს იხსენიებდნენ მაგ: „სახელითა ყოვლად სახიერისა ღმრთისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისაჲთა, ძლიერებითა ცხოველის-მყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისაჲთა, შეწევნითა ყოველთა ღმრთისა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა“ (1031-1033 წწ. დაწერილი მეღქისედეკ კათალიკოსისა მცხეთის საყდრისაჲდმი).
3. სახელდება – საბუთის გამცემის სახელი, გვარი და წარმომავლობა, ხოლო XV საუკუნიდან მეფის სახელის გვერდით მისი თანამეცხედრის, შვილებისა და ზოგჯერ ძმების სახელებიც ჩნდება. მაგ: „ჩუენ, დავით ბაგრატიონმან, ძემან სულკურთხეულისა მეფეთ-მეფის რუსუდანისამან“ (1271-1272 წწ. სიგელი დავით მეფისა ხახულის ღმრთისმშობლისაჲდმი).
4. წოდებულება – გადმოცემული იყო მეფის ტიტული, მაგ: „ნებითა ღმრთისაითა აფხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა და დედოფალთ-დედოფლისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელისა“ (1195-1196 წწ. თამარ მეფის სიგელი მღვიმისაჲდმი).

II ნაწილი: თხოვნა, ჰაჯა-მოხსენება

სიგელის ამ ნაწილში გადმოცემული იყო მოხონების მიერ მეფისაჲდმი თხოვნა-ვედრება, თუ რას თხოვდა იგი მეფეს. მაგ: „მოვიდა ჩუენ წინაშე ვაზირი ჩუენი ანტონი ჭყონდიდელი მთავარებისკოპოსი, მწიგნობართუხუცესი და პროტოპერტიმოსი და გუეჰაჯა და მოგუაჰსენა, რაითამცა შევიწყალნეთ და რომელი მღვიმეს, მონასტერსა სამლოცველსა ჩუენსა, წყალი მიიყვანეს სხალტბისაით და წყლისა მის სათავესა ზედა გლეხი ჯდა სასეფო, მის წყლისა მკაზმავად იგი გლეხი, სამკუიდროდ შესაწირავად მღუიმისად, სულისა მისისათვის მას მიუბოძეთ“. (1195-1196 წწ. სიგელი თამარ მეფისა მღვიმისაჲდმი).

III ნაწილი: განგებულება – 5 ნაკვეთიანი

განგებულება სიგელის გამცემის ნებას და გადაწყვეტილებას წარმოადგენდა.

1. ჯერჩინება – გამოხატული იყო მწყალობების სულიერი განწყობილება, და გრძნობა. მაგ: „დაგუაჯერა ღმერთმან და ვისმინეთ ჰაჯაი და მოჰსენებაი“ (1261-1262 წწ. სიგელი მეფე დავით რუსუდანის ძისა ხეფინისკვეველთა და წაქველთაჲდმი).
2. რიანობა – სამამულეო შინაარსის სიგელებში აღნიშნული იყო უძრავი ქონების საზღვრები, მაგ: „ჰქონდეს არგუეთს-ჭორვილაი, კავაის ძისა ცოლეული, წმიდასა ღმრთისმშობელსა ხახულისასა და მუნ შინა განჩენილსა ტრაპეზსა, მითთა, ბართთა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქველითა და ყოვლითა სამართლიანითა ზღვრითა და მიმდგომითა მისითა, საკმრითა და უკმრითა“ (1187 წ. სიგელი თამარ მეფისა გელათისაჲდმი).
3. პაემანი – აღნიშნული იყო ახლად დამყარებული უფლებრივი მდგომარეობის თვისება და ხანგრძლივობა, მაგ: „მკუიდრად, მამულობით, მტკიცედ, შეუცვალებლად“ (1261-1262 წწ. სიგელი დავით მეფისა ხეფინისკვეველთა და წაქველთაჲდმი).
4. შეუვალობა – სიგელის მიმღებს რა უპირატესობა ენიჭებოდა, რითი თავისუფლდებოდა. XIV საუკუნიდან ამ ნაკვეთს სითარხნე ეწოდებოდა, მაგ: „და გაუთავისუფლეთ ყოვლისა შესავალისა და გამოსავალისაგან საცელმწიფოსა, საერისთვოსა, სააზნაუროსა, საციხისთვოსა, საკვეისუფლოსა, საბანჯრისა, საკიდისა, საკოშრისა და ყოვლისა ღმრთისა დაბადებულისა... და არა რაი ზედაც თუნიერ სამსახურებელისა მის წმიდისა ღმრთისა“ (1057-1058 წწ. სიგელი ბაგრატ მეფისა მღვიმის ღმრთისაჲდმი).
5. დაუცილებლობა – გაცუდებულობა. სიგელებში ეს ნაწილი XV საუკუნიდან ჩნდება და აღნიშნავს ამ სიგელის ძალით საწინააღმდეგო საბუთების გაუქმებას, მაგ:

„და ვერავინ დაგეცილოს ვითარ თქუენისა საყდრისა მკუიდრისა და აწ ახლად ჩუენგან სამკუიდროდ მოკსენებულისა და დამტკიცებულისა მამულისა დაცილება არავის მართებს აგრე და ვინცა დაგეცილოს პირნი და პასუხის გამცემნი ჩუენ ვართ და თუ ვის რა ამისისა მიცემულობისა წიგნი და ნიშანი ჰქონდეს იგი ყოველივე დაწერილითა ამით გაგუიცუდებია და მტკიცე ესეოდენ არს“ (1433 წ. სიგელი ალექსანდრე მეფისა სვეტიცხოველისადმი).

IV ნაწილი: ბრძანებულება

ბრძანებულებაში აღნიშნული იყო თხოვნა მომავალი მეფეებისა და სახელმწიფოს მოხელეთათვის რომ არ მოეშალათ ეს სიგელი და მათ ხელახლა დაემტკიცებინათ და განეახლებინათ. მაგ: „აწ, ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი: შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ-ერისთავთა, ერისთავთა, აზნაურთა, ციხისთავთა, კელისუფალთა, ჩინებულთა და ყოველთავე საქმის-მოქმედთა ჩუენთა, დაუმტკიცეთ და ნუვინ უშალავთ ბრძანებულსა ამას და გაგებულსა ჩუენსა, ნუცა რას ვინ დააკლებთ, ნუ დიდსა და ნუ მცირესა, თუინიერ შეწევინსა და თანადგომისა“ (1057-1058 წწ. სიგელი ბაგრატ მეფისა მღვიმის ლავრისადმი).

V ნაწილი: ბრალთგადამხდელიობა და კურთხევა

ვინც სიგელს მოშლიდა და დაარღვევდა მათთვის განსაზღვრული იყო სასჯელი – წყევლა-კრულვა, ხოლო ამ სიგელის უპირობო დამცველთათვის და დამამტკიცებელთათვის – კურთხევა. საბუთს, რომ მეტი იურიდიული ძალა მისცემოდა, რომ მისი დარღვევა არავის გაებედა, ხშირად მეფეები სასულიერო პირებს სთხოვდნენ ხოლმე კრულობითი მოწმობის დართვას. მაგ: „და უკუეთუ ვინმე, რასაცა ჟამსა, რაიცა გუარი კაცი, დიდი გინა მცირე, ადგეს და ამას ნაქმარსა ჩუენსა აქცევდეს, გა-მცა-ურისხდების მამაი, ძე და სული წმიდაი და ესემცა წმიდანი მოციქულნი არიან მოსაჯულნი სულისა მისისანი დღესა მას განკითხვისასა და ჩემნი ბრალნი მისგან იძიენ ღმერთმან!

და თქუენ, წმიდაო მეუფეო ქართლისა კათალიკოზო, და წმიდანო მღვდელთ-მოდღუარნო, უჯუარობითა დაუმტკიცეთ“ (1054-1072 წწ. სიგელი ბაგრატ მეფისა ოპიზარ და მიჯნაძოროელი მამებისადმი).

VI ნაწილი: ხელრთულობა-სათვაღავი

ბრალთგადამხდელიობისა და კურთხევის შემდეგ მოცემული იყო სიგელის დაწერის დრო, დამწერის ვინაობა და საბუთის გამცემის ხელრთვა. მაგ: „დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა მეთურამეტესა, კელითა მწიგნობრისა ჩუენისა იაკობ იწრელისძისაითა. ქ. მტკიცე ყოს ღმერთმან შეუცვალებლად“ – თამარ მეფის დამტკიცება (1195-1196წწ. სიგელი თამარ მეფისა მღვიმისადმი).

VII ნაწილი: კრულობითი და მარტივი მოწმობანი

ბოლო ნაწილში სასულიერო პირების მოწმობა და კრულობითი ნაწილი იყო დართული, XIII საუკუნიდან კი სიგელებს ეს ნაწილი არ გააჩნია. მაგ: „ქ. ამას ბრძანებასა და სიგელსა ღმრთისა სწორისა მეფეთ-მეფისა თამარისასა და ანტონი ჭყონდიდელის და წმიდათა მამათა მღუიმელთა, რომელ წყაროსათუს გაჩენით გლეხნი გაუჩენიან და მეწყაროეთათუს ვენაჭი და ევლოგიაი მიუცემიან, მეცა ქრისტეს მიერ ქართლისა მთავარებისკოპოსი, მოწამე და დამამტკიცებელი ვარ ბრძანებისა მათისაი.

ვინცა და რასაცა მიზეზს შეცვლის დასადგის(sic) ამის წყაროდსა საქმე, ღმერთმან იგი შეცუალოს წესთაგან საღმრთოთა და დამამტკიცებელნი ღმერთმან აკურთხნეს“ (1195-1196 წწ. სიგელი თამარ მეფისა მღვიმისადმი).³

სიგელის თითოეული ნაკვეთის დასრულების შემდეგ განკვეთილობის (-) ნიშანს სვამდნენ. ეს ნიშნები სიგელებში XII საუკუნიდანაა დაფიქსირებული. XVI

³ ივანე ჯავახიშვილი. ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. „თხზულებანი თორმეტ ტომად“. ტ. IX. თბილისი, 1996, გვ. 447-474.

საუკუნიდან კი უკვე თითოეული სიტყვის შემდეგ წერტილს, ორწერტილს ან სამწერტილს ხმარობდნენ.

მეფის მიერ გაცემულ სიგელს მხოლოდ მისი ზეობის პერიოდში ჰქონდა იურიდიული ძალა. საბუთის მფლობელს ახალი ნაკურთხი მეფისთვის უნდა მიერთებია აღნიშნული სიგელი, რათა მას განეხსენებინა იგი და ხელახლა დაემტკიცებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში პატრონის დაუდევრობით შეიძლებოდა სიგელს ძალა დაჰკარგოდა და, ბუნებრივია, რომ სიგელში დადებული პირობა დარღვეულიყო. ამის ყველაზე კარგი მაგალითია 1054-1072 წწ. ბაგრატ IV-ის სიგელი ოპიზართა და მიჯნაძოროელი მამებისადმი – გუარამ მამფალს ოპიზის მონასტრისათვის მამულები შეუწირავს და სათანადო სიგელით გაუფორმებია, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ ოპიზელ ბერებს შემდგომ ხელისუფალთათვის აღარ დაუმტკიცებინებიათ აღნიშნული სიგელი. ოპიზისათვის შეწირული მამულები გურგენ ერისთავთერისთავს მიჯნაძორის მონასტრისთვის შეუწირავს. მიჯნაძორის მამებს კი ყველა ის კანონი გაუთვალისწინებიათ რაც კი საბუთის გაფორმებასა და დამტკიცებასთან ყოფილა დაკავშირებული. გურგენ ერისთავთერისთავის მიერ გაცემული წყალობის სიგელი შემდგომ მეფეებს განაახლებინეს და ხელახლა დაამტკიცებინეს. ამ ორი მონასტრის საქმე ბაგრატ IV-ის მეფობის დროს სასამართლოში გაიჩნა. კანონის ძალით სასამართლომ მამულები მიჯნაძორის მონასტრს მიაკუთვნა.

ეს საბუთი ჩვენთვის მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ საბუთების შემოწმების პირველი შემთხვევაა დაფიქსირებული, როდესაც ამ ორი მონასტრის სამეფო სიგელების შესწავლა სამეფო დარბაზმა, როგორც უმაღლესმა სასამართლო ორგანომ, სწავლულ ექსპერტებს დაავალა.

საბუთები, რომელიც სხვადასხვა დანიშნულებისა და შინაარსის იყო, საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ტერმინებით აღინიშნებოდა. მაგალითად: X-XV საუკუნეებში მეფის მიერ გაცემულ დოკუმენტს „სიგელი“ ეწოდებოდა, საეკლესიო ან კერძო პირისაგან გაცემულ საბუთს კი – „დაწერილი“ ერქვა. XV საუკუნიდან კი „სიგელი“ ზოგადად საბუთების აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. XV საუკუნეში მეფეთა ნაბოძები საბუთის ერთ-ერთი სახეობის აღმნიშვნელ ტერმინად „გუჯარიც“ იხმარებოდა, XVIII საუკუნეში გუჯარი და სიგელი ერთ სიტყვად „სიგელ-გუჯრად“ გაერთიანდა. საერთოდ, XVI-XVIII საუკუნეების საბუთების საერთო სახელად „წიგნი“ იხმარებოდა, მაგალითად: მეფის მიერ გაცემულ საბუთს „წიგნი სამეფო“, ან „წიგნი მეფისაჲ“ ან „ბატონის წიგნი“ ერქვა. ხოლო სამოქალაქო სამართლის სიგელებს შინაარსიდან გამომდინარე ეწოდებოდა: „გირაოს წიგნი“, „სათავდებო წიგნი“, „ანდერძის წიგნი“, „ვალის წიგნი“, „ნასყიდობის წიგნი“, „გაცულილობის წიგნი“, „მზითვის წიგნი“, „ყმობის წიგნი“, „აზატობის წიგნი“ და ა.შ. „წიგნი“ „სიგელის“ პარალელურ ტერმინად იხმარებოდა⁴.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით სხვადასხვა დანიშნულების საბუთების აღსანიშნავად შემდეგი ტერმინები იხმარებოდა: „უსტარი“, „იერლაცი“, „პატრუცავი“, „გუჯარი“, „როარტავი“, „პიტაკი“, „სიგელი“, „ბარათი“ და ა.შ.⁵ XVIII საუკუნიდან კი ქართულ დიპლომატიკაში დოკუმენტების აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად „საბუთი“ შემოვიდა.⁶

ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ XII საუკუნის საქართველოში საბუთების ნიმუშის შესაქმნელად „ერთგვარი სახელმძღვანელოები“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჯერ-ჯერობით ადრეული ხანის „სამდივნო წიგნები“ არ ჩანს და ჩვენს ხელთ

⁴ ივანე ჯავახიშვილი. ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. „თხზულებანი თორმეტ ტომად“. ტ. IX. თბილისი, 1996, გვ. 406-426.

⁵ სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული. ტ. II. თბილისი, 1993, გვ. 372.

⁶ ივანე ჯავახიშვილი. ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. „თხზულებანი თორმეტ ტომად“. ტ. IX. თბილისი, 1996, გვ. 412.

რამდენიმე გვიანდელი „სამდივნო წიგნია“⁷. ამ წიგნში მოტანილი იყო ნიმუშები თუ როგორ უნდა ყოფილიყო აწვობილი თითოეული დოკუმენტი: სიგელი, ბრძანება, წყალობა, სახელოს, ქონების, ნასყიდობის წიგნი, ანდერძი და ა.შ.

XVII საუკუნიდან კი ჩვენში „სამდივნო წიგნები“ არსებობდა. სამეფო კარზე საბუთების დაწერა მდივნების მოვალეობაში შედიოდა. ვახუშტის სიტყვით მდივნები „სწერდნენ უსტარსა, იერლაცსა, პიტაკსა, ენდალმასა, პატრუცაგსა, როარტაგსა, გუჯართა, სიგელთა, ბრძანებათა, განაჩენთა და სხუათა“.⁸

ივ. ჯავახიშვილის აზრით „ქართული საბუთების მტკიცედ ჩამოყალიბებული სახე გვაფიქრებინებს, რომ მწიგნობრებსა და მდივნებს წინასწარ შესაფერისი სწავლა უნდა ჰქონოდათ მიღებული და სათანადოდ გაწვრთნილი უნდა ყოფილიყვნენ თავიანთი რთული და პასუხსაგები მოვალეობის პირნათლად ასასრულებლად. ალბათ ერთგვარი სახელმძღვანელოებიც იქმნებოდა შედგენილი“.⁹

მეფეს და დედოფალს თავიანთი მდივნები ჰყავდათ, რომლებიც წერდნენ სამეფო და სადედოფლო სიგელებს; მდივნები ადგენდნენ სახელოს წყალობისა და მამულის გაცემის სიგელებს. მათ არა მარტო საბუთების სწორად შედგენა უნდა სცოდნოდათ, არამედ დიდად განათლებულები, ენების მცოდნე და კარგი კალიგრაფებიც უნდა ყოფილიყვნენ. გარდა სამეფო მდივნებისა, იყვნენ კერძო მდივნებიც, რომლებიც კერძო ხასიათის საბუთებს ადგენდნენ გარკვეული გასამრჯელოს ფასად და ამით ირჩენდნენ თავს, მაგალითად: XVIII საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწე, ცნობილი მდივანი და მსაჯული, იესე ოსეს ძე (ბარათაშვილი) თავის თავგადასავალში მოგვითხრობს: როცა უსამსახუროდ დავრჩი „თითო-ორიოლს შაურს ვიშოვიდი, ან სიგელს დაუწერდი ვისმე, ან ოქმს, თვარა უფრო ჩემსას გავეიდდი რასმე და ამით ვრჩებოდი“-ო.¹⁰

სახელმწიფო საბუთების შედგენა-გაფორმებაში სამეფოს სამი მოხელე იღებდა მონაწილეობას: მდივანი, სახლთუხუცესი და მორდალი. მდივანი, როგორც სახელმწიფო საბუთის შემდგენელი მოხელე; სახლთუხუცესი, როგორც სამდივანმწიგნობროს გამგე, იგი მონაწილეობდა სახელმწიფო საბუთების დაბეჭდვაში. საბუთის დამწერი, მდივანი საბუთს სახლთუხუცესს მიართმევდა, რომელიც თავისი სამოხელეო ბეჭდით დაბეჭდავდა საბუთს; და მორდალი (იგივე მოჰრდალი, მურდალი), სახელმწიფო ბეჭდის შემნახავი მოხელე, იგი მეფესთან დაახლოებული და ერთგული პირი უნდა ყოფილიყო (ეს სიტყვა სპარსულიდანაა შემოსული და სიტყვასიტყვით ბეჭდის მცველს ანუ ბეჭდის შემნახავს ნიშნავს). მათ კანონით დადგენილი გასამრჯელო ეძლეოდათ.

ბეჭდები. ბეჭდები საბუთის სიმტკიცის ერთ-ერთი ნიშანი იყო. საბუთი საბოლოოდ გაფორმებულად ითვლებოდა, თუ მასზე სათანადო პირის ბეჭედი იყო დასმული. ხელრთვები და ბეჭდები საბუთების ერთი შემადგენელი ნაწილი იყო. ბეჭედს მურში სვრიდნენ და ისე ასვამდნენ საბუთზე. სიგელების დაბეჭდვა პასუხსაგებ საქმეს წარმოადგენდა.

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ: „ის რთული წესრიგი, რომელიც სიგელის დასაბეჭდავად მიღებული ყოფილა XIV საუკუნეში, მაინც ცხადლივ დამამტკიცებელია იმ გარემოებისა, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბეჭედს და დაბეჭდვას. სულ ცოტა 4 მოხელის თანდასწრება და მონაწილეობა უეჭველია იმიტომ უნდა ყოფილიყო შემოღებული, რომ საბუთების უტყუარობა და

⁷ ივანე ჯავახიშვილი. ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. „თხზულებანი თორმეტ ტომად“. ტ. IX. თბილისი, 1996.

⁸ ვახუშტი ბატონიშვილი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. „ქართლის ცხოვრება“. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ვახუშტიშვილის მიერ. ტ. IV. თბილისი, 1973, გვ. 23.

⁹ ივანე ჯავახიშვილი. ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. „თხზულებანი თორმეტ ტომად“. ტ. IX. თბილისი, 1996, გვ. 435.

¹⁰ იესე ბარათაშვილის ცხოვრება-ანდერძი. ტექსტი გამოსცა შესავლით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებლებით ა. იოსელიანმა.— კრებული „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“. ნაკვ. 28. თბილისი, 1950, გვ. 33.

უეჭველობა უფრო უზრუნველყოფილიყო და ბოროტმოქმედების ჩადენა გაძნელებულიყო...”.¹¹

ძველ ქართულ საისტორიო ძეგლებში მოიპოვება ცნობები ბეჭდების არსებობის შესახებ. მაგრამ დოკუმენტებში ქართული ბეჭდები XV საუკუნის 70-იანი წლებიდან ჩნდება, თუმცა საბუთების დაბეჭდვა ძველი დროიდან ყოფილა ცნობილი.

საქართველოში XV საუკუნემდე ხმარობდნენ შეკიდულ ბეჭდებს. სამწუხაროდ ასეთი ბეჭდები არა გვაქვს შემორჩენილი. მაგრამ ზოგიერთ საბუთებს ნახვრეტები აქვს, რომელშიც ზონარი იქნებოდა გაკრილი შეკიდული ბეჭდის დამამაგრებელი.¹² XV საუკუნიდან კი სიგელებში სამეფო ბეჭდები ჩნდება. შეკიდული ბეჭდები შეცვალა თითზე გასაკეთებელმა, გულზე დასაკიდებელმა და ხელის მოსაკიდებელმა ბეჭდებმა.

„ბეჭედს, როგორც სიმტიციის სიმბოლოს, საბუთს უსვამს ის პირი, რომელიც გარკვეულ მიმართებაში იყო დოკუმენტში აღნიშნულ იურიდიულ აქტთან (საბუთის გამცემი, მისი დამამტიციებელი, საბუთში აღნიშნული იურიდიული აქტის მოწმე და იშვიათად საბუთის მიმღები)”.¹³

ბეჭდები ჰქონდათ მეფეებს, დედოფლებს, ბატონიშვილებს, სხვადასხვა თანამდებობის პირებს, თავადებს, აზნაურებს, სასულიერო პირებს – კათოლიკოს-პატრიარქებს, ეპისკოპოსებს, ეკლესიის მსახურებს, მოქალაქეებს, ვაჭარ-ხელოსნებს და სხვა კერძო პირებს. ბეჭედს სვამდნენ ტექსტის ბოლოს, ან მოწმეების ვინაობის დასახელების შემდეგ, ბეჭდებს ვხვდებით საბუთების არშიებზეც.

თითოეულ პიროვნებას შეიძლებოდა რამდენიმე ბეჭედი ჰქონოდა, მაგალითად: ნაზარალი ხანს ხუთი ბეჭედი ჰქონდა, თეიმურაზ II-ს – რვა, ერეკლე II-ს – შვიდი, დარეჯან დედოფალს – ორი, გიორგი XII-ს – რვა, იესე ბარათაშვილს – სამი ბეჭედი და ა.შ. ბეჭდების მფლობელები მათ ხმარობდნენ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ხასიათის დოკუმენტებისათვის.¹⁴

XVIII საუკუნის გერმანელ მეცნიერს და მოგზაურს გიულდენშტედტს, საქართველოში მოგზაურობისას აღწერილი აქვს სამეფო სიგელის გაფორმება „მეფის სიგელები, ხელმოწერის მაგიერ, აღინიშნებოდნენ ოთხკუთხა ბეჭდით, რომლის დიამეტრი იყო 5/4 დიუმი, რომელსაც სვრიდნენ მურით. შეიძლებოდა მასში ასოების მოსაზულობის დანახვა”¹⁵.

სამეფო ბეჭედი სალაროში ინახებოდა და ის ბეჭდის მცველს – მორდალს (მურდალს) ებარა. საბუთის დასაბეჭდად გარკვეული თანხის გადახდა იყო საჭირო, რომელსაც „საბეჭდავი” ეწოდებოდა.

როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავდა: „ბეჭდის დასმა რომ აუცილებელი იყო იქითგან ჩანს, რომ როდესაც საბუთზე ხელისმომწერს შემთხვევით ბეჭედი თან არ აღმოაჩნდებოდა, ის მობოდიშებით ამ გარემოებას განსაკუთრებით აღნიშნავდა ხოლმე და მკითხველს არწმუნებდა, მაინც დაიჯერეთ, ჩემი ხელის მოწერააო”.¹⁶

სამწუხაროდ, ნამდვილი ბეჭდების დიდმა რაოდენობამ ჩვენამდე ვერ მოაღწია, ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ბეჭედი პატრონის გარდაცვალების შემდეგ უნდა განადგურებულიყო, რომ მისი ბეჭდით ბოროტად არავის ესარგებლა.¹⁷ ამიტონ დღეს

¹¹ ივანე ჯავახიშვილი. ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. „თხზულებანი თორმეტ ტომად“. ტ. IX. თბილისი, 1996, გვ. 442.

¹² ივანე ჯავახიშვილი. ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. „თხზულებანი თორმეტ ტომად“. ტ. IX. თბილისი, 1996, გვ. 439, 442.

¹³ ა. ბაქრაძე. ქართული ბეჭდები. I. სამეფო ბეჭდები, „პალეოგრაფიული ძიებანი“. II. თბილისი, 1965, გვ. 4.

¹⁴ ა. ბაქრაძე. ქართული ბეჭდები. I. სამეფო ბეჭდები, „პალეოგრაფიული ძიებანი“. II. თბილისი, 1965, გვ. 7.

¹⁵ გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში. გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა. ტ. I. თბილისი, 1962, გვ. 7.

¹⁶ ივანე ჯავახიშვილი. ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. „თხზულებანი თორმეტ ტომად“. ტ. IX. თბილისი, 1996, გვ. 437.

¹⁷ Акты, собранные Кавказскою археографическою комиссию. т. VIII. №61, 1881, ст. 85.

სფრაგისტიკის შესწავლის წყარო სიძველეთსაცავებში დაცული ბეჭედდასმული საბუთებია.

საბუთის შემზადების ტექნიკა. ჩვენში სიგელებს თავდაპირველად ეტრატზე (პერგამენტზე) წერდნენ, რომელსაც ამზადებდნენ ცხვრის, თხის ან ხბოს ტყავისაგან. XI საუკუნიდან კი საქართველოში ეტრატთან ერთად ქაღალდიც გამოიყენებოდა. ქაღალდი თავდაპირველად აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოჰქონდათ, XIV საუკუნის დასაწყისიდან კი საქართველოში იტალიური, კერძოდ, ვენეციური ქაღალდი შემოდიოდა. იტალიურ ქაღალდს ჰქონდა ე.წ. წყლის ნიშანი, ანუ ფილიგრანი, რომელიც თავდაპირველად სავაჭრო-სასაქონლო ღირებულების მიმნიჭებელი იყო, ქართულად მას ჭვირნიშანი ეწოდება, (ქართული ტერმინი ივ. ჯავახიშვილმა დაამკვიდრა).¹⁸ დღეისათვის კი ჭვირნიშნით არკვევენ ქაღალდის წარმომავლობასა და ასაკს. ქაღალდის შესწავლით შეიძლება პირობითად მაინც დადგინდეს საბუთისა თუ ხელნაწერის შექმნის დრო, მისი ჭეშმარიტება.

ქაღალდი ნახევარფაბრიკატის სახით შემოდიოდა ჩვენში და აქ ხდებოდა საბოლოო სახის მიცემა. ეტრატს ან ქაღალდს სანამ ტექსტს დაწერდნენ ჯერ ბლაგვი იარაღით ხაზავდნენ, რომ სტრიქონები სიმეტრიული ყოფილიყო. საწერ იარაღად კი თავდაპირველად ლერწმის კალამი გამოიყენებოდა, ხოლო XVIII საუკუნიდან კი ბატის ფრთისგან დამზადებულ კალამს ხმარობდნენ. საბუთებს წერდნენ ძირითადად შავი ან ყავისფერი საღებავით, რომელსაც „მელანს“ ეძახდნენ, იშვიათად ხმარობდნენ წითელ ე.წ. სინგურ საღებავსაც.

სიგელებს წერდნენ ეტრატისა და ქაღალდის ორივე მხარეს. სიგელის შიდა მხარეს „პირი“ ერქვა, გარეთა მხარეს „ზურგი“ ეწოდებოდა. დღეისათვის კი ძირითადად ლათინურ შესატყვისს ხმარობენ, პირის ლათინური შესატყვისია *recto*, ხოლო ზურგის – *verso*.

თუ ტექსტი ერთ გვერდზე არ ეტეოდა, მაშინ საბუთს მეორე მხარეს წერდნენ, ოღონდ თანამედროვე ნაწერისაგან განსხვავებით ტექსტი წინა გვერდისგან ზურგშექცევით იწერებოდა, თუ ტექსტი დიდი იყო და ერთ ფურცელზე არ ეტეოდა, ნაწერ ტექსტს ახალ ფურცელს შეაწებებდნენ. ეტრატებს კი ერთმანეთს აბრეშუმის ძაფით გადააკერებდნენ ხოლმე. მიწებებულ ცალკეულ ფურცლებს „კეფი“ ეწოდებოდა. კეფი რომ არ შეეცვალათ მიკერებულ ან მიწებებულ ადგილებზე ხელრთვებს ურთავდნენ, მოგვიანებით კი ბეჭდებს ასვამდნენ. სიგელებს ახვევდნენ ხის ჯოხებზე ან უჯოხოდ და გრაგნილის სახით ინახავდნენ. საბუთის *verso*-ს ქვედა კიდეზე აწერდნენ დოკუმენტის სათაურს, რომ სიგელები ერთმანეთისაგან გაუხსნელად გაერჩიათ. საბუთს, როგორც ქონებისა და სოციალური სტატუსის განმსაზღვრელ იურიდიულ დოკუმენტს, საგანგებოდ ინახავდნენ.

ამრიგად, ჩვენ დავინახეთ, რომ საბუთი როგორც იურიდიული მნიშვნელობის განმსაზღვრელი აქტი რთული აგებულებისა იყო და რამდენიმე ნაწილისა და ქვენაკვეთისაგან შედგებოდა. იგი ძირითადად უცვლელი რჩებოდა საუკუნეების მანძილზე; ხდებოდა მხოლოდ საბუთის ზოგიერთი ფორმულების გაფართოება ან შეკვეცა, ამა თუ იმ ეპოქისადმი დამახასიათებელი ტერმინებით შეცვლა და ა.შ. მის შედგენასა და გაფორმებაზე სამეფო კანცელარიის სამი მოხელე იღებდა მონაწილეობას (სახლთუხუცესი, მდივანი და მორდალი). ბეჭდებისა და ხელრთვების დართვით კი საბუთი საბოლოოდ გაფორმებულად ითვლებოდა. ეს ყველაფერი კეთდებოდა იმ მიზნით, რომ საბუთის ფალსიფიცირება არ მომხდარიყო, თუმცა სრული დაცვა მაინც ვერ ხდებოდა და ნატიყარი საბუთების ნაწილმა ჩვენამდე მოაღწია.

¹⁸ **რ. პატარიძე.** ქაღალდის დამუშავების საკითხისათვის ფოტოალურ საქართველოში. „პალეოგრაფიული ძიებანი“. I. თბილისი, 1965.

სახალხო განათლებისა და კულტურის საკითხები ქალაქ თბილისის თვითმმართველობაში (1917-1921 წწ.)

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) არსებობის პერიოდი - ეროვნული ენერჯის მოზღვავებით და დიდი კულტურული აღმავლობით ხასიათდება. მაღალ დონეზე იდგა მხატვრული ლიტერატურა, 1919 წელს შეიქმნა **სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი**, გაფართოვდა დრამატული თეატრის საქმიანობა, დაიდგა ქართული ოპერა, საფუძველი ჩაეყარა ქართულ კინოს, ამოქმედდა კინოთეატრები - „ამირანი“, „მინიონი“, „აპოლო“, „კოლიზი“. 1919 წლის საერთაშორისო გამოფენაზე საყოველთაო აღიარება მოიპოვა ნიკო ფიროსმანის და ლადო გუდიაშვილის შემოქმედებამ და სხვ.

საქართველოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში პრობლემების, ეკონომიკური კრიზისის და სოციალური გაჭირვების ფონზე შემოქმედებითი თვალსაზრისით ამ მცირე დროში დიდი წარმატებები იყო.

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ გაფართოვდა საქალაქო თვითმმართველობათა უფლება-კომპეტენცია განათლების და კულტურის სფეროში. თბილისის მუნიციპალიტეტის უწყებაში გადავიდა თითქმის ყველა ტიპის სკოლა. თბილისის თვითმმართველობა დიდი მონდომებით ეკიდებოდა კულტურისა და სახალხო განათლების საქმეებს.

სამწუხაროდ ფინანსური კრიზისი ყველა დარგს ეტყობოდა და არც განათლება იყო გამონაკლისი. სასწავლო დაწესებულებები თვითმმართველობას არასახარბიელო მდგომარეობაში გადაეცა. ცუდ მდგომარეობაში იყო სკოლების ინფრასტრუქტურა, ზოგიერთი სასწავლებლის შენობა საერთოდ ფუნქციონირებდა არც იყო. მაგალითად: მატინოვის და ჩერქეზოვის სკოლებში ლაზარეთი იყო მოწყობილი.¹

1917 წელს რუსეთის დროებითი მთავრობის დადგენილების საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის გამგებლობაში გადავიდა აგრეთვე საეკლესიო დაწესებულებები (თავისი ინფრასტრუქტურით).²

1918 წელს მიღებული იქნა საქართველოს კანონი სკოლების „ნაციონალიზაციის“ - ეროვნულ ენაზე სწავლების შემოღების თაობაზე. მოხდა მოსწავლეებისა და მასწავლებლების გადაჯგუფება; მწვავედ დაისვა სასწავლებელთა ქართველი კადრებით დაკომპლექტების საკითხი, შემუშავდა ახალი სასწავლო გეგმები, ქართულ ენაზე შედგა სახელმძღვანელოები, კადრების მოსამზადებლად შეიქმნა რამდენიმე სემინარია. თვითმმართველობა ყოველთვის მხედველობაში იღებდა ეროვნულ უმცირესობათა თხოვნებს თავიანთი მშობლიური ენის სწავლების შესახებ, მათი სკოლების სუბსიდირების შესახებ. მაგალითად: გამგებობამ გაითვალისწინა ყაზახი თათრების თხოვნა და მათთვის სასწავლებელში დამოუკიდებლად სწავლება მშობლიურ ენაზე მოეწყო;³ მუსულმანი სტუდენტების თხოვნა მათთვის მშობლიური ენის სწავლების შესახებ⁴ და სხვ.

¹ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 120, ფურცელი 2.

² საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 120, ფურცელი 292.

³ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 120, ფურცელი 293.

⁴ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 120, ფურცელი 2.

1917 წლის 6 დეკემბერს კავკასიის ქალაქთა წარმომადგენლების მე-6 ყრილობაზე განისაზღვრა განათლების სფეროში განსახორციელებელი პრიორიტეტული ამოცანები. დაადგინეს: საქალაქო თვითმმართველობების უმაღლეს ამოცანად მოხსენიებული საყოველთაო, სავალდებულო, უფასო სწავლების შემოღება 16 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის; საქალაქო თვითმმართველობები დაუყოვნებლივ უნდა შედგომოდნენ დაწყებით სასწავლებელთა ქსელის გაფართოების გეგმათა შემუშავებას; ქალაქის სკოლებში სწავლება იწარმოებდა მშობლიურ ენაზე; პროფესიული სკოლების დაარსების დროს მხედველობაში უნდა მიღებულიყო ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო საჭიროებანი და პერსპექტივები; სახალხო განათლების ხელმძღვანელობისათვის საქალაქო სათათბიროსთან უნდა ჩამოყალიბებულიყო სპეციალური განყოფილებები.⁵

თბილისის თვითმმართველობა ძალისხმევას არ აკლებდა დასახული მიზნების შესრულებას. მართალია, სამი წლის განმავლობაში მოსწავლეთა კონტიგენტი თბილისის სკოლებში საგრძნობლად გაიზარდა. ქალაქის განკარგულებაში გადასულ სკოლებში შემოღებული იქნა უფასო სწავლება.⁶ მაგრამ, საყოველთაო, უფასო განათლების შემოღება სრულყოფილად (16 წლის ასაკამდე ბავშვებისთვის) მაინც ვერ განხორციელდა.

1917 წელს 23 საქალაქო სკოლაში 1309 მოსწავლე სწავლობდა. აღნიშნულ სასწავლო წელს 998 ბავშვს ეთქვა უარი სკოლების გადატვირთვის მიზეზით. განსაკუთრებით კი დიდი კონტიგენტი იყო - ვერის, დიდუბის, ჩუღურეთის, ავლაბრის და სოლოლაკის სკოლებში. 1918 წლის სექტემბერში ქალაქს 9 საქალაქო სკოლა შეემატა, თუმცა არც ეს იყო საკმარისი.⁷ უკვე 1919 წელს კი არსებობდა 76 საქალაქო სასწავლებელი, აქედან 5 უმაღლესი და 4 პროფესიული. მათ შორის საბურთალოზე გახსნილი პირველი დაწყებითი ახალი სკოლა.⁸

ქალაქის გამგეობამ სახალხო განათლების სამინისტროს გეგმის შესაბამისად გახსნა სკოლები მოზარდთათვის და დიდებისათვის წერა-კითხვის შესასწავლად შემდეგ ადგილებში: 1. მთაწმინდის პირველი აკაკი წერეთლის სახელობის სკოლა - მთაწმინდის მოედანი, ქალაქის სახლი. 2. ვერის პირველი სკოლა - 26 მაისის ქუჩა №14. 3. საბურთალო - მუშათა კლუბი. 4. ნაძალადევის მეორე ირაკლი წერეთლის სახელობის სკოლა - ჩერქეზიშვილის ქუჩა №100; 5. ავლაბრის პირველი უმაღლეს დაწყებითი სკოლა - კაბგეროვის და ფოსტის ქუჩა №17-22 სკოლებში. სწავლა უფასო იყო და წარმოებდა საღამოობით და კვირაობით.⁹

პარალელურად აღსანიშნავია ისიც, რომ ქალაქის გამგეობის კანცელარიაში მასწავლებელთა ბევრი თხოვნა შედიოდა სამსახურის შესახებ. მაგრამ პასუხი ერთი იყო ქალაქის სასწავლებელში იმ დროისათვის თავისუფალი ადგილები სრულიად აღარ მოიპოვებოდა.¹⁰

დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქალაქის თვითმმართველობა სკოლის შენობის სწორად მოწყობის, შერჩევის საკითხს, მშენებლობის, გეგმის შედგენის, უსაფრთხოების, ჰიგიენის საკითხებს.

ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის მეშვიდე ყრილობაზე გადაწყდა განათლების განყოფილების მოწყობა. განყოფილებამ დაარსებისთანავე მიზნად დაისახა: ყურადღება მიექცია რესპუბლიკის ქალაქებში საყოველთაო, უფასო და სავალდებულო სწავლის შემოღებისათვის, სკოლების მშენებლობის საკითხების გაუმჯობესებისათვის, თვითმმართველობებისათვის დახმარება გაეწია სკოლის

⁵ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1923, ანაწერი 1, საქმე 36, ფურცლები 69-71.

⁶ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 120, ფურცელი 70.

⁷ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 125, ფურცლები 50-51.

⁸ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №206.

⁹ ჟურნალი „ჩვენი ქალაქი“, 1921, №1, გვ. 31.

¹⁰ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №199.

შენობების სწორად მშენებლობაში, ჯანსაღი სასკოლო ინვენტარის დამზადებაში, ეროვნული სახელმძღვანელოების შემუშავებაში, საყმაწვილო ბაღების მოწყობის საქმეში, მასწავლებელთა მომზადებაში, უზრუნველყო ლიტერატურისა და საკანცელარიო საქონლის ხელმისაწვდომობა და სხვ.¹¹

1917 წლის ბოლოს გაითვალისწინეს რა სკოლის შენობების მდგომარეობა, ქალაქის საბჭოს სხდომაზე დაადგინეს დამატებით ხარჯთაღრიცხვაში მოეხდინათ 6.000 მანეთის ასიგნაცია ქალაქის სკოლების კაპიტალური და მიმდინარე რემონტისათვის.¹²

1919 წელს სასწავლო პროცესის დაწყებამდე განათლების სამინისტროსა და ქალაქის თვითმმართველობას შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა, კანონის თანახმად სახელმწიფო საშუალო სასწავლებლების, პროგიმნაზიულ კლასების ქალაქის ხელში გადასვლის შესახებ, რაც, სავარაუდოდ, 1 სექტემბრისთვის უნდა დასრულებულიყო. გადაწყდა საშუალო სასწავლებლის მოსამზადებელი კლასებისათვის შეეერთებინათ დაბალი პირველდაწყებითი სკოლები, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებისთვის 1 დან 4-მდე უმაღლეს დაწყებითი სასწავლებლები. აგრეთვე ახალი პროგრამის მიხედვით სავალდებულო ხდებოდა ისეთი საგნები, როგორც არის: ჭრა-კერვა, სხვადასხვა ხელსაქმე, ხატვა და სხვ.¹³

ყველაზე დიდი გამარჯვება იყო სამი უმაღლესი სასწავლებლის დაარსება დედაქალაქში.

1917 წლის იანვარში პრესაში გაჩნდა ცნობა რუსეთის იმპერატორის რუსული მუსიკალური საზოგადოების მუსიკალური სასწავლებლის თბილისის განყოფილების კონსერვატორიად გადაკეთების შესახებ. 23 იანვარს ქალაქის თავმა საბჭოს სხდომაზე აღიარა ეს ფაქტი, რასაც დიდი აღტაცებით შეხვდა საზოგადოება. კონსერვატორიის დირექციაში საბჭოს ორი წარმომადგენელი ჰყავდა ი. ა. ალიხანოვი, მ. ი. დოლუხანოვი.¹⁴

ქართველმა საზოგადოებამ აგრეთვე დიდ კულტურულ მოვლენად აღიქვა კონსერვატორიის გახსნა, ხოლო 1917 წლის 12 ოქტომბერს ქალაქის საბჭოს სხდომაზე, თავმჯდომარე ატყობინებდა დამსწრე საზოგადოებას თბილისის პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში მეცადინეობის დაწყების შესახებ.¹⁵ უმაღლესი სასწავლებლები დიდ იმედს ამყარებდნენ მთავრობასა და თვითმმართველობებზე, მაგრამ რეალურად მათგან სრულიად უმნიშვნელო თანხებს იღებდნენ. ისინი არსებობას და ფუნქციონირებას საზოგადოებრივი ორგანიზაციების და კერძო შემოწირულობების წყალობით დიდი გაჭირვებით ახერხებდნენ.

აღსანიშნავია, რომ 1918 წელს თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან გაიხსნა სპეციალური ფაკულტეტი მუნიციპალური კადრების მოსამზადებლად, რომლის დაფინანსებას თბილისის თვითმმართველობა შედარებით მეტ ყურადღებას აქცევდა. 1919 წლის დამდეგს თბილისის საქალაქო გამგეობამ დააკმაყოფილა პოლიტექნიკური უნივერსიტეტის მომწიფობი მთავარი კომიტეტის თხოვნა და ინსტიტუტს გამოეყო 60.000 მანეთი.¹⁶

ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი ქალაქის თვითმმართველობის უწყებაში 1919 წელს გადავიდა. უნივერსიტეტს მიეცა ავტონომია, როგორც სასწავლო, ისე სამეურნეო ნაწილში. სახალხო უნივერსიტეტის გამგეობაში უნდა ყოფილიყო ქალაქის ერთი წარმომადგენელი. გამგეობამ დაამტკიცა სახალხო

¹¹ ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“, 1919, №5-6, გვ. 29-35.

¹² საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 120, ფურცლები 293-294

¹³ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №162.

¹⁴ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 120, ფურცელი 29.

¹⁵ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 120, ფურცელი 317.

¹⁶ ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“, 1919, №1, გვ. 33.

უნივერსიტეტის ხარჯთაღრიცხვა. მისი საჭიროებისათვის ქალაქმა 1919 წელს მხოლოდ 130 ათასი მანეთის გამოყოფა მოახერხა.¹⁷

ქალაქთა კავშირის სახალხო განათლების გამგემ შეიმუშავა მოძრავი სახალხო უნივერსიტეტის ორგანიზაციის პროექტი და წარადგინა თბილისის სახალხო უნივერსიტეტის ქართულ ლექტორთა სექციაში გასარჩევად. ეს პროექტი ქართულ ლექტორთა სექციამ გაარჩია და ერთხმად მოიწონა.

პარალელურად თბილისის სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის წინაშე 15.000 მანეთის სესხის შესახებ. თავის შუამდგომლობაში გამგეობა აღნიშნავდა თბილისის სახალხო უნივერსიტეტის უმწეო მდგომარეობას და სთხოვდა მთავარ კომიტეტს სამი თვის ვადით ესესხებინა 15.000 მანეთი რათა უნივერსიტეტს შეძლებოდა თავისი მოქმედების გაგრძელება.¹⁸

1920 წლის 3 მარტს ქართულმა სახელმწიფო უნივერსიტეტმა მიმართა გამგეობას თხოვნით გაეწია მისთვის დახმარება, რადგან ფულის უქონლობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიდა. აღნიშნული მიზეზით დააკეტილა: სამხატვრო და არქიტექტურის კლასები, დრამატული სტუდია, შეწყვეტილა ექსპერიმენტალურ-ფსიქოლოგიის ლექციები, ხოლო შემდეგში დახმარების გარეშე საფრთხის წინაშე იდგა თვით დაწესებულებების დაკეტვის საკითხი. უნივერსიტეტის ვალი 191.600 მანეთს შეადგენდა, ხოლო 1920 წლის ბოლომდე ხარჯთაღრიცხვით გამოანგარიშებული იყო 1.305.800 მანეთი. ქალაქის გამგეობამ მოისმინა რა ზემოსხენებული, 1920 წლის 2 აპრილს დაადგინა მიეცა ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის 200.000 მანეთი.¹⁹

თანახმად სახელმწიფო უნივერსიტეტის შუამდგომლობისა პლენარის კუჩაზე მდებარე „საზაფხულო კრუჟოკი“-ს ბინა ჩამორთმეული იქნა და გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, არსებული სასანიტარო ინსტიტუტის ბალნეოლოგიურ განყოფილებას.²⁰

წარმატებებით მიმდინარეობდა იმპერიის რუსიფიკატორული პოლიტიკის უარყოფითი შედეგების ლიკვიდაცია, ეროვნულ ნიადაგზე დადგა სკოლა, სწავლა-განათლების სისტემა. არსებითად შეიცვალა მისი როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მაჩვენებლები.

საფინანსო განყოფილების გამგემ ა.შოთაძემ დააყენა საკითხი იმის შესახებ, რომ 1919 წლის ხარჯთაღრიცხვის ქართულ ენაზე შესადგენად საჭირო ტერმინოლოგია ჯერ სავსებით არ იყო დამუშავებული. ითხოვდა ისეთი წიგნების შედგენას ქართულ ენაზე, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ეხელმძღვანელა გამგეობას ქართული ტერმინოლოგიის შემუშავების დროს. მისი აზრით სახელმძღვანელოდ გამოდგებოდა ს. ტარუაშვილის მიერ შედგენილი და გამოცემული სახელმძღვანელო „ბუნჰალტერია“ და მთავრობის მიერ გამოცემული პროექტი „სახელწიფო ხარჯთაღრიცხვისა“.²¹

თბილისის ქალაქის გამგეობამ თავის მორიგ სხდომაზე დაადგინა: ქალაქში ყველა საზოგადო, სავაჭრო-სამრეწველო და სხვა დაწესებულებებზე მთავარი წარწერები უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ენაზე; მეპატრონეებს უფლება ეძლეოდათ სხვა ენაზეც კჰონოდათ მცირედი წარწერები, რომელიც გამოიკიდებოდა მეორეხარისოვან ადგილას. ამ ბრძანების შესრულება მათ 1919 წლის 1 დეკემბრამდე დაუწესდათ. მართლწერის და სტილის დასაცავად მეპატრონე ვალდებული იყო

¹⁷ ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“, 1919, №3, გვ. 38.

¹⁸ ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“, 1919, №1, გვ. 27-28.

¹⁹ **საქართველოს ეროვნული არქივი.** საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 5, საქმე 194, ფურცელი 177.

²⁰ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921, №22.

²¹ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919, №165.

ტექსტი ქალაქის თვითმმართველობის „სეკრეტარიატისათვის“ წარედგინა. აღნიშნული დონისძიებების შეუსრულებლობა ისჯებოდა კანონით.²²

საქართველოს დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მიერ შემუშავებულ კონსტიტუციის პროექტში ერთი თავი ეთმობოდა ეროვნულ უმცირესობათა უზრუნველყოფას. ეთნოგრაფიულად აჭრელებულ ქვეყნებში, როგორც საქართველოა ამ საკითხის მოგვარება ერთ ურთულეს საქმეს წარმოადგენდა. ეროვნული საკითხის მოგვარებაში ადგილობრივ თვითმმართველობას დიდი როლი უნდა ეთამაშა ერთა თანამშრომლობის დამყარებაში და მათ შერიგებაში. ვერავითარი განსაკუთრებული კანონმდებლობა ვერ აკეთებს იმდენს, რასაც გააკეთებს სწორ და ნათელ დემოკრატიულ პრინციპზე მოწყობილი თვითმმართველობა. ეროვნულ საკითხის მოსაგვარებლად, დემოკრატიულ სახელმწიფოს სწორედ ეს მიზანი უნდა დაესახა - ხალხის კულტურული ამაღლება. ამ მიზნის მისაღწევად მთავარი საშუალებაა მთელი ხალხის განათლება, ხალხში რაც შეიძლება მეტი მცოდნის გავრცელება, მაგრამ პედაგოგიურ აქსიომად უნდა გატარებულიყო ის აზრი, რომ განათლების, ცოდნის გავრცელება შეიძლება მხოლოდ და მარტო დედა-ენაზე.

ეროვნული საკითხის გამწვავებას სხვა მიზეზებიც უწყობდა ხელს. ეროვნულ ენასთან ცხოვრების სხვა მხარეებიც არის დაკავშირებული. მოქალაქეს ცხოვრებაში ხშირად უხდებოდა ადმინისტრაციულ, სასამართლო, საფინანსო და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებთან ურთიერთობა. ამ დროს ენა შემაფერხებელი საკითხი იყო. საუკეთესოდ დაცვა თავისი ინტერესებისა მოქალაქეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო, როდესაც სახელმწიფო ორგანო მას დედა-ენაზე ელაპარაკებოდა.

ქალაქის სოციალური დახმარების განყოფილებასთან ჩერქეზიშვილის ქუჩაზე 93-ში მოეწყო კინემატოგრაფი. ამ მიზნით შექმნილი იქნა საჭირო ინვენტარი და შეკეთდა აღნიშნული სახლი.²³

კინემატოგრაფიულმა სააქციონერო საზოგადოებამ დაისახა მიზნად: საქართველოში ეროვნულ ნიადაგზე მოეწყო კინემატოგრაფიული ორგანიზაცია; მოეხდინა ქართული კინოპიესების გადაღება ლენტზე, თბილისში კინომსახიობებისაგან შეედგინა დასი, დაეარსებინა სპეციალური სტუდია კინორეჟისორთა და კინომსახიობთა მოსამზადებლად. საზოგადოების მატერიალური ფონდი 10 მილიონ მანეთს შეადგენდა: უკვე შექმნილი ჰქონდა ატელიე, აპარატები და სხვა საჭირო ავეჯი.²⁴

გამგეობის წევრ პაპავას მოხსენებით, სახალხო კინო-თეატრის მოქმედება ისე გაფართოებულა, რომ საჭირო გამხდარა მოსამსახურეთა მუდმივი შტატის შექმნა და გაფართოება. აღნიშნული მოხსენების საფუძველზე 1920 წლის 10 თებერვალს დამტკიცდა კინოთეატრის მოსამსახურეთა შტატი და თანამდებობრივი სარგო.²⁵

ქალაქის მთავრობამ შეუფერებლად მიიჩნია დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში ძველი რეჟიმის მოხელეთა ერთგულ მოსამსახურეთა პატივსაცემად აგებული ძეგლების არსებობა, იშუამდგომლა მთავრობის წინაშე, რათა მომხდარიყო კუკიის მოედანზე - ვორონცოვის ძეგლისა და ვერის დადმართზე ალექსანდრე მესამეს ეტლიდან გადმოვარდნის დროს მის „სასწაულებრივად“ გადარჩენის აღსანიშნავად აგებული ჯვრის დემონტაჟი. აგრეთვე საბჭოს სხდომაზე დაადგინეს ქალაქში ჩამოეხსნათ დაფები წარწერით „დიდების ტაძრიდან“, რადგან ეს

²² ჟურნალი „კავკასიის ქალაქი“, 1919, №13-15, გვ. 41.

²³ ჟურნალი „ჩვენი ქალაქი“, 1920, №3, გვ. 29.

²⁴ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921, №9.

²⁵ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 5, საქმე 230, ფურცელი 15.

წარწერებიც მათი შეხედულებით „თვითმპყრობელი რუსეთის საქართველოზე ძალადობის და თვითნებობის გამომხატველი იყო“.²⁶

ქალაქ თბილისის საბჭოს 1919 წლის 29 ივნისის სხდომაზე განიხილეს ქალაქ თბილისის თვითმმართველობაში შექმნილი ქუჩების და სახელწოდებების შემცველი სპეციალური კომისიის და ქალაქის გამგეობის მიერ შემუშავებული მოხსენება ქალაქის ზოგიერთი ქუჩისა და დაწესებულებებისათვის სახელწოდების შეცვლის შესახებ. მოხსენება გააკეთა ქალაქის მოურავმა – ბენიამინ ჩხიკვიშვილმა. საბჭომ დაადგინა: დაედასტურებინა გამგეობის მოხსენება და სახელწოდებები შეეცვალათ:

- ერევნის მოედანს – თავისუფლების მოედანი;**
- გოლოვინის პროსპექტს – რუსთაველის პროსპექტი;**
- სასახლის ქუჩას – დამფუძნებელ კრების ქ;**
- სოლოლაკის ქუჩას – 26 მაისის ქ;**
- ოლღას ქუჩას – აკაკის ქ;**
- ანდრეევის ქუჩას – ილიას ქ;**
- ელისაბედის ქუჩას – ნ.ბარაშაშვილის ქ;**
- ბარიატინსკის ქუჩას – ნინოშვილის ქ;**
- ალექსანდრეს ბაღს – ნინოშვილის ბაღი;**
- ალექსანდრეს საავადმყოფოს – ქალაქის მე-2 საავადმყოფო;**
- ბოლნიჩნი გოროდოკს – ქალაქის 1-ლი საავადმყოფო.²⁷**

ქალაქ თბილისის საბჭოს 1919 წლის 13 ოქტომბრის სხდომაზე კი საბჭოს ხმოსნების სიფრთხილის და ამ კუთხით გამოთქმული წინააღმდეგობების მიუხედავად, საბჭომ მიიღო დადგენილება ქალაქის 299 ქუჩისათვის სახელწოდების შეცვლის შესახებ.²⁸

თბილისის თვითმმართველობის მოღვაწეებს შეგნებული ჰქონდათ ადამიანთა სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საჭიროება. იგი ზრუნავდა კულტურულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა გამრავლებაზე...

ქალაქის თვითმმართველობა, რომლის ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას (საქალაქო დებულების მე-2 მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტის შესაბამისად), შეადგენდა ქალაქის მაცხოვრებელთა ზნეობის გაუმჯობესებისათვის, განათლებაზე და თეატრის აყვავება-განვითარებაზე ზრუნვა, დაეკისრებულ ფუნქციას სხვადასხვა საშუალებებით ახორციელებდა, აღსანიშნავია, რომ თეატრის შენობები კერძო პირთა ხელში იყო მოხვედრილი, ისინი კი თავის მხრივ ამ შენობებს დანიშნულებით არ იყენებდნენ, ძირითადად მოგებაზე იყვნენ ორიენტირებულნი.

ქალაქის მესვეურები აღიარებდნენ თეატრის კულტურულ-საზოგადოებრივ მნიშვნელობას და ამ შენობების კერძო პირთა ხელში დატოვებას თბილისელების წინაშე დანაშაულად მიიჩნევდნენ. ამ მოსაზრებით ქალაქის გამგეობამ გადაწყვიტა შეეძინა თეატრის შენობა თბილისში და არჩევანი შეაჩერა „არტისტული საზოგადოების“ შენობაზე (დღევანდელი შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობა). თეატრის შენობა ეკუთვნოდა დავიდ ბოგდანის ძე ავან-იუზბაშოვ-ხან საგნახსკის. რუსთაველის პროსპექტზე მდებარე თეატრის შენობის ქვედა სართულზე მოთავსებული იყო რესტორანი „ანონნი“, პირველ სართულზე მაღაზიები, თეატრის დარბაზი, საღარო, დერეფნები და გარდერობი. მეორე სართულზე: საკონცერტო დარბაზი, ორი სასადილო, ბანქოს სათამაშო დარბაზი და ფოიე. მესამე სართულზე შვიდი დიდი ოთახი, ორი სამხარეულო და თეატრის ქანდაკები. სამხრეთ და ჩრდილო ფლიგელებში ბინები.

²⁶ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 5, საქმე 194, ფურცელი 43.

²⁷ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 125, ფურცლები 195ა, 201-202ა.

²⁸ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 125, ფურცლები 305ა-306, 314-318.

მთელი ეს მამული ბოლოს შეფასებული იყო 1912 წელს 397.254 მანეთად. 1920 წლის 1 იანვარს ქალაქის მოურავის მოხსენებიდან ირკვევა, რომ არტიტული საზოგადოების შენობის პატრონი დავიდ ბოგდანის ძე ავან-იუზბაშოვ-ხან საგნახსკის შენობის გაყიდვაზე ლაპარაკი არ უსურვებია, ქალაქისთვის შეუთავაზებია თეატრის იჯარით გადაცემა. იჯარის პირობები მეპატრონეს ერთი კვირის განმავლობაში უნდა წარედგინა გამგეობაში. ქალაქის მოურავის ბენიამინ ჩხიკვიშვილის 1920 წლის 24 იანვრის მოხსენების საფუძველზე კი ირკვევა, რომ ოცი დღის შემდეგაც გამგეობას შენობის მესაკუთრისგან პასუხი არ მიუღია. რის გამოც გამგეობამ დაადგინა: დავიდ ბოგდანის ძე ავან-იუზბაშოვ-ხან საგნახსკის იძულებით ჩამორთმეოდა „არტიტული საზოგადოების“ შენობები იმ ფასად, როგორც შეფასებული იყო უკანასკნელად.²⁹

ხმოსანთა ნაწილი უარყოფითად აფასებდა აღნიშნულ ფაქტს. მათი შეხედულებით, თუ ქალაქს თეატრის შენობა ესაჭიროებოდა იგი არ უნდა შეხებოდა მაღაზიებსა და ელექტროსადგურს. ხმოსანთა ნაწილი აღნიშნავდა, კერძო საკუთრებას უფრო მორიდებით უნდა მოჰკიდებოდნენ, რადგან კერძო საკუთრებაზე იყო აგებული მოსახლეობის კულტურულ-ეკონომიკური კეთილდღეობა. მიუხედავად ამისა ქალაქ თბილისის საბჭოს 1920 წლის 9 თებერვლის სხდომაზე გამგეობის მოხსენების საფუძველზე მიიღეს დადგენილება არტიტული საზოგადოების თეატრის და მისი შენობების იძულებით ჩამორთმევის შესახებ.³⁰

ქალაქში ერთ-ერთ პოპულარულ დაწესებულებად რჩებოდა 1902 წელს კ. ზუბალაშვილის ვაჟების გადაწყვეტილებით მისი სახელის უკვდავსაყოფად საკუთარი ხარჯით მოწყობილი სახალხო სახლი, რომელიც მათ ქალაქს საჩუქრად გადასცეს. 1907 წელს ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი (დღევანდელი მარჯანიშვილის სახელობის თეატრი) შედგებოდა 630 ადგილიანი სათეატრო დარბაზის, ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, ოთახებისა და საჩაიე დარბაზისგან.³¹

აღსანიშნავია, რომ საქალაქო გადასახადი ვრცელდებოდა ქალაქში გამართულ ყველა წარმოდგენაზე და ღონისძიებაზე თუ იგი სპეციალური დადგენილებით არ იქნებოდა გათავისუფლებული აღნიშნული ვალდებულებისგან.

1919 წლის 20 ოქტომბრის სხდომაზე გადაწყდა სახალხო სახლის თეატრში შესასვლელი ფასების 150%-ით გადიდულიყო.³² 1918 წლის ბოლოს კი ყველა საქალაქო ბიბლიოთეკაში წიგნით სარგებლობა 15 კაპიკიდან 1 მანეთამდე გაიზარდა.³³

1921 წლის იანვრის ბოლოს ქალაქის გამგეობამ გადაწყვიტა თბილისში წიგნის მაღაზია გაეხსნა. ამ მიზნისთვის მან 1 მილიონი მანეთი გადადო და შეარჩია რუსთაველის პროსპექტზე მდებარე კაფე „უნიონის“ შენობა, რომლის დარბაზი იქნა გამოყენებული წიგნის მაღაზიის საჭიროებისათვის. ქალაქის წიგნის მაღაზიის გამგედ დაინიშნა ქალბატონი ტრაპი.³⁴

ფინანსური პრობლემების მიუხედავად ქალაქი ახერხებდა მოეხდინა ქალ-მასწავლებელთა საზოგადოების საბავშვო კლუბის სუბსიდირება, მის მოსაწყობად. დიდუბის და კუკიის უფასო ბიბლიოთეკების, სომეხთა შორის სასარგებლო ცოდნის გაერცვლების საზოგადოების და სხვ.³⁵

²⁹ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 5, საქმე 194, ფურცლები 91-93.

³⁰ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 5, საქმე 194, ფურცელი 80.

³¹ აღ. ბენდიანიშვილი. თბილისის საქალაქო თვითმმართველობა 1975-1917. თბილისი, 1960, გვ. 89-90.

³² საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 129, ფურცელი 332.

³³ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 125, ფურცელი 363.

³⁴ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921, №22.

³⁵ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 4, საქმე 125, ფურცლები 62, 80.

ქალაქის გამგეობა კრიზისის მიუხედავად მზრუნველობას იჩენდა ქალაქის სპეცსკოლებისა და სპორტრული სკოლების მიმართ: მან დააკმაყოფილა ტანთსავარჯიშო საზოგადოება „შევარდენის“ თხოვნა და გადადო 10.000 მანეთი მომავალ წლის ხარჯთაღრიცხვაში, აგრეთვე ქალაქის თვითმმართველობამ დააკმაყოფილა ბრმათა სკოლის თხოვნა 25.000 მანეთით დახმარების შესახებ და დაავალა საბინაო განყოფილებას, სკოლის აღსაზრდელების ნაკეთობების გასაყიდად გამოყოფოდათ ბინა. კრიზისის მიუხედავად ქალაქის გამგეობამ თავის მფარველობის ქვეშ მიიღო ბავშვთა თავშესაფარი კაპეიკი, გადადო მისი ბინის შესაკეთებლად 10.000 მანეთი და 20.000 მანეთით დახმარება აღუთქვა ყოველთვიურად.³⁶

ქალაქმა ვორონცოვ-დაშკოვის სახელობის ბავშვთა თავშესაფრის დასახმარებლად 5.000 მანეთი გაიღო.³⁷

თბილისის გამგეობას ბალანსზე დედაქალაქში არცერთი საბავშვო თავშესაფარი არ ჰქონია. შექმნილი სოციალური პირობების ფონზე ქუჩაში აუარებელი უპატრონო უბინაო ბავშვი იყო, აგრეთვე ბევრი ღარიბი ოჯახის შვილი თხოულობდა თავშესაფარს და დახმარებას. აღნიშნულ ფონზე ქალაქმა მიიჩნია, ჰქონოდა სამაგალითო საბავშვო თავშესაფარი, სადაც ზედმიწევნით იქნებოდა განვითარებული ხელსაქმის, ხელობის შესწავლა აგებული სწორ პედაგოგიურ და აღზრდის პრინციპებზე. გამგეობამ მიზანშეწონილად მიიჩნია გამოეყენებინა უკვე არსებული თავშესაფარი, აეყვანა თავისი მფარველობის ქვეშ. ეს გაცილებით ნაკლები დაუჯდებოდა ქალაქს, ვიდრე ახლის დაარსება. შრომის განყოფილებამ დაათვალიერა ყველა არსებული საბავშვო თავშესაფარი და არჩევანი საზოგადოება „კაპეიკის“ თავშესაფარზე გააჩერა, რომელსაც ბალანსზე ჰქონდა საკუთარი ორსართულიანი სახლი 11 ოთახით (ორთაჭალა, ბერძნის ქუჩა). თავშესაფარი იმ ეტაპზე 12 ბავშვს ითვლიდა, თუმცა შენობა 50 ბავშვს დაიმატებდა. უსახსრობის გამო იქ შეჩერებული იყო მეცადინეობა და სახელოსნოების მუშაობა.³⁸

³⁶ ჟურნალი „ერობა და ქალაქი“, 1920, №3 გვ. 38.

³⁷ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 5, საქმე 194, ფურცელი 146.

³⁸ საქართველოს ეროვნული არქივი. საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 192, ანაწერი 5, საქმე 194, ფურცლები 20-21.

3 0 3 3 3 3 0 3

გიორგი ალიბეგაშვილი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

სიტყვიერ ხატთა ხატები

ხატი, ფერთაგან გამოსახული,
დაწერილი სიტყვის თანაგვარია.
წმ. იოანე დამასკელი

თავად უფალი იესო ქრისტეა
სიტყვიერ და ხილულ ხატთა წყარო:
როგორც ღოგოსი-სიტყვიერის,
როგორც სახე-ხატწერის.
დ. უსპენსკი

წმიდა მამათა თანაგანჭვრეტით, ხატებში შემოკლებულ მოსახსენებლად აღწერილია ჭეშმარიტად არსების მიხედვით განკაცებული ღმერთის საკვირველთმოქმედება, ვნება, ჯვარცმა, აღდგომა, ამაღლება, რაც თავდაპირველად შეხსენებისა და სწავლებისათვის სიტყვით გადმოიცა; მაგრამ რადგან „ყველა არ იყო მცოდნე ასოთა და არც ჰქონდა კითხვის გულმოდგინება“ (წმ. იოანე დამასკელი) შეიქმნა ხატწერილობა. ხატი სამარადისოდ დაუკავშირდა მართლმადიდებლობას – მათი ერთიმეორის გარეშე არსებობა წარმოუდგენელია.

სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია, რომ სიტყვა „ხატს“ წმიდა მამები გაცილებით ფართო მნიშვნელობით იყენებდნენ, ვიდრე დღეს იხმარება. ღვთის მიერ შექმნილი მთელი სამყარო უფლის ხატად გაიანზრებოდა – როგორც სრულყოფილი ხელოვანის მიუთხრობელი „შუენიერება“: „ხელოვან და დამბადებულ ღმერთი არს“. აქედან განისაზღვრა ქრისტიანულ კულტურაში ტერმინ „ხელოვანის“ ძირითადი სემანტიკა: ხელოვანია ღმერთი, მას მიეწერება ხელოვნება, „ხელოვანისა ნაქმარი არს შუენიერი ესე და დიდი ქუყანად“; ისაა „ხელოვანთ-მოძღუარი“, „ხელოვანთ-მთავარი“, „სოფლისა შემოქმედი ხელოვანი“, „ხელოვანი იგი მხატვარი“ და სხვ. სამყარო ზომის, რიცხვის (რიტმის), წესრიგის, ჰარმონიის შესაბამისად ღმერთმა ხელოვანი ღოგოსით შექმნა. თავის შემოქმედებაში მას არ სჭირდებოდა არც „ემანაცია“, არც „გამოსხივება“, არც პლატონური „იდებების სამყარო“. ის თავის თავში ყოველივეს შინაგანად განწესებული სამყაროს ხატად ქმნიდა (ირინეოს ლიონელი). ერთგვარი შემაჯამებელი დასკვნა კი ზემოთქმულისა ნემესიოს ემესელის თქმული სიტყვაა: „სულსა წესი უპყრიეს ხელოვანისაჲ“, (რაც იმას მიუთითებს, რომ „არაარსისგან არსად მომყვანის“ ანუ ღმერთის სულის მადლი, განკაცებული უფლის მეოხებით, ადამიანზე გადადის, რომელიც შემოქმედი, ხელოვანი ხდება.

ამდენად, კაცის შესაქმნეც „ხატად და მსგავსად“ ღვთისა (დაბ. 126) ხელოვნებადაა გაანზრებული, თუმცა მას წინ უსწრებს სიტყვა, რომლითაც, როგორც ითქვა, იქმნებიან „ყოველნი არსნი“ („სიტყვად ღმრთისაჲ საქმე არს“).

სიტყვასთან და ხატთან მიმართებით არსებითია განისაზღვროს, თუ როგორ ესმით ადამიანის ღვთისადმი მსგავსება და ხატი შუა საუკუნეებში. წმ. მამათა მიხედვით, „მსგავსება“ შინაგანი ბუნებაა (სათნობითი მსგავსება ღმრთისადმი), „ხატი“ - გარეგანი. ამ საკითხთან დაკავშირებით წმ. გრიგოლ ნოსელი ასე ღვთისმეტყველებს („ხედვითხელოვნებს“):

„შუენიერებად საღმრთოდ არა გამოხატულ არს შუენიერებითა ფერთადთა, არამედ უზეშთაესითა წესითა, რომელი მიუთხრობელ არს გულისხმის-ყოფად. და ვითარ-იგი მხატვართა ღონისძიებად ყვიან მრავლითა წამალთაგან თითოსახეთა და შეზავიან ყოველივე იგი მსგავსად ჯერისა მის, რადთამცა მიამსგავსეს შუენიერებასა მას ძირისასა ზედამიწევით, და ესრედთვე გულისხმა-ყავ დამბადებელისად, რამეთუ შეამკო ბუნებად კაცობრივი სათნოებებითა მრავლითა მსგავსად ფერთა შუენიერითა და აჩუენა ჩუენ შორის მსგავსად ძალისა თვისისა შემკულებად ყოვლითა, რომლითა **იცნობების ცხორებად იგი ჭეშმარიტი**, არა წითლითა მბრწყინვალითა გინა სხვითა წამლითა, რომელი თანა-შეზავიან მას შუენიერებისათვის ხატისა, და არცა შავითა, რომელითა გამოსახიან წარბნი და თუალნი სხუათა მათ ფერთა თანა საშუენებელად ხატისა, ვითარ-იგი ღონისძიებით ყვიან მხატვართა, არამედ ნაცვალად ამათსა **უბიწოვებად და სიწმიდედ და სიწრფოვებად და განშორვებად ყოვლისაგან ბოროტისა და ესევითარითა სახითა, რომლითა ემსგავსების კაცი დამბადებელსა თვისსა, და ამით ფერთა შეამკო დამბადებელმან ხატი თვისი, ესე იგი არს ბუნებად ჩუენი**. და უკუეთუ შენ მოაწიო გონებად მიხედვად სხუათა მათ არსთათვის, რომელ იცნობის მით შუენიერებად ღმრთისად, უკუე ჰპოვო მსგავსებად ბუნებასა ჩუენსა შინა... და ესე სახედ ყო ჩუენთვის დამბადებელმან ბუნებისაგან”.

ასე რომ, კოსმოსისა და ისტორიის წესრიგში „ცხორებად იგი ჭეშმარიტი“ სიტყვითა და ხატით „იცნობების“ - ისინი უტყვ აზრებს კანონიკური დაწერილობით გადმოსცემენ. ამის გამო ხელოვანნი ორივე მიმართულების ნიმუშების **წერისას** განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდნენ, რადგან „შუენიერებასა მის ხატებისასა უკუეთუ აკლდეს რადმე, არა არს იგი ხატი“. აქედან გამომდინარე, შემოქმედთა დამოკიდებულება აღსაწერი საგნისადმი ასე განისაზღვრა: სიტყვათა და ხატთა შექმნის ხელოვნება სულიწმიდის მადლია; ბიბლიური წიგნები, სახეები, სიმბოლოები კი ის საფუძველია, რომელსაც ქრისტიანული კულტურის ხელოვანი ემყარება აღსაწერი ნიმუშის „შინა-სახის“ გამოხატვისას. „ფერმწერი“ (zografos) დგას „სიტყვისმწერის“ (logografos) გვერდით და ისინი ავსებენ ერთმანეთს (ჰ. კამფენჰაუზენი), რადგან უტყვ აზრებს კანონიკურ დაწერილობას ანიჭებენ.

საკითხი სხვა კუთხითაც დაისმის: რა დამოკიდებულებას იჩენს ხელოვანი თავის წინამორბედ შემოქმედთა მემკვიდრეობისადმი?! ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, შევნიშნავთ: ჰაგიოგრაფთათვის, როგორც სიტყვის - ასევე ხატმწერთათვის, ნიმუშის მომცემი თავად მაცხოვარია, ერთი მხრივ, სახარების მომადლებით, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ „იცხოვრა მან მიწაზე, დაჰყო ადამიანებთან, ისაკვირველთმოქმედა, ივნო, ჯვარს ეცვა, აღდგა და ამაღლდა, როდესაც ჭეშმარიტად მოხდა ეს ყოველივე და დასანახი გახდა ადამიანებისათვის, ამასთან აღიწერა კიდევ ჩვენდა შესახსენებლად და სასწავლად, რომლებიც იმჟამად იქ არ ვიყავით“, და, მეორე მხრივ, ედესელთა ქალაქის მეფე ავგაროზის სახელთან დაკავშირებული სათნო გადმოცემით: მან „მხატვარი მიავლინა, რომ მას უფლის ხატის მსგავსება გამოესახა, მაგრამ როდესაც მხატვარმა ვერ შეძლო ეს (უფლის პირისახისგან გამომკრთალი ბრწყინვალეების გამო), მაშინ თვით უფალმა საკუთარ ცხოველმყოფელ პირისახეს ზედ დაადო სამოსელი, გადაბეჭდა სამოსზე თავისი გამოსატულება და ასე გაუგზავნა იგი ამის მოსურნე ავგაროზს“ (წმ. იოანე დამასკელი).

აქედან გამომდინარე, სახარება და ავგაროზთან დაკავშირებული მაცხოვრის ხატი ხდება შუა საუკუნეების ღმრთივსულიერი ნიმუშების უპირველესი განმსაზღვრელი პარადიგმა - მათი პატივისცემა კი „პირველსახეზე გადადის“ (წმ. ბასილი დიდი). გამოიკვეთება ჰაგიოგრაფიული იკონოლოგიის ღვთისმეტყველების დინამიკის საფეხურები:

ა) **ცოდვით დაცემამდელი ადამი** -- მასში ღვთის ხატი სრული სიწმიდით, მშუენიერებით და ქმედითად არის გაბრწყინებული, ხოლო მსგავსება დასაბამიერ სიწმიდეს მოიცავს;

ბ) ცოდვით დაცემის შემდგომი ადამი -- ხატი ღვთისა სხვადასხვაგვარად და განსხვავებული ხარისხით არის დაჩრდილული, ცოდვით მოცული, მსგავსება დაკარგულია;

გ) წმიდანი - შინაგანი უმუსვრელი ხატისებრიობა განწმედილი და გაცხადებულია ღვწით, მარხვით, ლოცვით, სათნო ცხოვრებით, მიელტვის პირველსახეს, ხოლო მსგავსება სიწმიდით არის განახლებული და აღდგენილი;

დ) ქრისტე ლოგოსი და ხატი ღვთისა -- არის შობილი პირველსახე, უქმნელი პირველხატი, ზეციერი არქეტიპი;

ე) უხილავი ღმერთი -- მისი ხატება პირველსახის, ქრისტეს მეშვეობით ადამიანია (ვ.ლექსინი).

ამგვარად, ღმერთის განკაცებით ხელახლა წმიდა ანუ ღვთის მსგავსი გახდა ადამიანური ბუნება და თავიდან დაიხატა, თავიდან ხატიქმნა, ანუ სათნოებითი სიწმიდით კვლავ მსგავსება მიიღო ძე ღმერთისადმი (განკაცების შემდეგ იესო ქრისტედ წოდებულისადმი). ესაა ადამიანური ბუნების უკუგანახლება, ახალშექმნა ქრისტეში (ე.ჭელიძე).

როგორც ვხედავთ, ხატის ღვთისმეტყველება წმიდა წერილის უმთავრეს მოვლენებთანაა დაკავშირებული: ადამიანის დაბადებასთან, ცოდვით დაცემასთან და უხრწნელი ხატის ხრწნადად, ზეციერიდან მიწიერად გადაქცევასა და განკაცებული მაცხოვრის შემწეობით ადამიანში ღვთის ხატისებრიობის აღდგენასთან.

ხატწერილობა-სიტყვისწერილობის (ზოგრაფია-ლოგოგრაფიის) განუყოფელი კავშირი წმიდანის სახის გამოხატვისას შემდეგი აქცენტებითაა წარმოდგენილი:

მაღალი შუბლი - სიბრძნე და ღრმა აზროვნება;

დიდი თვალები - ღვთაებრივ საიდუმლოთა წვდომა;

თხელი ტუჩები - ასკეტიზმი;

გრძელი თითები - სულიერი კეთილშობილება და უბიწოება;

თავდახრილი დგომა - ღვთის სიტყვისადმი ყურადღება;

მოდრეკილი ფიგურა - უფლის ნებისადმი მორჩილება

(არქიმანდრიტი რაფაელი).

ვნახოთ, როგორ აქვს „რეალიზებული“ შემოკლებულ მოსახსენებლად წმ. გრიგოლ ხანცთელის სახე ქართული ჰაგიოგრაფიული სკოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს, გიორგი მერჩულეს: იგი იყო „ხილვითა დიდ, ხორცითა თხელ, ჰასაკითა სრულ, ყოვლად კეთილ სრულიად, გუამითა მრთელ და სულითა უბიწო“.

აქვე მოვიყვანთ ყოვლადწმიდა მარიამის ჰაგიოგრაფიული სიტყვიერი ხატის ნიმუშს იოანე მინჩის პოეზიიდან:

„ღმრთისმშობელსა ვადიდებდეთ -

მშობელსა და ქალწულსა,

დედასა მეუფისასა, ვენახსა გონიერსა,

ტაძარსა პირმეტყუელსა,

ტაკუქსა მას სულიერსა,

სადგურსა მანანაძისასა,

ღრუბელსა საესესა ნათლითა,

მაგრილობელსა სულთა ჩუენთასა,

სადმთოსა ზღუდესა მტკიცესა,

მცველსა ყოვლისა სოფლისასა“.

(ასეთი სიტყვიერი ხატები ღვთისმშობლის იკონოგრაფიის მრავალსახეობებს უწეობს ხელს).

როდესაც გიორგი მერჩულე და იოანე მინჩი წმ. მამისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახეებს ასეთი ჰაგიოგრაფიული (ხატწერითი-სიტყვისწერითი) ნიშნებით წარმოადგენენ, ისინი შუა საუკუნეთა ესთეტიკურ მოთხოვნებს იცავენ. შენიშნულია რომ, მედიევალური ხელოვანის თვალთახედვით, წინაპართა მთელი შემოქმედება მისი საკუთრებაა, რომელსაც იგი შეიძლება დაეუფლოს, ნებისმიერად

მოეპყროს. არ არსებობს არც პლაგიატის, არც საავტორო უფლების ცნება. უდიდესი პატივი, რომელიც შეიძლება მიეგოს წინამორბედს, არის არა მისი ნაწარმოებით ტკობა, ხელუხლებლად შენახვა, არამედ მისი გაცოცხლება ახალ ნაწარმოებში, ცოცხალ შემოქმედებაში. გადამუშავება ეს არის გამდიდრება. ამავე დროს ეს არის უზენაეს რეალიებთან, მარადიულ იდეებთან ზიარების პირდაპირი გზა, რადგან ეს იდეები მოიპოვება ძველ მწერალთა ნაწარმოებებში (ა.ალექსიძე).

ამავე კუთხით ერთი გარემოებაც იქცევა ყურადღებას: მრავალი სასულიერო ძეგლის ავტორი უცნობია (თხზულების თუ ხატის). ამის მიზეზი, ჰაგიოგრაფთა დიდი თავმდაბლობის გარდა, შემდეგიცაა: ხელოვანი არ ცდილობს „მიწიერ“ თვითდამკვიდრებას და ამით მიანიშნებს, რას განიცდის, როდესაც ფურცლავს ბიბლიურ წიგნებს, სასულიერო თხზულებებს თუ ეკლესიის მამათა თეოლოგიურ ნაშრომებს; ჰაგიოგრაფი თვლის, რომ ის წინამორბედ შემოქმედთაგან დავალებულია და საკუთარ ქმნილებაში გადაჭარბებული ინდივიდუალობის შეტანა დაუშვებელია. თუ ნაწარმოებს საკუთარ სახელს მიაწერ, ის ძველ ხელოვანთა მიბაძვით შექმნილი ნიმუშის მითვისებაა - ამავე დროს, ამ ხელმოწერით ავტორი თავის თავზე აიღებს ქმნილების ნაკლსაც. ნაწარმოები რომ უზადო იყოს, მის შემოქმედს ვინაობის დადასტურება არ სჭირდება.

სხვა შემთხვევაში ხატმწერს ეკლესიისათვის ახალი ხატის ან ტრადიციული იკონოგრაფიული კომპოზიციის ახლებური ხატწერით გადაწყვეტის შეთავაზება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუკი სიწმიდის ისეთ ხარისხს მიაღწევს, რომლის დროსაც ახალი ხატი გამოცხადებად წარმოუდგება და არა საკუთარ წარმოსახვად (ვ. ლეჟახინი 2002: 132).

ხატი და წმიდანის ცხოვრება-მარტვილობა, უპირველეს ყოვლისა, არა თვალისა და გონების საამებლად, არამედ რწმენის განსამტკიცებლად იწერება; ეს ხელოვნება ადამიანის უკვდავი სულის წვდომაა, დაწერილი სიტყვით, ფერით, წმიდანის სახის აქცენტებით, სხეულის მოძრაობით; ის ხელს უწყობს გონების იდუმალ თვითხადრმავეებას და, გარკვეული აზრით, მისტიკური, ღვთაებრივი სულის პოეზიად აღიქმება. ფაქტობრივად ეს ხელოვნება ამქვეყნად ჩენილ სასწაულს აღწერს, რაც ადამიანის სულის, რწმენის ასახვაა და არა რეალობის ანარეკლი. ხატწერისა და ნაწარმოებების პერსონაჟთა „წერის“ ერთ-ერთი საერთო ნიშანი ისიცაა, თუ როგორ დაინახავს შემოქმედი წმიდანს ღვთისაგან წამიერად მინიჭებულ სინათლეში. ამიტომ ჰაგიოგრაფები შემოქმედებით ძალას თავიანთი ნიჭიდან კი არ იკრებენ, არამედ უფლის სიყვარულიდან. აქედან გამომდინარე, ხელოვანები საკუთარ ნაწარმოებს სულიწმიდის მადლით აღსრულებულ შემოქმედებით ნიმუშად მიიჩნევენ.

სპეციალურ ლიტერატურაში დადგენილია შემდეგი ტიპის ხატები, რომლებიც სიუჟეტურად სიტყვიერ ხატთა ხატებანი არიან:

1. **მონოსტრუქტურული** ხატები - მათზე მხოლოდ ერთი პერსონაჟია გამოხატული: მაცხოვარი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ან რომელიმე წმიდანი; პარალელურად არსებობს ისეთი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები, რომლებიც მხოლოდ ერთი წმიდანის ღვაწლის შესახებ მოგვითხრობენ, მაგალითად, „წმ. შუშანიკის წამება“, „წმ. აბოს მარტვილობა“;
2. **ორკარედები ანუ ე.წ. დიპტიქონები** - მაგალითად, იესო ქრისტე და ღვთისმშობელი; ჰაგიოგრაფიაშიც ხშირია სათაურებშივე ორი წმიდანის სახელის გამოტანა: „ცხორება იოანესი და ეფთვიმესი“, „მარტვილობა დავითისა და ტირიჭანისი“ და სხვ.
3. **სამკარედები ანუ ტრიპტიქონები** - მაგალითად, სახულის სამკარედი ან მღვიმევის (XIII ს.) სამკარედი დეისუსი, რომელსაც ტრიმორფონი ანუ სამხატვეული უწოდა სპირიდონ ლამბროსმა (მე-18 ს.). სამკარედული, ტრიპტიქული სტრუქტურაა წარმოდგენილი „წმ. აბოს მარტვილობაში“: I თავში (იკონოგრაფიული ასპექტით I კარედში) ჰომილიაა, II-III თავებში - ჰაგიოგრაფიული თხრობა, IV თავში-ქება;
4. **ცენტრალურ-ციკლური სტრუქტურის ხატები** - შუაში წმიდანი გამოხატული, ხოლო ირგვლივ, მედალიონების მსგავსად, ცალკეული ეპიზოდები მისი

ცხოვრებიდან. მაგალითად, წმ. გიორგის, წმ. ნიკოლოზის და სხვ. მსგავსი ტიპის ხატები. ასეთია „წმ. გრიგოლ ხანცთელის ცხოვრება“ - თხზულების ცენტრში წმ. გრიგოლია, ხოლო მის გარშემო სხვადასხვა ეპიზოდი არაქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა გადმოცემული. შედარებით მოგვიანო ხანაში შემუშავდა წმ. ხატების აშიებზე წმიდანთა ცხოვრების ეპიზოდების გამოსახვის ესთეტიკური პრინციპი, რომელიც ხატის „გახსნას“, ცენტრში მყოფი მოღვაწის განდიდებას ემსახურება, თუმცა მთავარი მაინც წმიდანის ცენტრალური ხატია და არა აშიებზე მოცემული მისი ცხოვრების ამსახველი ეპიზოდები;

5. **ისტორიის გადმომცემი ხატები** - ისინი ვრცელ ამბავს გვაუწყებენ წმიდანების ცხოვრებიდან. ასეთი იკონოგრაფიული გამოსახულებები განსაკუთრებით რუსეთშია გავრცელებული; საქართველოში კი ამ სტრუქტურის ხატია საქართველოს ეკლესიის დიდება. შესაბამისად შექმნილია ისეთი ჰაგიოგრაფიული თხზულებები, რომლებშიც ერთდროულად რამდენიმე წმიდანზეა საუბარი, მაგალითად, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ჰაგიოგრაფიული ნაწილი (ს.მეტრეველი).

დასკვნის სახით შევნიშნავთ: ღმერთმა ეს ქვეყანა სახილველად შექმნა, მერე კი, ხილული ერთმანეთისთვის რომ გაგვეზიარებინა, სიტყვის უნარი მოგვანიჭა; ადამიანი სიტყვით თხზავს ამბებს, სიტყვით შთაგონებული ქმნის ხელოვნების ძეგლებს, წერს ხატებს (შემოკლებულ მოსახსენებლებს - წმ. იოანე დამასკელი); ქრისტიანული კულტურის უპირველესი ამოცანა ღვთის, ადამიანისთვის „მსგავსებისა და ხატის“ მომნიჭებლის, ძიებაა, სამყაროს იმგვარი აღქმაა, როგორსაც მას ღმერთი ხედავს; სიტყვისმწერისა (logo grafos) და ხატმწერის (zografos) მიერ შექმნილი ნიმუშები ადამიანისთვის გონებითშესამეცნებელიცაა, სულიერი თვალთ აღსაქმელიც, ღვთისგან განწესებული სამყაროს მელოდიის განცდაც და სანთლის შუქზე წარმოთქმული ღოცვად აღვლენილი სიტყვაც.

ლიტერატურული სახე და „ხილული უხილავი“ ხატი არის ჭერეტა იმისა, რაც ადამიანის სულმა ქვეცნობიერად იცის; ისინი გვაფიქრებენ საკუთარ შიდა ბუნებაზე, აჩვენებენ სულიერ აზრს და არა გამოსახულების სამყაროს. ამ გზით „ხორციელდება ჭეშმარიტ სიტყვად და ხატად ქცეული რწმენის შთანერგვა“ (წმ. იოანე დამასკელი). საბოლოოდ კი იკონოგრაფიული ნიმუშები ვერგამოხატვის, მიუწვდომლობის განწყობილებას გვინერგავს და არა გამოსატყულებით ტკობის განცდას - ისინი ხილულისა და უხილავის მრჩობლი ერთიანობაა.

ზმნური ყალიბები და მათი სემანტიკური კომპონენტები

ქართული ენის ნებისმიერ ზმნას (ზმნურ ლექსიკურ ერთეულს) ფორმამაწარმოებელი აფიქსებით ნაწარმოები რამდენიმე ყალიბი აქვს: (ჩა)ვაშენებ, (ა)ვშენდები, ვუშენდები, ვეშენები, ვაშენებინებ... ვიშენებ, ვუშენებ... წარმოდგენილი ფორმები, თავის მხრივ, მწკრივების მიხედვით იცვლება.¹

შდრ.: აკაკი შანიძე ამ ყალიბებს ზმნური სიტყვაწარმოების პროდუქტებად მიიხსენებს და ანაწილებს გვარის, ქცევის, კონტაქტის, სიტუაციის, ასპექტის, გეზის, ორიენტაციის - წარმოქმნის კატეგორიების – მიხედვით;² თ. უთურგაიძე „ვიშენებ“, „ვუშენებ“... ტიპის ყალიბებს არ თვლის სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულებად,³ მაგრამ მათ გვარის, ქცევის... გრამატიკული კატეგორიების ფორმებად განიხილავს.⁴ ბ. ჯორბენაძეც ზმნურ ფორმებს ახასიათებს გვარის, ქცევის, კაუზატივის... კატეგორიების მიხედვით და ამ კატეგორიებს ზმნურ ფორმამაწარმოებით კატეგორიებად თვლის.⁵ დ. მელიქიშვილის აზრით, გვარი არ არის გრამატიკული კატეგორია; ასეთად ის ღიათეზას მიიხსენებს.⁶

ზმნური გრამატიკული კატეგორიების შემოთავაზება უნდა ემსახურებოდეს ზმნის ფორმათა პარადიგმის სრულყოფილ გააზრებას. ქართული ზმნური ფორმების სისტემურ ანალიზს ვერ აიოლებს დღემდე აქტიურად გამოყენებული გვარის, ე.წ. გარდამავლობისა თუ აკ. შანიძის მიერ შემოღებული ქცევის კატეგორიები, ვინაიდან ამ კატეგორიების ფარგლებში შემოთავაზებული კრიტერიუმებით ზმნური ფორმების კვალიფიკაციის დროს არსებობს მრავალი გამონაკლისი. ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია ფორმათა გამიჯვნის პრინციპიც და, ამავე დროს, არალოგიკურია ფორმალური პარადიგმა, მაგ., ერთი პარადიგმის წევრებად ითვლება სამვალენტოანი „ვუკეთებ“ და ორვალენტოანი: „მიკეთებია“. ეს და სხვა წინააღმდეგობანი პროგრამისტის, მოსწავლისა თუ უცხოელისთვის მეტად ართულებს ქართული ზმნის ფორმამაწარმოებითი შესაძლებლობების აღქმასა და შესწავლას.

ზმნური ხმოვანი პრეფიქსები ერთი რანგის მორფემებია⁷ და, შესაბამისად, მათ ვერ მივიჩნევთ სხვადასხვა მორფოლოგიური თუ მორფოლოგიურ-სინტაქსური კატეგორიის მარკერებად. ჩვენი აზრით, როგორც კონკრეტული მწკრივის ფორმები

¹ ტ. ფუტკარაძე. ზმნურ ფორმათა პარადიგმის მანქანური მოდელირების პრობლემები. ქართველური მეცნიერება. XVI. ქუთაისი, 2012, გვ. 200-212.

² აკ. შანიძე. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი, 1980, გვ. 236-385; ამავე თვალსაზრისს იზიარებს ბევრი სხვა მეცნიერიც.

³ თ. უთურგაიძე. შინაარსისა და ფორმის ურთიერთობისათვის ენაში ქართული სალიტერატურო ენისა და მისი დიალექტების მიხედვით. ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. IV. გორი, 1957, გვ. 152.

⁴ თ. უთურგაიძე. გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში. თბილისი, 2002, გვ. 80-82; ბ. ჯორბენაძე. ქართული ენის მორფოლოგია (პროგრამა-პროსპექტი). თბილისი, 1995, გვ. 74.

⁵ ბ. ჯორბენაძე. ქართული ენის მორფოლოგია (პროგრამა-პროსპექტი). თბილისი, 1995, გვ. 74.

⁶ დ. მელიქიშვილი. ქართული ზმნის უღლების სისტემა. თბილისი, 2001, გვ. 173.

⁷ ზმნური ხმოვანი პრეფიქსების შესახებ იხ.: ბ. ჯორბენაძე. ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში. თბილისი, 198; ტ. ფუტკარაძე. ხმოვანი პრეფიქსების ფუნქციისათვის ქართულ (ქართველურ) ზმნაში.–სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კრებული: „ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები“. ტ. II. თბილისი, 2010, გვ. 290-303; წაკითხულ იქნა მოხსენებად სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე ეროვნული სამეცნიერო კონფერენციაზე: ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები. თბილისი, 21-22 მაისი, 2010.

განიხილება ყალიბად, რომელსაც ახასიათებს რამდენიმე სემანტიკური კატეგორია (დრო, კილო, ასპექტი...), ასევე, **ხმოვანპრეფიქსებითა და სხვა აფიქსებით ფორმაცვლილი ყალიბები** (ე. წ. გვარის, ქცევის, კონტაქტის, სიტუაციის... ფორმები) უნდა განვიხილოთ ისეთი ერთი რანგის მონაცემებად, რომელთაც აქვთ თავიანთი სტრუქტურული და სემანტიკური მახასიათებლები.

სხვადასხვა ზმნურ ლექსიკურ ერთეულს (აკეთებს, ხატავს, წერს, ჭამს, უყვარს, დგას...) შეიძლება ჰქონდეთ ერთნაირი ყალიბებიც და განსხვავებებიც; ყალიბების წარმოების მიხედვით ზმნური ლექსიკური ერთეულების რამდენიმე ტიპი შეიძლება გამოიყოს;⁸ მაგ.:

ვ-ა-შრ-ობ ⁹ მ-ა-შრ-ობ-ს ¹⁰	ვ-ა-კეთ-ებ	ვ-ა-დულ-ებ/ ვ-ა-მეფ-ებ	ვ-მალ-ავ	ვ-ხატ-ავ ვ-ა-ხატ-ავ
ვ-ი-შრ-ობ	ვ-ი-კეთ-ებ	ვ-ი-დულ-ებ	ვ-ი-მალ-ავ	ვ-ი-ხატ-ავ
ვ-უ-შრ-ობ მ-ი-შრ-ობ-ს	ვ-უ-კეთ-ებ მ-ი-კეთ-ებ-ს	ვ-უ-დულ-ებ მ-ი-დულ-ებ-ს	ვ-უ-მალ-ავ მ-ი-მალ-ავ-ს	ვ-უ-ხატ-ავ მ-ი-ხატ-ავ-ს
ვ-შრ-ებ-ი	ვ-კეთ-დ-ებ-ი	ვ-დულ-ვარ /ვმეფობ ვ-დულ-დ-ებ-ი	ვ-ი-მალ-ებ-ი	ვ-ი-ხატ-ებ-ი
ვ-უ-შრ-ებ-ი მ-ი-შრ-ებ-ა	ვ-უ-კეთ-დ-ებ-ი მ-ი-კეთ-დ-ებ-ა	ვ-უ-დულ-დ-ებ-ი მ-ი-დულ-დ-ებ-ა	ვ-ე-მალ-ებ-ი მ-ე-მალ-ებ-ა	ვ-ე-ხატ-ებ-ი მ-ე-ხატ-ებ-ა
ვ-ა-შრ-ობ+ინ-ებ მ-ა-შრ-ობ+ინ-ებ-ს	ვ-ა-კეთ-ებ+ინ-ებ მ-ა-კეთ-ებ-ინ-ებ-ს	ვ-ა-დულ-ებ+ინ-ებ მ-ა-დულ-ებ+ინ-ებ-ს	ვ-ა-მალ-ვ+ინ-ებ მ-ა-მალ-ვ+ინ-ებ-ს	ვ-ა-ხატ-ვ+ინ-ებ მ-ა-ხატ-ვ+ინ-ებ-ს
* * *	* * *	* * *	* * *	* * *

⁸ყალიბების წარმოების მიხედვით ზმნური ლექსიკური ერთეულების დაჯგუფების მცდელობას ეძღვნება საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტის, სვეტა ადამიას სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი ნაწილი.

⁹ამ თუ სხვა ტიპის ზოგ ზმნას რეალიზებული შეიძლება არ ჰქონდეს ყველა პოტენციური ფორმა; მაგ.: ვახვედრებ მე მას ისარს /მოვახვედრე მე მას ისარი/ (მახვედრებს ის მე მას); ვიხვედრებ, *ვუხვედრებ, *ვხვედრები... მაგრამ: მე ვახვედრებ მას (მე მოვახვედრე მას), *ვიხვედრებ, ვხვედრები... პროგრამირების დროს ფორმანაკლ ზმნურ ლექსიკურ ერთეულს მიეთითება ყალიბების წარმოების შესაძლებლობაცა და რეალიზებული ფორმებიც.

¹⁰აუცილებელია, ქართული ზმნური ფორმაწარმოების აღწერისას თავიდანვე დასახელდეს როგორც ვ-ს რიგზე, ასევე, მ-ს რიგზე ორიენტირებული ფორმები (ვ-ხატავ = მ-ხატავ-ს), რამდენადაც აქტიურ თუ აღმქმელ (ინიციატორ...) პირზე მოქმედების (პროცესის, განცდის...) შედეგის ორიენტირების ფორმალური ასახვა (მარკერებით აღნიშვნა) ქართული ზმნის არსებითი თავისებურებაა.

შდრ.:

მ-ი-ყვარ-ს = მ-ე-ყვარ-ებ-ა ვ-უ-ყვარ-ვარ	ვ-დგ-ა-ვარ	ვ-ჭამ	-----
მ-ი-ყვარ-დ-ებ-ა ვ-უ-ყვარ-დ-ებ-ი	ვ-ა-დგ-ა-ვარ მ-ა-დგ-ას	ვ-ა-ჭმ-ევ	ვ-ა-ცვ-ამ ვ-ა-ცმ-ევ
ვ-ი-ყვარ-ებ მ-ი-ყვარ-ებ-ს	ვ-უ-დგ-ა-ვარ მ-ი-დგ-ა-ს	ვ-ი-ჭამ	ვ-ი-ცვ-ამ *ვ-ი-ცმ-ევ
ვ-ყვარ-ობ მ-ყვარ-ობ-ს		ვ-უ-ჭამ	-----
ვ-ა-ყვარ-ებ მ-ა-ყვარ-ებ-ს		ვ-ა-ჭმ-ევ-ინ-ებ	ვ-ა-ცმ-ევ-ინ-ებ

საინტერესოა მოცემული ზმნის ყალიბთა ურთიერმიმართებანიც; მაგ., ორპირიან ფორმაში თუ ხმოვანი პრეფიქსი არ გვაქვს, მისი ერთპირიანი ვარიანტი იქნება -ი-ნიანი, ორპირიანი სასხვისო კი - ე-ნიანი:

ვხატავ - ვიხატები - ვეხატები;
ვმალავ - ვიმალები - ვემალები...

შდრ.:

ორპირიან ფორმაში თუ ა-ხმოვანი პრეფიქსი გვაქვს, როგორც წესი, ერთპირიანი იქნება -დ-ნიანი ან უნიშნო ფორმა, ორპირიანი სასხვისო კი - უ-ნიანი:

ვაკეთებ - ვაკეთდები - ვუკეთდები; ვათბობ - ვთბები - ვუთბები...

ვფიქრობთ, ქართული ენის მანქანური თარგმანის მოდელირებისას უნდა მოხდეს მორფოლოგიური ყალიბების მიხედვით აგებული ფორმალური პარადიგმისა და სემანტიკური კონების შეპირისპირება; კერძოდ, ერთ რიგში (ქვეპარადიგმაში) გაერთიანებული მსგავსი აგებულების მორფოლოგიური ყალიბებისათვის¹¹ უნდა დადგინდეს კონკრეტული სემანტიკური ველი. ასეთ შემთხვევაში გაიოლდება მანქანისთვის (პროგრამირებისათვის) "გასაგები" ლოგიკური ფორმულების /წესების/ გამოყვანა.

წარმოდგენილ სტატიაში შემოგთავაზებთ „ვხატავ“ ზმნის ყალიბებსა და ამ ყალიბების დახასიათებას ზმნაში ასახული გრამატიკული სუბიექტის ბრუნვის, პირთა რაოდენობის, მოქმედების მიმართულების, კაუზაციისა და ნებელობის მიხედვით:

ზმნურიყალიბი	ბრუნვა	პირთა რაოდ.	მოქმ. მიმართ	კაუზატ.	ნებელ.
Iყალიბი	სახ.	2-პირ.	ნეიტრ	უშუალ.	ნებსი
ვ-ხატ-ავმე მას	მოთხ.	2-ვალ.	.		თი
მ-ხატ-ავ-ს ის მე					
IIყალიბი	სახ.	2-პირ.	ზემო	უშუალ.	ნებსი
ვ-ა-ხატ-ავ	მოთხ.	3-ვალ.	დან		თი
მ-ა-ხატ-ავ-ს ისმემას					
IIIყალიბი	სახ.	2-პირ.	სასხვი	უშუალ.	ნებსი

¹¹შდრ. ზმნის სრული პარადიგმ მოიცავს სამ ქვეპარადიგმას:

- ერთი მწკრივის ფარგლებში პირთა კომბინაციები: მე ვწერ, მე ვწერ, ის მწერ-ს... სულ 28 ფორმა;
- პირველი და მეორე სერიის ფორმები: მე ვწერ, მე დავწერ, მე დავწერე, მე ვწერე (შდრ.: მე დამიწერია სხვაგვარი აგებულების ფორმა და ამ პარადიგმაში ვერ შემოვა)... სულ 10 ფორმა (ბრძანებითის ფორმების გარეშე);

ერთი ლექსიკური ერთეულის სხვადასხვა ყალიბები, რომელთაც განსხვავებული აქვთ პირთა რაოდენობა, მოქმედების მიმართულება და სხვ.: მე ვწერ, მე ვიწერები, მე ვუწერ, მე მიწერია... ვრცლად იხ.: **ტ. ფუტკარაძე**. ზმნურ ფორმათა პარადიგმის მანქანური მოდელირების პრობლემები. ქართველური მეცნიერება. XVI. ქუთაისი, 2012, გვ. 200-212.

ვ-უ-ხატ-ავ მ-ი-ხატ-ავ- სისმემას	მოთხ.	3-ვალ.	სო		თი
IVყალიბი	სახ.	2-პირ.	სათავ	უშუალ.	ნებსი
ვ-ი-ხატ-ავ მე მას	მოთხ.	2-ვალ.	ისო		თი
Vყალიბი	სახ.	1-პირ.	ნეიტრ	უშუალ.	ნებსი
ვ-ი-ხატ-ებ-ი		1-ვალ.	.		თი
VIყალიბი	სახ.	2-პირ.	ნეიტრ	შუალ.	ნებსი
ვ-ა-ხატ-ვ-ინ-ებ მე მას მას მ-ა-ხატ-ვ-ინ-ებ-ს ის მე მას	მოთხ.	3-ვალ.	.		თი
VIIყალიბი	სახ.	2-პირ.	სასხვ.	უშუალ.	ნებსი
ვ-ე-ხატ-ებ-ი მ-ე-ხატ-ებ-ა		2-ვალ.			თი
VIIIყალიბი	სახ.	1-პირ.	ნეიტრ	უშუალ.	თურმ.
და-ვ-ხატულ-ვარ		1-ვალ.	.		შედევ.
IXყალიბი	სახ.	2-პირ.	ნეიტრ	უშუალ.	თურმ.
და-ვ-უ-ხატ-ავ- ვარ მე მას და-ვ-უ-ხატ-ი- ვარ და-მ-ი-ხატ-ი-ა /და/მ-ი-ხატ-ავ- ს ¹²		2-ვალ.	.		შედევ.
Xყალიბი	მიც.	2-პირ.	ნეიტრ	უშუალ.	უნებლ
ვ-ე-ხატ-ვ-ინ-ებ-ი მ-ე-ხატ-ვ-ინ-ებ-ა მ-ე-ხატ-ებ-ა		2-ვალ.	.		იე
XIყალიბი	სახ.	2-პირ.	სასხვი	უშუალ.	თურმ.
და-ვ-ხატ-ვ-ი- ვარმემას		2-ვალ.	სო		შედევ.

დასახელებულ ყალიბებს პირველი დონის (საფეხურის) ფორმებად მივიჩნევთ; შდრ.:

II დონის (საფეხურის) ფორმები - მწკრივის ფორმები;

III დონის (საფეხურის) ფორმები - პირისა და რიხვის ფორმები¹³.

ქართული ზმნების (ლექსიკური ერთეულების) ფორმაწარმოების შესაძლებლობებს თუ გავითვალისწინებთ, ყალიბთა ჩამონათვალი გაცილებით ვრცელია; შდრ.:

ზმნურიყალიბი	ბრუნ.	პირ	მოკმ.	კაუზატ.	ნებელ.
---------------------	--------------	------------	--------------	----------------	---------------

¹²ნაკლებ ლოგიკურია, ე. წ. პირველი თურმეობითის ფორმები მწკრივთა რიგში ჩაეყენოთ (შდრ.: მეორე თურმეობითისა და მესამე კავშირებითის ფორმებს მეორე სერიის ფარგლებში განვიხილავთ).

¹³ ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე. ქართულ ზმნურ ფორმათა განდასების მეთოდოლოგიური საფუძვლებისათვის). ქართველური მეცნიერება. XVII. ქუთაისი, 2013, გვ. 303-308 /ტომი ეძღვნება ლომან-ეფენდი ქარცივაძის დაბადების 200 წლისთავს/; მოხსენებად იყო წაკითხული საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმზე: "ქუთაისური საუბრები", XIII, ქუთაისი, 2013, 17-18 მაისი (სიმპოზიუმის სამუშაო პროგრამა და მასალები).

		თარაო დ.	მიმართ		
Iყალიბი					
1.1. /P/-ვ-R-T&/P/- მ-R-T ¹⁴ -ს	სახ. მოთხ.	2- პირ. 2- ვალ.	ნეიტრ .	უშუალ.	ნებსი თი
1.1.1. ვ-ხატ-ავ&მ- ხატ-ავ-ს					
1.1.2. ვ-R-ე/ი ვ-კბ+ენ/ვ-კბ+ინ-ე					
1.1.3. ვ-კოცნ-ი მ-კოცნ-ი-ს					
1.1.3. შე-ვ-ცქ-ერ-ი					
1.1.4. და-ვ-R-T და+ვ+თამაშ+ებ, და-მ-თამაშ-ებ-ს					
1.2. ვ-ა-R-T&მ-ა-R- T-ს ¹⁵					
1.2.1. ვ-ა-ფუძნ-ებ &მ-ა-ფუძნ-ებ-ს					
1.2.2. ვ-ა-თამად-ებ &მ-ა-თამად-ებ-ს ვ-ა-ტკივ-ებ &მატკივებს (მტკივა) ვ-ა-მღერ-ებ/ მ-ა-მღერ-ებ-ს					
1.2.3. ვ-ა-ღვიძ-ებ& მ-ა-ღვიძ-ებ-ს (მღვიძავს)					
1.2.4. ვ-ა-ქრ-ობ					
IIყალიბი					
2.1. ვ-ა-ხატ-ავ&მ-ა- ხატ-ავ-ს	სახ. მოთხ.	2- პირ. 3- ვალ.	ნეიტრ .	უშუალ.	ნებსი თი
2.2. ვ-ა-თოვ მ-ა-თოვ-ს					
IIIყალიბი	სახ. მოთხ.	2- პირ. 3- ვალ.	სასხვი ს. უკუქც ევითი	უშუალ.	ნებსი თი
ვ-უ-კეთ-ებ მ-ი-კეთ-ებ- სისმემას					
IVყალიბი	სახ.	2- პირ. 2- ვალ.	ნეიტრ .	უშუალ.	უნებ ლიე
ვ-ე-მწარ-ებ-ი& მ-ე-მწარ-ებ-ა მ-ე-წერ-ებ-ა&					

¹⁴ თემის ნიშანი, რომელიც ნულოვანი ალომორფითაც შეიძლება იყოს წარმოდგენილი.

¹⁵ დამოუკიდებელი ყალიბის მაწარმოებლად არ მივიჩნევთ უფუნქციო ხმოვან პრეფიქსს - იმ ხმოვანპრეფიქსს, რომლის პოენიერებას არ უკავშირდება ზმნაში ადგილიანობის /ვალენტობის/ მატება-კლება, ან მოქმედების მიმართულება.

ვ-წერ-ებ-ი ვ-ყვარ-ებ-ი& მ-ეყვარ-ებ-ა					
Vყალიბი					
ვ-ი-კეთ-ებ	სახ. მოთხ.	2- პირ. 2- ვალ.	უკუქც ევითი	უშუალ.	ნებსი თი
ვ-ი-ყვარ-ებ მ-ი-ყვარ-ებ-სისმე					
ვ-ი-ცნ-ობ მ-ი-ცნ-ობ-ს					
VIყალიბი					
ვ-ქრ-ებ-ი	სახ.	1- პირ. 1- ვალ.	ნეიტრ .	უშუალ.	ნებსი თი
ვ-ი-მალ-ებ-ი					
ვ-ფუძნ-დ-ებ-ი					
VIIყალიბი	სახ.	1- პირ. 2- ვალ.	ნეიტრ .	უშუალ.	ნებსი თი
ვ-ცეკვ-ავ ვ-თამაშ-ობ					
VIIIყალიბი	სახ.	2- პირ. 2- ვალ.	ნეიტრ .	უშუალ.	ნებსი თი
ვ-ე-მალ-ებ-ი& მ-ე-მალ-ებ-ა					
IXყალიბი					
ვ-ა-კეთ-ებ+ინ-ებ მ-ა-კეთ-ებ+ინ-ებ-ს ვ-ა-ყვარ- ებმემასსიცოცხლეს ვ-ა-ყვარ-ებ+ინ-ებ	სახ. მოთხ.	2- პირ. 3- ვალ.	ნეიტრ .	შუალ.	ნებსი თი
Xყალიბი					
ვ-უ-კეთ-დ-ებ-ი მ-ი-კეთ-დ-ებ-ა	სახ.	2- პირ. 2- ვალ.	სასხვი ს. უკუქც ევითი	უშუალ.	ნებსი თი
XIყალიბი	სახ.	1- პირ. 1- ვალ.	ნეიტრ .	უშუალ.	თურმ. შედგ.
/გა/ვ-კეთებულ- ვარ ვ-ხატ-ი-ვარ					
XIIყალიბი					
12.1. /გა/-ვ-უ-კეთ- ებ-ი-ვარ /გა/-მ-ი-კეთ-ებ-ი-ა შევყვარებივარ შემყვარებია 12.2. შევყვარებივარ შემყვარებია	სახ.	2- პირ. 2- ვალ.	ნეიტრ .	უშუალ.	თურმ. შედგ.
XIIIყალიბი	სახ.	2- პირ. 2- ვალ.	ნეიტრ .	შუალ.	უნებ ლიე
ვ-ე-კეთ-ებ+ინ-ებ-ი მ-ე-კეთ-ებ+ინ-ებ-ა					

XIV ყალიბი					
მ-ე-მღერ-ებ-ა	მიც.	1-პირ. 1-ვალ.	ნეიტრ.	უშუალ.	უნებლიე
XV ყალიბი	სახ.	2-პირ. 4-ვალ.	ნეიტრ.	უშუალ.	ნებისთი
მ-ი-ჭმ-ევშენმესაჭმელსბავშვს					
XVI ყალიბი	ბრუნვ აუცვ ლელი ¹⁶	2-პირ. 2-ვალ.	უკუქც ევითი	უშუალ.	ნებისთი
ვ-უ-ყვარ-ვარ& მ-ი-ყვარ-ს					
XVII ყალიბი	ბრუნვ აუცვ ლელი	2-პირ. 2-ვალ.	უკუქც ევითი	უშუალ.	ნებისთი
მ-ა-ქვ-ს					
XVIII ყალიბი	ბრუნვ აუცვ ლელი	2-პირ. 2-ვალ.	უკუქც ევითი	უშუალ.	ნებისთი
მყავს / ვყავარ					
XIX ყალიბი	მოთხ რ.	1-პირ. 2-ვალ.	უკუქც ევითი	უშუალ.	ნებისთი
ვ-ი-ც-ი					
XX ყალიბი					

¹⁶ გ-ს ყალიბში სუბიექტი სახელობითშია, მ-ს ყალიბშიკი - მიცემითში; სუბიექტი ორივე შემთხვევაში ბრუნვა უცვლელია.

ასაკობრივ სხვაობათა გადმოცემის ლინგვისტური კრიტერიუმები ქართულში

„ადამიანთა მეხსიერება მათ სიცოცხლეზე უმოკლესი არს... მით უფრო თაობათა მეხსიერება... ხოლო ყოველი შთამომავალი და მისხის-მისხი, ვალდებულია იცოდეს გარდასულ ჟამთა და ამბავთა არსი და ქორთონიკონი.. ღრო ჩუმად მიდის, და ხმაურობს მხოლოდ ცხოვრება!“
ლეჟან გოთუა

ადამიანის ასაკობრივ თავისებურებებს მრავალი დარგი სწავლობს. მათ შორისაა ენათმეცნიერებაც, რომელიც ასაკობრივ მარკერებს შიდადისციპლინარულ დონეზე განიხილავს ლექსიკოლოგიაში, სემასიოლოგიაში, სტილისტიკაში, სოციოლინგვისტიკასა და ლინგვოკულტუროლოგიაში.

მოლაპარაკეთა ასაკობრივი დიფერენციაცია სოციოლინგვისტიკაში ტერმინული შესიტყვებაა, რომელიც ენათა გამძლეობისა და ვიტალურობის განსასაზღვრად გამოიყენება; ამ მხრივ დემოგრაფიული მაჩვენებელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დიაგნოსტიკური პარამეტრია ენის სიცოცხლისუნარიანობის შესაფასებლად; უპირველეს ყოვლისა, მას მიმართავენ მცირერიცხოვან ხალხთა ენების მდგრადობის გასაზომად (და იმ ენებისა, რომელთაც აქვთ არასრული საზოგადოებრივი ფუნქციონირება): თუ ენის მტარებელნი განაწილებულნი არიან ყველა ასაკობრივ ჯგუფში, ეს ნიშნავს, რომ ამ იდიომს შეიძლება შევუდგინოთ სასიკეთო პროგნოზი, ყოველ შემთხვევაში, უახლოს მომავალში. ხოლო თუკი ბავშვები და მოზარდები არ ფლობენ თავიანთ ეთნიკურ ენას, ეს მიუთითებს, რომ ამ ენის ცხოველმყოფელობა დაბალი, ხოლო პროგნოზი – არაკეთილსაიმედოა.¹ ამ თვალსაზრისით, ქართული ენისა და დიალექტების ვიტალურობას მაღალი მაჩვენებელი აქვს.²

სოციოლინგვისტიკას აქვს კიდევ ერთი საინტერესო ტერმინი, ესაა – „მეტყველების ასაკობრივი გრადუირება“, რაც ნიშნავს მეტყველების თავისებურებებს, რომელიც კორელაციაშია ინდივიდის ასაკთან: მოლაპარაკეები, რაც უფრო მეტად შედიან ასაკში, იცვლიან თავიანთ სამეტყველო მახასიათებლებს, პრიორიტეტებს, ჩვევებს, და ეს ცვლილებები მეორდება ყოველ თაობაში. მეტყველების ასაკობრივი გრადუირება განპირობებულია ახალგაზრდა თაობის ორიენტაციით ენის პრესტიჟულ ფორმებზე, თუმცა, როდესაც მოლაპარაკე აღწევს საშუალო ან ხანდაზმულ ასაკს, იგი გადადის ენის ნაკლებ პრესტიჟულ ვარიანტებზე.³

ვფიქრობთ, წინამდებარე სტატიის კონტექსტში მნიშვნელოვანი ამ ორი ტერმინის („მოლაპარაკეთა ასაკობრივი დიფერენციაცია“ და „მეტყველების

¹ Словарь социолингвистических терминов, москва, 2006, Российская академия наук, Институт языкознания, Российская академия лингвистических наук, Институт иностранных языков. 39.

² თუმცა აქ უნდა შევჩერდეთ ერთ საინტერესო მომენტზე: განათლება, რომელსაც სტანდარტიზებული ენის საყოველთაო სწავლება და დანერგვა მოეთხოვება, ბუნებრივი მტერი გამოდის დიალექტური მეტყველებებისა. თანამედროვე ევროპულ ენათა დიალექტური უფერულობა მატერიალური კეთილდღეობის წყალობით უზრუნველყოფილ საყოველთაო განათლების შედეგს წარმოადგენს, ანუ იქ, სადაც დაბალია განათლება, მაღალია ენა-კილოური მრავალფეროვნება და ამ მრავალფეროვნების სიცოცხლისუნარიანობა.

³ Словарь социолингвистических терминов, москва, 2006, Российская академия наук, Институт языкознания, Российская академия лингвистических наук, Институт иностранных языков. 39.

ასაკობრივი გრადუირება“) დეფინიციაზე შეთანხმების შემდგომ უნდა გაგვიადვილდეს ასაკის ამსახველი ლინგვისტური საშუალებების აღწერა-გაანალიზება.

ადამიანის დახასიათების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრი ასაკია. ასაკი, ისევე, როგორც ადამიანის ნებისმიერი სხვა მახასიათებელი, ენობრივად არის მარკირებული. ამ საკითხის კვლევა სხვადასხვა კუთხითაა შესაძლებელი, მაგალითად: რამდენად არის ასაკის განმსაზღვრელი ლექსიკა-ფრაზეოლოგია საინტერესო ეთნიკური ენების თავისებურებათა გამოვლენის თვალსაზრისით, და აქვს თუ არა ქართულს გამოკვეთილი ინდივიდუალურობა ამ მხრივ; რა მიმართებაშია ასაკის ლექსიკური მარკირება და სამეტყველო ეტიკეტი; რა „საზომ“ კრიტერიუმებს მიმართავს ენა ასაკის მიხედვით ადამიანთა დახასიათებისას და ა. შ.

ასაკისა და ენის მიმართების საკითხი შეიძლება გავიგოთ ორგვარად: როგორც სხვადასხვა ასაკის ადამიანთა მეტყველებითი სხვაობა, ან როგორც სხვადასხვა ასაკის ადამიანთა ლექსიკური აღნიშვნა ენაში. ცხადია, ორივე ეს საკითხი მნიშვნელოვანი და საინტერესოა, თუმცა მათი კვლევისას განსხვავებული სამუშაოებია ჩასატარებელი.

ამა თუ იმ მოვლენის ან საგანთა ერთობლიობის საკლასიფიკაციოდ აუცილებელია შედარების გამოყენება; ერთი რომელიმე თვისების (ან ნიშნის) მიხედვით საგანთა ერთობლიობის დაშლა-კლასიფიკაცია აუცილებლად მოითხოვს რომელიღაც ათვლის წერტილის არჩევას და მის მიმართ სხვა დანარჩენების სიმორე-სიახლოვის დადგენას შედარების გზით. ქართული ენის აფიქსალური სიმდიდრე და დიდი სემანტიკური პოტენციალი შესაძლებლობას იძლევა დეტალიზებულად გამოიხატოს ძირითად მახასიათებელთა შორის განფენილი ლექსიკის შიდა სხვაობები (მაგ., ხუცი (ძვ.ქართ.), მოხუცი, მოხუცებული, უხუცესი, მსცოვანი...): ვინმე მოხუცი შეიძლება იყოს ვიღაცასთან შედარებით უფრო მოხუცი, მაგრამ მასთან შედარებით სხვაც შეიძლება მოხუცი აღმოჩნდეს...⁴

ლექსიკა-ფრაზეოლოგიური საშუალებები ასაკობრივი გრადაციისათვის შემდეგ ჯგუფებად შეიძლება დაიყოს: 1. გარეგნული დახასიათება; 2. საკუთრივ ასაკობრივი ნიშნით დახასიათება; 3. სოციალური დახასიათება; 4. თვისობრივი დახასიათება; 5. მეტაფორული დახასიათება; 6. ქცევის დახასიათება და ა.შ.

□ **გარეგნული მახასიათებლები** შეიძლება შეეხებოდეს ადამიანის თმის ფერს, ფიზიკურ სიმრთელესა და სამაგრეს, სახის ნაკეთების ასაკობრივ თავისებურებებს, სხეულის სხვადასხვა ნაწილის ასაკით ნიშანდებულ თავისებურებას, სიდიდეს („სიბერეს დაეპატარავენინა ისედაც ტანმორჩილი მოხუცი.“),⁵ სიგამხდრეს, კანს (კანი დაჩამიწებული ჰქონდა), ხმასა და საუბრის სტილს, მოძრაობის თავისებურებებს (ნაბიჯს (წაფრატუნდა), მხრების მოძრაობას („მოკუნტული ბებერი“), ხელებს („[ქექთიმემ]დიდხანს აფათურა ხელები უბეში, ბოლოს ძველთაძველი მონეტა ამოიღო ქართული“), თავის მოძრაობას, თვალებს (მხედველობასა და გამოხედვას და ა.შ. ასეთი მახასიათებლებია:

ა) **თმა და თმის ფერი:** თმაშევერცხლილი, შეჭადარავებული, თმათეთრი, თეთრწვერა და თეთრთმიანი, თმადათოვლილი და სხვ. („მოულოდნელად შეუქვალდა საფეთქლები კოლონკელიძეს, წვერი გაუჭადარავდა, უცნაურად მოტყდა და დაშინდა.“; „[ფარსმანი] წელში მოდრეკილი, თითქმის ქოსა მოხუცი ისე მოდიოდა...“)

ბ) **სიმაგრე:** მოფამფალებული, ჭარმაგი⁶ (ჭარმაგი-ი (ჭარმაგისა) [სპარ. ჩარმაგ „თეთრი“, „თეთრი ცხენი“] 1. ხანში შესული ვაჟკაცური იერის მქონე (მამაკაცი). მას თან მოჰყვა ახოვანი, ჭარმაგი მოხუცი, ნაცვალი სპასალარისა (შ. დად.). 2. თრთვილა

⁴ თვით ენის მიმართაც ვამბობთ: ძველი ენა, ახალი ენა;

⁵ აქ და სხვაგან ილუსტრაციები მოხმობილია გიორგი მერხულეს, რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას, კონსტანტინე გამსახურდიას, ლევან გოთუასა და სხვა თვალსაჩინო ავტორთა ნაწარმოებებიდან.

⁶ საინტერესოა ახალგაზრდული ჯგუფების ონლაინგამოკითხვის ერთი მაგალითი ქართულში: „კითხვაზე: ჭარმაგი რამდენი წლის ადამიანს შეიძლება ეწოდოს? პასუხები ასეთია: ა) 70-ს ზემოთ, ბ) 60-იდან, გ) „მგონი, 130-ს ზემოთ ვინც არის“, დ) 55-იდან, 50-იდან, ე) 50-60 წლისა, ე) 55-70-იდან...“

(თეთრზე შავად დაწინწკლული) ცხენი. ორნი – ჭარმაგნი შავ-თეთრნი – რბიან და არ დაშვრებიან („შაჰნამე“).

გ) **სახე-იერი:** დანაოჭებული, დანამიხებული, დამჭკნარი, კბილებჩაცვენილი, ჩამქრალი... („ეს იყო მხოლოდ, ადამიანის სახე არ შერჩენოდა მოხუცს, განუზომელ მწუსარებას დაელია მისი დაჟღაჟა, ჭაბუკური სახე.“);

დ) **სიდიდე, ზომა** („სიბერეს დაეპატარავებინა ისედაც ტანმორჩილი მოხუცი.“);

ე) **სიგამხდრე** („ცამეტი წლის კატაი გაოცებული შესცქეროდა ატირებულ დედას და ვერ გაეგო, თუ რად აწუხებდა მას ამ ჩონჩხადქცეული მოხუცის სიკვდილი“); იხ. ვაჟას „ხმელი წიფელი“ („განა ყველა, რაც ხმელია, კაცთაგან საწუნარია“)

ვ) **სხეულის ნაწილები:** მუხლმაგარი, ბრგე, მხრებში მოხრილი, მოკაკვული, მოკუზული, ხელებდაკოჭრილი, მოკუნტული... („არსაკიძე გაოცდა, როცა უკანა კარიდან შემოვიდა ფარსმან სპარსი დარბაზში. წელში მოდრეკილი, ...მოდიოდა, თითქოს ეპარებაო რაიმეს, გრძელი ყავარჯენი ეჭირა ხელში, ვერცხლით მოჭედის სახელურითა.“; „ბოლოს ამ ლაშქარს უკან მიჰყვებოდნენ ყრმანი ჭაბუკთაგანნი, უწვერულნი, ფერგამერთაღნი, კისერგრძელნი და პირმშვენიერნი, წარბმოსატულნი, მკერდგანიერნი და ასოვანნი. მათაც დაამშვენებდა უთუოდ ჯიშთან, მაღალ ცხენებზე ჯდომა და გამართული ჰოროლებით იერიშების მიტანა.“

ზ) ხმა და საუბარი: გაბზარული ხმა, მოჩიფიფიფე, ბებრული ხმა, ყმაწვილური მუღერი ხმა, წკრიალა ხმა, მოგუდული ხმა... (დაიბუბუნა, წრიპინა ხმით უთხრა...)

თ) თავის მოძრაობა, თვალები: „თვალთა მისთა მრუმედ მხედველობად.“

□ **ასაკობრივი დახასიათება:** ღრმად მოხუცი, ხნიერი, შეღერებული, უფროსი, უმცროსი, ჯეელი, ყრმა, ჩვილი და სხვ. მაგ: „ჭიაბერის ცხედრის წინ იჯდა უსინათლო მამამძუძე და გოდებდა, იგონებდა ჭიაბერის ბავშვობას, სიყრმეს და სინაუქეს.“; “ხოლო ნეტარი ესე კაცი ღმრთისად, მამად გრიგოლ, ნებისა ქრისტესისა სამკვიდრებელი, სასწაულთა მოქმედი დიდებული, ფრიად გარდარეულად დაბერდა, რამეთუ ას და ორისა წლისა ჟამთა მიიწია. ხოლო ფერი პირისა მისისად არა იცვალა, არცა შეემთხვია თვალთა მისთა მრუმედ მხედველობად. და ხორცითა ძლიერ იყო და რადთურთ უძღურებად სიკვდილადმდე არა იპოვა მის თანა. რამეთუ განძლიერებულ იყო იგი ძალითა ქრისტედისთა”(მერჩულე); „მას ჟამსა ნეტარი იგი ბერი ხვედიოს მოხუცებული იყო ფრიად და მიახლებულ ხორცთა განსლვად.“ (მერჩულე); ასაკის ათვლა ჩვილობიდანვე იწყება და ენაც ყველა ეტაპს თავისებურად აფიქსირებს: ახლადდაბადებული (ჩვილი, ძუძუთა, თვალაუხელებელი, ფეხაუდგმელი...“ჩჩვლი - ყრმა მცირე: ჩჩვლად ითქმის ლბილი სამოსელი და სხუანიც ჩჩვლები რამე“ (ს.ორბელიანი); ძალიან პატარა (ბაღლი (საბასთან: ბაღლი - მჭლე საკლავი), ბავშვი, ბაღანა (საბასთან: ბაღანა - მცირე ტყვე); ახალგაზრდა (ამ ასაკობრივი ეტაპიდან უკვე დაწყებულია გენდერული მარკირებაც): «ყმა: ჭაბუკი ყმადაც ითქმის (მოყმე, ყმა შდრ. ყრმა, მარტვილი); ყმაწვილი ნ. გააყმაწვილა»); ბიჭი/გოგო, ქალა, ქალაშავა, ვაჟი...

სოციალური მახასიათებლები: დედაბერი, უხუცესი, სიტყვა ეთქმის, საფიხნოს თავში დაჯდების...⁷

□ **მეტაფორული:** ბერმუხა, ხმელი წიფელივით, სიტყვაგზიანი, ბებერი ხარის რქანიცა ხნავენო, ბებერი ღომი, ბებერი მგელი, ... (შდრ. ვეფხისტყაოსანი: “მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია/ დღეს არა, ხვალე მოვკვდები, სოფელი ასრე მქმნელია/ რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!“ ან: „ვარდი თუ დაჭნეს...“ -დაბერების მნიშვნელობით) და სხვ.

□ **ცხოვრებისადმი სპეციფიკური დამოკიდებულება:** «ცუდი ყოფილა სიბერე, შეილო, სიცოცხლე აღარა ღირს, როცა სახაბაზოსა და კოშკს ურთიერთისაგან

⁷ „...მიუახლოვდნენ საყდარს, რომლის წინაც იდგა ვიღაც წარმოსადგეი მოხუცი, გათეთრებული როგორც თოვლი, ... გათეთრებული, ლაზათიანის შეხედულებით, მბრძანებელის მიხვრა-მოხვრით და მედიდურის, მტკიცე სახის გამომეტყველებით ელოდა ხევის ბერი გონა, მმართველი მამა თავის ხალხისა.“ (ალ. ყაზბეგი)

ველარ გაარჩევ». ამ მხრივ საინტერესოა შედარებით ვრცელი ამონარიდი „დიდოსტატის მარჯვენადან“: «აღბათ მოგეხსენება, ჭაბუკო, როცა კაცს სიბერე მოუწევს, ბაღს დაემსგავსება იგი. აკი ასე სწვევიათ ბაღებსაც. ისეთ რამესაც იკითხავენ ხოლმე, რაც კარგად იციან თავთაც. ბაღები და მოხუცები იმითაც ჰგვანან ერთმანეთს, რომ მათ თანაბრად აქმლებათ ხოლმე საღერდელი ლაპარაკისა. მხოლოდ ესაა: ბაღს არ ეშინიან სისულელის თქმისა, იგი აგრე ვარაუდობს აღბათ ქვეშეცნულად: გავიზრდები, ჭკვიანურსაც ვიტყვიო. მოხუცებულიც აცუნდრუკება ხშირად, რადგან გამოცდილებიდანაც კარგად იცის, მხოლოდ ბრძენკაცებს ემტერებოდნენ მეფეები, და არსად არც ერთ მეფეს, თუ გინდ სულელსაც, შლეგები არ ჩამოუხრჩვია ჯერ.

□ **შედარებითი მახასიათებლები:** სხვა ასაკის ადამიანთან შედარებით დახასიათებული საქციელი: მოხუცის აცანცარება, აცუნდრუკება, ჭაბუკის მკვირცხლობა, ბავშვის დადინჯება, („მამამხემ დაიხოქა ბაღლივით“);

□ **ასაკი, როგორც თვისობრივი მახასიათებელი:** მოხუცივით ბრძენი, დარბაისელი კაცი, მანდილოსანი ქალი, დიდის სიდინჯე, ადრე დაბრძენებული, ჭაბუკურად მკვირცხლი, ...

□ **ასაკზე მიმანიშნებელი გარეგნობა და შესაბამისი ასაკისათვის სახასიათო მახასიათებელი ან სხვა მენტალური თავისებურებები** („მიიჩქაროდნენ დაღვრემილი, წელში გადრეკილი მოხუცები, საღამოს ბორიო არხევედა თეთრ წვერებსა და შავ კალთებს ჩოხისას. ... მიღაჯებდნენ მტკიცედ, შავწვერიანი, მხარგრძელი ვაჟკაცები. ტანზე თორნი, წელზე ხმალი და ფეხზე დეზი უფრო დაამშვენებდა მათ, ვიდრე ეს გაცრეცილი ბერული ჩოხანი. გოდოლების შესამუსვრელად გამოდგებოდნენ ეს მუხლმაგარი და მხარგრძელი გოლიათები. ღვიოდნენ დაჟღაჟა ლოყები, ბიბინებდნენ წამახული უღვაშები და ჭავლივით მღელვარე წვერები. ... ქოსა და დაღრეკილი მამაკაცებიც ერიენ მათ შორის, თავწერილა, კისერმოკლე, წვივგადრეკილი ჩიაკაცები, დიაცური წრიპინა ხმა რომ გადაჰყვებათ ხოლმე ბაღლობიდან შუაკაცობაში, ჰერმესსა და აფროდიტეს შორის მარად მერყევთ.. .. ბუნებით ცვედანნი, სახითა ქოსანი, სიყრმეშივე დაბერებულნი, ხოლო სიბერეში ყრმასავით ცუნდრუკა... სულ პაწია ბიჭუნებიც ერიენ მათ შორის, ხშირკულულიანნი, თმახუჭუჭა და ლელივით წვრილნი, ცვილისფერი იერი გადაჰკრავდა მოყვითალო სახეებს.“). ცნობილი ციტატა გრ. ხანძთელის ცხოვრებიდან: „- მრავლით ჟამითგან არა მეხილვა მამად გრიგოლ, არამედ მასმიოდა, ვითარმედ ბრძენთაგან შეუცავი სიბრძნე მისი შეცვალებულ არს სიბერითაო. და პირველ სმენილი ვიხილე თვალითა.“ „აქა მოსლვითა გაყმდების, კაციმცა იყოს ბერები...“

□ **სააღერსო-კინობითი ასაკობრივი მახასიათებლები:** პაწია, პაწაწინა(//პაწაწუნა), ციცქნა, ყრუნხულა, ბებრუცუნა...⁸

როგორც ვხედავთ, ლიტერატურული მასალის თუნდაც ზოგადი დათვალიერებით ასაკის მიმართ დიდად მგრძობიარე ლექსიკა-ფრაზეოლოგიამ მოიყარა თავი; აი, თუნდაც ერთი აბზაციდან რამდენი მაგალითის ამოკრება ხერხდება: წელში გადრეკილი მოხუცები; შავწვერიანი, მხარგრძელი ვაჟკაცები; მუხლმაგარი და მხარგრძელი გოლიათები; ღვიოდნენ დაჟღაჟა ლოყები, ბიბინებდნენ წამახული უღვაშები და ჭავლივით მღელვარე წვერები; სიყრმეშივე დაბერებულნი; სიბერეში ყრმასავით ცუნდრუკა; ყრმანი ჭაბუკთაგანნი; პაწია ბიჭუნები და სხვ.(კ.გამსახურდია).

ასაკის ენობრივი მარკირების კრიტერიუმთა ამ სხვადასხვაობას ითვალისწინებს საბა თავის ლექსიკონში:

„ასაკი - ჟამთა საზომი კაცთა

⁸ საინტერესოა ჩანს ამ მიმართულებით იუმორისტულ ტექსტებზე დაკვირვებაც, რამდენადაც ასაკის ირონიული ასახვა საკმაოდ მრავალფეროვან მასალას გვთავაზობს დიალექტებშიც და მხატვრულ ლიტერატურაშიც.

ხანი - ჟამთ გამოვლანი. ხანი, ჟამი და მისთანანი განიყოფებიან: ხანსა არა აქუს საზომი, რამეთუ ითქმის ხანი მოკლე ჟამისა და ითქმის ხანი ძეს სოფლის დასასრულამდე, ხოლო ჟამი არს დღისა და ღამისა ათორმეტ-ათორმეტ ნაწილად განმყოფელი. ჟამად ითქმის მეფეთა უფლებანი, რამეთუ ვიტყვით: „ჟამსა მის მეფისასა კეთილი იყო,“ და სხვათა ჟამთა დავიწუნებთ და ეგევითარნი“; ხოლო დრო არა არს ჟამებრ, არამედ მიჰგავს რასმე, რამეთუ ვიტყვით: „დრო მაქუს“ და ეგევითარნი.(ნ. განხანება, დაახანე, მიხანოდთა, უხანო, ხანდაზმული, ხანოდ, ხნიანი, ხნოანი)

ხანოდ - ხანი ჟამთანი: მის ხანოთ, მის ხანით.

ხანდაზმული- ხანგამოვლილი

ხნიანი - ხანგამოვლილი

ხნოანი - იგივე ხანმრავლიანი

უხანო - არ-ხანგრძელი⁹

დრო - ესე არს ჟამთა კეთილ-ავობისა სახელი, ვინადგან ვიტყვით: „იმა მეფისა ჟამსა კეთილი დრო მქონდა,

რატომ უნდა გაჩენილიყო ენაში ადამიანთა ასაკის ესოდენ დეტალიზებული აღნიშვნის საჭიროება? უეჭველია, ახსნა სოციალურ-კულტურულ და ფსიქოლოგიურ ყალიბებში უნდა ვეძებოთ. რადგან ყოველ ენობრივ (ლექსიკურ, გრამატიკულ, სტილისტიკურ) აღნიშვნას თავისი გამოყენების სოციალური და კულტურული გარემო მიესადაგება, ყველა სიტუაციას ქცევის ნორმა და საკუთარი სამეტყველო ეტიკეტი აქვს. კავკასია ცნობილია თავისი უხუცესთა საბჭოებით (საფიხვნოებით, ხევისბერებით და სხვ.), რა ასაკის ხალხი შეიძლება ყოფილიყო ამგვარი საფიხვნოს წევრი? ამგვარი ადამიანების შერჩევას მთავარ კრიტერიუმად სიბრძნე და გამოცდილება მიიჩნეოდა, ეს ორი სათნოება კი, ერთდროულად, მხოლოდ ასაკიან, დროულ ადამიანებს ახასიათებდა.

ასაკობრივი გრადაცია დიდადაა დამოკიდებული ეთნოსის, ქვეყნის სოციალურ-კულტურული განვითარების დროით მონაკვეთზე, იმაზე, თუ როგორი იყო სიცოცხლის ხანგრძლივობა მაშინ, როდესაც ენამ ესა თუ ის „ასაკობრივი მარკერი“ გამოიყენა. მაგალითად: „გიორგი ოც-და-ერთის წლის ვაჟიკაცი იყო და ცოლის შერთვა ფიქრადაც არ მოსდიოდა.“(ილია), დღეს 21 წლის ახალგაზრდაზე „ბიჭს „იტყვიან (ილიასთან კი ბიჭი ბავშვია: „ერთხელ - ჯერ გიორგი ათი-თორმეტი წლისა ძლივ იქნებოდა — ერთს მოზრდილს ბიჭს თავისზედ პატარა ბიჭისათვის ქამრის დიღები დაეტყუნა.“); ქართულში ასაკობრივ „კიბეზე“ ადგილი ადამიანის სოციალური სტატუსისა და ცხოვრებისეული სიბრძნის შესაბამისად განისაზღვრება, და არა ოდენ წლების მიხედვით; ამ მხრივ კარგი მაგალითია ერთი სცენა „ხევისბერ გოჩაში“, სადაც ასაკის სწორედ სოციალური (და არა წლების მიხედვით) გაგებაა მოცემული: „ხალხი გაიპო და მათ შორის გამოჩნდა ვიღაცა მოხუცებული დიაცი. ყველანი ზეზე წამოდგნენ და მიესალმნენ მოხუცს, - გუგუაი ბაღლია, - დაუმატა მოხუცმა, - და სოფელი კი ჭრელი... კაცის ენას რაი არ შეუძლიან, დაარიგოდე ეს ბაღლი... - რაისთვი, რაისთვი ამბობ მაგას ხაზუაისი! - გააწყვეტინა ონისემ: - გუგუაი, მართალია, ბაღლია, მაგრამ არაა ლოთი და ავარდნილი კაცი... გუგუაი ვაჟკაცია და, ღთის მადლმა, ჯალაბობაშიაც თავს არ შეირცხვენს.“ (ალ.ყაზბეგი).

ქართული კულტურული ნორმისათვის ნაკლებადაა დამახასიათებელი სოციალურად მაღისკრიმინირებული საკომუნიკაციო სიტუაცია, აქ წამყვანი ასაკობრივი იერარქიაა, რომელიც სხვადასხვა თაობას შორის საკომუნიკაციო ეტიკეტს განსაზღვრავს და აწესებს. ისევ ილიას „ოთარაანთ ქვრივი“ რომ მოვიხმოთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ „ხილბატეხილობის“ მაგალითად გამოცხადებულ ამ

⁹ უნდა ვივარაუდოთ, რომ საზოგადოებამ (კონკრეტულ დროსა და კონკრეტულ ადგილას) იცის კიდევ ის საზღვრები, რომლიდან რომლამდეც არის გარკვეული ასაკი: მაგ. „ხან გამოვლილი“ (რა მანძილი გამოიარა?), „ხანდაზმული,“ (რომელ ასაკში დაესვა ეს ხანი?) და ა. შ.

მოთხრობაშიც კი ასაკობრივი უპირატესობა (ან სხვა პიროვნული ღირსება) ღრმად გამჯდარ სოციალურ ბარიერებსაც ერევა, მაგალითად: „ოთარაანთ ქვრივი შეიჭმუჭნა. როგორღაც ეხამუშა, ეუცხოვა ამისთანა ტოლ-ამხანაგური ქცევა ახალგაზრდა ქალისაგან: მე ვინა და ეს გუშინდელი ძუძუთა ვინაო, იფიქრა...“ ამიტომაცაა, რომ ქართულ ფოლკლორსა თუ მხატვრულ ლიტერატურაში ერთნაირი მოწიწებით მიმართავენ უფროსი ასაკის ადამიანებს მეფეები და უფლისწულები, საერთო თუ სასულიერო ლიდერები... ასე მოდის უხსოვარი დროიდან: „დედი!“ „დედაშვილობას!“ „ძიაკაცო!“ „ბერიკაცო!“¹⁰

ჩვენ ხშირად ვამბობთ „დიდა“, „პატარა“, „ჯერ პატარა“, „ჯერ ადრე“, „ადრე შეეფერება“, „ადრე დაბრძენდა“, „ქალს ასაკს არ ეკითხებიან“ და სხვ. ხომ არ მიუთითებს ეს, რომ ჩვენ დაწესებული გვაქვს გარკვეული ნორმები, რომელსაც უნდა უპასუხებდეს ადამიანი, თუ არადა, – ის ან „ადრეულ“ სივრცეში მოხვდება, ან „გვიანში“...

ჩვენში ასაკთან დაკავშირებული არაერთი წესი და ტრადიციაა გავრცელებული: მაგ., „წყალი პატარისაა“, „პატივი ეცით ჩემს ჭადარას“, მოხუცს ფეხზე უნდა წამოუდგეთ, უფროს ადამიანს პირველები უნდა მივესალმეთ, მაგრამ ხელი მან უნდა გამოგვიწოდოს; უფროსებს აზრის გამოთქმა არ უნდა დავასწროთ და ა.შ. ასაკობრივი იერარქიის საფუძველზე ჩამოყალიბდა შენ/თქვენ მიმართვის ის ეტიკეტი, რომელიც დღესაც მოქმედებს ქართულში.¹¹

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ასაკი, ისევე როგორც ადამიანის ნებისმიერი სხვა მახასიათებელი, არა მხოლოდ ლექსიკურად, არამედ გრამატიკულადაც შეიძლება იყოს მარკირებული (გასაგებია, რომ ქართულს, როგორც აგლუტინაციურ ენას, ამ მხრივ განსაკუთრებული შესაძლებლობები აქვს). ამ თვალსაზრისით საინტერესოა შემდეგი ჯგუფები:

ა) **ხარისხის ფორმები**, რომლებიც გამოიყენება ასაკობრივი გრადუირებისათვის: უხნესი, უმცროსი, უპატარავესი, მოახალგაზრდაო, მომცრო, მობავშვო (აქვეა ე.წ. აღწერითი წარმოება: უფრო დიდი, ყველაზე პატარა და ა. შ.) და სხვ.

ბ) **ზმნისწინთა მონაცვლეობა ასაკობრივი გრადაციის მიზნით**: წა-იბავშვებს, მო-იპატარავა, მო-უხუცდა, და-მწიფდა, შე-მწიფდა, შე-ჭადარავდა/გა-ჭადარავდა; და-ბერდა/ გადა-ბერდა, გა-ბავშვდა/ა-ბავშვდა, წამო-ეზარდა და სხვ.

დ) **ზედსართაული მსაზღვრელების გამოყენება**: დიდი, პატარა, მცირე, პაწია, ციცქნა, ნამცეცა, ცეროდენა, ერთი ბეწო, ღრმა(დ) მოხუცი და სხვ.

ე) **სახელზმნური ფორმების გამოყენება**: მოხუცებული, დაჩაჩანაკებული, გაბავშვებული, აცუნდრუკებული, ნაზარდი, მოზარდი, მზარდი ... სიბერე, სიყმაწვილე, სიჭაბუკე...

ვ) **გაზმნაგება**: „აქა მოსლვითა გაყმდების, კაციმცა იყოს ბერები: სმა, გახარება, თამაში, ნიადაგ არნ სიმღერები...“

ასაკობრივი მახასიათებლების კვლევა პერსპექტიული ჩანს სხვადასხვა ასაკის ადამიანთა სამეცნიერო თავისებურებებზე დაკვირვების თვალსაზრისითაც, განსაკუთრებით დიდია ინტერესი ბავშვის ენის შესწავლის მიმართ; ამ სფეროს სწავლობენ სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები, განსაკუთრებით კი ფსიქოლოგები და ენათმეცნიერები.¹² რამდენადაც ენა მუდმივ ცვალებადობაშია და

¹⁰ „ვინა ხარ, ნეტარ, დედილო, ვისას რას მოსთქვამ ზიანსა.“ (ვაჟა)

¹¹ **მ. ტაბიძე**. ეტიკეტური მრავლობითური ნაცვალსახელები „ვეფხისტყაოსანში“. ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკა. IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემის 300 წლისთავს. 2012, 20-21 ოქტომბერი, ქუთაისი.

¹² ერთ-ერთი, ვინაც ფუნდამენტური კვლევები დაიწყო ბავშვის ენის სფეროში, იყო რომან იაკობსონი, რომელიც აღნიშნავდა, რომ რაც ადრეა შეთვისებული ლექსიკა, მით უკეთ ინახება იგი. აქდან ამოვიდა, როდესაც თქვა, რომ ენა მოქმედებაში (ჩამოყალიბების, დარღვევის) უნდა შეისწავლებოდეს. ბავშვის ენის სპეციალისტებს აინტერესებთ: ენობრივი კომპეტენციის ონტოგენეზი, ანუ ბავშვის ენობრივი განვითარება კომუნიკაციის სოციალური წესების დაუფლების პარალელურად (რაც,

უკიდურესად მგრძობიარეა გარემოს მიმართ, იცვლება სხვადასხვა ასაკის (თაობათა) ენობრივი კომპეტენციაც და ენობრივი გემოვნებაც.¹³ გამოთქმა „თაობათა ენა“, მიუხედავად აქტიური მოხმარებისა, საკმაოდ ბუნდოვანია თავისი შინაარსით. არავინ იცის, რა იგულისხმება თაობაში, ასაკი თუ კონკრეტული ეპოქის მიმართ მაშინდელი საზოგადოების სოციალურ-კულტურული დამოკიდებულება. მაგალითად, საბჭოთა კავშირმა დანერგა ისეთი შესიტყვებები, როგორებიცაა **კომკავშირული ენა** და **პარტიული ენა**. სოციოლინგვისტიკას აინტერესებს, რა იგულისხმებოდა ამ ტერმინებში - სწორედ ენა (ლინგვისტური გაგებით), თუ ენა მხოლოდ იდეოლოგიური წრთობის თვალსაზრისით ახალბედა და გამობრძმედილი კომუნისტების აზროვნების წესს განარჩევდა? როგორც სპეციალისტები მიუთითებენ, ამ შესიტყვებებს ორმაგი შინაარსი ჰქონდა: პირველი მნიშვნელობა (და ძირითადი), მართლაც იდეოლოგიურ სიმწიფეს უკავშირდებოდა, ხოლო მეორე მნიშვნელობით - ახალგაზრდა ასაკისათვის დამახასიათებელი კომუნისტური იდეოლოგიური ნორმებითა და კლიშეებით გაჯერებულ მეტყველებას გულისხმობდა, ამ სულისკვეთების საუკეთესო გამომხატველია ცნობილი ლოზუნგი: **Партия сказала: надо! Комсомол ответил: есть!**¹⁴

პასუხისმგებელ პარტიულ თანამდებობაზე მისაღებად საჭირო დახასიათება-რეკომენდაციის სტანდარტი მოითხოვდა შემდეგ წინადადებას: „ის კომკავშირიდან მოვიდა“ (ოქტომბრელი, პიონერი, კომკავშირელი გარკვეული ასაკის ადამიანებს აღნიშნავს).¹⁵

ცხადია, იდეოლოგიური სტიმულის გარეშეც ბევრია ახალგაზრდების მეტყველებაში ინოვაციური მომენტები (თუმცა გარკვეულ ნაწილს აქვს ე.წ. კოლური კომპეტენციაც უფროსი ასაკის ადამიანებთან საუბრისთვის). ამ რიგისაა: ახალგაზრდული ჟარგონი, ბარბარიზმებისა და ნასესხობების სიჭარბე, სიტყვათა შემოკლებები და აბრევიაციები, ასაკობრივი მაქსიმალიზმის გამომხატველი ეპითეტები და შედარებები... მეტაფორების ნაკლებობა, ელიფსი... სამაგიეროდ, ე.წ. „მიმავალ თაობაში“ მრავლადაა ხმარებიდან გამოსული სიტყვები, ტროპული საშუალებების გამოყენების ფაქტები, განზოგადებული სემანტიკისათვის საჭირო აბსტრაქტული ფორმები, გრძელი წინადადებები, ნელა საუბრის მანერა და ა.შ.¹⁶ განათლების სისტემა და სოციალურ-კომუნიკაციური სამსახურები ამ საკითხებით უნდა ინტერესდებოდნენ და ამ ე.წ. გენერაციულ თავისებურებათა დაბალანსებას უნდა ცდილობდნენ, რათა თაობათა შორის არ წარმოიშვას გადაულახავი უფსკრული, რომელიც საერთო ჯამში სამოქალაქო ინტეგრაციისა და საზოგადოების სულიერი განვითარების მიზნებს შეუქმნის საფრთხეს.

ასაკი აწესებს თავის ნორმებს. ადამიანი ცდილობს შეესაბამებოდეს საკუთარ სოციალურ და ასაკობრივ გარემოს (სად ხდება ასაკობრივად ერთნაირი

ძირითადად, სამ პირობას მოიცავს: 1. თამაში; 2. სოციალიზაცია, როდესაც ბავშვი სოციალურ წესებს ეუფლება; 3. ბავშვებთან უფროსების საუბრის რეგისტრი).

¹³ მიიხსენიებს, რომ მოხუცები კარგავენ ზოგ სამეტყველო ჩვევას. აქ მნიშვნელოვნად ითვლება ხმის ფაქტორი. ასაკი გულისხმობს ხმათა სხვაობებს. ზღვარს ავლენენ 65 წლის შემთხვევაში ასაკისა და 35 წლის ასაკის პირთა ხმებს შორის. ხმასთან ერთად იცვლება წარმოთქმის ხარისხიც. რთული ტექსტებისა და წინადადებების შემოკლება და წარმოთქმის დაბრკოლება შეიმჩნევა 70 წლის ასაკისათვის.

¹⁴ თავის დროზე ეს სიტყვები საბჭოური პლაკატებიდან გახდა ცნობილი, პლაკატებზე კი ეს ფრაზა მეოცე საუკუნის 50-იანი წლების ერთი სიმღერიდან აღმოჩნდა: «Партия велела/—Пусть несётся весть./Будут степи цвести!/Партия велела-/Комсомол ответил: есть!»

¹⁵ რუსულად: «Он (она) пришел (пришла) на этот ответственный участок социалистического строительства (райком партии, дирекция крупного предприятия, кабинет predisполкома и т.д.) из комсомола».

¹⁶ ამ ბოლო ხანებში ენათმეცნიერებამ აღიარა თავისი წარსული შეცდომა, როდესაც ხანდაზმულ ადამიანთა მეტყველებაში სწავლობდნენ მხოლოდ დარღვევებს, მაგრამ არ სწავლობდნენ მას, როგორც ენობრივი ნორმის ვარიანტს; არადა ეს მეტყველებაც ნორმის ნაწილია. ასაკოვანი ადამიანების მეტყველებაში შენახულია ადრინდელი ნორმა, რომელსაც თავისი სოციალური კონტექსტი ასაზრდოვდა, ფასეულობათა უმრავლესობა კი სხვადასხვა ასაკობრივ საფეხურზე თან მიჰყვებოდა პიროვნებას.

(შედარებით ერთნაირი) ადამიანების თავმოყრა და სად შეიძლება ასაკობრივად ერთგვაროვანი საზოგადოების ენობრივ თავისებურებებზე დაკვირვება? ასეთი შეიძლება იყოს სკოლა, უნივერსიტეტი, სამხედრო ნაწილები...). საინტერესოა ერთი მაგალითი: უახლოეს წარსულში საქართველოში იყო ე. წ. ახალგაზრდული მმართველობის პერიოდი, როდესაც გარდა იმისა, რომ ხელისუფლებაში ძალიან ახალგაზრდა კადრები მოვიდნენ, თითქმის სრულიად გავიდნენ სტრუქტურებიდან უფროსი თაობის წარმომადგენლები (ან „გადარჩენილი ნაწილი“ უმნიშვნელო პოზიციებზე და უკიდურეს უმცირესობაში აღმოჩნდნენ. უცებ შეიცვალა მმართველობითი სტრუქტურებისა და პოლიტიკური წრეების მეტყველება... აშკარად გამოიკვეთა ახალგაზრდული მეტყველებისათვის დამახასიათებელი ზოგადი და კონკრეტული ნიშნები (ლექსიკის სესხება ინგლისურიდან, მკვეთრი გამოთქმები, ჟარგონის „ლეგალიზაცია“, კონფლიქტური ლექსიკის სიჭარბე, ახალგაზრდული მაქსიმალიზმისათვის ნიშანდობლივი მაკვალიფიცირებელი ლექსიკა-ფრაზეოლოგია...) ერთი თაობის მიერ რამდენიმე თაობის არათანდათანობითმა (ერთბაშად) ჩანაცვლებამ სალიტერატურო ენაში ისეთი მკვეთრი ცვლილებები გამოიწვია, რომ ამ შედეგების სრულად აღნუსხვა-გაანალიზებას უთუოდ დიდი შრომა და დრო დასჭირდება...

როგოც ვხედავთ, ასაკის ლინგვისტური მარკერების კვლევა უსასრულო პროცესია, უაღრესად საინტერესო მრავალი პრაქტიკული დარგისათვის, და ძალზე მიმზიდველი – ანალიტიკოსთათვის.

ლია კარიჭაშვილი, ფილოლოგიის დოქტორი

„ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებითი პერსპექტივები გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში

„იგი, ბატონი გიორგი, თითქოსდა ყველაფერს სუფთა,
მძლავრ ხელისგულზე იღებდა, ეწეოდა მალდა;
აქედან ის უყურებდა საგანს თავისი გიზგიზა თვალებით,
იქიდან – მზე; და აღტაცებული იყო ერთიცა და მეორეც,
ლეონიძეც და მზეც, რომ ქვეყანაზე საგანი იგი
არსებობდა ესეთად“.

რევაზ ინანიშვილი

გიორგი ლეონიძის, როგორც პიროვნებისა და შემოქმედისთვის, ბუნებრივია, სრულიად განსაკუთრებული უნდა ყოფილიყო „ვეფხისტყაოსანი“, ეროვნული იდენტობის სიმბოლო და ქართული პოეტური კულტურის მწვერვალი. ვიდრე შევეხებოდეთ საკითხს, როგორ გამოვლინდა ლეონიძის შემოქმედებაში რუსთველური აზროვნების პარადიგმები, სახე-სიმბოლოები თუ მხატვრული სიტყვაწარმოების ნიმუშები, უნდა აღინიშნოს ის დიდი დეკალოგი, რომელიც რუსთველოლოგიის წინაშე მიუძღვის პოეტს. ძველი ქართული ლიტერატურის საკითხებზე მის ნაშრომთა შორის განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საქართველოს მთავარმართებელ მიხეილ ვორონცოვის არქივში აღმოჩენილი „ვეფხისტყაოსნის“ XVII საუკუნის ხელნაწერს, რომელსაც თვითონ ზაზასეული უწოდა. გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის ახალი ხელნაწერი“ თავისი მრავალმხრივობით, მეთოდოლოგიითა და დასკვნებით ფილოლოგიური კვლევის ნიმუშად მიიჩნევა. ნაშრომი შედგება ქვეთავებისაგან: ხელნაწერის თავგადასავალი; ლიტერატურა მის შესახებ; ხელნაწერის აღწერილობა; ხელნაწერის პირველი მეპატრონე ზაზა ციციშვილი; ხელნაწერის დათარიღებისათვის; ხელნაწერის მნიშვნელობისათვის. გამოკვლევა პირველად დაიბეჭდა 1935 წელს. ამავე წიგნშია სტატია „გენიალური პოემის ცხოვრება“.

გიორგი ლეონიძე იყო „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის წევრი. მან წარმოადგინა საანგარიშო მოხსენება „მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 40 წლის მანძილზე“, რომელშიც მიმოიხილა ლიტერატურათმცოდნეობის დარგში ჩატარებული სამეცნიერო მუშაობა. რუსთველოლოგიური კვლევების განხილვისას აღნიშნავდა, რომ ამ პერიოდში განსაკუთრებით ინტენსიურად გაიშალა მუშაობა ამ დარგში. 1937 წელს საბჭოთა კავშირის მასშტაბით აღინიშნა „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლის იუბილე. 1957 წელს ლიტერატურის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა რუსთველოლოგიის განყოფილება. 1959 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ განყოფილებასთან ქართული ლიტერატურის ბაზაზე შეიქმნა „ვეფხისტყაოსნის“ მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დამდგენი კომისია. ავტორმა მოკლედ წარმოადგინა რა გაკეთდა მნიშვნელოვანი რუსთველოლოგიის საკვანძო პრობლემებთან დაკავშირებით 4 ათეული წლის განმავლობაში.¹

პოეტის დიდი სურვილი იყო, შექმნილიყო „ვეფხისტყაოსნის“ სრულყოფილი თარგმანი რუსულ ენაზე. ამ საკითხს ეხება იგი წერილში „ფიქრები ქართული წიგნის გარშემო“, რომელშიც გამოთქვამს ინიციატივას, რომ გამომცემლობა „ხარია

¹ გიორგი ლეონიძე. ლიტერატურათმცოდნეობა, წიგნში: მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 40 წლის მანძილზე. 1961, თბილისი, გვ. 483-498.

ვოსტოკამ“ იზრუნოს „ვეფხისტყაოსნის“ რუსული სრულყოფილი თარგმნისათვის: „მართალია, თავის დროზე დიდად დასაფასებელი მუშაობა ჩაატარეს რუსთაველის მთარგმნელებმა, მაგრამ კიდევ ნაბიჯის წინ გადადგმაა საჭირო“.²

რუსთაველი და „ვეფხისტყაოსანი“ იყო გიორგი ლეონიძის მუდმივი ფიქრის საგანი, მისი შემოქმედების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ორიენტირი. ამაზე მეტყველებს მის პოეზიაში რუსთაველის, „ვეფხისტყაოსნისა“ და მისი პერსონაჟების არამარტო სახელდებითი მოხსენიება, არამედ პოემის მხატვრულ სახეთა, ცალკეულ პასაჟთა, მხატვრული სიტყვაწარმოების, პოეტური ხერხების, ალუზიებისა და რემინისცენციების სიუხვე. საკმაოდ ვრცელია იმ ლექსთა ჩამონათვალი, რომელთაგან მაგალითების მოხმობა შეიძლება: „რუსთაველს“, „ვეფხისტყაოსანს“, „შენ საქართველოს სიტურფევ“, „მეტივეები“, „ამოდის მთვარე“, „ჩემი ბაღი“, „თოვლა“, „წინაპართა შემოხედვანი“, „ცივწყარო“, „მცხეთური ელეგია“, „მუხის ფოთოლი“, „ძველი ქართული წარწერები“, „ილია ჭავჭავაძის ანრდილს“, „ჩარგალში“, „საქართველოში“, „თვალთა ბრძოლა“, „უცნობ ქალს კაბარეში“, „მთაწმინდიდან ქარს მოჰქონდა“, „ესენინი“, „შენ, საქართველოს სიტურფევ“, „ყივჩაღის პაემანი“, „ნინოწმინდის ღამე“, „დავით გარეჯა“ და სხვა.

რუსთაველი სიტყვაწარმოების („უცხენმაღე“, „უდესი“, „მკლავგერძესი“, „ხებული“, „ცამცა გაიდარბაზესა“) ხერხები ლეონიძის შემოქმედებაში უაღრესად აქტიური და გამდიდრებელია: „უამესი“, „დავიემბაზე“, „ნაემბაზარი“, „დაცხენოსნება“, „ლექსქართულობა“ (მდრ. „ყმა ტკბილი და ტკბილქართული“ – რუსთ.) „გვირგვინოსნება“, „გადამორილი“, „მოუსმინარე“, „მოპერანგება“, „ავთანდილობდი“, „მომთვარული“ და სხვა.

გიორგი ლეონიძეს, რომელიც თავს დიდ წინაპართა მემკვიდრედ მიიჩნევდა (ზოგჯერ თავმდაბლურად მათ შორის „უმცირესად და უარესად“) და პოეზიის ზეგარდმო მადლს საკუთარ თავში აცნობიერებდა („როცა დამლოცა ვაჟა-ფშაველამ, დამსკდარი ხელი თავზე დამადო“), მუდამ მათ ძვირფას სახეებს ჭვრეტდა გონების თვალთ. ყველაფრის საწყისად და საფუძვლად კი რუსთაველის ფენომენს მოიაზრებდა:

„ილია – შუბლი საქართველოსი,
ბარათაშვილი – აზრთა მპყრობელი,
აკაკი – ხმაჩანქერდაურობელი
და დიდი შოთა – მათი მშობელი“.
(„წარწერა ქართველ პოეტთა სურათებზე“)

ილია, „საქართველოს ნათლისმდებელი“, „რუსთაველის სიმის შემნახველია“. აკაკის პოეზიაში რუსთაველის ქნარი უღერს („სამშობლოს სუნთქვით გაღვიძებულს, შენში აუღერდა რუსთაველის ქნარი“). ვაჟა რუსთაველთან არის „შემძავებული“ სწორედ ამ დიდ მამულიშვილთა მადლით დგას საქართველო.

გიორგი ლეონიძის პოეზიის ანალიზისას ნათელა ონაშვილი წარმოაჩენს პოეტის ღრმა შემოქმედებით კავშირს კლასიკურ მწერლობასთან და აღნიშნავს, რომ როგორც შემდგომი დროის მწერლები ითხოვდნენ რუსთაველისგან ლექსის თქმის უფლებას, გიორგი ლეონიძეც ისე ევედრება წინამორბედ თანამოკალმეებს.³

რუსთაველთან დაკავშირებული ცნობა მას შეეძლო ლექსად ექცია. ასეთია ლექსი „მიქელ“, ეპიგრაფით: „ვეფხისტყაოსნის პირველი დამბეჭდველი მიქელ ვალსა და სიღარიბეში მომკვდარა. ჩემი ცნობა“. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი დამბეჭდველის მიქელის სახელი პოემის ვახტანგისეულმა გამოცემამ შემოინახა:

² გიორგი ლეონიძე. ფიქრები ქართული წიგნის გარშემო.– გაზეთი „ლიტერატურული გაზეთი“, 1962, 13 აპრილი, №16, გვ. 1-2.

³ ნათელა ონაშვილი. დაბერებული ბუღბუღები. წიგნში: „აპო,სამშობლო, სიტყვა ქართული“. თბილისი, 1996, გვ. 58.

„გაიმართა ხელითა ხელმწიფის კარის დეკანოზიშვილის მიქელისათა...“ გიორგი ლეონიძემ გამოიკვლია ამ პიროვნების ბიოგრაფიის დეტალები და ღრმა გულისტკივილით აღბეჭდილი ლექსი მიუძღვნა:

„შენი სახელი მუდამ მზით არი,
მოსაგონარი მრავალ თაობის,
ვალში მომკვდარხარ, თურმე მდიდარი
რუსთაველის პირველ დამბეჭდაობით“.
(„მიქელ“)

რუსთაველის გარდაცვალება და მისი საფლავი მუდმივად იყო პროტის საფიქრალი. დიდი პროტის აღსასრული მას სამყაროს დასასრულად წარმოედგინა:

„ასეთი იყო ზარი, ჭიდილი,
თითქოს მარხავდნენ მზეს და მთოვარეს.“
(„პოეტს“)

გიორგი ლეონიძემ საოცარი მოტივი მოუძებნა იმ გარემოებას, რომ ქართველებმა არ იციან მათი სათაყვანებელი რუსთაველის საფლავი:

„რად გაეყარე სამშობლოს,
ტკბილ მიწას დასაფიცარსა,
აღბათ იცოდი ქართველნი
ვერ დაგაყრიდნენ მიწას.“
(„რუსთაველს“)

პოეტის წარმოსახვით, რუსთაველი მზის ნაწილია, როგორც მისი პოემის უმთავრესი გმირი („მზე უშენოდ ვერ იქმნების, რადგან შენ ხარ მისი წილი“), ამიტომაც იგი ჩვეულებრივი მოკვდავივით მიწად კი არ მიიქცევა, არამედ მზეს უბრუნდება:

„მე ვიცი, ვიცი, რუსთაველის გული,
საფლავის ჭიებს არა რგებიათ,
მზემ შეიწოვა, როგორც ნაწილი,
მზემ შეიერთა ნათავისარი.“
(„მუხის ფოთოლი“)

რუსთაველის კვლავ „გამოჩენის“ იმედითაა განმსჭვალული ლეონიძისთვის მომავალი. აქ იგი გრიგოლ ორბელიანის ოცნებას ეხმიანება, რომლისთვისაც აღდგენილი, ძლიერი საქართველო „რუსთაველის სიტყვის“ გარეშე წარმოუდგენელია:

„და გაგვიცოცხლდეს, რომ კვლავც მოგვესმეს
სიტყვა ქართული რუსთაველისა.“
(„თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“)

და თუ გრიგოლ ორბელიანის ლექსში გაკრთება ეჭვი, რომ „ვაჰ, თუ რაც წახდეს, ვეღარა აღდგეს“, გიორგი ლეონიძე დარწმუნებულია იმაში, რომ სიცოცხლე სიკვდილზე ძლიერია, ისევე როგორც სიყვარული.

„მესხმა დავასხი ვენახი,
კლდეებში ვკვეთე ტაძარი,
წიგნი დავწერე ვეფხისა,

შიგ სიყვარული დაეძარი...
ღარზე დაიდრას მაჭარი,
დამსხვილდეს პურის თაველი,
დადგით მესხეთში აკვნები,
გამოჩნდეს კვლავ რუსთაველი.“
(„მესხი ვარ“)

თავისუფალი საქართველოს იდეა გიორგი ლეონიძეს რუსთაველთან და მის ეპოქასთან აქვს დაკავშირებული. მისთვის რაინდობის ეტალონი ტარიელია:
„შოთას გაფიცებთ, მივემსგავსოთ ნესტანის რაინდს,
ძველი სამშობლო ჩვენ სიზმრებში ვეძიოთ მაინც.“
(„საქართველოში“)

თამარ მეფე ლეონიძის შთაგონების წყაროა, აღმაფრენისა და ძალის მიმცემი. ლეგენდა შოთას მიჯნურობისა თამარისადმი მისმა პოეზიამაც უკვდავო და ეს ორი ძვირფასი სახელი სამუდამოდ შეაკავშირა:

„თამარს ვეფხურ წიგნს აქ უკითხავდა
შოთა მიჯნური და მომდერალი“.
(„სიტყვა ძველ თბილისს“)

ხოლო, რადგან სიყვარული უკვდავია და სიკვდილი მასზე ვერ ვრცელდება, რუსთაველის ძვლებიც კი შეშფოთდებოდნენ მიჯნურის მღელვარებით, თუ მის სამარეს თამარი დახედავდა:

„თუ დაგხედავდა თამარი,
კუბოზედ ელვა თვალებით,
აღმურში გადადნებოდნენ,
რუსთველო შენი ძვალები“.
(„რუსთაველს“)

მკითხველს უჭკველად მოაგონებს ეს სტრიქონები სპარსული სუფისტური პოეზიის შედეგს ჰაფეზის ცნობილ ლექსს „შენ ცისკარი ხარ“:

„ჰაფეზ, შენს საფლავს სატრფომ სიოდ რომ ჩაუქროლოს,
შემოგეხევა ვნებისაგან ტანზე სუდარა.“

გიორგი ლეონიძის სატრფიალო ლირიკის შედეგები „ნინოწმინდის ღამე“ და „ყვიჩაღის პაემანი“ გაჯერებულია რუსთველური რემინისცენციებით. ნინოწმინდის გალავანში ლექსის ლირიკული გმირი შეყვარებული ტარიელის თვალით აღიქვამს სატრფოს:

„შენი სახე რისთვის შემომეფეთა,
ხატი იყავ ვეფხი დაქალებული,“
(შდრ. რუსთაველი: „რომე ვეფხი მშვენიერი სახედ მისად დამისახავს.“)

ტარილს პირველად განრისხებული ნესტანი აგონებს ვეფხს: „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირგამეხებული.“ საინტერესოა, რომ მეორე პერსონაჟი, რომელშიც ზუსტად ამავე ასოციაციას იწვევს ნესტანი, ფატმანია. („ადგა ისე გულუშიშრად ვეფხი იყო ანუ გმირი“ – ამბობს ფატმანი ნესტანის შესახებ.) გარდა ვეფხის მხატვრული სახისა, „ნინოწმინდის ღამეში“ პერსონაჟის სახელიც გაჟღერდება. „ავთანდილის მწვადი ცეცხლზე შხიოდა.“ (მომდინარეობს ტაეპიდან „ცხენსა მისცა საძოვარი, ვირე მწვადი შეიწოდეს“). ეს რუსთველური პასაჟი, დღისმიერი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტში, ლეონიძემ დამის ფონზე გადმოიტანა და

ამით მეტი იდუმალება და რომანტიკა შესძინა ამ ღამეს. მწვადის სურნელთან ერთად სიყვარულითაა გაჯერებული გარემო. ამავე დროს „ვეფხისტყაოსნის“ რემინისცენციულმა ჩართვამ ლექსის დინამიკაში სრულიად კონკრეტულ დროს საზღვრები შემოაცალა და მარადიულ წრებრუნვაში ჩართო. „აფრენილი ბაზიერის დაფითა დურაჯი ხარ მაყვალს შეფარებული“. ბაზიერიც და დურაჯიც სახეობრივად ისევ „ვეფხისტყაოსნისეული“ აღუზიებია.

გიორგი ლეონიძის სატრფიალო ლირიკის მწვერვალად „ყიფხალის პაემანი“ მიიჩნევა. როგორც ცნობილია, იგი ხალხური ლექსის „შემომეყარა ყიფხალის“ მოტივზეა აგებული, თუმცა ლირიკული სუბიექტი აქ ჩანაცვლებულია, ახლა ის ყიფხალია და ლექსში მისი დაუოკებელი, ყოვლისწამლექსი ენერგია ტრიალებს. დრო საოცრად დაჩქარებულია, მოვლენები თავბრუდამხვევი სისწრაფით ვითარდება. პოეტის მიერ ლექსში ჩადებული მუხტი მკითხველში მეყსეულად გადადის და ის ყველაფრის თვითმხილველი და თანამონაწილე ხდება. აქაც თითქოს რეალური დროდან გაჭრა ხდება ზედროულში. ამ ლექსის შენობის ულამაზესი სარკმლიდან „ვეფხისტყაოსნის“ სამყარო იხედება. დროსივრცული საზღვრები იშლება და მკითხველი გრძნობს, რომ საუკუნეობრივი სიშორე პირობითია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დროს და მანამდეც უკვე ხდებოდა ყიფხალის დრამა და ყიფხალის პაემანი – ეს „ვეფხისტყაოსნისეული“ დროის ნიშნულია. პოეტმა თავისი ლექსის პასაჟად ვეფხისტყაოსნის ერთ-ერთი მხატვრულად უძლიერესი მონაკვეთი აირჩია.

„მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი დრო მათის პაემანისა.“

ლექსი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხის ლეონიძისეული კონცეფციაა. ეს სრულიად ლოგიკურია სიცოცხლეზე ასე შეყვარებული პოეტისაგან. სიცოცხლე მისთვის სიყვარულია და სიყვარული ამარცხებს სიკვდილს. სიკვდილისა და სიყვარულის ჭიდილი დასაზღვრულია დროში და თანაც ზედროულია, როგორც მარდგანმეორებადი. ათასწლოვანი სიკვდილის შემდეგ ლექსის ლირიკული გმირი სიცოცხლეს წირავს სიყვარულისთვის. შემდეგ პაემანს ათასი წელი დაელოდება.

ელიზბარ ჯაველიძის დაკვირვებით, რუსთაველის სტროფის პერიფრაზით („მოწურვილ იყო როცა ზაფხული...“) გიორგი ლეონიძე ცდილობს დიალოგი გააბას XII საუკუნის საქართველოსთან. დაარღვიოს დროის სამანები და ერთ დაუნაწევრებელ წამში აღიქვას ჩვენი დიდებული წარსულიც და აწმყოც. პოეტი ამ ლექსში გაცხადებულად და ქვეტექსტურად წინ წამოწევს სიყვარულის მარადიულობის პრობლემას, რომელიც ასე ბრწყინვალედ არის განივთებული „ვეფხისტყაოსანში“. მართლაც, ეს პოემა ქართველ კაცს გაცნობიერებული აქვს, როგორც სიყვარულის საგალობელი. მკვლევრის აზრით, ამ ლექსში გიორგი ლეონიძე შეგნებულად მიმართავს პოეტური ხატების თუ ლექსიკური ერთეულების სესხებას, ე. წ. რემინისცენციას, რითაც დიდად აფართოებდა პოეტური კონტექსტის გაგების არეალს. სტრიქონს „დამნაცროს ელვამ შენი ტანისა“ უკავშირებს რუსთველურ ლექსიკას და მოაქვს სათანადო მაგალითები: „ელვისა მსგავსად კშვენოდა“, „ცრემლისა ღვარსა მოეცვა პირი, ელვათა მკრთომელი“ და სხვა.

სარგის ცაიშვილის აზრით, „ყიფხალის პაემანში“ ორგანულადაა მოხმობილი რუსთველური ფრაზები, მაგრამ მათი ფუნქცია მეტია, ვიდრე სამკაული ან მხოლოდ სტილისტური ხერხი. იგი ზუსტ ასოციაციებს აღძრავს და აძლიერებს განცდას სიყვარულის უკვდავებისა, რომელიც რუსთველური სიყვარულის სახელითაა აღბეჭდილი ჩვენს ცნობიერებაში. ახალი პაემანის მოლოდინი, ლექსში ჩაქსოვილი ცოცხალი განცდა თანამედროვეობის სულითაა აღბეჭდილი, რაც ყიფხალის პაემანის მარადი სიტაბუკის გარანტიაა.⁴

⁴ სარგის ცაიშვილი. „ყიფხალის პაემანი“. წიგნში „ოლე და ოლოლები“. 2001, გვ. 272.

თამაზ ვასაძის დაკვირვებით, სიჯანსაღე, ძლიერება, ენერგიულობა სიცოცხლის ის თვისებებია, რომელთაც გიორგი ლეონიძის თვალში უპირატესი ესთეტიკური ღირებულება აქვს. ამას უკავშირდება ბარბაროსობის პოეტიზაცია, „ყიფნადური საწყისი“ მის შემოქმედებაში. არაჩვეულებრივი ძალის, ენერგიულობის გამოვლენებები ესთეტიკურად მომხიბვლელია მაშინაც კი, როცა ეს ენერგია აგრესიულია, დამანგრეველია.⁵

„ივრის ღამის“ ანალიზისას ემზარ კვიტაიშვილი შენიშნავს, რომ რუსთველური სილაღე, წელგამართულობა, რაინდული შემართება ჩანს ამ თქმაში; თითქოს ვაჭრად გადაცმული ავთანდილი გველაპარაკებაო:

„შენი ფშანების ნაჟური
ლექსში სჩქევს, როგორც მაჭარი,
თუ ამოგხაპეს, გაგყიდეს,
გაგხდები შენი ვაჭარი.“

ვაჭრის ხატის მეტაფორულად გამოყვანა პოეზიაში ახალი და უჩვეულო რამ არ არის. ამ შემთხვევაში იგი ფოლკლორთან ამჟღავნებს ნათესაურ კავშირს.“ გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში დიდ წინაპრებთან უწყვეტი შინაგანი კავშირი არა მარტო მათ მხატვრულ სახეთა ორიგინალურ გათავისებაში, არამედ ახლებურ პოეტურ ვარიაციებში გარდაისახა. „ვეფხისტყაოსნით“ შთაგონებულ მხატვრულ სახეს – ვეფხეს – გიორგი ლეონიძის პოეტურ წარმოსახვაში მრავალი პოეტური ასოციაცია დაუკავშირდა. ამ სახე-სიმბოლოში იგი მოიაზრებს საქართველოს, მისი ბუნებას, ქართული ფენომენს, ძლიერ პიროვნებას, წიგნს, პოეზიას.

პირველად „ვეფხი“ სიმბოლური მნიშვნელობით ლეონიძესთან გვხვდება მტრის აღსანიშნავად ლექსში „ვეფხი“. იგი როგორც სახე-სიმბოლო უკავშირდება „სარაციების თესლს“, „პამირების ბურს“. იგი პანმონგოლიზმის ბაირახტარია და აღქმულია, როგორც მტერი. ლექსში გადმოცემულია ისტორიული ფაქტი საქართველოში მონღოლთა პირველი გამოჩენისა. ამის შემდეგ ვეფხის მხატვრული გააზრება მკვეთრად იცვლება. იგი ლეონიძის პოეტური აზროვნების უმთავრესი კომპონენტი ხდება და მრავალგვარ კონტექსტურ გამოსატულებას იღებს.

ხალხურმა ლექსმა „მუმლი მუხასა“ და რუსთველურმა ვეფხვმა გიორგი ლეონიძის პოეტურ წარმოსახვაში ასეთი რკალი შეკრა: საქართველო – მუხა – ვეფხვი. ვეფხვი აქ საქართველოს ძლიერების სიმბოლოა.

„მუხა იდგა როგორც ვეფხვი,
ვეფხვზე უფრო ძლიერადა.“
(„შავი ზღვის პირს შავი მუხა“)

ამ შედარებიდან შემდეგში იშვა ახალი ტროპული სახე „ვეფხური მამული“ („მუხის ფოთოლი“); ქართული მიწის ღონესაც ვეფხეს აღარებდა პოეტი.

„და მწამს მე ღონე ქართულ მიწისა,
როგორც არც ერთი ღომის და ვეფხვის.“
(„მაინც არ გავცვლი“)

საქართველოს ბუნების სიმბოლოა ვეფხვი ლექსში „ჩათახი“: „ვეფხის ნაწილო, ივრის ჭალებო“, ან „ვეფხის ჭრელი პერანგივით გაიშალა ქართლის ველი.“

⁵ თამაზ ვასაძე. სიცოცხლის პოეზია. წიგნში ორმაგი ცნობიერება. თბილისი, 2001. გვ. 47.

როგორც მარიამ კარბელაშვილი შენიშნავს, ველი, „ვეფხის ჭრელი პერანგი,“ იწვევს რუსთაველის სტრიქონების ასოციაციას:

„მივიდოდა, მიუბნობდა ყმა მტირალი, ფერშეცვლილი,
ქელსა რასმე გარდაადგა ველი აჩნდა მზიან-ჩრდილი.“

„ვეფხისტყაოსნის ველი „მზიან-ჩრდილი“ და ლეონიძის ველი – „ვეფხის ჭრელი პერანგით – აი ქართლის ველის პოეტური ხედვის გადაკვეთის წერტილი, აღქმული ვეფხვის შავ-ყვითელი შეფერილობით: ყვითლი – მზიანი; შავი – ჩრდილი.“ (გვ.214)
ვაჟა-ფშაველასადმი მიძღვნილ ლექსში მთები პოეტს „დაყრილ ვეფხვებს“ აგონებს:

„გადაჰხედე შენი მთები
თითქოს ვეფხვნი დაყრილანო,
ნავარდს არტყამს ორბის ფრთებით
შენი სიტყვა სამყვირალო.“
(„ვაჟა-ფშაველას“)

გიორგი ლეონიძის პოეტური წარმოსახვით მდინარეც შეიძლება იყოს ვეფხვი, თანაც ფრთოსანი („ივრის პირად“).
ქართული მოღგმა – ეს ვეფხვის ჯიშია, ქართველი ხალხი „ვეფხვის ნაშენია.“

„ეს უკვდავებით მორწყული მიწა,
ჩვენი მამული – სატრფო და მშვენი,
და ჩემი ხალხი ვეფხვის ნაშენი,
ქალი – ღმერთქალი,
ვაჟი – ლომდარი“
(„ვარ სიყვარულის პრომეთეოსი“)

„ვეფხი“ დავით აღმაშენებლისა და ილია ჭავჭავაძის მეტაფორაცაა. „ვეფხი ფრთიანი, ნათლის მხედარი“ – ეს დავით აღმაშენებელია. ხოლო ილია ასე წარმოუდგება პოეტს:

„ვეფხო, ბრძოლებში მიხლილ-მოხლილო,
შეუპოვარო და რა გულძალით,
ჩაგდინებია ტოტზე მოღლილო,
წყლულზე გდიოდა ერის კურცხალი.“
(„ილია ჭავჭავაძეს“)

ვეფხი, თავისი რუსთაველური გენეზისით, ნესტან-დარეჯანის მეტაფორა, გიორგი ლეონიძესთან განზოგადდა, როგორც ქართველი ქალის სიმბოლო. ამავე სიტყვით შექმნა ახალი სახე „გულვეფხური“:

„შენ იყავი გულვეფხური
ხამის კაბით გლეხის ქალი...
საქართველოს კერის ცეცხლი...“
(„ფორთოხალა“)

ქართველი ქალი „თავისუფლების ვეფხვთა დედაა“ („ქართველ ქალს“).

ბუნებრივია, რომ რუსთველური ვეფხის ტროპიკის ამ მრავალფეროვნებაში, ვეფხი, უპირველეს ყოვლისა, თავად „ვეფხისტყაოსანს“ დაკავშირებოდა, როგორც ვეფხის ან ვეფხურ წიგნს:

„შენს კალამს ორბი ზიდავდა
წიგნს, ვეფხი თანაზიარი.“
(„ვეფხისტყაოსანს“)

ან

„წიგნი დაწერე ვეფხისა,
შიგ სიყვარული დაგბარი.“
(„მესხი ვარ“)

„თამარს ვეფხურ წიგნს აქ უკითხავდა
შოთა მიჯნური და მომღერალი“
(„სიტყვა ძველ თბილისს“)

ვეფხი არა მხოლოდ პიროვნების, ან ერის, არამედ სიტყვის ძლიერების სიმბოლოდაც გვევლინება:

„მე მახსოვს დედის თავშალი,
ზედ ქვეყნის გული ეხატა,
იმ გულს ვდარაჯობ ჯავშანით
სიტყვა გავხადე ვეფხვადა!“
(„ჩემი იადგარი“)

ვეფხი – პოეტური შემოქმედების სიმბოლო:

„მე გადავლახე ბევრი ხეობა,
გადამხდა ბევრი გადანახდომი,
გამოვალწიე, მოვრჩი ტყვეობას,
იცით რით? ლექსში ვეფხის ნახტომით“
(„წვიმიანი ღღე“)

ვეფხის მხატვრულმა სახემ შესაძლოა თვით შემოქმედების პროცესი, ლექსის დაბადების მომენტიც კი დაიტიოს:

„მოგეპარება ვეფხევივით ლექსი,
გულზე დაგადებს აღმასის ტორებს,
გაავლებს კლანჭით სისხლიან ნაღარს,
თმაში ჭაღარის ყინულებს სტოვებს.“
(„ქართული ვაზი“)

გურამ ასათიანის დაკვირვებით, რომ გიორგი ლეონიძის პოეზიის ერთ-ერთი მთავარი საიდუმლოებათაგანი მდგომარეობს ქართული ენის ბუნების ღრმა ცოდნაში, მისი ხალხური, ეროვნული კოლორიტის ორგანულ განცდაში. ავტორს მხედველობაში აქვს არა პოეტური ლექსიკონის სიმდიდრე, არამედ სწორედ ენის შინაგანი, ხალხური ბუნების მიმართ უტყუარი აღღო. ამიტომაც, რომ გიორგი ლეონიძე არ არის ენის ტრადიციულ ფორმათა უბრალო მონამორჩილი. პირიქით, იგი

ხშირად გვევლინება მის გაბედულ და დაჯერებულ მმართველად, როდესაც ასე უბრალოდ და ძალდაუტანებლად ქმნის თავის პოეტურ ნეოლოგიზმებს.⁶

ამავე აზრს ეხმიანება თამაზ ვასაძე: „პოეტი ის არის, ვისაც ენა თავის საიდუმლოს გაანდობს და ამით სამყაროს ნამდვილი სახის დანახვის შესაძლებლობას ანიჭებს. ენის სიღრმის, სიტყვების მოულოდნელი ურთიერთკავშირის განჭვრეტას შეუძლია სამყაროს შინაგანი წყობის განჭვრეტა გაუადვილოს პოეტს, როგორც მაგალითად გიორგი ლეონიძისთვის განსაკუთრებულად ახლობელ რუსთაველს და ვაჟა-ფშაველას. მკვეთრ ნაციონალურ შეფერილობასაც გიორგი ლეონიძის პოეზიას უპირველესად ენის შუაგულში შეღწევა აძლევს.

ცნობილია, პოეტისთვის „ვეფხისტყაოსანი“ სიცოცხლის ერთგვარი საზომი იყო. სწორედ იმით მიხვდა სიკვდილის მოახლოებას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ემოციური განცდა აღარ შეეძლო.

გიორგი ლეონიძემ თავისი პოეზიით დაამარცხა სიკვდილი, რადგან მისი შემოქმედება სიყვარულითა ძალმოსილი.

⁶ გურამ ასათიანი, გიორგი ლეონიძე. საუკუნის პოეტები. გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1988, გვ. 385-401.

ბერძნულ-ქართული ხელნაწერი სანკტ-პეტერბურგის კოლექციიდან

(სტატია შესრულებულია პროექტის „სანკტ-პეტერბურგის კოლექციის ქართულ-ბერძნული ხელნაწერი: „ტრადიცია და ინოვაცია“ ფარგლებში)

მსოფლიოს სხვადასხვა წიგნთსაცავებში დაცული ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობა ჩვენი კულტურის წერილობითი თუ მხატვრული შემოქმედების მნიშვნელოვან ნიმუშებს წარმოგვიდგენს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა რუსეთის ეროვნულ ბიბლიოთეკაში (სანკტ-პეტერბურგი) დაცული ბერძნულ-ქართული ხელნაწერი (O.I.58). ხელნაწერი მნიშვნელოვანია როგორც ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური თვალსაზრისით, ასევე ხელოვნებათმცოდნეობითი თვალსაზრისითაც. სანკტ-პეტერბურგის ბიბლიოთეკაში დაცული XV საუკუნით დათარიღებული ბერძნულ-ქართული ხელნაწერი (O.I.58), როგორც მთლიანი კრებული სპეციალური კვლევის საგანი არასოდეს გამხდარა.

ხელნაწერის შესახებ პირველი ცნობა XIX საუკუნეში ფრანგი მეცნიერების ნაშრომებში გამოჩნდა. 1883 წელს ჟიულ მურიემ კავკასიის ხელოვნებისადმი მიძღვნილ ნაშრომში – „Lkart au Caucase“¹ გამოაქვეყნა ინფორმაცია ხელნაწერის შესახებ და იგი XVII-XVIII საუკუნეებით დაათარიღა. იმავე წელს შარლ რო დე ფლერმა თავის ნაშრომის „La Messe“ II² ტომში გამოაქვეყნა გრიგორი გაგარინის მიერ შესრულებული ორი მინიატურის ასლი. რო დე ფლერმა ხელნაწერი XI საუკუნით დაათარიღა. იგი აღნიშნავს, რომ ხელნაწერი სამეგრელოს დედოფალ ეკატერინე დადიანს ეკუთვნოდა. ფრანგი მეცნიერი 1886 წელს თავისი ნაშრომის VI ტომში ხელახლა მიუბრუნდა ქართული ხელნაწერების თემას და სხვა ქართული სიძველეების ასლებთან ერთად ხელნაწერის კიდევ ორი მინიატურა გამოაქვეყნა. 1911 წელს ქართულ-ბერძნული კოდექსის ინკოგნიტო მფლობელმა ხელნაწერის რაობის დადგენა ნიკო მარს სთხოვა. ნიკო მარმა ვ. ბენეშევიჩთან ერთად (უკანასკნელმა ბერძნული ტექსტის პალეოგრაფია განსაზღვრა) ბერძნული და ქართული ტექსტები XIV-XV საუკუნეებით განსაზღვრა. 1913 წელს ხელნაწერი რუსეთის საჯარო ბიბლიოთეკამ შეიძინა. პეტერბურგში მოხვედრისთანავე ხელნაწერმა მეცნიერთა ყურადღება მიიპყრო. მას სხვადასხვა დროს იკვლევდნენ: შალვა ამირანაშვილი,³ ლ. შერვაშიძე,⁴ ვ. ლიხაჩოვა,⁵ პ. მიიოვიჩი⁶. ხელნაწერი ბოლოს 1998 წელს ვრცლად შეისწავლა და მონოგრაფია მიუძღვნა ლ. ევსეევამ. მეცნიერმა კრებული XV საუკუნის ბოლოსთვის ათონის მთაზე შექმნილ ხატწერის სახელმძღვანელოდ მიიჩნია.⁷

ხელნაწერი მისი შედგენილობის, ქართული და ბერძნული ტექსტების ტიპოლოგიის, მათი შინაარსობრივი და ტექსტობრივ-ფილოლოგიური თავისებურებების

¹ Mourier. L'art au Caucase. Bruxelles, 1912, 65.

² R. de Fleury Ch., La Messe, études Archéologiques sur les monuments. v.II, Paris, 1883, 101- 102, 116; v. VI Paris, 1886, 489.

³ შოთა ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ჰისტორია. თბილისი, 1961.

⁴ ლ. შერვაშიძე. მინიატურები ქუთაისის ხელნაწერისა №115 და ლენინგრადის ხელნაწერისა O.I.58. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. XIV. №1, 1953, გვ. 55-62.

⁵ В. Лихачёва. Отношение к образцам грузинских миниатюристов XIV века. Византийский временник. 38. 1977, стр. 136-140; В.Лихачёва, “Художественное оформление менология грузинскими художниками XIV столетия,” II^e Symposium International sur l'art Georgien, Тбилиси, 1977, 1-8.

⁶ П. Мийович. Грузинские менологии с XI по XIV век, Зограф 8, 1977, 17-29

⁷ Л. Евсеева. „Греко-грузинская рукопись из собрания гос. публичной библиотеки им. М. Е. Салтыкова-Щедрина, Древнерусское искусство. III. 1983, стр. 342-366; Л. Евсеева. Афонская книга образцов XV века. Москва, 1998.

თვალსაზრისით არავის უკვლევია. შესწავლილია მხოლოდ ხელნაწერში მოთავსებული მინიატურები.⁸ სავარაუდოა ასევე ხელნაწერის შექმნის ადგილი – ათონის წმინდა მთა. ლ. ევსეევას ხელნაწერის ტექსტები და მათი გავლენა მინიატიურებზე არ გაუთვალისწინებია. საკითხის შესწავლის სიახლეს განაპირობებს ის რომ, ხელნაწერი შეიცავს ორენოვანი (ქართული და ბერძნული) ტექსტების თავისებურ ერთიანობას. ეს ტექსტები განსხვავებული ჟანრისა და შინაარსისაა. შეიცავს ლიტურგიკული ხასიათის საკითხავების ციკლს ოთხივე სახარებიდან, ცალკეული დღესასწაულების და წმინდანებისადმი მიძღვნილ მცირე ფორმის საგალობლებს, ლოცვებს და აპოკრიფულ ტექსტებს იესო ქრისტესა და მეფე ავგაროზის მიმღწერას. ტექსტები განთავსებულია ხელნაწერის დასაწყისში, შუაში და ხელნაწერის ბოლოსაც. ნუსხაში მოთავსებულია შვიდასამდე გამოსახულება. ხელნაწერი მკვლევარ ლ. ევსეევას მიერ XV -ით არის დათარიღებული. ხელნაწერში 385 მინიატურა, რომელთაგან 165 მრავალფიგურიანი და 220 ერთფიგურიანი გამოსახულებაა. ქართულ-ბერძნული ხელნაწერის საკუთრებადაა მიჩნეული ქუთაისის მუხეუმში დაცულ გულანში (KK 115)⁹ ჩართული ორი დასურათებული ფურცელიც (155 რ-ვ, 157რ-ვ). ხელნაწერს არ ახლავს ანდერძი, ამდენად მისი გადაწერის ადგილისა და დროის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება. მას რესტავრაცია ბოლოს XVII საუკუნეში ჩაუტარდა. ხელნაწერი ხელახლა აკინძეს და პაგინაციაც ახალი გაუკეთეს. მოგვიანო ხანისაა ხელნაწერის ვერცხლის კოტიც. ბერძნულ-ქართული ხელნაწერის ქართული ნაწილი თითქმის მთლიანად ლიტურგიკული საჭიროებისათვის განკუთვნილ სახარებისეულ საკითხავებს უჭირავს. ხელნაწერის კიდებზე არ ჩანს მითითება იმაზე, თუ რომელ დღეზეა დადებული ესა თუ ის საკითხავი. საფიქრებელია, ხელნაწერის ბოლოში იყო საძიებელი ლიტურგიკული მინიშნებებით, რომელიც ბოლო ფურცელთა კლების გამო ჩვენამდე არ მოღწეულა. ტექსტების ამგვარი განლაგება და მოთავსება მინიატურებთან ერთად ერთ ხელნაწერში თავისებურია. ამ ტიპის ნუსხას მკვლევრები (ნ. აკუნევა, ლ. ევსეევა) მიიჩნევენ სასულიერო შინაარსის ტექსტების კრებულად, სადაც მინიატურები და ტექსტები ერთმანეთთან შინაარსობრივად და იდეურად არის დაკავშირებული. სადღესასწაულო ტროპარები და წმინდანებისადმი მიძღვნილი ლოცვები შერჩევით არის განლაგებული. ყველაზე გავრცელებული ტექსტები არის ნუსხის დასაწყისში და ბოლოს მოთავსებული საკითხავები, რაც ხელნაწერის იდეურ-შინაარსობრივ პროგრამას ასახავს. ნუსხის დასაწყისში სახარების საკითხავების რიგი, რომელიც ქრონოლოგიურად ქრისტეს მიწიერი ცხოვრების ამსახველ ფრაგმენტებს ასახავს. სრულიად თავისებურ ტიპოლოგიად შეიძლება ჩაითვალოს. ბერძნულ-ქართული ხელნაწერის ეს ტექსტობრივი ნაწილი ახლოს დგას ქრისტიანულ აღმოსავლეთში, კერძოდ კი სირიასა და შუამდინერეთში გავრცელებულ დიატესარონთან, რომელიც მოღწეულია XIII ს -ის სპარსული თარგმანით და ბერძნულენოვანი ფრაგმენტით.

ამგვარი ტიპოლოგიის ხელნაწერის შესახებ აღნიშნული აქვს ევსეევი კესარიელს თავის „საკელესიო ისტორიაში“. ამ ტიპის შემოკლებული სახარება გავრცელებული იყო ქრისტიანობის ადრეულ საუკუნეებში და გამოიყენებოდა ქრისტიანობის საქადაგებლად. თუმცა მეხუთე საუკუნის შემდეგ იგი უკვე ერეტიკულად ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, მსგავსი ტიპის ნუსხების პოპულარობა გაგრძელდა X- XIV სს-შიც. 1541 წ. დიტესარონი გადაწერა და მინიატურებით შეამკო ქრისტიანმა სპარსმა.

ეს ხელნაწერი გადაიტანეს რომში პაპის საჩუქრად. სავსებით დასაშვებია თუკი დიატესარონის შუასაუკუნეების დროინდელი ტექსტი ცნობილი იყო სირიასა და

⁸ Л. Евсева. Афонская книга образцов XV века. О методе работы и моделях средневекового художника. Москва, 1998.

⁹ Л. Евсева. Афонская книга образцов XV века. О методе работы и моделях средневекового художника. Москва, 1998, стр. 58-60

შუამდინარეთში, მას გაიცნობდნენ ასევე სირიის ეკლესიასთან ისტორიულად დაკავშირებულ საქართველოშიც. ხელნაწერში არსებული ბერძნული ტექსტობრივი ნაწილი შეიცავს ქართულისგან განსხვავებული შინაარსის ტექსტებს. მაგ. სამედიცინო ხასიათის ეპიგრამებს, რომლებიც წლის თითოეული თვის დახასიათებას შეიცავს. ამ ტექსტში აღწერილია თუ რომელი თვეა საზიანო ან სასარგებლო ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ამ ეპიგრამის ავტორია ნიკოლოზ კალიკლე, XI-XII სს-ში ბიზანტიის საიმპერატორო კარის ექიმი, რომელიც იმავდროულად შესანიშნავი პოეტიც იყო. ამგვარი თხზულებები გაგრძელებული ჩანს შუასაუკუნეებში, მათ შორის სამონასტრო წრეებშიც. ხელნაწერში ეპიგრამის ტექსტს მოსდევს თვეების პერსონიფიცირებული აღწერა, რაც ავტორს სჭირდება მიწიერი დროის იდეის გადმოსაცემად.

ხელნაწერი უნიკალური ნიმუშია აღმოსავლური ქრისტიანული, კერძოდ, სირიული და დასავლური, გვიან ბიზანტიური ტრადიციების ერთგვარი ერთიანობისა. ამ ტიპის ხელნაწერები როგორც ქართულ, ისე ბიზანტიურ ხელნაწერ ტრადიციაში იშვიათია. შეიძლება ითქვას აღნიშნული ხელნაწერის ტიპის ნუსხა არც არსებობს. ამიტომ განსაკუთრებით საინტერესოა მისი შესწავლა შედგენილობისა და მნიშვნელობის თვალსაზრისით. თუ როგორ არის ასახული უძველესი სირიული ქრისტიანული ტრადიცია და როგორ ტრანსფორმირდება იგი გვიანბიზანტიურ ტრადიციაში, რა არის შენარჩუნებული და რა არის შეცვლილი. როგორი ურთიერთმიმართებაა ბერძნულ და ქართულ ტექსტებს შორის. რა ენობრივი და სტილური თავისებურებები ახასიათებს. ქართული და ბერძნული ტექსტების კვალდაკვალ საინტერესო დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა ხელნაწერში ჩართული მინიატიურული მხატვრობის 6 ციკლი, რომელებიც სრულიად დამოუკიდებელი რთული შედგენილობის იკონოგრაფიულ რედაქციებს ასახავენ. ხელნაწერის შედგენილობა და სახე გარკვეულწილად ავლენს მემკვიდრეობით მიღებულ იმ ლიტერატურულ და მხატვრულ ტენდენციებს, რაც იმ ეპოქაში, ბიზანტიის იმპერიის დაცემისა და საქართველოს მძიმე მდგომარეობის ფონზე, კვლავ იძლეოდა მაღალი პროფესიული დონის შენარჩუნების შესაძლებლობას. ორენოვანი ლიტურგიკული კრებული საინტერესო მაგალითია ბერძნულ-ქართული კულტურული ურთიერთობებისა, რომელშიც თვალნათლივ გამოჩნდა, როგორც ამ ეპოქის თვალთახედვით გააზრებული ბრწყინვალე საუკუნეების შემოქმედებითი გამოცდილება, ასევე თანადროული მხატვრული აზროვნება. ქართულ-ბერძნული ხელნაწერის გაფორმებაში ნათლად აისახა იმდროინდელი ქრისტიანული სამყაროს მხატვრული გემოვნება,¹⁰ ტრადიციისადმი ერთგულება, იკონოგრაფიული და სტილური თავისებურებანი და ის ძიებები, რაც ლიტერატურულ და მხატვრულ შემოქმედებას წინსვლისაკენ უბიძგებდა. საკითხი დღეისათვის აქტუალურია, რამდენადაც ამგვარი ინტერდისციპლინარული კვლევის საჭიროება მწვავედ იგრძნობა ქართველოლოგიურ მეცნიერებაში. ხელნაწერის შესწავლის მნიშვნელობას ისიც განსაზღვრავს, რომ საერთაშორისო მიმოქცევაში შემოვა ახალი ხელნაწერი, ეპოქის სპეციფიკური ელემენტებით და წინა საუკუნეების მემკვიდრეობის ძლიერი გავლენით აღბეჭდილი. ქართულ სამეცნიერო ტრადიციაში ხელნაწერის კომპლექსური შესწავლა ჯერ არ მომხდარა. არ არსებობს ქართული და ბერძნული ტექსტების ანალიზი, რომელიც საშუალებას მოგვცემს დაზუსტდეს მათი ზუსტი რაობა, წარმომავლობა, დადგინდეს ხელნაწერის შესრულების თარიღი და გამოიკვეთოს შემკვეთი. უნდა აღინიშნოს, ასევე, რომ წინასწარი მოკვლევით

¹⁰ ე. დულაშვილი, ნ. ქავთარია. ანბანი ერთი ხელნაწერისა. თბილისი, 2012; Facsimile edition of the Georgian-Greek manuscript from the National library of Russia, St.-Petersburg, 2012.

მინიატიურული მხატვრობის ნიმუშები ქართული მასალის გათვალისწინებით განსხვავებულ სურათს ავლენენ.

ტექსტებისა და მინიატიურული ციკლების შეჯერებამ შეიძლება გამოკვეთოს განსხვავებული დათარიღება და დააზუსტოს შესრულების ადგილი. ჩვენი კვლევის მიზანია პირველად ქართულ ტრადიციაში შევისწავლოთ ერთი ხელნაწერის ტექსტუალური (ორენოვნი ტექსტი და მინიატიურები) და მხატვრული განვითარების გზა; განვსაზღვროთ ლიტურგიკული მასალის სისტემა; დავაზუსტოთ ხელნაწერის შექმნის, დროის, ადგილისა და მოძრაობის გზები; გავეშიფროთ და შევისწავლოთ მინიატიურებზე დართული მრავალრიცხოვანი მინაწერები; შევისწავლით აგრეთვე საკითხავების ტექსტებს ენობრივი თვალსაზრისითაც. გამოვიკვლივთ და ვაჩვენებთ ტექსტში ჩართული ციკლების იკონოგრაფიულ და სტილისტური მახასიათებლების განვითარების პანორამას. ქართველოლოგიურ მეცნიერებაში ბერძნულ-ქართულ ხელნაწერთან დაკავშირებული საკითხები პრაქტიკულად შეუსწავლელია.

ხელნაწერის შედგენილობა და მხატვრული სახე სხვადასხვა იკონოგრაფიული და სტილური წყაროების არსებობას ავლენს. ხელნაწერზე დაკვირვებით ჩანს ათონური და ათონთან დაკავშირებული მხატვრული წრის (თესალონიკი) გავლენა, კრეტული და დასავლური ხელოვნების ანარეკლი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ხელნაწერი კერძო პირისათვის პირადი მოხმარების მიზნით შექმნილი ლიტურგიკული კრებულია. ჩვენი კვლევა ინტერდისციპლინარული ხასიათისაა და წარმოადგენს ქართული და ბიზანტიური ხელნაწერი ტრადიციისთვის მნიშვნელოვანი ხელნაწერის ხელოვნებათმცოდნეობითი და ფილოლოგიურ-ტიპოლოგიური შესწავლის მცდელობას.

ამგვარი კვლევა სიახლეს წარმოადგენს ქართულ და ბიზანტიურ კულტურულ კვლევებში, რომელშიც ხელნაწერში დადასტურებული ტექსტებისა და მინიატიურების ურთიერთმიმართებების კვლევა ტიპოლოგიური და ქრონოლოგიური განვითარების ჭრილში წარმოდგება. გამოიკვეთება აღმოსავლური და ბიზანტიური ხელნაწერი ტრადიციების სინთეზი ერთი ნუსხის ფარგლებში როგორც ტექსტობრივი, ასევე იკონოგრაფიული მიმართულებით.

პეტერბურგის ქართულ-ბერძნული ხელნაწერის კვლევა კიდევ ერთხელ დაადასტურებს იმ მჭიდრო კონტაქტებს, რაც არსებობდა ძველ საქართველოსა და ქრისტიანულ აღმოსავლურ და დასავლურ სამყაროს შორის და იმ გავლენას, რასაც ქართული ხელნაწერი კულტურა განიცდიდა გვიან შუასაუკუნეებშიც; რამდენად კონსერვატორული იყო და ინოვაციასაც ადვილად ითვისებდა.

ერთი ტიპის შესიტყვებათა გაგრძელების ტენდენცია მასმედის ენაში

ქართულში დამკვიდრებულია სხვადასხვა სახის შესიტყვებანი. თითოეული სიტყვის შეხამებისა თუ შეკავშირების აღრიცხვა და სისტემურად დალაგება ლექსიკოლოგიის ერთ-ერთი ამოცანაა. სამეცნიერო ლიტერატურაში შესიტყვებათა ლექსიკოლოგიური კლასიფიკაციის რამდენიმე ცდა არსებობს. თუმცა საბოლოოდ არაა დაძებნილი ისეთი ნიშან-თვისებები, რომლებიც საშუალებას მოგვცემდა ენაში არსებულ შესიტყვებათა ერთობლიობა წარმოდგენილიყო ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნული ჯგუფების სახით. ბ.ფონხუას აზრით, ამას ობიექტური მიზეზიც აქვს: ლექსიკა იმდენად სწრაფად იცვლება, რომ ყოველ მომენტში, მის ყოველ რგოლში გარდამავალი საფეხურები არსებობს. საქმე გვაქვს უწყვეტ პროცესთან და ამიტომ ცალკე ჯგუფის გამოყოფა მეტ-ნაკლებად ნებისმიერია.¹

შესიტყვებათა კლასიფიკაციისას ძირითადად ექვსი ჯგუფი გამოიყოფა: 1. თავისუფალი შესიტყვებები: ა) სიტყვების ერთად ხმარების საფუძველია გამოსახატავი სიტუაცია. მაგალითად, საყურადღებო, ჩვეულებრივი, იშვიათი ... მოვლენა; ბ) შესიტყვების ერთ-ერთ წევრს შემოსაზღვრული მოხმარების სფერო აქვს, რის გამოც მეორე წევრის არჩევანი შეზღუდულია. მაგალითად, მინდორი ფერის აღმნიშვნელ მხოლოდ ერთ სიტყვას იგუბს მწვანე მინდორი, ან ალაგება მხოლოდ სუფრის, ლოგინის, ჭურჭლის შეიძლება; 2. განცალკევებული შესიტყვებები: ტერმინოლოგიური ხასიათის, ტიტულის აღმნიშვნელი შესიტყვებები და მკვიდრი შედარებები. მაგალითად, სიჩქარის გადართვა, მუავე კიტრი, მეწამული ზღვა, შავი კლდე, ქვასავით მაგარი, თაფლივით ტკბილი, ნახშირით შავი. აქ მოიაზრება ისეთი შესიტყვებებიც, სადაც ერთ-ერთი წევრის მნიშვნელობა ძალიან შორდება მის მთავარ მნიშვნელობას, მაგრამ მაინც შესიტყვების მნიშვნელობა შემადგენელი ელემენტების მიხედვით დაისვენება: მტკიცე უარი, ბუნდოვანი აზრი... 3. მყარი შესიტყვებები ესაა მარტივი ფრაზეოლოგიური კავშირები, სადაც გამოთქმის ერთი წევრი (მეტწილად ზმნა) გახუნებულია ან მნიშვნელობისაგან დაცლილია. მაგალითად, აღიარებს უპირატესობას, აქვს შანსი... 4. ფრაზეოლოგიური ერთიანობანი აქ სიტყვათა ჯამის განზოგადებაა. მაგალითად, ფეხს წაიტეხს, გზის პოვნა, კუდით ქვას ასროლინებს, თვალის დადგმა... 5. ტყუპი ფორმულები, სადაც მიმართებითი სიტყვით ან კავშირით დაკავშირებული ორი (იშვიათად სამი) სიტყვისაგან შედგენილი შესიტყვებაა: ა) გაორმაგება-გაძლიერების გადმოცემა: წლიდან წლამდე, ისევ და ისევ, დროდადრო... ბ) მნიშვნელობით ახლო მდგომი სიტყვების წყვილი: სულით და გულით, თავი და ბოლო... გ) მნიშვნელობის შემავსებელი ან დამაპირისპირებელი წყვილები: დღე და ღამე, ზღვა და ხმელეთი, მთასა თუ ბარში... 6. იდიომები აქ ერთ-ერთი კომპონენტის მნიშვნელობა გაბუნდოვანებულია: სიქა გააცალა, ტყემალზე ზის, ფეხები გაფშიკა, ფეხს ითრევს...

და ბოლოს, ცალკე ჯგუფად არის გამოყოფილი დამთავრებული აზრის მქონე წინადადებები, ანდაზები, ციტატები: ხელი ხელს ბანს, ჭერში ბუხებს ითვლის...²

მიიჩნევენ, რომ შესიტყვებათა სრული სქემის წარმოსადგენად ერთი მნიშვნელოვანი პირობა გენეტური თვალსაზრისის გამოყენებაა შესიტყვებათა განლაგება განვითარების ერთ ხაზზე თავისუფალი შესიტყვებიდან იდიომატურ გამოთქმამდე.

¹ ბ. ფონხუა. ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი, 1974, გვ. 298.

² ბ. ფონხუა. ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი, 1974, გვ. 299-300.

სამეცნიერო ლიტერატურაში ასევე აღნიშნულია, რომ სიტყვამ შესაძლოა მნიშვნელობა გაიფართოვოს ან დაივიწროვოს. მნიშვნელობის ამგვარი დახასიათება ლოგიკის გავლენით მოხდა ამა თუ იმ სიტყვას მნიშვნელობის ცნებასთან ათანაბრებდნენ. ამიტომ ცნებათა მეტ-ნაკლები მოცულობის ანალოგიით, სიტყვისთვისაც ვარაუდობდნენ ფართო და ვიწრო მნიშვნელობის ცვლას დავიწროებისა თუ გაფართოების მიმართულებით. ამგვარი, ლოგიკისტური, გაგების საპირისპიროდ აღინიშნა, რომ ყველა ცვლა მნიშვნელობისა არსებითად მნიშვნელობის გადატანაა მხოლოდ და სხვა არაფერი, რადგან იქ, სადაც ერთი თვალსაზრისის მიხედვით მნიშვნელობის გაფართოებაზე ლაპარაკობენ, ყოველთვის დაიძებნება სხვა თვალსაზრისი, რომელიც მნიშვნელობის დავიწროებას დაინახავს.³ ამგვარი ორაზროვნება არ გვექნება, თუ ვიწრო მნიშვნელობის სიტყვებად მხოლოდ საკუთარ სახელებს მივიჩნევთ, ე.ი. ცალკე საგნებისა თუ მოვლენების სახელებს.

სიტყვისა და შესიტყვების, როგორც აღსანიშნის, ერთეულებს რამდენიმე საენათმეცნიერო დისციპლინა შეისწავლის:

1. სიტყვის ფორმა, მორფემული აგებულება, ბრუნება-უღვლილება, აგრეთვე სიტყვათა

კლასიფიკაცია ფორმის თვალსაზრისით არის მორფოლოგიის საგანი.

2. შესიტყვების ფორმას, სიტყვათა შეერთების ანუ შესიტყვების აგებულებას, სიტყვათა ურთიერთობას შესიტყვებათა კლასიფიკაციას ფორმის მიხედვით შეისწავლის სინტაქსი.

3. სიტყვის მნიშვნელობას, მის შინაარსობრივ მხარეს, ასევე სიტყვათა კლასიფიკაციას მნიშვნელობის მიხედვით შეისწავლის ლექსიკოლოგია.

ცხადია, ამგვარი თვალსაზრისით, ე.ი. მნიშვნელობის, საგნობრივი მიმართების თვალსაზრისით უნდა შეისწავლებოდეს შესიტყვებაც. შესიტყვების მნიშვნელობის შესწავლა, ანუ გადმოსაცემი შინაარსის თვალსაზრისით მისი (შესიტყვების) ანალიზი ცალკე საენათმეცნიერო დარგის საგანი უნდა იყოს. ამ დარგს ფრაზეოლოგიას ან სტილისტიკას უწოდებენ.⁴

ქართული მდიდარია სხვადასხვა სახის შესიტყვებებით, მყარი სინტაქსური (ფრაზეოლოგიური) ფორმულების გავრცელებით. სამეცნიერო ლიტერატურაში სამართლიანად მიიჩნევენ, რომ სინონიმები, ომონიმები, ანტონიმები, პარონიმები, ევფემიზმები, ფრაზეოლოგიზმები და ტროპები მრავალფეროვანი აზრის ზუსტად გამოხატვისა და მხატვრული მეტყველების მაღალი კულტურის ენობრივი საშუალებებია, რომლებიც ამდიდრებენ, ალამაზებენ მეტყველებას⁵. მათი შერჩევა და მართებულად გამოყენება უაღრესად მნიშვნელოვანია კონკრეტული სათქმელის გამოსახატავად. გარდა ამისა, მასში ვლინდება როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური სტილის ნიშნები. სტილისტიკის თვალსაზრისით, ფრაზეოლოგიური გამოთქმა, შესიტყვება ენის მნიშვნელოვანი გამომსახველობითი ენობრივი საშუალებაა, რომლის სიმრავლე როგორც წერითი, ისე ზეპირი მეტყველებისას გამოხატავს სალიტერატურო ენის სიმდიდრესა და მოქნილობას. „იდეალური სტილი საუკეთესო შეფარდებაა სათქმელსა (გადმოსაცემ შინაარსსა) და თქმულს (გადმომცემ ენობრივ საშუალებას) შორის“.⁶

თუმცა ამავედროულად შეინიშნება და საყურადღებოა კალკირების საფუძველზე წარმოქმნილი ერთგვარი მყარი ფრაზეოლოგიური ფორმულების გავრცელებაც, რომელთა გააქტიურება თვალში საცემია ენის ბუნებრივ შესიტყვებათა შევიწროებისა და გაღარიბების ფონზე. ამგვარ კონსტრუქციათა გამომწვევ „ბირთვს“ რომელიმე კალკირებული შინაარსისი ზმნა (ან შესაბამისი

³ ბ. ფოჩხუა. ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი, 1974, გვ. 172.

⁴ ბ. ფოჩხუა. ქართული ენის ლექსიკოლოგია. თბილისი, 1974, გვ. 10-11.

⁵ ნ. ბასილაია. ქართული პრაქტიკული სტილისტიკა. თბილისი, 1991, გვ. 145-146.

⁶ არნ. ჩიქობავა. ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი, 1952, გვ. 314.

სახელზმნა) წარმოადგენს ხოლმე ⁷: ხელფასის გაცემას აწარმოებს, მოსავლის აღებას აწარმოებს, სადამოს ატარებს... ხშირ შემთხვევაში ზოგი ზმნა იფართოებს ასპარეზს (ზოგჯერ უმართებულოდაც) და სხვა შინაარსსაც იძენს.

სიტყვას სალიტერატურო ენაში ამ ენის განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე სრულიად გარკვეული მნიშვნელობა აქვს. არ შეიძლება, რომელიმე სიტყვა ნებისმიერ სხვა სიტყვას დაუკავშიროთ. ყოველ სიტყვას ამავე დროს აქვს თავისი მყარი ადგილი ტრადიციულ სიტყვათშეხამებებში და სალიტერატურო ენის მომხმარებელთა უმეტესობა იყენებს ამ მზა სიტყვათშეხამებებს. ფრაზეოლოგიზმთა და მყარ გამონათქვამთა გამოყენება უფრო გამომსახველსა და მოქნილს ხდის პრესის ენას, მაგრამ, როდესაც ამგვარ გამონათქვამებში შეცდომებია დაშვებული, მაშინ ისინი კარგავენ თავიანთ ღირებულებას და ფრაზას ამახინჯებენ. მაგალითად, ზმნა **მოიტანა** შეუფერებელია სახელისათვის **შედევები** შედეგები მოიტანა. უფრო მართებულია გასწორდეს ასე **შედევები გამოიღო//შედევები მოგვცეს**; ასეთივე უმართებულოა შესიტყვება **პოზიციები მოიპოვა** სწორი ფორმაა **პოზიცია დაიკავა**⁸.

ასეთივე ვითარება გვაქვს ისეთ მყარ გამონათქვამებთან, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია **დადო, დებს** ზმნა. ასეთებია შემდეგი ბუნებრივი მყარი შესიტყვებები: ზავი დადო, პირობა დადო, შეთანხმება დადო, ხელშეკრულება დადო, ფიცი დადო, აღთქმა დადო, კონტრაქტი დადო, სანადღეო დადო... ეს შესიტყვებები გამოიყენება როგორც გაბმულ მეტყველებაში, ისე სალიტერატურო და მასმედის ენაში. ჩვეულებრივ კი ის ენის ოფიციალურ-საქმიან სტილშია უფრო გავრცელებული და დამკვიდრებული.

ბოლო ხანებში შეინიშნება **დადო, დებს** ზმნის შესიტყვების ნაწილად ქცევის ტენდენცია სხვა კომპონენტებთან მიმართებითაც. განსაკუთრებით გახშირდა შემდეგი გამოთქმები პრესის ენაში ზმნა **დადო** სინტაგმას ქმნის შემდეგ სახელებთან: **შედევები დადო, დასკვნები დადო, კვლევა დადო, ნაშრომი დადო, სიუჟეტი დადო, დოკუმენტი დადო**. მაგალითად, ლაბორატორიული კვლევის ცენტრმა ზღვის წყლის სინჯების **შედევები დადო** („ნეტგაზეთი“); ექპერტ თორნიკე შარაშენიძის მოსაზრებით, ამერიკის დემოკრატიული ინსტიტუტის I-ის კვლევებით მოსალოდნელი **შედევები დაიდო** („ასავალ-დასავალი“); რა **შედევები დადო** ამომრჩეველთა სიების დაზუსტების უზრუნველყოფის კომისიამ? („24 საათი“); ისე ისწავლა მიხაკო წერეთელმა ასიოროლოგია, რომ რამდენიმე წელიწადში **დადო** ინგლისურ ენაზე თავისი **ნაშრომი** („რიმე თიმე“); ამასთანავე, მას აქვს ნაშრომები, რომლებიც ეხება თანამედროვე არქეოლოგიურ გათხრებს და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი **დასკვნა დადო** ანგობიანი ნაწარმის მიღების შესახებ („ახალი თაობა“); ვფიქრობ, ნაშრომი გარკვეულწილად გააცნობს და წარმოადგენს შეუქმნის იმ მედიასაშუალებებზე და ადამიანებზე, რომელთაც **სიუჟეტი დადეს** ამის შესახებ („რუსთავი 2“); მან არაჩვეულებრივი **დოკუმენტი დადო** განათლებისა და მეცნიერების განსავითარებლად („24 საათი“). ის **შედევები**, რომელიც ჩვენმა გუნდმა **დადო**, ნამდვილად საუკეთესოა გასულ წლებთან შედარებით („სპორტი“); რომ ვერ **დაიდოს** გამოძიების **პასუხი**? („იმედი“); ერთ-ერთ ამერიკულ ფორუმზე ერთმა გოგონამ **დადო** შემდეგი შინაარსის **კომენტარი** („იმედი“)...

ცხადია, **დადება** ზმნა აქ სწორედ იმ კონტექსტით, უფრო სწორად, იმ შესიტყვების შინაარსით გავრცელდა, როგორც ზემოთ აღნიშნულ შესიტყვებებში იყო დამკვიდრებული აღრიდანვე: **ფიცი დადო, ხელშეკრულება დადო, კონტრაქტი დადო...**

მოცემულ გამოთქმებში **დადო** ზმნის ნაცვლად სხვა ზმნები ქმნიან სინტაგმას. ვფიქრობთ, უფრო მართებული იქნება ამ შესიტყვებათა შემდეგი ბუნებრივი და დამკვიდრებული ფორმების გამოყენება: **შედევები აჩვენა//შედევებს მიაღწია**,

⁷ ავთ. არაბული. ქართული მეტყველების კულტურა. თბილისი, 2014, გვ. 245.

⁸ თ. ზურაბიშვილი, ც. კალაძე. მნიშვნელობის თვალსაზრისით შეუფერებელი სიტყვათშეხამებანი თანამედროვე ქართული ენის პრესაში.— კრებული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“. წიგნი მესამე. თბილისი, 1980, გვ. 97-98.

დასკვნა გამოიტანა//დასკვნა გააკეთა, გამოკვლევა აჩვენა//გამოკვლევა ჩაატარა, ნაშრომი შექმნა//ნაშრომი დაწერა, სიუჟეტი მოამზადა//სიუჟეტი გააკეთა, დოკუმენტები აჩვენა//დოკუმენტები წარადგინა//დოკუმენტები მოამზადა...

აღწერილი შესიტყვებანი, მიუხედავად იმისა, რომ მათში გადმოცემული აზრი გასაგებია და გრამატიკული დარღვევები არ გვაქვს, მაინც ვერ ჩაითვლება სწორად სტილისტიკური გაუმართაობის გამო. სახელურ-ზმნური გამონათქვამი ავლენს მეტნაკლებად განსხვავებულ ახალ აზრობრივ ნიუანსს და სტილისტიკურ შეფერილობას, რომელიც შეაქვს მის სემანტიკაში სწორედ მასში შემავალ ზმნას თავისი ახალი ლექსიკური შინაარსით. ვფიქრობთ, ხშირ შემთხვევაში ეს აზრის გაღარიბებასა და გაბუნდოვანებას იწვევს.

ს ა მ ა რ თ ა ლ ო

გურამ უგრეხელიძე

ჰუმანურობის ზნეობრივი ძალა

გურამ უგრეხელიძე (1909-1994) გამორჩეული იყო იმ იურიდიული სკოლისა, დიდმა ქართველმა განმანათლებელმა – ლუარსაბ ანდრონიკაშვილმა, ზოზო ნანეიშვილმა, იროდიონ სურგულაძემ, ალექსანდრე ვაჩიშვილმა რომ დააფუძნეს თბილისის უნივერსიტეტში. თავისი ხანგრძლივი ცხოვრება, შესანატრი ცოდნა და განათლება განსვენებულმა მართლმსაჯულების, ადამიანის უფლებების სამართლიანი დაცვის მსახურებას მიუძღვნა. დახვეწილი ინტელიგენტი, მინდობილი საქმის ნიუანსებში ყოველთვის დეტალურად გარკვეული ადვოკატი, სასამართლო დაცვის ტაქტიკასა და ხელოვნებას უბადლოდ რომ ფლობდა. პირადი ქცევის წესით, მჭერმეტყველებით საზოგადოებას რომ ხიბლავდა. განთქმული იურისტების – ოსიკო ბარათაშვილის, შალვა მესხიშვილის, ბიძინა ბარათაშვილის, ანდრო გელოვანისა და სხვა ოქროპირთა გვერდით ყოველთვის ამშვენებდა ქართველ იურისტთა დიდ ამქარს. მისი სამოღვაწეო დევიზი იყო სიმართლისათვის შეურიგებელი ბრძოლა. გურამ უგრეხელიძის მეცადინეობით არა ერთ საქმეს მოეფინა ნათელი და ამის კვალობაზე უზემია სამართლიანობას. მეორე მსოფლიო ომში მისი უშუალო მონაწილეობაც სამართლიანობისათვის ბრძოლის ერთ-ერთი გამოხატულება იყო. სწორედ ამ თვისებათა გამო მაღლიერი საზოგადოების ხსოვნაში მან სამუდამოდ დაიმკვიდრა უღალატო პროფესიონალისა და ნამუშიანი კაცის სახელი.

აღსანიშნავია გურამ უგრეხელიძის პუბლიცისტური და ლიტერატურულ-მთარგმნელობითი დეაწლი. მის კალამს ეკუთვნის მეცნიერულ დონეზე, პოლემისტური შემართებით დაწერილი მრავალი პუბლიკაცია პოლიტიკის, მორალის, იურისპრუდენციის, ესთეტიკის, ეროვნული მოძრაობისა თუ თანამედროვეობის საჭირობოროტო პრობლემებზე. ქართულ მთარგმნელობით საგანძურს ამშვენებენ უშუალოდ ორიგინალიდან შესრულებული მისი თარგმანები შექსპირის, ბაირონის, შელის, ედგარ პოს, ლონგფელოს, აგრეთვე პუშკინის, ლერმონტოვის პოეზიის ნიმუშებისა.

ქვემოთ გთავაზობთ გურამ უგრეხელიძის ნაშრომს „ჰუმანურობის ზნეობრივი ძალა“.

პრესაში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი საყოველთაო სახალხო განხილვისათვის, რამაც უკვე ჰპოვა სათანადო გამოხმაურება, ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრის სახით, „საფუძვლების“ პროექტში აღნიშნულია მრავალი უფლებრივი საკითხი, რაზედაც იკრიბება შენიშვნები, შესწორებები და დამატებები, მაგრამ დღემდე გამოთქმული მოსაზრებებიდან მეტი დავა გამოიწვია დამნაშავეის სიკვდილით დასჯის საკითხმა.

პროექტის მე-4 თავის 41-ე მუხლით გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა დახვერცის სახით სახელმწიფოს დაღატაზე, შპიონაჟზე, ტერორისტულ აქტზე, დივერსიაზე, განზრახ მკვლელობაზე დამამძიმებელ გარემოებაში და მცირეწლოვანის გაუპატიურებაზე. თანაც სასჯელის ეს ზომა მოცემულია არა იმპერატიული ფორმით, არამედ მიჩნეულია დასაშვებად, ცხადია, ამ მუხლის შინაარსს ოდნავადაც არ ცვლის ის, რომ შიგ სწერია – „მის სრულ გაუქმებამდე“. იგივეს თქმა შეიძლება კოდექსის თითქმის ყველა მუხლზე, რაც არ ქმნის რაიმე პრივილეგიურ სხვაობას, და ჟღერს როგორც შენიღბული ბოდიში. განა 1950 წელს, სიკვდილით სასჯელის მეორედ შემოღების დროსაც იგივე არ ეწერა, რომ ის არის დროებითი ზომა და იმოქმედებს მის სრულ გაუქმებამდე? ამიტომ თუ სიკვდილით სასჯელი კანონად იქცევა, ზედმეტად მიმანია იმის აღნიშვნა, რომ ის არის დროებითი და იარსებებს „მის სრულ გაუქმებამდე“. მით უმეტეს, რომ ჩვენს სინამდვილეში არაერთხელ იქნა შემოღებული და გაუქმებული ასეთი სასჯელი.

დამნაშავის სიკვდილით დასჯის აქტში გვესახება, სამი სტადია: სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოსაგან დამტკიცებული კანონი; სასამართლოსაგან გამოტანილი განაჩენი დამნაშავის სიკვდილით დასჯის შესახებ და ძალაში შესული განაჩენის აღსრულება. ამსრულებელს მიაჩნია, რომ ის ასრულებს სამსახურებრივ მოვალეობას სახელმწიფოს წინაშე. მოსამართლე თვლის, რომ მსაჯულებთან ერთად ის ხელმძღვანელობს კანონით დამნაშავე პირის მიმართ, რაც მას თანამდებობრივად ევალება, ხოლო კანონმდებელი მიიჩნევს, რომ სიკვდილით დასჯის დაწესება არის ხალხის ნება, სახელმწიფო აქტში გამოხატული. ამის მიხედვით არავის არ სურს დაირქვას, რომ ის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის მონაწილეა. მოსამართლეს რომ ევალებოდა თავისივე სასიკვდილო განაჩენის აღსრულება, მაშინ ის ასეთ განაჩენს არ გამოიტანდა, არც სასიკვდილო განაჩენის ამსრულებელი გამოიტანდა ასეთ განაჩენს, რომელიც თვით უნდა მოეყვანა სისრულეში.

რომის ერთმა იმპერატორმა, რომელმაც სასიკვდილო განაჩენი თავისი ხელის მოწერით დაამტკიცა, არტისტული ფარისევლობით წამოიძახა: „რა უბედური ვარ, რომ წერა ვიციო“. მიუხედავად ამისა, მას არ გაძნელებია განაჩენის დამტკიცება, თუმცა იგი უჭკველად უარს იტყოდა, რომ მსჯავრდებული თვითვე აეყვანა სახრჩობელაზე.

პროექტის პრეამბულაში საზეიმოდ ისმის, რომ „პირი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული და გამოისყიდა თავისი ბრალი, ახლად შეუძლია გახდეს სრულფასოვანი მოქალაქე საბჭოთა საზოგადოებისა“. მაგრამ ეს ზოგადი დებულება ავტომატურად უქმდება, როცა სიკვდილით დასჯის აღსრულება. განწმენდის და სიკეთის ეს გზა მისთვის მოსპობილია. ამიტომ პრეამბულის ეს ნაწილი ამ სახით უნდობლობას იწვევს, რადგან იგი არ მიესადაგება სიკვდილით დასჯის შემთხვევას, და, მაშასადამე, დანაშაულის ყველა შემთხვევას.

როცა ომში ან რევოლუციის დროს მკვლელობას სჩადიან, იქ საკუთარი სინდისის ხმა არის მეგზური მოქმედებისა, რითაც იცავ შენი ხალხის ან კლასის ინტერესებს. ამ აქტში სამართლიანობის საკუთარი შეგნება შეესატყვისება ეროვნულ, საზოგადოებრივ ან კლასობრივ მართლშეგნებას, მის მიზნებსა და სურვილებს, როცა შენი მოქმედება ეთანხმება შენსავე რწმენას, იმის შესაფერი ბრძანება, დავალება ან წაქეზება, თანხმობით აღიქმება. ამის გარეშე არავის სურს ადამიანის სიკვდილით დასჯის აქტის მონაწილის პასუხისმგებლობა იკისროს.

მეფის ნაცვალმა ვორონცოვმა შუამდგომლობით მიმართა მეფეს, რომ მას ნება დაერთო ჯარისკაცები გამოეყენებია ჩამოხრჩობამისჯილ მსჯავრდებულთა მიმართ განაჩენის აღსრულებისათვის. ამის საჭიროებას იგი იმით ხსნიდა, რომ ძვირი ჯდებოდა ასეთი პირების ჩამოყვანა ერეგის გუბერნიიდან, ხოლო თბილისის ან ქუთაისის გუბერნიიდან მათი შოვნა შეუძლებელი იყო. მეფის რეზოლუცია შუამდგომლობაზე ასეთი იყო: „მე ჯარი მყავს გარეშე მტრებთან საომრად და არა საკუთარ ქვეშევრდომთა ჩამოსახრჩობადო“. ასეთ რეზოლუციას ცხადია მეფის ნაცვალმა ვერ გადაუდგა. ყველა ქვეყანაში დაყ ველა ეპოქაში ერიდებოდნენ ხსენებული მოვალეობის შესრულების დავალებას, თუ თვითონ არ გამოჩნდებოდნენ ამის მოხალისენი.

ფილოსოფოსი სოკრატე მიიჩნევდა, რომ კანონი, როგორც საზოგადოების სიმტკიცის უზრუნველყოფა, ყოველთვის უნდა იქნეს დაცული თუნდაც მისი შეცდომით გამოყენებისას. თუ მოსამართლენი უნებლიედ ცდებიან, ეს ხომ კანონის ნაკლი არ არის და მისთვის, რომ კანონს სახელი არ გაუტყდეს, მაინც უნდა შესრულდეს. სოკრატე ასეთი შეგნებით შეეგუა არეოპაგისაგან გამოტანილ სასიკვდილო განაჩენს და მშვიდად შესვა შხამით სავეს ციკულა, როცა შეეძლო თავის გადარჩენა თავის მოწაფეთა დახმარებით.

სახელმწიფოსურჩევნია, დანაშაული მოკლას ადამიანში, ვიდრე თვით ადამიანი მოკლას დანაშაულთან ერთად, მაგრამ იგი უძღურია, რომ ისინი ერთმანეთს დააშოროს. დამნაშავე პირის სიცოცხლეში შეუძლებელი გახდა, რომ მას დანაშაული არ ჩაედინა. შემდეგ კი მის გამოსწორებაზე ზრუნვა უნაყოფოდ

ჩათვალა. ამრიგად, არც დანაშაულამდე და არც მის შემდეგ, მისი სწორ გზაზე დაყენება არ მოხერხდა. ამ საკითხის გარკვევისას მარქსმა, როგორც დიდმა იურისტმა, დაასკვნა, რომ კანონების სიმკაცრე სახელმწიფოს სისუსტეა, ხოლო მათი ღმობიერება – სახელმწიფოსა და საზოგადოების სიძლიერე.

შრომა-გასწორების დაწესებულებებს არ გააჩნიათ საკმარისი და შესაფერისი საშუალება, რომ შრომის გონივრული ორგანიზაციითა და სხვა პედაგოგიური საშუალებებით მსჯავრდებულთა გამოსწორება უზრუნველყონ. არც დოსტოევსკი და არც სოლჟენიცინი არ გეჭირდება, რომ ამაზე სარი წარმოდგენა ვიქონიოთ. ჩვენმა ხალხმა ყველაფერი თვით გამოცადა ამ მხრივ.

მრავალი ქვეყნის სტატისტიკური დაკვირვებანი ცხადყოფს ამ მყარ სინამდვილეს, რომ სიკვდილით დასჯის კანონის მოქმედებას განუყრელად თან სდევს იმ დანაშაულთა რიცხვის ზრდა, რომელიც მას იმსახურებს. ასეთი კანონის გაუქმების შემდეგ კი საგრძნობლად იკლებს ასეთი დანაშაული. ასევე, სახელმწიფოში, სადაც ასეთი კანონი არ არის მოქმედებაში, ნაკლებია შესატყვისი დანაშაული, ვიდრე იქ, სადაც სიკვდილით სასჯელი მოქმედებს, ეს ძნელად ასახსნელი უკუფარდობა მრავალი იურისტის, ფსიქოლოგისა და სოციოლოგის დაეჭვებას იწვევს და გამოცანად რჩება.

ანგარიშგასაწვეია ისიც, რომ მოსამართლეს მოვლენების შეფასების საკითხში „შეცდომის უფლება“ ენიჭება, რაც მას თამამს ხდის საკუთარი გადაწყვეტილების მიღებისას. ასეთი სითამამე კი ყოველთვის არ ამართლებს და მას სავალალო შედეგამდე მივყავართ, რისი გამოსწორებაც შეუძლებელი ხდება. სისრულეში მოყვანილი სასიკვდილო განაჩენის შემდეგ, რეაბილიტაცია ვერაფერი ნუგეშია. დიდად სავალალოა, რომ ჩვენში ჯერ დაფარულია და არ ქვეყნდება ხალხის გასაცნობად სასამართლოსაგან დაშვებული ტრაგიკული შეცდომები. ასეთი შეცდომები კი საკმაოდ იყო და არავითარი გარანტია არ არის, რომ ისინი არ განმეორდება, ან რა ზომით განმეორდება. ესეც ერთი არგუმენტია იმის წინააღმდეგ, რომ სიკვდილით დასჯა დატოვებული იქნეს სასჯელთა სიაში.

უახლესი სოციოლოგიური გამოკვლევები ადასტურებენ, რომ ჩვენი საზოგადოების მართშეგნების დონე მეტად დაბალია. დიქტატურის პირობებში ხანგრძლივმა ცხოვრებამ საზოგადოება საერთოდ გადააჩვია კრიტიკულ აზროვნებას. მბრძანებლისთვის ზედმეტია რამეზე გონივრული დაფიქრება, რადგან მისი ნათქვამი უსიტყვოდ სრულდება. მორჩილებაში მყოფისთვის კი მხოლოდ შეუსიტყვებელი შესრულებაა სავალდებულო და აზრის მოძრაობა მას არ სჭირდება. ისინი კი, ვინც თანამდებობრივად ემსახურებოდა იუსტიციას, უფრო მეტად იყვნენ მოქცეული ბრძანებათა და კარნახის არტახებში. მათში ჩაკლული იყო სამოსამართლო თავისუფალი აზროვნების სტიმული. არც თუ რაიმე საწინააღმდეგოს ამჟღავნებდნენ ასეთი მდგომარეობის მიმართ, რადგან ძალაუფლება და ანგარება თუ დაუსჯელი დარჩება, ბევრს სიამოვნების წყაროდ ევლინება. ამით უნდა აიხსნას ის, რომ სამოციანი წლების დასაწყისში ახალი კანონების მიღებისას მრავალი ჰუმანური და დემოკრატიული ნორმა იქნა შეტანილი კოდექსში, მაგრამ სასამართლო პრაქტიკაში ისინი დღესაც არავის გამოუყენებია. მართშეგნების დაბალი დონე და უფლებრივი უფიცობა სამართლებრივი ანარქიისა და განუკითხაობის მშობელია. ასეთი დაჩლუნგებული მართშეგნების მემკვიდრეობის პირობებში, დიდხანს არ უნდა ველოდოთ საიმედო კადრს, რომ შემუცდარი ალღოთი არ იქნეს გამოტანილი სიკვდილის სასჯელიანი განაჩენი.

სრულიად უარყოფილია სასამართლოს სასამართლოს დარგში დიდ მოაზროვნეთა ნაღვაწი. უგულვებელყოფილი იყო სამართლის ფილოსოფია, სამართლის ენციკლოპედია და საერთოდ სამართლის იდეა. არსებობდა მხოლოდ ერთი შეუვალი დებულება – სამართალი არის კლასთა ბატონობის იარაღი და იგი იყენებს მას ისე, როგორც ეს ესაჭიროება სახელმწიფოს მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში. სინამდვილის ელემენტი რომ მოიპოვება ამ დებულებაში ეს არ ნიშნავს, რომ მისი შიშველი გამოყენებით გატაცებულმა ყური არ ვათხოვოთ

იურიდიული აზრის განვითარების ისტორიას. ჩვენს სინამდვილეში ისიც კი მოხდა, რომ ჯერ ახალი კანონი შემოიღეს სიკვდილით დასჯის შესახებ და მერმე მას მისცეს უკუქცევითი ძალა. აი სანამდე მიგვიყვანა უფლებრივმა ანარქიამ. თვით მკვლევარ მეცნიერებსაც არ მიუწევდათ გული დიდი მოაზროვნე იურისტების შრომებისაკენ, რადგან მათ გასავალი არ ჰქონდა. ამის შედეგი დღესაც შესამჩნევია. იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, საკავშირო აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი ს. გ. კელინა მიიჩნევს, რომ პირველად სიკვდილით დასჯის მიმართ უარყოფითი შეხედულება გამოთქვა მე-18 საუკუნის იტალიელმა მოაზროვნე იურისტმა ჩეზარე ბეკარია. სინამდვილეში სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ყველა წინა ეპოქაში იყო მოძრაობა. ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში ქრისტეს წინ, როცა ქალაქ არგოსამდე მიადწია ხმამ, რომ ქალაქ ათინაში მოქალაქენი სიკვდილმისჯილნი იყვნენ, ხალხი მასობრივად გაემურა ტაძრებში და ღმერთებს დაუწყო ვედრება – ხელი აეღოთ ათენელებს ასეთ მრისხანე გადაწყვეტილებაზე, რაც თვით ბუნებას ეწინააღმდეგება. ამრიგად, სიკვდილით დასჯის განაჩენის მიმართ დიდი ხნის წინათ იყო აღმდგარი არა მარტო ერთეულ ადამიანთა გონება, არამედ ხალხის მართლშეგნებაც ვერ ეგუებოდა მას.

სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილაშქრებდა თვით რობესპიერი, რომელიც ისტორიაში შევიდა როგორც სისხლიანი დიქტატორი. როდესაც ლენინს ჰკითხეს, გამარჯვებული რევოლუციის შემდეგ თუ ვისთვის აგოთ სახელის უკვდავსაყოფი ძეგლი, მან უპასუხა – პოლიტიკური მოღვაწეებიდან რობესპიერს, ხოლო პოეტებიდან ბაირონს.

რობესპიერის ძეგლი დადგეს კიდევ კრემლის მიმდებარე ბაღში, რომელიც ათი წლის შემდეგ გაურკვეველი მიზეზის გამო აიღეს, ხოლო ბაირონის ძეგლმა დადგმა აღარ მოესწრო. რობესპიერმა დასაბუთებული სიტყვა წარმოთქვა დამფუძნებელი კრების წინაშე, რითაც სასტიკად გაილაშქრა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ არა მარტო საფრანგეთში, არამედ მთელ ქვეყანაზე. გამონაკლისად მიიჩნია მხოლოდ რუსეთის იმპერია, რომელიც მისი თქმით, ყოველთვის მორჩილი იყო დესპოტიზმისა. ასი წლის შემდეგ იგივე აზრი გაიმეორა უდიდესმა საზოგადო მოღვაწემ ვიქტორ ჰიუგომ. მისი თქმით, „გილიოტინა, როგორც სიკვდილით დასჯის იარაღი და სიმბოლო, უნდა განდევნილი იქნეს არა მარტო საფრანგეთიდან და სხვა ცივილიზებულ ერებიდან, არამედ ველურ, კაცობრივ ქვეყნებიდანაც კი, მაგრამ თუ დვთისაგან ნაბრძანებია, რომ მან ცოდვილ მიწაზე მაინც უნდა იარსებოს, მაშინ მისი ადგილია რუსეთში, სადაც მას მიიღებენ ხელგაშლილი და გულში ჩაიხუტებენ“.

არც რობესპიერს და არც ჰიუგოს, ეს აზრი არ გამოუთქვამთ ორატორული გაფიცების დროს. ორთავემ ნაფიქრალი, წერილობითი ნაშრომის სახით, დაბეჭდილი შესთავაზეს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს.

ასევე გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა სიკვდილით დასჯას ილია ჭავჭავაძე, დღეს უკვე წმინდა „ილია მართლად“ წოდებული. ილიას ქვრივი, მისი თანამოაზრე, მაღალი ზნეობისა და განათლების ადამიანი, ოღდა გურამიშვილი, შუამდგომლობდა მეფის წინაშე, რომ ილიას მკვლეელი არ დაესაჯათ სიკვდილით და ამით ეცათ პატივი ილიას უფლებრივი მრწამსისათვის. ამ შემთხვევის გამო დიდმა საზოგადო მოღვაწემ, გამომცემლობა „პოსრედნიკის“ ხელმძღვანელმა, ტოლსტოის მეგობარმა. გორბუნოვოსადოვმა აღიარებულ ავტორიტეტულ ჟურნალში „რუსსკიე ვედომოსტიში“ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც ნათქვამია: „როდესაც მთელ რუსეთში გამეფებულია ზნეობრივი სიბნელე, უკუნეთი და ყოველ ნაბიჯზე გაისმის მოჰკალ, ჩამოახრჩე, დახვრიტე და ლამის სასოწარკვეთილების მორევში ჩავიხრჩოთ, ამ დროს საქართველოს საუკეთესო შვილის ქვრივი, რომელსაც საყვარელი მეუღლე ბარბაროსულად მოუკლეს და თვითონაც მხეცურად დაჭრეს, მთავრობას ევედრება, სიკვდილით ნუ დასჯით მკვლელს...“

აქამდე ვიცოდით, რომ ფიზიკური მზე აღმოსავლეთიდან ამოდის, ახლა კი უნდა ვირწმუნოთ, რომ ზნეობრივი მზე საქართველოდან აშუქებს“.

ამის მიხედვით, არა მარტო ჰიუგო და რობესპიერი, არც რუსი პროგრესული მოაზროვნენი იყვნენ სხვა შეხედულების მაშინდელ რუსეთზე, ისე როგორც სიკვდილით დასჯაზე.

კორესპონდენტთან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ფილატოვის ამასწინანდელი საუბრის დროს ნათელი გახდა, რომ ჩვენში დღეს საშიში ზომით მოქმედებს მაფია, კორუპცია, რეკეტი და სხვა ორგანიზებული დანაშაულობანი, რის გამოც აურაცხელი წერილები იყრის თავს და რითაც ჩანს, რომ საზოგადოებრივი აზრი ემხრობა სასჯელების გამკაცრებას. არის საწინააღმდეგო დასაბუთებული შეხედულებაც კანონების ჰუმანიზაციის შესახებ. სახელმწიფოში, სადაც მოქმედებაშია სხვადასხვა ენა, რელიგია, ზნეობა, მეურნეობა, ყოფითი კულტურა, ტრადიცია და არსებობს მრავალი ეროვნება, ძნელია ისეთი რაიმე შექმნა, რაც ყველაფერ ამაზე მაღლა დადგება და მყარი მრწამსით შეკრავს, გააერთიანებს მათ. შეიძლება ეს მიღწეულიყო სოციალიზმის იდეით, რომ მისთვის წარსულში მრავალი შეცდომით სახელი არ გაეტეხათ. ამის გამო სისხლის სამართლის საფუძვლების პროექტი გონივრულად და დიფერენციულად უდგება სამართლებრივ ნორმებს – რიგ დანაშაულობათა მიმართ ღმობიერ სასჯელებს აწესებს, ხოლო სიკვდილით სასჯელს ძალაში ტოვებს. ერთი შეხედვით, რად უნდა მოხდეს უკეთილშობილესი გრძნობის – შემწყნარებლობის გამოყენება, ზომადაკარგულ ბოროტმოქმედების მიმართ, მეორეს მხრივ კი სახელმწიფოს სახელით, რომელიც საერთოდ აღიარებულია მსოფლიოში როგორც ერთ-ერთი უძლიერესი, რა გამართლებით შეიძლება ადამიანის სიკვდილით დასჯა და მის წინაშე სისუსტის გამოჩენა. ძნელია, მეტად ძნელია აქ არჩევანის მიღება.

იუნესკოს მონაცემებით, 1988 წლის დამლევსთვის მსოფლიოს 80 ქვეყანაში სიკვდილით დასჯა არ არსებობს. ხოლო ზოგან კი, სადაც იგი კიდევ არსებობს, პრაქტიკულად არ გამოიყენება. შვედიაში 100 წელზე მეტია, რაც დამნაშავე სიკვდილით არ დაუსჯიათ. ასეთი სინამდვილის წინაშე მეტად ძნელია გადაწყვეტილების მიღება და პროექტის დამტკიცება ამ საკითხში. გულისტკივილით უნდა აღვნიშნო, რომ 1962 წელს, ახალი კანონების შექმნის მიზნით მოწყობილ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი, მთელი რიგი დემოკრატიული ნორმები იქნა რეკომენდებული, რაც შემდეგში კანონის ნორმად იქცა და კოდექსში შევიდა, მაგრამ მათი რეალური გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში არც მომხდარა და არც ვისმეს მოჰკონებია. ამ ჰუმანურ ნორმებს კოდექსში სძინავთ და გარდაქმნის ცხოველმყოფელს სიოს ღიან.

აქვე უნდა დავსძინოთ, რომ მსჯავრდებულის სიკვდილით დასჯა ხდება გარკვეული პირის მიერ, რომელსაც ჯალათს ვეძახით. მის გარეშე განაჩენის აღსრულება არ ხდება და, ცხადია, საჭიროა ასეთი პირის მომზადება და პროფესიაზე მისი შეგუება. ამგვარად, თუ ერთი პირი ფიზიკურად კვდება, მისი ჯალათი მორალურად ნადგურდება და სცილდება ზნეობრივ სამყაროს. მისთვის უცხოა ბავშვების აღზრდაზე ზრუნვა და მათ მიმართ ადამიანური სიყვარულის გამოვლენა. ამდენად, სიკვდილით სასჯელი იწვევს როგორც მოკლულის, ისე ჯალათის სიკვდილს საზოგადოებისათვის და შეიძლება მეორესთვის კიდევ უფრო მეტად, ვფიქრობ, ამანაც უნდა დაგვაბრკოლოს სასჯელის ასეთი სახის დაწესებაზე.

50 წელზე მეტია სასამართლოს პრაქტიკის აქტიური მონაწილე ვარ და ახლოს ვიცნობ ქართველი ხალხის სამართლებრივ მისწრაფებათა სამყაროს. წლების განმავლობაში ვეცნობოდი სხვადასხვა ქვეყნისა და ეპოქის მოაზროვნე იურისტთა ნააზრევს. ვამაყობ ქართული სამართლის ისტორიის ჰუმანური პროცესებით სხვა მრავალი ქვეყნის შედარებითი სამართლის ასპექტში.

ამიტომ არ შემიძლია მხარი დავუჭირო პროექტით გათვალისწინებული სასჯელის ზომას – სიკვდილით დასჯას.

მინდია უგრეხელიძე, პროფესორი

ლეგიმეტრიის შესავლისათვის

(სამართალი - განზომილებათა სისტემა)

საწყისი პოზიცია

სამართლის მეცნიერება ნორმატიული დარგია. უწინარესად და უპირატესად სწორედ ამით განსხვავდება ის სხვა მეცნიერული დისციპლინებისაგან. თუ ისტორიის მეცნიერებისათვის, მაგალითად, გარდასული ფაქტების მოძიება და აღწერაა მთავარი ამოცანა, ხოლო ფსიქოლოგიაში კი ფსიქიკური ფუნქციებისა და პროცესების სათანადო ახსნა-დახსნათებაც საჭიროა, სამართალში ეს საკმარისი არ არის. აქ შეფასებაც აუცილებელია, თანაც, ნებისმიერი კი არა, არამედ <<უნდას>> - მიერი შეფასება. სხვანაირად ეს იმის განსაზღვრას ნიშნავს, თუ რა მოეთხოვება სამართლის გარკვეულ ადრესატს (ინდივიდუალურსა თუ კოლექტიურს), და რა - არა, ამა თუ იმ არასასურველი შედეგების მოსალოდნელობის ქვეშ.

მართალია, <<უნდას>> - მიერი შეფასება ეთიკისთვისაც თანაარსია, მაგრამ ეს გარემოება არა თუ ამცირებს ან საეჭვოს ხდის სამართლის ნორმატიულობას, არამედ, პირიქით, ადასტურებს და განამტკიცებს კიდევაც ამ იდეას. ეს იმიტომ, რომ ეთიკური ან მორალური ელემენტი სამართლის საფუძველში იმთავითვეა ჩამონტაჟებული¹ და იგი მუდმივ ურთიერთქმედებაში იმყოფება ამავე საძირკველში ჩასტრუქტურებულ პოლიტიკურ (მიზანშეწონილობის) ელემენტთან. სწორედ ამ ორი ფუნქციონირების საწყისის - მორალურისა და პოლიტიკურის ურთიერთქმედება განსაზღვრავს საბოლოო ჯამში სამართლის შინაარსსა და ქმედითობას. მაგრამ მათი ურთიერთქმედებაცა და ქმედითობაც ცვალებადია (ცვლადია), რადგან მორალურ და პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობაზეა დამოკიდებული იგი შესაბამის ვექტორთა გადაკვეთის წერტილში. თანაც, ვინაიდან მორალური ელემენტი ყოველთვის უფრო კონსერვატიულია (ჩვეულების ერთგული) თავისი ბუნებით, ხოლო პოლიტიკური კი - წინმსწრაფი (მეტი სარგებლის მაძიებელი), მათ შორის ოპტიმალური ბალანსია გამოსაძებნი და დასადგენი.² ეს კი დაუინებით მოითხოვს გარკვეულ გაზომვით (მზომელობით) ოპერაციასა და შესატყვის განზომილებით სისტემას.

თუ გადავხედავთ კაცობრიობის ისტორიას უხსოვარი დროიდან დღემდე, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ამდაგვარი გაზომვები უწინაც ხდებოდა, დღესაც ხდება და კიდევ უფრო ხშირი გახდება მომავალში, სხვა საკითხია - რამდენად მყარ და საიმედო მეცნიერულ საფუძველზე. უძველესი ფორმულა <<თვალი თვალის წილ, კბილი კბილის წილ ...>>, რომელიც ტალიონის პრინციპის სახელწოდებითაა

¹ იგულისხმება ელემენტარული მოთხოვნა, რომ სამართლის ესა თუ ის ნორმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზნეობას (მინიმალური სტანდარტი). მაშასადამე, არამც და არამც მხედველობაში არ არის სამართლებრივი ნორმის გამსჭვალულობა კონკრეტული შინაარსის ზნეობრივი პრინციპებით, მაქსიმებითა და სხვ. (მაქსიმალური სტანდარტი).

² უფრო დაწვრილებით ამის შესახებ იხ.: *Mindia Ugrehelidze*. Ethics Needed to Control Politics. "University Today". 1 October, 2000. p. 5.

ცნობილი,³ სამართალმზომელობის ფაქტს ადასტურებს სამართლის განვითარების ადრეულ ეტაპზე. თუმცა, როდესაც საერთაშორისო თანამეგობრობა 21-ე საუკუნეში რუსეთს სდებს ბრალს სამხედრო ძალის გამოყენების <<არათანაზომიერებაში>> სამხრეთ კავკასიაში შექმნილ საომარ ვითარებასთან დაკავშირებით, არსებითად ესეც იგივეა. უბრალოდ, აქ მასშტაბია გაზრდილი; ამჯერად უკვე არენაზეა <<მისი უდიდებულესობა>> საერთაშორისო სამართალი.

უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო სამართალი, ადამიანის უფლებათა ევროპული სამართლის ჩათვლით, უადრესად ფართოდ იყენებს და მკაცრად მოითხოვს საპასუხო სამართლებრივ ღონისძიებათა და მათი შედეგების <<პროპორციულობას>> ანუ თანაზომიერებას.⁴ ეს კი, ცხადია, გარკვეულ სამართალმზომელობით კონცეფციასა და ტექნიკას უნდა ემყარებოდეს, თუ არ გვინდა, რომ სამართლებრივმა ვოლუნტარიზმმა იმძლავროს. თანაზომიერების მოთხოვნა საერთაშორისო სამართალში შიდასახელმწიფოებრივი სამართლიდან არის გადმონერგილი და დამკვიდრებული, სადაც იგი სამართლის ერთ-ერთ ფუნქციურ პრინციპად გამოიყენება და განიხილებოდა ყოველთვის.⁵

წინამდებარე ნარკვევის მიზანია, შეძლებისდაგვარად ნათელყოს: სამართალმზომელობა, ანუ, თანამედროვე მეცნიერულ ენაზე – <<ლეგიმეტირია>>,⁶ ოდენ თანაზომიერების დადგენას ემსახურება (რაც თავისთავად უდავოა), თუ რაღაც უფრო მეტია თავისი რაობითა და დანიშნულებით?

1. სამართლის „შიგთავის“ შესახებ

ზემორე კითხვაზე პასუხი მით უფრო სარწმუნო იქნება, რაც უფრო საიმედო მეთოდს მოვიმარჯვებთ. საჭიროა ისეთი მიდგომა, რომელიც სასტარტო ვარაუდებს, დაშვებებსა და გონებამჭვრეტელობას დაემყარება, თუმცა ემპირიული ვერიფიკაციით იქნება საბოლოოდ შეჯერებული და დადასტურებული.

უზოგადეს ამოსავალ დებულებად, რომელიც არა მარტო ვირტუალურ სურათს ქმნის, არამედ რეალურ მოცემულობასაც გულისხმობს, გვესახება ის, რომ სამართალი ერთგვარი სივრცეა, ლამის უკიდვანო, რომელიც სხვადასხვა ზომისა და ფორმის უამრავ სეგმენტად, ფიგურად და პუნქტად განიყოფება. მართალია, თითოეული მათგანი ერთმანეთისგან განსხვავდება, მაგრამ, იმავდროულად, მათ აერთიანებთ ძალიან მნიშვნელოვანი რამ, სახელდობრ ის, რომ ერთი მთლიანობის ორგანული ნაწილი არიან; ამ <<ერთს>> განეკუთვნებიან როგორც სუბსტანციურად, ისე ფუნქციური დანიშნულებით. ეს იმას ნიშნავს, რომ თუნდაც მცირეოდენი ცვლილება რომელიმე უბანზე ან უჯრედში აუცილებლობით უნდა იწვევდეს ამა თუ იმ ცვლილებას (მეტ-ნაკლებს) სხვა უბანსა თუ უჯრედში. თუ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ სამართლის ფუნქციონირება, სხვა თანაბარ პირობებში, იმაზე ყოფილა დამოკიდებული, თუ როგორია მოცემულ სამართლებრივ სიდიდეთა ზომა, წონა, ფორმა, განლაგება, მოცულობა სხვა საგნებთან მიმართება, ზემოქმედების ძალა, მიმღეობა ანუ ვალენტობა⁷ და სხვ.

³ იხ.: The Oxford Companion to Law by **David M. Walker**. Clarendon press. Oxford. 1980. p. 1206; **H. Kelsen**. Vergeltung und Kausalität. The Hague, 1941.

⁴ იხ.: **James Crawford**. The International Law Commissions Articles on State Responsibility. Introduction, Text and Commentaries. Cambridge University Press. 2005. pp. 49-50; 294-296.

⁵ ორმხრივ, შემხვედრ მოძრაობაზე - შიდასახელმწიფოებრივი სამართლის ცნებებისა და პრინციპებისა საერთაშორისო სამართალში და, პირიქით, საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და პრინციპებისა შიდა სამართალში - მართებულად მიუთითებს აკადემიკოსი **ლევან ალექსიძე**. იხ.: მისი წინასიტყვაობა წიგნისათვის: **ევა გოცირიძე**, მიზეზობრიობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში, გამომცემლობა ჩI, თბილისი. 2006. გვ. 2.

⁶ დაწვრილებით იხ. **Bob Bishop (Mr. Logic)**. Shades of Reality. Glenbridge Publishing Ltd. 1998. Ch. 10.

⁷ „ტიპობრივი ვალენტობის“ ცნებისა და მისი საკანონმდებლო მნიშვნელობის შესახებ იხ. **Мундия Урехелидзе**, Криминализация неосторожного поведения и онтологическая структура преступления

სამართალი რომ ბუნებრივი მოცემულობა ან ძალა იყოს (დედამიწის მიზიდულობის მსგავსად), ზემოთქმულს მაინც ექნებოდა პრაქტიკული მნიშვნელობა. მაგრამ ვინაიდან სამართალს უდიდესი სოციალური დატვირთვა და მარეგულირებელი ფუნქცია აკისრია, ყოველივე ამის გათვალისწინება გადაწყვეტ მნიშვნელობას იძენს სამართლებრივი მექანიზმების უცდომლად დამონტაჟებისა და, შესაბამისად, სამართლებრივი ცხოვრების სათანადოდ დარეგულირების თვალსაზრისით. უამისოდ სოციალური <<ავარიები>> და <<კატასტროფები>> გარდაუვალი გახდებოდა. ვინაიდან ამ საქმის წარმმართველი სწორედ ადამიანია, როგორც სამართალშემოქმედი სუბიექტი (თუნდაც ბუნებრივ უფლებებთან გვეკონდეს საქმე), ცხადია, იგი შეიარაღებული უნდა იყოს სათანადო ცოდნითა და ტექნოლოგიებით, რაც მიწათმზომელობის, გეომეტრიის, სტრუქტურული ლინგვისტიკისა და სოციომეტრიის მსგავსად,⁸ გაზომვით სამუშაოებს მოხმარდებოდა, ოღონდ - სამართლებრივ სივრცეში, თუმცა, ამისათვის საგულდაგულოდ უნდა შემზადდეს ნიადაგი.

2. საკუთრივ ლეგიმეტრიის საგანი

მაინც, რა იზომება ლეგიმეტრიულ სამართლებრივ სივრცეში? რა არის საგნობრივად ის, რაც შეიძლება, ან აუცილებლად უნდა გაიზომოს? უწინარეს ყოვლისა, ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ რისგან ყალიბდება სამართლებრივი მატერია. მართალია, პასუხი ამ კითხვაზე ნაწილობრივ მაინც იმაზეა დამოკიდებული, თუ სამართლის როგორ გაგებას ვიზიარებთ (ნორმატივიზმი, პოზიტივიზმი, სამართლის ბუნებითი სკოლა, თუ სხვ.), მაგრამ როგორც არ უნდა იყოს კონცეპტუალური ხედვა, მაინც რჩება ობიექტური ნაწილი სამართლებრივი რეალობისა, რომელიც სუბიექტურ შეხედულებებზე და განწყობებზე ან სულ არ არის, ან ნაკლებად არის დამოკიდებული.

ძნელად თუ უარყოფს, მაგალითად, ნებისმიერი სამართლებრივი სკოლის რაგინდარა თავგამოდებული წარმომადგენელი, რომ სამართლის კატეგორიას განეკუთნებიან შესაბამისი ცნებები, იდეები, პრინციპები, ნორმები, ინსტიტუტები, დარგები, სფეროები, სტანდარტები, კონცეპტები, დოქტრინები და სხვ.

თუ ამ საკითხში შევთანხმდებით, მაშინ შემდეგი ამოცანა იმის დადგენა იქნება, თუ რომელი სამართლებრივი სიდიდე შეიძლება გაიზომოს და რომელი - არა. ასე ყალიბდება სამართალმზომელობითი ანუ ლეგიმეტრიული სფერო, რომელსაც, მათემატიკური ლოგიკის ენაზე, შესაძლო <<კვანტიფიკაციის>>⁹ არე შეიძლება ეწოდოს პირობითად.

მომდევნო ეტაპი ძიების გზაზე იქნება იმის დადგენა (ან თუნდაც მიახლოებით განსაზღვრა), თუ რომელია წრე სიდიდეებისა, რომელთა ლეგიმეტრიული გათვლა-გაანგარიშების გარეშე ვერც <<სამართლის ქმნა>>¹⁰ იქნება შესაძლებელი და ვერც <<სამართლის გაჩენა>>.¹¹ ასეთ სამართლებრივ სიდიდეთა სამკვიდროს პირობითად აუცილებელი <<კვანტიფიკაციის>> არე შეიძლება ეწოდოს.

(методологический аспект), Сборник статей: Актуальные проблемы уголовного права, ИГПАН, Москва. 1984

⁸ „განზომილებითი“ ნაკადი ისე ძალუმაღ შემოიჭრა ცხოვრებაში, რომ თვით ხელოვნების დარგსაც ვერ ასცდა მისი დინება. შესაბამისად, უკვე კარგახანია დაგროვდა დიდადი ლიტერატურა. იხ. მაგალითად: Семиотика и искусствоведение. Современные зарубежные исследования. Сборник переводов. Издательство „Мир“, Москва 1972

⁹ „კვანტიფიკაციის“ ცნებისა და მნიშვნელობების შესახებ იხ.: **Н.И. Кондаков**, Легический Словарь – Справочник. Издательство „Наука“, Москва, 1975, стр. 242.

¹⁰ იგულისხმება სამართლის რეალიზაციის, მისი მოქმედებაში ყოფნის, განხორციელების დინამიკური პროცესი, რომელიც ახლოსაა სამართლის ჰიგინისეულ გაგებასთან (იხ.: **Rosalin Higgins**. Problems and Process: International Law and How We Use it. 1994).

¹¹ იგულისხმება გადაწყვეტილების მიღება მართლმსაჯულების ან სათანადოდ უფლებამოსილი კვაზი-სამოსამართლო დაწესებულების მიერ.

ნათელია, რომ შესაძლო კვანტიფიკაციის არე ყოველთვის უფრო მეტი იქნება თავისი მოცულობით, ვიდრე აუცილებელი კვანტიფიკაციისა. ისიც საგულისხმოა, რომ ამ ორი ლეგიმეტრიული სივრცის მკვეთრად გამოიჯანა ერთმანეთისაგან ყოველთვის იოლად ვერ მოხერხდება, ვინაიდან ზოგჯერ ისინი უაღრესად მჭიდროდ არიან ერთმანეთთან შეზრდილი და გადაჯაჭვული.

3. ფაკულტატიური კვანტიფიკაციის სფერო

მართალია, შესაძლო კვანტიფიკაციის არე მეტ სივრცეს მოიცავს, მაგრამ მისი ლეგიმეტრიული მნიშვნელობა ვერასდროს შეედრება აუცილებელი კვანტიფიკაციისას. საქმე ისაა, რომ მეტ-ნაკლებად ლამის ყველა სამართლებრივი სიდიდის, მდგომარეობისა თუ პროცესის <<გადაყვანა>> შესაძლებელი რაოდენობრივ განზომილებაში. მაგრამ, განა ყველა თანაბარი მნიშვნელობის იქნება?..

უაღრესად მწვავედ დგას, მაგალითად, საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების საკითხი. თუ ამ თემას წმინდა რაოდენობრივი თანაფარდობის საკითხამდე დავიყვანთ საქმის განმხილველი სასამართლოს შემადგენლობაში, მაშინ იგი ასე დაისმება: რას ვამჯობინებთ, პროფესიონალი მოსამართლეები სჭარბობდნენ საქმის განხილვისას თუ არაპროფესიონალები? მაგრამ თუ უფრო ჩაუვლრმავდებით ამ საკითხს, აღმოჩნდება, რომ კიდევ უფრო სერიოზული არჩევანია გასაკეთებელი: გავმიჯნოთ თუ არა ერთმანეთისაგან ფაქტისა და სამართლის საკითხები და მივანდოთ თუ არა პირველი მათგანი - არაპროფესიონალებს, მეორე კი, პირიქით, პროფესიონალებს? ორივე შემთხვევაში საჭირო გახდება გადაწყვეტილებათა მიღება ლეგიმეტრიული გათვლა-გაანგარიშების, ანუ ერთგვარი კვანტიფიკაციის, მოშველიებით. მაგრამ, ვინაიდან ეს შედარებით განზოგადებული საკითხია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ არაპირდაპირ უკავშირდება ამა თუ იმ კონკრეტული საქმისა და პიროვნების ბედს, ძნელია მისი აუცილებლობის დასაბუთება. მით უფრო, რომ სადავოა ფაქტის ნორმატიულობისა და ნორმის ფაქტიურობის საკითხები (გ. ნანეიშვილი), რამაც შესაძლოა იმდენად კი არ მოხსნას ან გააადვილოს საქმე, არამედ გაართულოს კიდევაც.

ფაქტისა და ნორმის (შეფასების) თანაფარდობა სხვა მხრივაც საინტერესოა სამართალმზომელობით ასპექტში: განსაკუთრებით - სისხლის სამართალში. კერძოდ, ვინაიდან სისხლისსამართლებრივი ნორმები, როგორც წესი, გულისხმობს აკრძალულ ქმედებათა ნიშნების მკაცრად განსაზღვრულ ფარგლებს, რაც პროცესუალურადაც მნიშვნელოვანია მტკიცებულებათა საკმარისობის მხრივ, ამიტომ ე.წ. ნორმატიული (შეფასებითი) ნიშნები აქ ერთგვარ სირთულეებს წარმოშობს. ისმის კითხვა, რამდენად შესაძლებელია მათი რიცხვი მინიმუმამდე იქნას დაყვანილი? მაგრამ, რაკი მათი სრული გამორიცხვა შეუძლებელია (არც არის მიზანშეწონილი), ოპტიმალური ფორმულა მაინც უნდა გამოიძებნოს ფაქტობრივ ნიშნებთან მათი რაოდენობრივი თანაფარდობისა. ეს კი უკვე ლეგიმეტრიულ განზომილებას გულისხმობს, რომელიც შესაძლებელიც არის, სასურველიც, თუმცა ვერ ითქმის, რომ აუცილებელია ყოველი ცალკეული საქმისა თუ ინდივიდის ბედის გადასაწყვეტად.

ვრცელ და მნიშვნელოვან სფეროს სამართლის ყველა დარგში წარმოადგენს ობიექტური და სუბიექტური ელემენტების (ნიშნების) თანაფარდობა საკანონმდებლო კონსტრუქციებში, მეტწილად სწორედ ამით მოწმდება ამა თუ იმ სამართლებრივი სისტემის პროგრესულობის ხარისხი. ფრანც ფონ ლისტი, მაგალითად, თავის დროზე აცხადებდა, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის განვითარების დონე, ფაქტობრივად, იმით განიზომება, თუ რა ადგილი უჭირავს და რა მნიშვნელობა ენიჭება მასში ბრალის პრინციპსო. ბრალი კი პერსონალური ნიშანია, რომელიც დამნაშავეს სუბიექტურ გასაკიცხობას გულისხმობს უწინარეს ყოველისა.

ასევე ცნობილია, თუ რაოდენი ზიანი მოუტანა კაცობრიობას ობიექტური მომენტის გადამეტვასებამ პასუხისმგებლობის საკითხების გადაწყვეტისას (მაგ.

ობიექტური შერაცხვა). ყოველივე ეს სამართალმზომელობაა, გარკვეული პროპორციების თუ თანაფარდობათა დადგენა მოცემულ სამართლებრივ სივრცეში. მაგრამ რაოდენ მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს იგი, შემეცნებით ინტერესსა და თეორიულ შესაძლებლობას უფრო ადასტურებს, ვიდრე <<სამართლის ქმნას>> ანდა <<სამართლის გაჩენას>> კონკრეტულ საქმესთან და პიროვნებასთან დაკავშირებით. ამიტომ ვერ გაცდება იგი პირობითად შესაძლო კვანტიფიკაციად წოდებულ არეს.

ობიექტურისა და სუბიექტურის კატეგორიათა თანაფარდობას მიაკუთვნებენ სისხლის სამართალსა და მის პროცესში, აგრეთვე ე.წ. <<კერძო ბრალდების საქმეების>> საკანონმდებლო სტატუსს. ეს საკითხი, გარდა თავისთავადი ღირებულებისა, განიხილება როგორც ნაწილი დიდი პრობლემისა კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის ტენდენციების თაობაზე. ამ მხრივ კი იგი თავს იჩენს როგორც ერთგვარი ფორმა **სუბიექტური, პირადი, პერსონალური დეკრიმინალიზაციისა**, რომელიც ემატება, ავსებს და ამდიდრებს **საკანონმდებლო და სასამართლო დეკრიმინალიზაციის ტრადიციულ ფორმებს**. ამიტომ საკმაოდ ლიბერალურ ინსტიტუტად არის მიჩნეული.¹² შემთხვევითი არ არის, რომ საბჭოურ სამართალში კერძო ბრალდების საქმეები გაცილებით უფრო <<მოკრძალებულად>> იყო წარმოდგენილი უცხოურთან შედარებით. თანაც, თუ ჩვენში მათი სტატუსი მხოლოდ საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრებოდა, უცხოეთში (უპირატესად ევროპაში; მაგალითად - გერმანიაში) ეს იმავდროულად მატერიალური სისხლის სამართლის კანონმდებლობითაც იყო დადგენილი. ეს კი მეტ მოქნილობასა და ინტერესთა ბალანსირებას უზრუნველყოფდა <<სამართლის ქმნის>> პროცესში. იმედია, ამ გარემოებას ახლა მაინც გაითვალისწინებს რეფორმირებადი ქართული კანონმდებლობა.

ცხადია, ყოველივე ამაზე მსჯელობა სამართალმზომელობითი ოპერაციით არის შესაძლებელი; სამწუხაროდ - ჯერ კიდევ მათემატიკურად შეუიარაღებელი „კონების თვალთ“. თუმცა ამგვარი გაზომვა და კვანტიფიკაცია უაღრესად მარტივი საქმეა. პირიქით, გაცილებით რთულად გამოიყურება საზოგადოდ კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის ტენდენცია-პროცესების დეგიმეტრიული გაზომვა, რადგან მთლიანობაში იგი უთვალავ ფაქტორზეა დამოკიდებული, რომელთა ზუსტი აღრიცხვა და შეთანაწყობა სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს. თანაც - ნაკლებად დაიყვანება <<სამართლის ქმნის>> ან <<გაჩენის>> კონკრეტულ ამოცანაზე.

საინტერესოდ გვესახება შესაძლო კვანტიფიკაციის კიდევ ერთი გამოვლინება, რომელიც არ აწყდება პრაქტიკულ სიძნელებებს. ეს არის ე.წ. <<ორმაგი მოტივაცია>> და <<დასჯა-წახალისების სისტემა>> სისხლის სამართალში.

საუკუნეების განმავლობაში სისხლის სამართალი ღამის მთლიანად დანაშაულისა და სასჯელის ცნებათა ურთიერთქმედების თანაფარდობით სისტემად განიხილებოდა. მხოლოდ მე-20 საუკუნეში შეიცვალა ვითარება და სასჯელის ადგილი დაიჭირა <<სისხლის სამართლებრივმა ღინისძიებებმა>> ფართო მნიშვნელობით. აქ შევიდა, მაგალითად, პრობაცია და მისი მსგავსი ინსტიტუტები, რომლებიც უპირატესად სოციოლოგიური სკოლის გავლენით შემოვიდა და დამკვიდრდა კანონმდებლობაში. სრულიად განკერძოებით დგას წახალისების იდეა და შესაბამისი ინსტიტუტები, რომლებიც <<ორმაგი მოტივაციის>> პრაგმატულ საფუძველზე აღმოცენდა.

აქ ამოსავალი დებულებაა, რომ ყოველთვის საკმარისი არ არის სისხლისსამართლებრივი აკრძალვა და სასჯელის ქადილი (უარყოფით მოტივაცია), საჭიროა ამას დაემატოს და შეეშველოს დაპირება იმისა, რომ თუ სამართალდამრღვევი ამა თუ იმ საკანონმდებლო მოთხოვნას პოსტ ფაქტუმ მაინც შეასრულებს, მაშინ მასზე გარკვეული შეღავათები გავრცელდება (დადებითი მოტივაცია). ზოგჯერ ეს შეღავათი იმდენად დიდია, რომ იგი დამნაშავის

¹² იხ.: **Миндия Угрехелидзе**. Учёт объективного и субъективного при совершенствовании уголовного законодательства. Всесоюзный Научно-исследовательский Институт Прокуратуры СССР. Сборник материалов конференции. Москва, 1983, Стр. 27.

სასჯელისაგან გათავისუფლებასაც კი ითვალისწინებს. (მაგ. ბრალის აღიარებით გამოცხადებისას ქრთამის მიცემის შემდეგ, ქმედითი მონანიებისას და სხვ.). ასეთ ვითარებაში ლეგიტიმურულ ამოცანას წარმოადგენს, სათანადო კვანტიფიკაციის გზით გაირკვეს და დადგინდეს, თუ როგორია (ან როგორი აჯობებდა, რომ ყოფილიყო) თანაფარდობა დასჯისა და წახალისების ღონისძიებათა შორის ამა თუ იმ სამართლებრივ სისტემაში. აქაც შესაძლო, არა თუ აუცილებელ კვანტიფიკაციასთან გვაქვს საქმე.

ასევე არ წარმოადგენს აუცილებლობას <<ფინანსებისა>> და <<კაუზალობისა>> საწყისების ზომვა განზრახ და გაუფრთხილებლობით დელიქტებში; ან კიდევ - საკუთრივ განზრახ და გაუფრთხილებლობით სფეროებს შორის რაოდენობრივი თანაფარდობის ძიება. ყოველივე ამის გათვლა-გაანგარიშება რაოდენობრივ ენაზე ადვილი შესაძლებელია. იგივე ითქმის სამართლის ანთროპოლოგიის შესახებ,¹³ რომლის ერთ-ერთი ამოცანაა შეისწავლოს, თუ რა ზომით მონაწილეობს სამართლის მოცემულ სისტემაში ადამიანი, როგორც **შემოქმედი** ამ სამართლისა და ადამიანი, როგორც მისი **ადრესატი**.

ყოველივე ზემოთქმული უზოგადესი მინიშნებანია სხვადასხვა სფეროზე, რომლებშიც სამართალმზომელობითი შესაძლებლობანი იმდენად თვალნათლივია, რომ მეტ სპეციფიკაციას არ მოითხოვს. უპირატესად ეს მაგალითები სისხლის სამართლის სფეროს განეკუთვნება, ვინაიდან ამ დარგში ჩვეულებრივ მეტია <<სამართლებრივი გარკვეულობის ხარისხი>>. ეს როდი ნიშნავს, რომ სხვა დარგებია უგულებელსაყოფი. ასე მაგალითად, <<სამართლებრივი კულტურის>> ცნებასა და რაობას არ სწავლობს სისხლის სამართალი. თუმცა იშვიათია ისეთი ლეგიტიმური ობიექტი, როგორც კულტურაა. ეს იმიტომ, რომ იგი გულისხმობს ამა თუ იმ საზოგადოებისა და პიროვნების გაჯერებულობის ხარისხს საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი იდეებით, პრინციპებით, ნორმებით, ინსტიტუტებით, ჩვეულებებითა და ტრადიციებით. ხოლო ყოველივე, რაც დახარისხებას ექვემდებარება, იმავდროულად <<გაზომვადია>>. აქედან - დასკვნა მისი ლეგიტიმურობისა და შესაძლო კვანტიფიკაციის შესახებ.

დაბოლოს, შედარებითი სამართალმცოდნეობის თაობაზე, რომელიც იმთავითვე რაოდენობრივ ასპექტებსა და მის გაზომვას გულისხმობს. თუ შევეგუებით აზრს და შევთანხმდებით, რომ ყოველი სამართალი უწინარესად სამართალმზომელობაა თავისი არსითა და დანიშნულებით, შედარებითი სამართალმცოდნეობა კი სხვადასხვა სამართლებრივი <<ოჯახების>> თავისებურებებს სწავლობს ურთიერთფარდობითობაში,¹⁴ მაშინ ვერ გავკეცვეთ დასკვნას, რომ შედარებითი სამართალმცოდნეობა ორმაგი სამართალმზომელობაა: პირველი მათგანი შიდა სახელმწიფოებრივ სიდიდეთა სამართალმზომელობა; ხოლო მეორე - მათი სისტემური მთლიანობაა საერთაშორისო განფენილობასა და ფარდობითობაში. ამ მოვლენას <<ლეგიტიმურიათა ლეგიტიმურიაც>> კი შეიძლება ეწოდოს ფიგურალურად და დიდი პირობითობით.

¹³ იხ.: *Norbert Rouland*. Anthropologie juridique. p. 1988.

¹⁴ იხ.: *R. David* and *E. Brierley*. Major Legal Systems in the World Today, International Encyclopaedia of Comparative Law.

4. აუცილებელი კვანტიფიკაციის ტესტი

აუცილებელი კვანტიფიკაციის არეალი შედარებით მცირეა თავისი მოცულობით. სამაგიეროდ, განუზომელია მისი პრაქტიკული მნიშვნელობა. საქმე ის არის, რომ საკმაოდ ხშირად კვანტიფიკაციისა და სამართალმზომელობითი ოპერაციების გარეშე წარმოუდგენელია <<სამართლის ქმნა>> ანუ საკუთრივ სამართლებრივი პროცესი, შესაბამისად – <<სამართლის გაჩენაც>>. ამის მაგალითი კი მრავალი არსებობს.

დავიწყოთ იმით, რითაც მართლმსაჯულების პროცესი იწყება. ვიდრე ამა თუ იმ ნორმის შეფარდება მოხდებოდეს, უწინარესად ამ ნორმის განმარტება და ყოველმხრივი ჰერმანევტიკური გააზრებაა აუცილებელი. სამართლის ნორმა ხომ ორი მთავარი ელემენტისაგან შედგება. ესენია: 1. ნორმის ტექსტი; 2. ნორმის აზრი (გონი, სული), რომელიც მოცემულ ტექსტშია ჩაქსოვილი. თუ მათ შორის სრული შესატყვისობაა, ხომ კარგი. მაგრამ ზოგჯერ აშკარა შეუსაბამობა იჩენს თავს, რაც მათ ურთიერთშეჯერებას მოითხოვს. შინაარსობრივად და ფუნქციონალურად ეს მათი მოცულობათა თანაფარდობის დადგენაა. შესაძლებელია, ტექსტის მოცულობა ჩამორჩებოდეს ან აღემატებოდეს მის აზრს, რომელიც მასში კანონს სურდა ჩაექსოვა, მაგრამ მიზეზთა გამო ვერ შეძლო. ამ შემთხვევაში გამოიყენება სწორად ისეთი მექანიზმი, როგორიცაა კანონის განმარტება მისი მოცულობის მიხედვით. ეს გახლავთ ერთგვარი <<პროკრუსტეს სარეცელი>>, რომელშიც სასამართლო არა მარტო უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა განათავსოს კანონის ტექსტი. იმისდა მიხედვით, თუ რა სურათი გამოიკვეთება, გამოიყენება კანონის განვრცობითი ან შეზღუდვითი განმარტება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გადაწყდეს, გამოიყენება თუ არა საერთოდ, ან თუ ჰო, როგორ და რა მოცულობით, კანონის მოცემული ნორმა. საქმე გვაქვს წმინდა სამართალმზომელობით აქტთან, რომლის განხორციელება ყველა შესაბამის შემთხვევაში აუცილებელია.

ზემოთ აღნიშნული შემთხვევების მსგავსია ჰერმანევტიკის კიდევ ერთი მაგალითი: კანონის სიმძიმის განსაზღვრისა და მისი დროში მოქმედების ფარგლების დასადგენად. სამართლებრივი ცხოვრება ზოგჯერ აუცილებლობით მოითხოვს დადგინდეს, თუ რომელი სისხლისსამართლებრივი კანონი უფრო მკაცრია ან ლმობიერი. ეს კი ცხადია, შეუძლებელია შესაბამისი სანქციებისა და ნორმის დისპოზიციის სათანადო ნიშნების ზუსტი გათვლა-გაანგარიშების გარეშე. ნათელია, რომ ეს სამართალმზომელობაა მისი მარტივი, მაგრამ კლასიკური ფორმით.

უადრესად საინტერესო პრობლემატიკას გვთავაზობს ლევიმეტრიული თვალსაზრისით სამართლის პროცესის ის ნაწილი, რომელიც მტკიცებულებითი სამართლის სახელწოდებით არის ცნობილი. თანამედროვე სამართალში არსებობს მტკიცების სხვადასხვა სტანდარტები (მაღალი თუ დაბალი), რომლებიც იმისდა მიხედვით გამოიყენება, თუ რომელი კატეგორიის საქმე განიხილება. ცნობილია, მაგალითად, რომ სისხლის სამართლის საქმე მტკიცებულების ძალიან მაღალ სტანდარტს მოითხოვს. ეს ნიშნავს, რომ ჭეშმარიტება უნდა დადგინდეს, სულ მცირე 95%-იანი ალბათობით. სხვანაირად, ეს ე.წ. უტყუარი მტკიცებულების უმაღლესი სტანდარტია, რომელიც ინგლისურენოვან ქვეყნებსა და საერთაშორისო სამართალში <<საფუძვლიანი ეჭვის მიღმა>> (ეყონდ ტჰე რეასონაბლ ედუჰჰტ) სტანდარტის სახელწოდებით უფროა ცნობილი. შედარებით ნაკლები, მაგრამ მაინც მაღალი მტკიცებულების სტანდარტი გამოიყენება იმპინჩმენტის საქმეებზე (განსაკუთრებით აშშ-ში). აქ აუცილებელია ჭეშმარიტების დადგენა მინიმუმ 75 %-იანი ალბათობით (ე.წ. <<მტკიცე, ცხადი და თანაფარდი>> მტკიცებულების სტანდარტი – სტრონგ, ცლეარ, ანდ ცონცონრდანტ). უმაღლესია ე.წ. <<გადამწონი მტკიცებულებების>> 51%-იანი სტანდარტი – (პრეპონდერანტე ოფ ევიდენცე), რომელიც უმეტესწილად სამოქალაქო საქმეებში გამოიყენება, თუმცა, არც არასრულწლოვანთა საქმებისათვის არის უცხო. იგი არ მოითხოვს დიდ უპირატესობას, არამედ საკმარისია თუნდაც ოდნავ გადამწონი უპირატესობა შეიქმნას შეჯიბრებითობის პრინციპზე დამყარებულ პროცესში.

მრავლისმეტყველი და საინტერესო ფაქტია, რომ უამრავი მაგალითი მოიპოვება იურიდიულ ლიტერატურაში, როდესაც ავტორის უზადო ლეგიმეტრიული მიდგომა ამა თუ იმ საკითხისადმი მისი სწორად გადაწყვეტის საწინდარი გამხდარა, თუმცა, სახელდებით სამართალმზომელობის აუცილებელი არგუმენტი არც მოხსენიებული ყოფილა და არც მოხმობილი. მაგალითად, როდესაც პროფესორი თინათინ წერეთელი პირობათა თანასწორფასოვნების თეორიას აკრიტიკებდა მიზეზობრიობის სისხლისსამართლებრივ პრობლემასთან დაკავშირებით, მისი ერთ-ერთი მთავარი და, ჩემი აზრით, გადამწყვეტი არგუმენტი სწორედ ის იყო, რომ სინამდვილეს არ შეეფერება აღნიშნული თეორიის დებულება შედეგის დადგომის ყოველი აუცილებელი პირობის თანაბარი წონისა და წვლილის შესახებ დანაშაულებრივი შედეგების განხორციელებაში, და რომ, შესაბამისად, ვერც თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა დასაბუთდება მათი განზომილებითი დიფერენციაციის გარეშე, და ვერც დანაშაულის მცდელობა გაიმძიმება მისივე მომზადებისაგან.¹⁵

იგივე ითქმის მიზეზობრიობის სხვა გამოკვლევების შესახებ, ამჯერად - საერთაშორისო სამართალში, სადაც სახელდებით მოხსენიების გარეშე უადრესად მნიშვნელოვანი ლეგიმეტრიული დასკვნაა გაკეთებული შედეგთან მიმართების გარკვეული ხარისხის ინტენსივობის საჭიროების შესახებ, ურომლისოდაც მიზეზობრიობა ვერ ჩაითვლება სამართლებრივად ვარგის (საკმარის) რეალურ მოცემულობად.¹⁶

ყველაზე უფრო სტრუქტურული ნაწილი სამართლებრივი მატერიისა, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ისევ და ისევ სისხლის სამართალია. ვინაიდან აქ დანაშაულის შემადგენლობათა მკაფიო მოდელირებაა უადრესად მნიშვნელოვანი პირობა და გარანტი ადამიანის უფლებათა დაცვისა, ამიტომ ეს საკითხი ძალზე კარგად არის დამუშავებული საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით. ლეგიმეტრიის ფარგლებში შესაძლოა ეს იყოს ყველაზე უფრო თვალსაჩინო ილუსტრაცია. ასეა იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეული ტიპის უმართლობათა ასახვა და დამკვიდრება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში გულისხმობს მათ ერთგვარ მოდიფიკაციას, რაც, უპირატესად, სისხლის სამართლის პოლიტიკის მოსაზრებებით არის ნაკარნახები. ასე წარმოიშობა განსხვავებანი უმართლობათა ონტოლოგიურ სტრუქტურასა და მათ საკანონმდებლო კონსტრუქციებს შორის. მაგრამ, ვინაიდან ქმედებათა ტიპიც მრავალი არსებობს მათი ბუნებრივი სახით, და არც საკანონმდებლო კონსტრუქციათა სიმცირე შეიმჩნევა, ამიტომ უამრავი შესაძლო ვარიანტი წარმოიშობა ონტოლოგიურ სტრუქტურათა საკანონმდებლო კონსტრუქციად ჩამოყალიბებისა. ესენია: ე.წ. შედეგიანი შემადგენლობანი, კონკრეტული და აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები¹⁷; შეკვეცილი შემადგენლობანი ანუ მიზნით დაფუძნებული დელიქტები; მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტები; მრავალსუბიექტიანი, მრავალობიექტიანი, მრავალქმედებიანი, მრავალშედეგიანი დელიქტები და სხვ... აქედან ზოგიერთი მათგანი სრულ სიმეტრიას გულისხმობს მათ ობიექტურ და სუბიექტურ მხარეებს შორის (მაგ., შედეგიანი, კონკრეტული და აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები); ზოგიც - ასიმეტრიულია (მაგ., შეკვეცილი შემადგენლობანი და მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტები). თუ ზედმიწევნით არ მოხდა მათი შემადგენელი ელემენტების გაზომვა და შეთანაწყოება, როგორც ამას კანონი მოითხოვს, ცხადია, ვერ განხორციელდება სამართლებრივი პოლიტიკის მიზნები. ამიტომ ლეგიმეტრია აქ აუცილებელია, ხოლო მისი როლი - ფასდაუდებელი. უამისოდ ვერც პასუხისმგებლობის დასაბუთება მოხერხდება უცდომელად, ვერც ქმედებათა

¹⁵ იხ.: **Тинатин В. Церетели.** Причинная связь в уголовном праве. Издательство „Юридическая литература“, Москва, 1963. Стр. 79-96.

¹⁶ იხ.: **ევა გოცირიძე.** მიზეზობრიობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში. გამომცემლობა GCI, თბილისი, 2006, გვ. 55; 103-105; 150-151.

¹⁷ დაწვრილებით იხ.: **მინდია უგრეხელიძე.** ბრალი საფრთხის დელიქტები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1982.

კვალიფიკაცია და ვერც სამართლიანი სასჯელის შეფარდება. ამის დადასტურება კონკრეტული მაგალითები სასამართლო პრაქტიკიდან.

70-ან წლებში თბილისში დაქირავებული მძღოლის მანქანით, ვინმე მწითურმა და ღორეულმა, ჯერ მოტყუებით, შემდეგ ფიზიკური წინააღმდეგობის დაძლევის გაიტაცეს ქალიშვილი, რომელიც ერთ-ერთ გამტაცებელს ცოლად უნდა შეერთო. იმ დროს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი შეიცავდა საგანგებო მუხლს, რომელიც პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა <<ქალის მოტაცებისათვის მასთან ქორწინების მიზნით>> (მუხლი 134-ე). ეს იყო მიზნით დაფუძნებული <<ასიმეტრიული დელიქტი>>, რომლის საკანონმდებლო აღწერილობაში დანაშაულის სუბიექტური მხარე (ცოლად შერთვის მიზანი) უფრო შორს ვრცელდებოდა, ვიდრე ობიექტური (მოტაცება). მოხდა ისე, რომ დაქირავებული მძღოლი, რომელმაც გვიან გააცნობიერა, თუ რა საქმეში გაეხვია, გონს მოეგო და მოინდომა დაებრუნებინა მოტაცებული ქალიშვილი თავისიანებისათვის. ამიტომ მოტაცებულის შინისაკენ შემოაბრუნა მანქანა, რომელიც დიდი ხნის გამოცდენილი იყო ოჯახური მყუდროების არეს.

რაიონის სასამართლომ მძღოლის საქციელი დააკვალიფიცირა როგორც დამთავრებული დანაშაული და ქმედითი მონაწილეობა (რომელიც მხოლოდ დამთავრებული დანაშაულის შემთხვევაშია შესაძლებელი), თუმცა არანაირი სასჯელი არ შეუფარდა მას. ეს იყო სწორი, დასაბუთებული განაჩენი. მიუხედავად ამისა, მაშინდელი იუსტიციის მინისტრის ინიციატივით (სიც), დისციპლინური სასჯელი დააკისრეს მოსამართლეს, ვითომდა სასამართლო შეცდომისათვის; მიიჩნიეს, რომ ქმედითი მონაწილეობა კი არ განახორციელა მძღოლმა, არამედ ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულზე.

დაშვებულია უხეში შეცდომა, რომელიც ელემენტარული ლეგიმეტრიული გაზომვის შემთხვევაში, თავიდან იქნებოდა აცილებული. საქმე ის არის, რომ სსკ-ს 134-ე მუხლის აწ გაუქმებული საკანონმდებლო კონსტრუქციის მიხედვით, ქალის საცოლედ მოტაცება, ობიექტური მხრივ, მთავრდება მისი არასასურველ სივრცეში გაყვანისთანავე და არ საჭიროებს მაინცა და მაინც მის ფაქტობრივ ცოლად შერთვას.

ერთი სიტყვით, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად განსაზღვრა, იუსტიციის სამინისტროს დისციპლინურმა კომისიამ კი - უსწოროდ ის პროპორციები, რომლებიც კანონმა დაადგინა დანაშაულის შემადგენლობის ელემენტებს შორის მის საკანონმდებლო აღწერილობაში. პირველმა შეძლო თავი დაეღწია, მეორემ კი - ვერა, აკრძალული ქმედების ბუნებრივი, ონტოლოგიური სქემისათვის. ლეგიმეტრიის ენაზე ეს ნიშნავს სამართალმზომელობის აქტებს, ერთს მცდარსა და მეორეს - უცდომელს.

ეტყობა, იუსტიციის სამინისტროს დისციპლინურმა კოლეგიამ ქმედების ონტოლოგიური ბუნება მიიჩნია ამოსავალ პუნქტად, რომლის მიხედვით, ქალის მოტაცება მისი საბოლოო დაუფლებაა. მაგრამ არ გაითვალისწინა, რომ ონტოლოგიურმა მოდელმა საკანონმდებლო კონსტრუირების შედეგად ცვლილება განიცადა. ასეთ გზას თუ დავადექით, მაშინ სიცოცხლისათვის საშიშ ძალადობრივი თავდასხმა ქონების დაუფლების მიზნით ვეღარ უნდა მიგვეჩნია დამთავრებულ ყაჩაღობად და უნდა დავლოდებოდით, ვიდრე ბუნებრივი შედეგით არ დაგვირგვინდება (სსკ-ის მ.179).

ზოგიერთი საილუსტრაციო მასალა სამართალმზომელობის იდეისა და ე.წ. აუცილებელი კვანტიფიკაციის სასარგებლოდ იმდენად ნათელ სურათს ქმნის, რომ არც კი ღირს მასზე საგანგებოდ შეჩერება. რა სადავოა, მაგალითად, რომ უდიდესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებათა შორის ზუსტი ბალანსის დადგენას ყოველი ცალკეული საქმის განხილვისას. ამიტომ, დროთა განმავლობაში აუცილებლად მოხდება ამ პროცესის ფორმალიზაცია და შესატყვისი მათემატიკური აპარატით აღჭურვა. იგივე ითქმის მხარეთა უფლებების თანასწორობის შესახებ, განსაკუთრებით, შეჯიბრებითობის პროცესში.

ან კიდევ, ისეთ ბანალურად ქცეულ მაგალითზე, როგორც არის ზუსტი შესაბამისობის დადგენა დანაშაულისა და სასჯელის სიმძიმეთა შორის¹⁸. ამავე კატეგორიას განეკუთნება ე.წ. შერეული ბრალის შემთხვევები, სადაც მოქმედი სუბიექტის ბრალს ჩადენილ სამართალდარღვევაში ემატება საკუთრივ მსხვერპლის ბრალი, რაც საფუძველი ხდება შერეული პასუხისმგებლობისა და ამიტომ ზედმიწევნით აკურატულობას საჭიროებს. სხვანაირად, საუბარია დაზარალებულის ბრალის ხარისხსა და ხვედრით წილზე მის წინააღმდეგ ჩადენილ სამართალდარღვევაში, რომლის დადგენა ხშირად არის აუცილებელი, განსაკუთრებით - ავტოვარიების საქმეებზე.

მეორე მხრივ, დაზარალებულის ბრალის საკითხი ისეთი ვიქტიმოლოგიური პრობლემაა, რომელზედაც აზრთა სერიოზული სხვადასხვაობაა და ამიტომ დაკვირვებას მოითხოვს. გავრცელებული შეხედულების მიხედვით, ვიქტიმურად (ანუ, გაცვეთილი საბჭოური ტერმინოლოგიით – დაზარალებულის ბრალად) ჩაითვლება მხოლოდ ისეთი ქცევა, რომელიც სამართალდარღვევას ან მორალურ გადაცდომას მაინც შეადგენდა. შესაბამისად, მხოლოდ ეს ორი შემთხვევა განიხილება როგორც შემამსუბუქებელი გარემოება დამნაშავისა ან სხვა სამართალდამრღვევის სასარგებლოდ.

მაგრამ არსებობს განსხვავებული მოსაზრება, რომლის თანახმად, ვიქტიმური შეიძლება იყოს ისეთი ქცევაც, რომელიც, მართალია, არც სამართალდარღვევას წარმოადგენს და არც მორალურ შეცოდებას, თუმცა მიზეზობრივ კავშირში იმყოფება მის წინააღმდეგ ჩადენილ ქმედებასთან¹⁹. ეს კი მნიშვნელოვნად აფართოებს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებათა არეს ვიქტიმურობის საფუძველზე. ცნობილია, მაგალითად, შემთხვევა, როდესაც კავკასიის ერთ მთიან სოფელში თემის აქტივისტები რიყის ქვებით გაუსწორდნენ ახალგაზრდა ქვრივს მხოლოდ იმის გამო, რომ არ დაემორჩილა თემის (ანუ მიკრო-სოციალური ჯგუფის) ტრადიციას და ძაძით არ შეიმოსა დაქვრივების შემდეგ. მას გულსწრფელად სურდა, მუდმივი გლოვის ფონზე არ გაეზარდა მოსიყვარულე ქმრისაგან შექმნილი მცირეწლოვანი ვაჟი.

აქ არც სამართალდარღვევაა ახალგაზრდა ქვრივის საქციელი, და არც საყოველთაოდ აღიარებული ზნეობრივი ნორმების დარღვევა. და მაინც, ვიქტიმურია მისი საქციელი, რადგან სწორედ მან წარმოშვა ანგარიშწორების მოტივი და მიზეზობრივად განაპირობა დანაშაულის ჩადენა. ლეგიმეტრიის ენაზე, ამ შემთხვევაში აუცილებელი სამართალმზომელობა ვიქტიმურობისა და, შესაბამისად, დამნაშავეთა ბრალის ხარისხის <<გაზომვით>> არის ნაკარნახევი და გამოხატული.

თუ შიდასახელმწიფოებრივი სამართლიდან საერთაშორისო სამართალში გადავინაცვლებთ, აქაც იგივე მდგომარეობა სუფევს: სამართალმზომელობის სტატუსი მტკიცეა და ურყევი. უფრო მეტიც, განუზომლად იზრდება და მდიდრდება სამართალმზომელობითი ობიექტის მასშტაბი და შინაარსი. მაგალითად, როდესაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილი უფლების შეზღუდვა აუცილებლად კანონით უნდა იყოს გათვალისწინებული, სტრასბურგის სასამართლომ ეს განვრცობილად განმარტა და მრავალგზის მიუთითა თავის პრეცედენტულ განჩინებებში, რომ კანონი უნდა იყოს <<განჭვრეტადი>>. თანაც დაადგინა საშუალო სტანდარტი <<განჭვრეტადობის>> გასაზომად²⁰. სახელდობრ, იგი მოითხოვს, რომ ეროვნულმა კანონმა გამოიყენოს მკაფიო გამოთქმები, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ამა თუ იმ ქმედების არამართლმზომიერებისა და მოსალოდნელი იურიდიული შედეგების გათვალისწინება, თანაც, შესაბამისი

¹⁸ უაღრესად საინტერესო კუთხით არის ეს საკითხი დანახული და განხილული წიგნში: *Stephan Kinsella. Punishment and Proportionality. The Estoppel Approach.*

¹⁹ იხ.: *მინდია უგრესელიძე. ვიქტიმიზაციის ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა თანაფარდობა.–* ჟურნალი „მართლმსაჯულების მაცნე“, 1997, №4, გვ. 39-45.

²⁰ იხ.: *Malone v. the United Kingdom.* Judgment of 2 august 1984; *Kruslin V. France.* Judgment of 24 april 1990; *Manoussakis and Others v. Greece.* Judgment of 29 September, 1996; *Vogt v. Germany.* Judgment of 26 September 1995; *Goodwin v. The United Kingdom.* Judgment of 27 march 1996.

სასამართლო პრაქტიკის მხედველობაში მიღებით და თუნდაც სამართლებრივი რჩევა-დარიგების საფუძველზე (იგულისხმება ადვოკატის დახმარება). საქმე გვაქვს ეროვნული კანონის საერთაშორისო სასამართლოს მიერ განხორციელებულ სამართლმზომელობით აქტთან ევროპული სტანდარტების მიხედვით.

თავიდან ბოლომდე სამართალმზომელობაა საერთაშორისო კონტროლის თვითშეზღუდვის ისეთი მექანიზმი, როგორც არის სტრასბურგის იურისპრუდენციის მიერ შემუშავებული და დანერგილი დოქტრინა, სახელწოდებით: <<შეფასების თავისუფლების არე>> (მარგინ ოფ აპპრეციაციონ)²¹. ამ დოქტრინის მიხედვით, მთელ რიგ საკითხებში ეროვნულ ხელისუფლებას ენიჭება უფლებამოსილება და თავისუფლება, თვითონვე განახორციელოს ამა თუ იმ საკითხის განსჯა, თუმცა, საკუთრივ ეს <<განსჯა>>, საბოლოოდ, მაინც სტრასბურგის სასამართლოს განსჯადია. ასე რომ, შესაბამისი სამართალმზომელობითი ოპერაციის შემდეგ შეიძლება აღმოჩნდეს, რომ საერთაშორისო სასამართლო არ ეთანხმება და ამიტომ კონვენციის დარღვევად მიიჩნევა ეროვნული ხელისუფლების (მათ შორის - მართლმსაჯულების განშტოების) ამა თუ იმ გადაწყვეტილებას. კრიტიკრიუმად გამოიყენება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციისა და შესაბამისი სასამართლო პრაქტიკით დადგენილი მინიმალური სტანდარტები, რომლებიც თანაბარია ევროპის საბჭოს ყველა წევრი ქვეყნისათვის.

უთუოდ ლეგიმეტრიული თემაა დანაშაულთა სიმრავლისა და, შესაბამის შემთხვევებში, სასჯელთა დანიშვნის საკითხი²². ცნობილია სასჯელთა შთანთქმისა და შეჯამების პრინციპები, რომელთაგან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსმა თავის დროზე მარტო შეჯამების წესი შეინარჩუნა. ეს მწვავე დებატების საგანი გახდა საქართველოს პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიებისათვის. საკითხის აქტუალურობაზე ისიც მიუთითებს, რომ სტრასბურგის სასამართლოში უკვე განიხილეს ამ პრობლემატიკასთან დაკავშირებული ერთი ქართული საქმე²³ კანონის უკუქმედების ასპექტში. მაგრამ, როგორი კუთხითაც არ უნდა ყოფილიყო იგი განხილული, ცხადია, ვერაინ ასცდებოდა ელემენტარულ ფაქტს, რომ სამართალმზომელობითი თვალსაზრისით უზარმაზარი სხვაობაა შთანთქმისა და შეჯამების იურიდიული შედეგების წონასა და მოცულობაში. ამიტომ მისი ლეგიმეტრიული მნიშვნელობაც უსათუოდ გასათვალისწინებელია როგორც შიდა, ისე საერთაშორისო მართლმსაჯულებაში.

დასასრულ, ძალიან მოკლედ სამართლებრივი ტერმინოლოგიისა და საერთაშორისო აქტების (ხელშეკრულებათა) ეროვნულ ენაზე თარგმნის თაობაზე. ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ ყველგან არასახარბიელო მდგომარეობაა მსოფლიო მასშტაბით, მათ შორის - საქართველოში. საკმარისია შერჩევით ავიღოთ საერთაშორისო ხელშეკრულებათა პარლამენტის მიერ რატიფიცირებული თარგმანები, რომ ადვილად დავრწმუნდებით მათ ხშირ არაადეკვატურობაში. არანაკლებ კრიტიკას იმსახურებს არაოფიციალურ თანგმანთა ხარისხი და ვარგისიანობა. არადა, სწორედ სიტყვებითა და ფრაზებით გამოიხატება კანონისა და ხელშეკრულების ნება. ამიტომ ამ სფეროში ლაფსუსები, მეტადრე - უხეში შეცდომა, შესაძლოა დამღუპველი აღმოჩნდეს სამართლებრივი თვალსაზრისით.

მსგავსი უპასუხისმგებლობის არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლება საქართველოს სამართლებრივი ცხოვრების პრაქტიკიდან. თუმცა საილუსტრაციოდ ერთიც საკმარისია. საქმე შეეხება <<ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის>> მე-15 მუხლს საგანგებო მდგომარეობათა

²¹ იხ.: *Finlay Thomas S.A. Judicial Selfrestraint. Studies in Memory of Rolv Ryssdal. Protecting Human Rights: The European Perspective.* 2000. p. 499-506; *R.ST.J. Macdonald. The Margin of Appreciation in the Jurisprudence of the European Court Of Human Right. International Law and the Time of its Codification.* Milan. 1987. პ. 187; **გვაცირიძე**. „შეფასების თავისუფლების“ დოქტრინა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით“.- ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“, 2006, №2.

²² დაწვრილებით იხ.: **გიორგი ტყეშელაძე**. პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1963.

²³ იხ.: **Vaja Ghvaladze c. Georgie. Requete N42047/06.**

შესახებ. ამ მუხლში ჩამოყალიბებულია დებულება იმის თაობაზე, თუ რა მართებს ხელისუფლებას <<ომის ან სხვა საგანგებო მდგომარეობის დროს>>, სახელდობრ, რა პირობებშია დასაშვები კონვენციით დადგენილ უფლებათა დაცვისაგან უკან დახევა. იმთავითვე დათქმულია, რომ <<უკან დახევა>> მე-15 მუხლის საფუძველზე მხოლოდ მაშინ არის დასაშვები, <<როდესაც საფრთხე ემუქრება **ერის სიცოცხლეს**>>²⁴ (ანუ არსებობას – მ.უ). ეს დებულება ზედმიწევნით ფრთხილად და ზუსტად არის თარგმნილი ევროპის საბჭოს წევრი თითქმის ყველა ქვეყნის, მათ შორის - რუსულ ენაზე. უფრო მეტიც, კარგახნით ადრე, ვიდრე საქართველო კონვენციის ახალი თარგმანის რატიფიკაციას მოახდენდა, საქართველოში უკვე არსებობდა თარგმანი სტრასბურგის სასამართლოს იმდროინდელი თავმჯდომარის, პროფესორ ლუციუს ვილდჰაბერის წინასიტყვაობით და ამავე სასამართლოს ქართველ წარმომადგენელთა, მათ შორის - ჩემი რედაქციით.²⁵ მიუხედავად ამისა, პარლამენტმა ამჯობინა, რომ <<ერის სიცოცხლე>> ანუ არსებობა ეთარგმნა როგორც <<ხალხის სიცოცხლე>>. ეს უბრალოდ მცდარი თანგმანი კი არ არის, არამედ უსაშველოდ ცვლის ომის დროს ან სხვა საგანგებო მდგომარეობაში ხელისუფლების სამართლებრივ უფლებამოსილებათა ფარგლებს; სახელდობრ - თვითნებურად და მეტისმეტად აფართოებს მას. წარმოიშობა ლეგიმეტრიული ხასიათის პრობლემა, რომელიც ისევ სწორი ლეგიმეტრიული მეთოდებით არის გამოსასწორებელი სასწრაფოდ.

5. სამართალმზომელობითი შესაძლებლობანი

ერთია იცოდე, თუ რა არის სამართლებრივი თვალსაზრისით გასაზომი, მაგრამ მეორეა, თუ რით და როგორ ახდენ ამ გაზომვას, რა საშუალებათა არსენალი გაგაჩნია საამისოდ. თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ კითხვაზე საბოლოო პასუხი მომავლის საქმეა. იგი შესაძლებელი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც იურისტები, მათემატიკოსები, ლოგიკოსები, სისტემური ანალიზის სპეციალისტები და სხვ. შეუდგებიან გეგმაზომიერ თანამშრომლობას და მოსამზადებელ სამუშაოს მაინც გასწევენ. მარტო იურისტების მხრივ შეუძლებელიცაა და სახიფათოც გაბედული პროგნოზები. თუმცა, იმედს სახავს ყველა იმ ჰუმანიტარული და საზოგადოებრივი დარგის გამოცდილების შესწავლა, სადაც მათემატიკური მეთოდების გამოყენება, <<მზომელობითი>> ოპერაციები და სხვ. უკვე განვლილი ეტაპია. ამ გამოცდილების შესწავლა და გაზიარება უთუოდ შესაძლებელს გახდის ზოგიერთი მეთოდის გადმოტანასა და მომარჯვებას. მანამდე კი მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ მკაფიოდ იკვთება ორი სფერო, სადაც ფორმალიზაციის გარეშე შეიძლება ლეგიმეტრიულ ფონს გასვლა, მათემატიკურად შეუიარაღებელი <<გონების თვალით>>. ესენია: პირველი, ყველა ის სიდიდე, მდგომარეობა ან პროცესი, რომლებიც წყვილი, თანაფარდობითი, ურთიერთგაზომვადი ელემენტებისაგან ყალიბდება; და მეორე, ყველა შემთხვევა, სადაც ანალიტიკური მასალის დახარისხებაა შესაძლებელი. მაგრამ, რაც დახარისხებას ექვემდებარება, იმავდროულად გაზომვადია. გარკვეული აზრით, დახარისხება იმთავითვე გულისხმობს გაზომვას. მთავარია არ დაგავიწყდეს, რომ აქ სამართალმზომელობაზეა საუბარი.

ამ ვარაუდის საილუსტრაციოდ ზემოთ გამოყენებული ანალიტიკური მასალაც კი სავსებით იკმარება. როგორ ვაკეთებთ, მაგალითად, დასკვნას იმის შესახებ, რომ

²⁴ “life of the nation” -- ასეთია ავთენტური ინგლისური ვერსია კონვენციისა; ხოლო „la vie de la nation“ -- ავთენტური ფრანგული ვარიანტი.

²⁵ აღამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია და მისი პირველი (დამატებითი), მეოთხე, მეექვსე, მეშვიდე და მეორმეტე ოქმები ლუციუს ვილდჰაბერის წინასიტყვაობით (*თარგმანი ე. გოცირიძისა*). თარგმანის რედაქტორები – **მინდია უგრეხელიძე და თეა წულუკიანი**.– „საქართველოს კანონთა წიგნი და საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“. თბილისი, 2004.

ე.წ. <<ასიმეტრიული>> ნორმის კონსტრუქციასთან გვაქვს საქმე და მისი გამოყენებაც შესაბამისი, სპეციფიკური წესით უნდა განხორციელდეს (გავისვენოთ ქალის საცოლედ მოტაცების მაგალითი)? ამისათვის საკმარისია ერთმანეთს <<მივაზომოთ>> კონსტრუქციაში აღწერილი ობიექტური თუ სუბიექტური მხარეები. თუ სუბიექტური მხარე <<სჭარბობს>> ობიექტურს, მაშასადამე, შეკვეცილი შემადგენლობაა, რომელიც სუბსუმციის არასტანდარტულ, განსხვავებულ რეჟიმს ექვემდებარება. ეს დიდ გავლენას ახდენს მთელი რიგი საკითხების, განსაკუთრებით - თანამონაწილეობის იურიდიულ კვალიფიკაციაზე. სახელდობრ, ქალის საცოლედ მოტაცების შემთხვევაში ხელის შემწყობი პირი პასუხს აგებს როგორც <<ამსრულებელი>> და არა <<დამხმარე>>, მიუხედავად იმისა, რომ მას არ ჰქონია მოტაცებული ქალის თავის ცოლად მოყვანის განზრახვა. ასეთი ყაიდის <<ასიმეტრიული>> შემადგენლობებში, როგორც წესი, <<მიზანი>> ერთდროულად წარმოადგენს როგორც სუბიექტური მხარის, ისე უმართლობის (მართლწინააღმდეგობის) ელემენტს. და ეს გარემოება, ყოველგვარი ლეგიმეტრიული აპარატის მომარჯვების გარეშე, უხადოდ აქვს დასაბუთებული თავის ნაშრომებში ოთარ გამყრელიძეს²⁶. ლეგიმეტრიული ანუ სამართლმზომელობითი მიდგომა ოდენ დამხმარე და დამატებითი საშუალებაა მკვლევარის სავსებით სწორი დებულების განსამტკიცებლად.

ახლა შებრუნებული შემთხვევა ავიღოთ, როდესაც ე.წ. <<ასიმეტრიული>> საკანონმდებლო კონსტრუქციაში ობიექტური მხარე სჭარბობს სუბიექტურს. ასეთია, კერძოდ, მძიმე შედეგით კვალიფიცირებული დელიქტი, სადაც ობიექტური მხარე ქმედებით, მისი უშუალო შედეგით და კიდევ, თანამდევით შედეგით არის წარმოდგენილი. თავდაპირველი განზრახვა კი მხოლოდ უშუალო შედეგს მოიცავს. სწორედ ამიტომ ხდება პრობლემატური თანამდევით შედეგის ბრალად შერაცხვისა და მის გამო პასუხისმგებლობის ლეგიტიმურობის საკითხი.

საქართველოს კანონმდებლობით, ისევე, როგორც სამართლებრივად კულტუროსან ბევრ სხვა ქვეყანაში, ეს საკითხი სწორად და გონივრულად არის მოგვარებული. დადგენილია, რომ თანამდევით შედეგის მიმართ განზრახვა არა, მაგრამ გაუფრთხილებლობა მაინც უნდა არსებობდეს (სსკ-ის მე-11 მუხლი).

ეს არის ტრადიციული სამართლის ენა. ლეგიმეტრიის ენაზე კი, როგორც ზემოთ დავინახეთ, აქცენტი კეთდება ასიმეტრიულობაზე ანუ რაოდენობრივ შეუსაბამობაზე დელიქტის ობიექტურ და სუბიექტურ მხარეთა შორის. და ეს გვეკარნახობს დავსვათ და გადავწყვიტოთ კონკრეტული, სპეციფიკური სამართლებრივი ამოცანა. აქ კიდევ ერთხელ იჩენს თავს სამართალმზომელობის გამოყენებითი მნიშვნელობა და დანიშნულება.


ახლა, თუ როგორ შეიძლება გაიზომოს დახარისხებადი ანალიტიკური მასალა ფორმალისტული მათემატიკური აპარატის გარეშე. იგულისხმება ისეთი შემთხვევები, როდესაც <<თანაფარდობითი წყვილი>> არ არსებობს (მაგალითად, დანაშაული და სასჯელი, ფაქტი და შეფასება, დასჯა და წახალისება, ონტოლოგია და ხელოვნური კონსტრუირება) და, ამიტომ ვერც თანაფარდობითობის მდგომარეობაში მყოფი ერთ-ერთი ელემენტის მეორის საზომად (კრიტერიუმად) მომარჯვებაზე შეიძლება დაყრდნობა. ცხადია, აქაც გარკვეულ პირობითობასთან გვეჭირდება შეგუება, თუმცა უფრო ადვილად გასაგები მოდუსით. შორს რომ არ წავიდეთ, ისევე წინარე თემას, საკანონმდებლო კონსტრუქციების სამართალმზომელობას მიემართოთ თვალსაჩინოებისათვის, ამჯერად - <<სიმეტრიული დელიქტების>> მაგალითზე.

სისხლის სამართალი იცნობს სამ ძირითად გრადაციას <<სიმეტრიული დელიქტებისა>>. ესენია: 1. შედეგიანი შემადგენლობანი, სადაც ვნებისმომტანი



²⁶ იხ.: ოთარ გამყრელიძე, დანაშაულის შუალობითი ამსრულებლობა და თანამსრულებლობა. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1974, გვ. 83-89; ოთარ გამყრელიძე, სისხლის სამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1989, გვ. 124-161.

შედგის დადგომა აუცილებელ პირობად არის მიჩნეული დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის; 2. კონკრეტული საფრთხის დელიქტები, რომლის მიხედვით, მანვე შედეგის დადგომის რეალური შესაძლებლობა უკვე დანაშაულის დამთავრებას მოასწავებს; 3. აბსტრაქტული საფრთხის დელიქტები, სადაც დამთავრების მომენტი წმინდა აბსტრაქტულ, თეორიულ შესაძლებლობებს უკავშირდება, რომლის წარმოშობა არც არის საჭირო; ქმედება ამას იმთავითვე გულისხმობს იმანენტურად და, ამ მხრივ მისი დაწყება და დამთავრება ერთმანეთში არის გაერთიანებული. მისგან წარმომდგარი ზიანის შესაძლებლობა მხოლოდ თეორიულია.

სისხლის სამართლის ტრადიციულ ენაზე პირველ შემთხვევაში დანაშაულის ობიექტური მხარე სამი ელემენტისაგან ყალიბდება. ესენია: აკრძალული ქმედება, მისი შედეგი და მიზეზობრივი კავშირი მათ შორის; შემდეგ შემთხვევაშიც სამი ელემენტია, მაგრამ მეორე მათგანი - შინაარსობრივად განსხვავებული. სახეზეა ქმედება, რეალური შესაძლებლობა (კონკრეტული საფრთხე) და მიზეზობრივი კავშირი; მესამე კი მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა, რომელშიც ნაგულისხმებია შედეგის დადგომის შორეული, აბსტრაქტული შესაძლებლობა. სამივე საკანონმდებლო კონსტრუქციაში სუბიექტური მხარე სავსებით შეესაბამება და ფარავს შესაფერისი ობიექტური მხარის უკლებლივ ყველა ელემენტს. ასეთ ჰარმონიულ თანაფარდობაში სამართალმზომელობით ამოცანად რჩება შინაარსობრივად სამი სხვადასხვა მოცულობის დელიქტთა გრადაცია, რომელთა თვისებრიობის რაოდენობრივი მდგომარეობა გრაფიკულად ასე შეიძლება გამოისახოს:



ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ყველაზე უფრო სრული და ბუნებრივი სახით დამთავრებული დანაშაული შედეგიანი შემადგენლობის სახით ყალიბდება, ეს <<მთლიანობა>> 3/3-ით შეიძლება გამოიხატოს; კონკრეტული საფრთხის დელიქტი 2/3 პროპორციით; ხოლო აბსტრაქტული საფრთხისა - 1/3-ით.



ისმება კითხვა: რა საჭიროა ყოველივე ეს? რას მატებს ლეგიმეტრიული ხედვა და მიდგომა იურისპრუდენციას? არსებითად იმას, რასაც ნებისმიერი მოვლენისა თუ პროცესის, საქმიანობისა თუ ხდომილების დამატებითი კუთხით აღქმა; ამით მდიდრდება წარმოდგენა სინამდვილეზე, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს სრულყოფილ ხედვასა და, შესაბამისად, უფრო ადეკვატურ დამოკიდებულებას ამ სინამდვილისადმი. რაც მთავარია, სამართალმზომელობას კაცობრიობა ყოველთვის ახდენდა, დღესაც ახდენს და მომავალშიც მოახდენს. მაგრამ, ჯერჯერობით ეს ხდება უპირატესად ალღოთი, გაუცნობიერებლად, ერთგვარად <<დანისლული>> სახით.

სამართალმზომელობა რომ სრულიად უმაქნისი ყოფილიყო, არც მისი მოთხოვნილება წარმოიშობოდა. მაგრამ, ვინაიდან მოთხოვნილების არსებობა უკვე ემპირიულადაც დადასტურებულია, უნდა მოისპოს ყოველგვარი ბუნდოვანება და ჭოჭმანი, რათა მისი გამოყენება ხელის ცეცებით კი არ ხდებოდეს ბნელით მოსილ არეში, არამედ მიზანშეწონილად, მიზანმიმართულად და მიზანსწრაფულად წარიმართოს სერიოზულ მეცნიერულ დონეზე.

მართალია, საამისო არსენალი ჯერჯერობით უადრესად მწირია ჯერ კიდევ ჩანასახოვანი იდეის მეცნიერული დამუშავების კიდევ უფრო ჩანასახოვან სტადიაზე. მაგრამ რაც უფრო ადრეულია სტადია, განვითარების მეტი გზაა გასავლელი; რაც

უფრო ჩვილია ბავშვი, მით მეტია როგორც პერსპექტივა მისი ზრდისა, ისე ზრდის ტემპები. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვნად გვესახება სადღეისოდ ამ თემით დაინტერესება, ყველა მისი ასპექტის სრული მოცულობით გააზრება და ქმედითი ღონისძიებების დასახვა სერიოზული კვლევა-ძიების გასაშლელად.

6. დასკვნითი დებულებები

მთავარი შედეგი წინასწარი ლეგიმეტრიული დაკვირვებებისა არის უტყუარი დასკვნა, რომ არსებობს სამართლის ჭკერეტის ერთი ისეთი კუთხე, რომლითაც ანალიტიკური მასალა ჯერ კიდევ არ არის გამოწვლილვით შესწავლილი, თუმცა ეს უთუოდ მნიშვნელოვნად გაამდიდრებდა ყველა წინარე ხედვას და გააადვილებდა მის პრაქტიკულ მომარჯვება-გამოყენებას. კერძოდ, თუ აქამდე სამართალი ტრადიციულად განიხილებოდა როგორც ქცევის წესების ერთობლიობა, ნორმათა სისტემა, ღირებულებათა სისტემა, სამართლის ქმნადობის პროცესი, მართლმსაჯულების განხორციელების შედეგი, სამართლის იდეა, დეოთური ან ბუნებითი მოცემულობა და სხვ., ნათელი ხდება, რომ ეს საკმარისი არ არის. იმავდროულად იგი უთუოდ წარმოადგენს განზომილებათა და გაზომვათა სისტემას²⁷. შეიძლება ითქვას, რომ სამართალი თავად არის ერთი დიდი განზომილება, რომელსაც, თავის მხრივ, უთვალავი განზომილება შეადგენს. ისინი არქიპელაგის მსგავსად კი არ არიან, ან განცალკევებულ კუნძულებად გაბნეული სამართლებრივ ოკეანეში, არამედ გარკვეულ ლოგიკურ მიმართებაში იმყოფებიან ერთმანეთთან და სწორედ ამიტომ შეიძლება მივიჩნიოთ სისტემად. ამის გაუთვალისწინებლობა უმართებულო იქნებოდა რადგან, თუ ეს სისტემა შემსებლობაში იმყოფება სხვა სისტემებთან, მაშასადამე ზეგავლენასაც ახდენს მათზე. და მაშინ ცალკე კვლევის საგანია, თუ როგორია, ან როგორი შეიძლება იყოს ეს ზეგავლენა.

ასე იკვეთება ორი ასპექტი: პირველი - თეორიული; მეორე - პრაქტიკული. თეორიული თვალთახედვით, ლეგიმეტრიის თემა სამართლის ფილოსოფიისაკენ უფრო იხრება და ისწრაფვის, რამდენადაც შეისწავლის სამართლებრივ განზომილებებსა და საკუთრივ სამართალმზომელობას. პრაქტიკული თვალსაზრისით, იგი გამოიყურება როგორც ერთგვარი სამართლებრივი *ექსპერტიზა* (აუდიტი), რომელსაც არ შეიძლება მომავალი არ ჰქონდეს. უფრო მეტიც, სულ უფრო საგრძნობი გახდა შესაბამისი სიდიდეებისა და პროცესების სამართალმზომელობის მოთხოვნილება, განსაკუთრებით - დემოკრატიულობის ხარისხის შესამოწმებლად. აქედან ცხადი ხდება, რომ ლეგიმეტრიის მთავარი და საბოლოო მიზანია, ჩვეულებრივზე უკეთ, უფრო ქმედითად განახორციელოს სამართალმა ყველა თავისი სოციალური ფუნქცია.

ასე იკვეთება კონტურები სამართალმზომელობის ფარგლებისა. როგორ გავიგოთ სამართალმზომელობა? როგორც: *სამართლის* მზომელობა, *სამართლით* მზომელობა თუ *სამართლისათვის* მზომელობა? როგორც ჩანს, ერთობლიობაში, სამივე ასპექტით. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით არ ჩანს მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტით, იზოლირებულად აღიარებისა და განხილვის შესაძლებლობა.

²⁷ ამასვე მოწმობს სამართლის სემიოტიკა. ის გარემოება, რომ საუკუნეების განმავლობაში მართლმსაჯულების სიმბოლო არის სასწორი - თვალახვეული თემიდა სასწორით ხელში, აშკარად მიანიშნებს, რომ სამართალი, ისევე როგორც მისი „ქმნა“ და „გაჩენა“, განუყოფელია სამართალმზომელობითი ფუნქციისაგან. ყურადღებას იპყრობს, ასევე, ლათინური იურიდიული ფრაზეოლოგია, რომელიც უამრავ ისეთ გამოთქმას შეიცავს, სამართალმზომელობის მომენტს რომ „ამხელს“ და „ამჟღავნებს“. მაგალითად: „*Culpa poena par esto*“ (სასჯელი დანაშაულის თანაბარია); „*Culpa lata dolo aequiparatur*“ (უხეში გაუფრთხილებლობა განზრახვის ტოლფასია) და სხვ.

7. პირველი მიახლოება და წინასწარი შემოთავაზებანი (OFFERTA)

ლეგიმეტრიის თეორიული თუ პრაქტიკული ასპექტების ირგვლივ მრავალი საკითხი იბადება, რომლებიც მეცნიერულ პასუხს ითხოვს. მაგრამ რაიმე ორგანიზაციული ან თუნდაც წმინდა თეორიული ბაზა საქართველოში ამ მხრივ ჯერჯერობით არა თუ არ არსებობს, არამედ არც გამხდარა სერიოზული მსჯელობის საგანი. არის საშიშროება, ისეთი მოწინავე ქვეყანა იურისპრუდენციის განვითარების მხრივ, როგორც საქართველოა, ამ მხრივ უსაშველოდ ჩამორჩეს, თუ დროზე არ დაიგეგმა შესაბამისი ღონისძიებანი.

უწინარესად, ჩემი აზრით, უნდა მოხდეს ზემოთ დასმული საკითხების სწრაფი ინვენტარიზაცია, შემდეგ კი - მეცნიერული შესწავლა და დამუშავება, რათა მომდევნო ეტაპზე ინტერესებისა და შესაძლებლობების მიხედვით, მომზადდეს სათანადო სპეციალისტების ჯგუფი, რომლებიც კვლევა-ძიებას წამოიწყებენ და განავრცობენ რამდენიმე მიმართულებით. ესენია:

- I - უცხოური მეცნიერული და პრაქტიკული გამოცდილების შესწავლა-განზოგადება;
- II - მომიჯნავე და მონათესავე (მსგავს) დარგებში (მაგალითად, სოციომეტრია) მდგომარეობის გამოკვლევა;
- III - სამუშაო ჰიპოთეზების, პრინციპების, ვარაუდების, ამოსავალი დებულებების, უზოგადესი პოსტულატებისა და პრეზუმფციების ფორმულირება;
- IV - ქართული სამართლებრივი სივრცისათვის დამახასიათებელი სპეციფიკის გამოწვლილვითი ანალიზი და დახასიათება;
- V - საკანონმდებლო სფეროს ამოცანები (1-ლი განშტოება);
- VI - აღმასრულებელი სფეროს საჭიროებანი (მე-2 განშტოება);
- VII - სამოსამართლო (მართლმსაჯულების) სფეროს თავისებურებანი (მე-3 განშტოება)
- VIII - საჯარო სამართლის ლეგიმეტრიული ნიში;
- IX - კერძო სამართალი და მისი ლეგიმეტრიული შესაძლებლობანი;
- X - მატერიალური სამართლის ლეგიმეტრიული არე;
- XI - საპროცესო სამართლის ლეგიმეტრიული სპეციფიკა;
- XII - შიდა სამართლის ლეგიმეტრიული სივრცე;
- XIII - საერთაშორისო სამართლის ლეგიმეტრიული განფენილობა და სხვ.

საკვლევე-საძიებელი აქ პრაქტიკულად ამოუწურავია და უსასრულო; ისევე, როგორც სამართლებრივი მატერია საერთოდ. მაგრამ ამოცანას მაინც გაგვიადვილებს, თუ დავთქვამთ, რა მიგვანჩნია საწყის დებულებად, როდესაც ლეგიმეტრიაზე ვსაუბრობთ; როგორ წარმოგვიდგენია ლეგიმეტრიის არსი.

დასაწყისისათვის შეიძლება შევთანხმდეთ შემდეგზე: **ლეგიმეტრია არის სამართლის მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის, სამართლის თვისებრივი მახასიათებლების რაოდენობრივ მაჩვენებლებში გადაყვანის (გამოხატვის) მეშვეობით, სამართლებრივი მნიშვნელობის სიდიდეთა, მდგომარეობათა თუ პროცესების გაზომვის თავისებურებებს სამართლებრივ განზომილებათა შესაბამის სისტემაში (ან - მიხედვით).**

აქ გასათვალისწინებელია, რომ <<ლეგიმეტიზის>> ცნება ჯერ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული. იგი მხოლოდ განსაზღვრების პროცესშია და ერთ-ერთი მეცნიერული ამოცანა სწორედ ის არის, რომ დადგინდეს მისი არსებითი ნიშნები.

მიმაჩნია, რომ ყოველმხრივ გამართლებული იქნებოდა, თუ დიდ პერსპექტივაზე გათვლილ მეცნიერულ თაოსნობას ლეგიმეტირული კვლევა-ძიების წამოწყების შესახებ რომელიმე ახალგაზრდა უნივერსიტეტი ჩაუდგებოდა სათავეში. იმიტომ კი არა, რომ იქ ტრადიცია უკვე არსებობს, არამედ პირიქით, სწორედ იმისთვის, რომ ამის ტრადიცია შეიქმნას.

ლეგიმეტიზია რომ ტრადიციული დარგი იყოს, მაშინ მართლაც არ ედირებოდა ათწლეულების განმავლობაში დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილებისათვის გვერდის ავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში, მაგრამ ვინაიდან ლეგიმეტიზია ახალშობილი დისციპლინაა, რომელიც ჯერ მხოლოდ ფეხს იდგამს, გონივრული იქნება, თუ შედარებით ახალგაზრდა უნივერსიტეტში შევუდგებით მისი საძირკვლის ჩაყრას. მით უფრო, რომ ბევრი მათგანი, (საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ქუთაისის, ბათუმის უნივერსიტეტები და სხვ.) ცნობილია თავისი მათემატიკური კვლევებით; ლეგიმეტიზია კი მათემატიკასა და მათემატიკურ ლოგიკასთან არის მჭიდროდ დაკავშირებული. ფაქტობრივად, იგი კომპლექსური დისციპლინაა სამართლის, მათემატიკისა და ლოგიკის გადაკვეთაზე. ამიტომ ეს გარემოება მარტო სამართლის კი არა, არამედ მასთან შემხებლობაში მყოფი სხვა დისციპლინებისთვისაც მნიშვნელოვანი ბიძგი იქნებოდა. ამით შესაძლებელი გახდებოდა ქართული სამართლისა და სხვა დისციპლინების უფრო ადვილად გაყვანა საერთაშორისო თანამშრომლობის სივრცეში; საქართველოს ღირსეული დამკვიდრება მსოფლიო (სამართლებრივი) მეცნიერების რუკაზე; საქართველოს ახალგაზრდობის უნიჭიერესი ნაწილის მოზიდვა სათანამშრომლოდ, რაც გზას გაუხსნის მას საერთაშორისო ასპარეზზე და ახალ ჰორიზონტს დაუსახავს შემდეგ თაობებს. უფრო მეტიც, თუ შესაბამისი კვლევის ცენტრი შეიქმნება, შესაძლებელი გახდება დარგის ყველაზე უფრო გამოჩენილი წარმომადგენლების მოწვევა მსოფლიოს წამყვანი ცენტრებიდან, რაც ძალზე აამაღლებს მეცნიერულ ინტერესსა და კადრების მომზადების დონეს.

დარწმუნებული ვარ, რომ სულ რამდენიმე წელიწადში საქართველო შეძლებს მოამზადოს ლეგიმეტიკოსთა <<მძლე ჯგუფი>>. ეს კი ღონიერი შენაკადი იქნება ახლებურად გაწრთვნილი და მოაზროვნე ქართველი იურისტებისა, რომელთა მომზადება უსისტემოდ კი არ უნდა ხდებოდეს სრულიად განსხვავებული პროფილისა და ტრადიციების სასწავლო დაწესებულებებში, არამედ - მშობლიურ ნიადაგზე, თანაც - კარგად გააზრებული პროგრამითა და სისტემით. რაც მთავარია, ლეგიმეტიზია უადრესად ფართო მოხმარების სპეციალობად ჩამოყალიბდა, რომელიც არ დაიყვანება მხოლოდ შემეცნებით დანიშნულებამდე. თეორიულთან ერთად იგი გამოყენებითი დარგია, რომელიც აუცილებელია როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებათა განმტკიცებისათვის. იგი გულისხმობს სახელმწიფო ინსტიტუტებისა და პოლიტიკური პროცესების დემოკრატიულობის ხარისხის გაზომვას (ექსპერტიზას) საგანგებოდ დამუშავებული მეთოდით.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საშურ საქმედ მიმაჩნია საკითხის დაყენება და გადაწყვეტა ლეგიმეტიზის კვლევის ცენტრის დაარსების მოთხოვნით. ეს სამომავლოდ დაახქარებდა სამართლის, როგორც დარგისა და მეცნიერული დისციპლინის, შემდგომ წინსვლასა და განვითარებას დიპენსიოლოგიის მიმართულებით (ლათინური სიტყვიდან დიპენსიო - გაზომვა, განზომილება), რაც, საბოლოო ჯამში, გულისხმობს იურისპრუდენციის ახალი დარგის, *სამართლის დიპენსიოლოგიის* ჩამოყალიბებას.

Mindia Ugrekheldze

For the Introduction to Legimetry

(Summary)

The law is far beyond a *static system* of norms, values and even dimensions. At the same time it represents continuous and everlasting *dynamic process* of lawmeasuring, i.e. - legimetry. Its nomology is still unexplored in the philosophy of law. Moreover, it hasn't ever been thoroughly considered yet as a whole.

The given essay is one of initial attempts to fill this niche; It will certainly need further development, expansion and specification.

თარგმანები

თარგმანები

შექსპირი

66-ე სონეტი

გაბეზრებული ვუხმობ სიკვდილს,
სწუხან თვალები,
რომ კაცთ ღირსება დღეს მათხოვრად
ვპოვე შობილი,
და საზეიმოდ მოკაზმულან ნაძირალები,
და წმინდა რწმენა წარყენილია
და დაგმობილი,
და პატივმოსილ დიდებასაც წაერთვა ფასი,
და იდეგნება უტყუარი სრულყოფილება,
და ქალწულთ კდემას მეძაობა ახშობს უხამსი,
და ლაჩარს გმირის დაჩოქება ეადვილება,
და ხელოვნებას ხმას უკმიდავს ხელისუფლება,
და უგნურება აზრს უსინჯავს გონიერებას,
და გულმართლობა ხომ სიბრიყვის
ნიშნად ითვლება,
და ტყვე სიკეთე მსახურად ჰყავს მანკიერებას.
გაბეზრებული გავიდოდი ბარემ იმ სოფლად,
მაგრამ არ მინდა სატრფო დამრჩეს
უჩემოდ, ობლად.

116-ე სონეტი

ვერ დავიჯერებ, შეუღლებულ
მაღალსა სულებს,
აზიანებდეს ავბედითი წარმავალობა,
ჭეშმარიტ გრძნობებს ვერვინ
ნახავს უამგადასულებს,
ზნეს არ შეიცვლის მათი მყარი შეუვალობა.
სიყვარულია ჩირადდანი ჩაუქრობელი,
ღამის წყვდიადში მოკიაფე შუქი ნათელი,
ვიცნობ ამ ვარსკვლავს არის,
მარად მიუწვდომელი,
ბობოქარ ზღვაში მეზღვაურის
გზის გამმართველი.
მას ვერ დასცინებს ბრიყვისდარად

სიმუხთლე ჟამის,
თუმც სილამაზეს ანადგურებს დროთა
სვლის ცელი,
ცვალებადობა ვერას აენებს წლების ან წამის,
განკითხვის დღემდე არ მოელის
მას განსაცდელი.
მაგრამ თუ ვცდები და მსხვერპლი
ვარ ცდომილებისა,
ტრფობაც, ეს ლექსიც ზმანებაა ხდომილებისა.

130-ე სონეტი

სატრფოს თვალთაგან არ გამოკრთის
მნათობის შუქი,
არც ბაგეებზე შეიმჩნევა სიწითლე ლალის,
თოვლი თეთრია, მისი მკერდი –
ხორბლისფრად მუქი,
და თავს უმოსავს შავი ჭავლი ორი დალალის.
მინახავს ვარდი ალისფერი, წითელი, თეთრი,
მაგრამ მის დაწვებს არ ატყვია ვარდთა იერი,
სურნელებაშიც განსხვავება
იგრძნობა მკვეთრი,
მისი სუნთქვიდან სდის სურნელი
ხორცისმიერი,
მხიბლავს მე მისი საუბარი, თუმცა ცხადია –
მუსიკის ჟღერა იმის ხმაზე უფროა ტკბილი,
მე არ მინახავს ქაღალმერთის სვლა და
არც მწაღია,
ის კი ამ ქვეყნად დააბიჯებს ვით მიწის შვილი.
ფვიცავ, ჩემს სატრფოს მაინც ვერ სჯობს
იმის მშვენება,
ქათინაური სინამდვილედ რომ ეჩვენება.

146-ე სონეტი

ცოდვილი მიწის დედაარსო –
ტანჯულო სულო,
ალყაში ყავხარ აჯანყებულ
გრძნეულსა ძალებს,
შინაგან საზრდოს იკლებ, სულით
რომ იმარსულო, –
როს გარეგნობას დიდ ხარკს უხდი,
ახარებ თვალებს.
წუთისოფლისა სტუმრობისთვის
უზომო ხარჯით,
რად აგიღია მოკლე დროით მდიდრული ბინა?
საფლავის მატლი გაიხარებს მაგ
შენი გარჯით,
მემკვიდრეობით შენი გვამიც მან შეიძინა.
აღზევდი სულო, მოკავშირე გახდი გონების,

ვნებები ქვენა მორჩილებდნენ
სურვილებს ზენას,
ზეშთაგონების ძალას ენდე, არა ქონების,
გარეთ ღარიბი, შინაგანად სწავდი აღმაფრენას.
მით კაცთა მოდგმის შემმუსრავი
სძლიე სიკვდილი,
რომ უკვდავებით მოკვდავობა
ჰყო დათრგუნვილი.

ჯორჯ გორდონ ბაირონი

სული კაეშნით მაქვს შეპყრობილი

სული კაეშნით მაქვს შეპყრობილი.
ნულარ აყოვნებ, მომართე ქნარი,
გრძნეულ თითებით მწყობრად შობილი
მოჰგვარე სმენას ხმები ნარნარი.
თუ გული იმედს არ ეურჩება,
კვლავაც მოხიბლავს იმათი სმენა,
და ტვინი ხანძარს გადაურჩება,
თვალში თუ შემრჩა ცრემლების დენა.

აკენესე ჰანგი შმაგი, შემძვრელი,
მხიარულების არ აჩნდეს კვალი.
მგოსანო! შევებას ტირილში ველი,
რომ არ გამერღვეს გული ტიალი.
მას ძიძაობდნენ სევდა და ჭმუნვა,
რომ მიაჩვიეს ტკივილის თმენას
და ემუქრება რისხვით დათრგუნვა,
თუ არ დანებდა სიმღერის ენას.

ჰენრი უოდსვორთ ლონგფელო

ისარი და სიმღერა

ზეცაში ლაღად ვტყორცნე ისარი,
გაუჩინარდა, დაგვარგე კვალი.
ისეთ სისწრაფეს შეუთვისარი,
ვერ გავადევნე უძღური თვალი.
ზეადგავლინე ლოცვად სიმღერა,
მყისვე გამეზნა მისი სავალი,
ვისა აქვს ისე მახვილი მზერა,
სიმღერის უღერას ადევნოს თვალი?
დიდი ხნის შემდეგ მუხის ერთ რგულში,
გპოვე ისარი სრულიად მთელი,
ხოლო სიმღერა მეგობრის გულში
უღერდა, ვით ძმობის საგალობელი.

წვიმიანი დღე

დღე პირქუშია, ცივი და ბნელი,
წვიმს და არც ქარმა დაგვაკლო ხელი.
ძველ ყორეს ეკერის ვაზი ბრჭყალებით,
მჭკნარ ფოთლებს ქარი წეწს გამალებით
და დღეა ცივი, პირქუში, ბნელი.
ჩემი ცხოვრებაც ცივია, ბნელი,
მაწვიმს, არც ქარმა ამაღო ხელი.
ფიქრით ვეხები უფერულ წარსულს,
ყრმობის იმედი არ ათბობს ამ სულს
და დღეები კი ცივია, ბნელი.
დამშვიდდი გულო, შეწყვიტე გლოვა.
ღრუბელთ მიღმიდან მზე კვლავ ამოვა.
შენი სვეც სხეების ბედის დარია,
ზოგჯერ მათთვისაც ხომ ავდარია!
დღე უნდა იყოს ხანდახან ბნელი.

პერსი ბიში შელი

სიყვარულის ფილოსოფია

ნაკადულები ერთვის მდინარეს,
მდინარე კი ზღვას შეედინება,
დახლართულ ფრთებით მიმომდინარეს,
მძვინვარე ქარებს მოელხინება.
თუ ღვთის განგებით წესად ქცეული
ჯერარს, რომ ერთად ხარობდეს ყველა,
ნურც ჩვენ დავრჩებით მარტო, ეული,
და ერთობაში ვიპოვოთ შეველა.
ცას შეეხიზნა ზვიადი მთები,
ძირს გადაეჭდნენ ერთად ზვირთები,
როგორც ერთგული ძმები და დები,
სიამით ხარობს აქ ყვავილები,
ამბორი უძღვნა ზღვის მორევს მთვარემ,
მცხუნვარე სხივი მზემ ხმელეთს სტყორცნა,
მაგრამ რაღად ღირს ყველა ეს, ბარემ,
თუ არ მაღირსე ნანატრი კოცნა?!

ბოელი

სოფლის ზარები

გვიყვარს სოფელში ზარების კლერა,
იმედიანი, ხან ნაღვლიანი,
გუშინ გამართეს აქ ჯვარისწერა,
დღეს იმარხება ადამიანი.
სიცილში, ცრემლში მიჰქრიან დღენი,
ჩვენც უგზოუკვლოდ დავეხეტებით,
აჰა, „მოვედინ სუფევა შენი“,
ამაოდ ვიღწვით თავგამეტებით.

ბენ ჯონსონი

ქალი აჩრდილი მამაკაცისა

ამაოდ მიზღვევ საკუთარ ჩრდილს,
ის გაგეპქვევა,
განერიდები? – უმაღ კვალში აგედვენება.
როცა ქალს ეტრფი, ის უარობს,
ცივად გეპქვევა,
თუ მიატოვე, აეშლება შენდამი ვნება.
ხომ უნდა ითქვას ამის შემდეგ
ბარემ მართალი,
რომ მამაკაცის აჩრდილია ყოველი ქალი?!

მიხეილ ლერმონტოვი

აფრა

თეთრად ფრიალებს აფრა ეული,
მტრედისფერ ნისლში გამოსხვეული.
უცხო მხარეში რას ეძებს ნეტა,
მშობლიური ზღვა რად გაიმეტა?

ზვირთების როკვას თან უსტვენს ქარი,
ანძა ირწევა, ჭრიალებს, წვალობს;
არ არის ბედის ის მაძებარი
და არც გაურბის, თუ ბედი წყალობს.

ჭავლის ლაჟვარდი ძირს თრთის ელვარე.
მადლით, მზის ოქროს სხივი ეშვება,
ის კი ქარიშხალს უხმობს მღელვარე,
თითქოს ქარიშხალს მოჰქონდეს შვება.

ალექსანდრ პუშკინი

უკანასკნელი ყვავილი

უკანასკნელი ყვავილი ველად
საამოდ ყვავის, ვიდრე პირველად,
იგი ოცნების გვიხმობს მხარეში
ნაღვლიან ფიქრთა სიმწუხარეში.
ასევე, ზოგჯერ გაყრისა ჟამი
მძაფრია, ვიდრე შეხვედრის წამი.

ყვავილი

ვიხილე წიგნში ჩავიწყებული,
სურნელგაცლილი ყვავილი მჭკნარი,
იდუმალ ფიქრით ამევესო სული,
მრავალ ოცნებას გაელო კარი.

რომელ გაზაფხულს, როდის და ან სად
ჰყვოდა იგი? ანდა რა ხანი?
ნაცნობმა თუ სხვამ მოსწყვიტა? ან რად
ჩადო ამ წიგნში როგორც ნიშანი?
რომ მოიგონოს შეხვედრა თბილი,
ან განშორების ტკივილი მწველი,
მარტო ხეტება, ტყის გრილი ჩრდილი,
თუ მშვიდი ველის ნელი სურნელი.

თუ ცოცხლობს ის ყრმა ან ქალიშვილი,
ან სად დაიდევს მათ მყუდრო ბინა?
ან იქნებ დასჭკნენ, ვით ეს ყვავილი –
ამოუცნობი მოწყენით შინა.

ვეღრება

თუ მართალია, რომ ზოგჯერ ღამით,
როცა ცოცხლები ძილს მიეცემა,
და მთვარის შუქი, მცირედი ჟამით,
საფლავის ქვებზე მკრთალად ეცემა;
თუ ამ დროს მართლა იძვრის ღოდები,
და აიშლება მკვდართა სულები,
გიხმობ ღეილა! შენ გელოდები,
ამ აჩრდილებში შენც მეგულები.
გამომეცხადე, ტკბილო ზმანება,
განშორებისას როგორიც გნახე.
ზამთრის ცივ დილას რომ ემგვანება,
გაფითრებული, მწუხარე სახე,
მოდი შორეულ სხივის მშვენებად,
როგორც ნიაფი, ან ნაზი ბგერა,
თუნდაც საშინელ რამ მოჩვენებად,
ჩემთვის ერთია – ვეღარ ვძლებ, ვერა!
არ გიხმობ, მათზე ვთქვა სამდურავი,
ვინაც გაწამა და მოგინელა;
არცა გთხოვ, მითხრა კარგი თუ ავი,
საიქიოში რაც ხდება, ყველა.
ექვი თან დამაქვს როგორც საგზალი,
რადგანაც დავრჩი სულ გაქურდული.
მე შენს სიყვარულს, როგორც ნაკრძალი,
კვლავ ვიცავ, მოდი, ახსენ ურდული.

სარჩევი

ისტორია

სერგო ვარდოსანიძე. ახალი დროის საისტორიო მეცნიერება და გიორგი წერეთლის ისტორიოგრაფიული შეხედულებანი.....	8-19
ვახტანგ გურული. დოკუმენტები და მასალები ყირიმის უახლესი ისტორიისათვის (1918-2014 წწ.).....	20-32
ჯემალ კარალიძე. 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი და აჭარა.....	33-40
როზეტა გუჯუჯიანი. დაღის მხარის (დაღის სვანეთი//კოდორის ხეობა//ზემო აფხაზეთი) ისტორიულ-ეთნოგრაფიული მიმოხილვა.....	41-50
თამარ ფხალაძე. ჟურნალი „მწყემსი“ განათლების აქტუალური პრობლემების შესახებ (XIX საუკუნის II ნახევარი).....	51-58
ლევან ჯიქია. საბჭოთა რუსეთის XI წითელი არმიის სავლეთ პოლიტიკური განყოფილების ხელმძღვანელობის მოწოდება ქართველ მუშებს, გლეხებსა და ჯარისკაცებს (1921 წლის თებერვალი).....	59-65
გვანცა ბურდული. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის ლეონიდეს ეპისკოპოსის მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, უწმიდესი ტიხონის მიმართ.....	66-75
გელა ქისტაური. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელებისა და რელიგიური სინკრეტიზმის საკითხისათვის.....	76-88
ნინო შიოლაშვილი. სიგელ-გუჯრების შედგენა-გაფორმების წესი საქართველოში.....	89-95
მაკა კვარაცხელია. სახალხო განათლებისა და კულტურის საკითხები ქალაქ თბილისის თვითმმართველობაში (1917-1921 წწ.).....	96-103
ფილოლოგია	
გიორგი ალიბეგაშვილი. სიტყვიერ ხატთა ხატები.....	105-109
ტარიელ ფუტყარაძე. ზმნური ყალიბები და მათი სემანტიკური კომპონენტები.....	110-116
მანანა ტაბიძე. ასაკობრივ სხვაობათა გადმოცემის ლინგვისტური კრიტერიუმები ქართულში.....	117-124
ლია კარიჭაშვილი. “ვეფხისტყაოსნის” სახისმეტყველებითი პერსპექტივები გიორგი ლეონიძის შემოქმედებაში.....	125-133
ეკა დუღაშვილი. ბერძნულ-ქართული ხელნაწერი სანკტ-პეტერბურგის კოლექციიდან.....	134-137
თეა ბურჭულაძე. ერთი ტიპის შესიტყვებათა გავრცელების ტენდენცია მასმედიის ენაში.....	138-141
სამართალი	
გურამ უგრეხელიძე. ჰუმანურობის ზნეობრივი ძალა.....	143-147
მინდია უგრეხელიძე. ლეგიმეტრიის შესავლისათვის (სამართალი - განზომილებათა სისტემა).....	148-166
თარგმანები	
გურამ უგრეხელიძე. თარგმანები.....	168-173